

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტი

ხატია ჯანგაგაძე

ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების  
ფონემათა სინტაგმატური ანალიზი

სადოქტორო პროგრამა: ქართველური ენათმეცნიერება  
სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

*დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი*  
*ტარიელ ფუტკარაძე,*  
*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

თბილისი

2015

# შინაარსი

ანოტაცია .....	7
<b>Annotation</b> .....	9
<b>წინასიტყვაობა</b> .....	11
<b>შესავალი</b> .....	15
1.ტაოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (სოფლები, მოსახლეობა) .....	15
2.იმერხევის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (სოფლები, მოსახლეობა).....	21
3.საკითხის შესწავლის ისტორია.....	26
4.ფონემათა კლასები .....	28
<b>I თავი</b> .....	31
<b>ტაოური დიალექტის სამეტყველო ბგერათა სინტაგმატური ანალიზი</b> .....	31
1.1. ხმოვანთა სისტემა. დისტრიბუცია და სინტაგმატური მიმართება .....	31
1.1.1.ხმოვანთა სისტემა .....	31
1.1.2. ხმოვანთა დისტრიბუცია .....	32
1.1.2.1. ნ, ნ̄, ო, ო̄, უ ბგერები .....	32
1.1.2.2. ნეიტრალური გ ბგერა.....	34
1.1.2.3.ჭ, ტ ბგერები .....	35
1.1.2.4. ძ და უ ბგერები .....	36
1.1.2.5.დიფტონგები ტაოურ დიალექტში .....	41
1.1.3.ხმოვანთა სინტაგმატური მიმართება .....	43
1.1.3.1.ხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში.....	44
1.1.3.2.ხმოვანთკომპლექსები მორფემათა ზღვარზე.....	47
1.1.3.3. ხმოვანთკომპლექსთა ანალიზი .....	50
1.1.3.4.საილუსტრაციო მასალა .....	55

1.1.3.4.1.ერთი მორფემის ფარგლებში გამოვლენილი ხმოვანთკომპლექსები.....	55
1.1.3.4.2.მორფემათა ზღვარზე გამოვლენილი ხმოვანთკომპლექსები .....	56
1.2.თანხმოვანთა სისტემა. დისტრიბუცია და სინტაგმატური მიმართება.....	62
1.2.1.თანხმოვანთა სისტემა .....	62
1.2.2.თანხმოვანთა დისტრიბუცია .....	63
1.2.2.1.ჯ ბგერის დისტრიბუცია.....	63
1.2.2.2.ჭ ბგერა .....	65
1.2.2.3.ც ბგერა .....	66
1.2.2.4. რ ბგერა .....	67
1.2.2.5.მკვეთრი თანხმოვნები .....	68
1.2.3.თანხმოვანთა სინტაგმატური მიმართება.....	69
1.2.3.1.თანხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში.....	70
1.2.3.1.1.ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები .....	70
1.2.3.1.1.1.სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსები.....	70
1.2.3.1.1.2.ჩქამიერ თანხმოვანთა ორწევრა კომპლექსები.....	81
1.2.3.1.2.აქცესიურობა - დეცესიურობა ორწევრა თანხმოვანთკომპლექსებში ერთი მორფემის ფარგლებში.....	90
1.2.3.1.3.ჰარმონიული კომპლექსები ტაოურში .....	92
1.2.3.2.ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები მორფემათა ზღვარზე.....	94
1.2.3.2.1.სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსები .....	95
1.2.3.2.2.ჩქამიერ თანხმოვანთა კომპლექსები.....	101
1.2.3.3.სამწევრა და ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში ....	108
1.2.3.3.1.სონორის შემცველი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები .....	108
1.2.3.3.2.ჩქამიერ თანხმოვანთა სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები.....	110
1.2.3.3.3.სონორის შემცველი ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები .....	110
1.2.3.4.მორფემათა ზღვარზე გამოვლენილი სამწევრა, ოთხწევრა და ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსები.....	110
1.2.3.4.1.სონორის შემცველი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები .....	110
1.2.3.4.2.ჩქამიერ თანხმოვანთა სამწევრა კომპლექსები.....	112

1.2.3.4.3.სონორის შემცველი ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები .....	112
1.2.3.4.4.ჩქამიერ თანხმოვანთა ოთხწევრა კომპლექსები .....	113
1.2.3.4.5.ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსები.....	113
1.3. ფონეტიკური პროცესები .....	114
1.3.1.ასიმილაცია.....	114
1.3.2.დისიმილაცია.....	116
1.3.3. მეტათეზისი.....	116
1.3.4. დეზაფრიკატიზაცია .....	118
1.3.5.აფრიკატიზაცია. ....	122
1.3.6.სუბსტიტუცია .....	123
1.3.7.ბგერის განვითარება. ....	124
1.3.8. ბგერის დაკარგვა.....	125
1.3.9.ბგერათა შერწყმა.....	127
<b>II თავი. იმერხეული დიალექტის სამეტყველო ბგერათა სინტაგმატური ანალიზი.....</b>	<b>129</b>
2.1. ხმოვანთა სისტემა. დისტრიბუცია და სინტაგმატური მიმართება.....	129
2.1.1.ხმოვანთა სისტემა .....	129
2.1.2.ხმოვანთა დისტრიბუცია .....	129
2.1.2.1.წ, ჟ, ო, ო, უ ბგერები.....	129
2.1.2.2.ნეიტრალური გ ბგერა.....	130
2.1.2.3.პალატალიზებული ო და უ ბგერები .....	131
2.1.2.4.ფ და უ ბგერები .....	133
2.1.2.5.დიფთონგები იმერხეულ დიალექტში .....	135
2.1.2.6.ფ ბგერის დისტრიბუცია.....	137
2.1.3.ხმოვანთა სინტაგმატური მიმართება .....	137
2.1.3.1.ხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში.....	138
1.1.3.2.ხმოვანთკომპლექსები მორფემათა ზღვარზე.....	140
2.1.3.3.ხმოვანთკომპლექსთა ანალიზი .....	143
2.1.3.4.საილუსტრაციო მასალა .....	148
2.1.3.4.1. ერთი მორფემის ფარგლებში გამოვლენილი ხმოვანთკომპლექსები .....	148

2.1.3.4.2.მორფემათა ზღვარზე რეალიზებული ხმოვანთკომპლექსები .....	149
2.2.თანხმოვანთა სისტემა. დისტრიბუცია და სინტაგმატური მიმართება.....	156
2.2.1.თანხმოვანთა სისტემა .....	156
2.2.2. თანხმოვანთა დისტრიბუცია. განსხვავებული თანხმოვნები .....	156
2.2.2.1.ჯ ბგერა .....	156
2.2.2.2.ჭ ბგერა. ....	157
2.2.2.3.მკვეთრი თანხმოვნები.....	158
2.2.3.თანხმოვანთა სინტაგმატური მიმართება.....	159
2.2.3.1.თანხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში.....	159
2.2.3.1.1.ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები .....	159
2.2.3.1.1.1.სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსები.....	159
2.2.3.1.1.2.ჩქამიერ თანხმოვანთა კომპლექსები .....	167
2.2.3.1.2.აქცესიურობა - დეცესიურობა ორწევრა თანხმოვანთკომპლექსებში ერთი მორფემის ფარგლებში.....	173
2.2.3.1.3.ჰარმონიული კომპლექსები იმერხეულში.....	174
2.2.3.2.ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები მორფემათა ზღვარზე.....	175
2.2.3. 2. 1.სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსები .....	175
2.2.3.2.2.ჩქამიერ თანხმოვანთა კომპლექსები .....	181
2.2.3.3.სამწევრა და ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები (ერთი მორფემის ფარგლებში)..	188
2. 2. 3. 3. 1.სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსები .....	188
2.2.3.3.2.ჩქამიერ თანხმოვანთა კომპლექსები .....	189
2.2.3.3.3.სონორის შემცველი ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები .....	190
2.2.3.3.4.სონორის შემცველი ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსები .....	190
2.2.3.4.მორფემათა ზღვარზე გამოვლენილი სამწევრა, ოთხწევრა და ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსები.....	190
2.2.3.4.1.სონორის შემცველი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები.....	191
2.2.3.4.2.ჩქამიერ თანხმოვანთა სამწევრა კომპლექსები.....	192
2.2.3.4.3.სონორის შემცველი ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები .....	192
2.2.3.4.4.სონორი თანხმოვნების შემცველი ხუთწევრა კომპლექსები .....	192
2.2.3.4.5.სონორი თანხმოვნების შემცველი ექვსწევრა კომპლექსები.....	192

2. 3.ფონეტიკური პროცესები .....	193
2.3.1. ასიმილაცია.....	193
2.3.2.დისიმილაცია.....	194
2.3.3.მეტათეზისი .....	194
2.3.4.დეზაფრიკატიზაცია .....	195
2.3.5.აფრიკატიზაცია .....	196
2.3.6.სუბსტიტუცია .....	196
2.3.7.ბგერის განვითარება .....	197
2.3.8.ბგერის დაკარგვა .....	199

<b>III თავი. ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემატური სტრუქტურის შედარებითი ანალიზი.....</b>	<b>203</b>
3.1.ხმოვანთა სისტემაში არსებული მსგავსება-განსხვავებანი.....	203
3.1.1.ხმოვანთა დისტრიბუცია .....	203
3.1.1.1.გრძელი ხმოვნები.....	203
3.1.1.2.ნეიტრალური გ ბგერა.....	204
3.1.1.3.პალატალიზებული ბგერები.....	204
3.1.1.4. ძ და ჟ ბგერები .....	205
3.1.1.5. დიფთონგები ტაოურ და იმერხეულ დიალექტებში.....	207
3.1.2.ხმოვანთა სინტაგმატური მიმართება .....	207
3.2.თანხმოვანთა სისტემაში არსებული მსგავსება-განსხვავებანი .....	209
3.2.1.თანხმოვანთა დისტრიბუცია .....	209
3.2.1.1.ჭ ბგერის დისტრიბუცია.....	209
3.2.1.2.ძ ბგერა.....	210
3.2.1.3. ვ ბგერა.....	211
3.2.1.4.რ ბგერა.....	211
3.2.1.5.მკვეთრი თანხმოვნები.....	211
3.2.2.თანხმოვანთა სინტაგმატური მიმართება.....	212
3.2.2.1.ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში.....	213

3.2.2.1.1.ჰარმონიული თანხმოვანთკომპლექსები .....	214
3.2.2.1.2.აქცესიურობა-დეცესიურობა.....	215
3.2.2.2. ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები მორფემათაზღვარზე.....	215
3.2.2.3.სამწევრა და ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში ....	216
3.2.2.4.მორფემათა ზღვარზე გამოვლენილი სამწევრა, ოთხწევრა, ხუთწევრა და ექვსწევრა თანხმოვანთკომპლექსები.....	217
3.3. ფონეტიკურ პროცესთა მსგავსება-განსხვავებანი ტაოურსა და იმერხეულ დიალექტებში .....	218
ძირითადი დასკვნები.....	221
გამოყენებულილიტერატურა .....	230
დანართი.....	244
1.ტაოური კილო .....	244
2.იმერხეული კილო.....	302

## ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი - „ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა სინტაგმატური ანალიზი“ - არის ცდა, გაკეთდეს ცოცხალი მეტყველების ფონემატური სტრუქტურის ზუსტი ანალიზი.

ნაშრომის შესავალში წარმოდგენილია საანალიზო დიალექტების - ტაოურის და იმერხეულის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა და მათი შესწავლის ისტორია. აქვე განხილულია ფონემათა კლასებად დაყოფის საკითხიც და მოცემულია სხვადასხვა თვალსაზრისების კრიტიკული ანალიზი.

პირველ თავში მოცემულია ქართული ენის ტაოური დიალექტის სინტაგმატური ანალიზი; დაწვრილებითაა განხილული ხმოვანთკომპლექსებისა და თანხმოვანთკომპლექსების ყველა პოზიცია; დადგენილია მათი გამოვლენის სიხშირე და აღნიშნული კილოსთვის დამახასიათებელი ჰარმონიული, ბუნებრივი, დასაშვები თუ აკრძალული კომპლექსები. ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია კომპლექსთა ტრანსფორმაციის ისტორიაც.

გარდა ამისა, მოცემულია ბევრი უკვე ცნობილი ფაქტის ახლებური ინტერპრეტაცია.

მეორე თავში წარმოდგენილია ქართული ენის იმერხეული დიალექტის სინტაგმატური ანალიზი, იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც პირველ თავში განხილულია ტაოური დიალექტი.

ნაშრომის მესამე თავში მოცემულია ტაოური და იმერხეული დიალექტების შედარებითი ანალიზი, კერძოდ, პირველ და მეორე თავში მიღებული დასკვნების მიხედვით რა მსგავსება-განსხვავებაა ამ ორ დიალექტს შორის. ბოლოს წარმოდგენილია მათი მიმართება სალიტერატურო ქართულთან.

დანართში წარმოდგენილია ტაოური და იმერხეული დიალექტების ზეპირი მეტყველების ნიმუშები, რომლებიც ჩაწერილია 2006 – 2014 წლებში ტაო-



კლარჯეთში ექსპედიციების დროს. დისერტაცია, გარკვეულწილად, სწორედ ამ მასალას ეყრდნობა.

ტაოსა და იმერხევის ქართული დღეს თურქული ენისა და ქართული სალიტერატურო ენის ინტენსიურ გავლენას განიცდის, შესაბამისად, ვფიქრობთ, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, განუზომლად იზრდება ამ მიმართულებით კვლევის მნიშვნელობა.

## **Annotation**

The PhD thesis “syntagmatic analysis of phonemes in Tao and Imerkhevi dialects of the Georgian language” is devoted to make a precise analysis of phonemic structure of the dialects.

The introduction serves historical and geographical overview of Tao and Imerkhevi dialects and their history of investigation. We discuss the issue of classification of phonemes give a critical analysis of different perspectives concerning this topic in scholarly literature.

The first chapter of the thesis describes systems of both consonants and vowels syntagmatically in Tao dialect of Georgian. Vowel and consonant sequences are examined in all positions and frequency of their distribution is defined. All specific harmonic, natural, permitted or prohibited clusters are analysed. In some cases the transformation history of the clusters are presented.

In addition, a few original approaches to well-known issues are suggested by the author.

The second chapter covers syntagmatic analysis of Imerkhevi dialect of the Georgian language in the same way as it was presented in case of Tao dialect

The third chapter presents comparative research of Tao and Imerkhevi dialects, particularly, according to the conclusions of the first and the second chapters the author compares similarities and differences between these two dialects. Finally, the Comparison and relationship of the dialects with the standard Georgian between the dialects is discussed by the author.

The appendix presents the examples of oral speeches of Tao and Imerkhevi dialects which were recorded between 2006 - 2014 years during the scientific expeditions in historical Tao-Klarjeti. The dissertation is based on these materials to some extent.

Tao and Imerkhevi dialects are influenced by Turkish and standard Georgian, therefore, the importance of the research of these dialects is increasing.

# წინასიტყვაობა

## თემის აქტუალურობა

ნაშრომი შეეხება მნიშვნელოვან საკითხს - გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ქართული დიალექტების - ტაოური და იმერხეული დიალექტური მეტყველების შესწავლას.

ისტორიული საქართველოს კუთხეების - ტაოსა და იმერხევის ქართული დღეს თურქული ენისა და ქართული სალიტერატურო ენის ინტენსიურ გავლენას განიცდის. შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, განუზომლად იზრდება თურქეთის საზღვრებში მოქცეული ავტოქთონი ქართველების დიალექტთა კვლევის მნიშვნელობა. ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს თანამედროვე ეპოქის ხასიათი, კულტურათა დიალოგის დაჩქარებული ტემპი და მისი სპეციფიკურობა. გარდა ამისა, დღემდე შეუსწავლელია ამ კილოთა ფონემების სინტაგმატური წესები. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში სინქრონიულ დონეზე განვიხილავთ იმერხეული და ტაოური დიალექტების ფონემათა სინტაგმატურ მიმართებებს როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ისე მორფემათა ზღვარზე (ხმოვნებსა და თანხმოვნებში). ნაშრომში პირველადაა წარმოდგენილი ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა დეტალური დახასიათება და დისტრიბუცია.

## კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები

ნაშრომის მიზანია ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონეტიკური კანონზომიერების გამოვლენა, მათთვის დამახასიათებელ ბგერათვომპლექსთა პოზიციებისა და სიხშირის დადგენა; ჰარმონიული, ძირითადი, დასაშვები თუ აკრძალული ბგერათვომპლექსების წარმოჩენა; ტაოურის და იმერხეულის მონაცემთა შეპირისპირება ქართულ სალიტერატურო ენასთან.

კვლევის ამოცანები განისაზღვრა დისერტაციის მიზნებიდან გამომდინარე; კერძოდ, ჩვენი ამოცანაა ტაოური და იმერხეული დიალექტური ზეპირი მეტყველების ფონემატური სტრუქტურის რეალური სურათის ჩვენება; უკვე არსებული თვალსაზრისების გათვალისწინებით სადოქტორო ნაშრომის ავტორის მიდგომების ჩამოყალიბება.

## ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომში, ჩვენ მიერ ჩაწერილი დიალექტური ტექსტების საფუძველზე, პირველადაა წარმოდგენილი ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა სინტაგმატური ანალიზი; დაწვრილებითაა განხილული ხმოვანთკომპლექსებისა და თანხმოვანთკომპლექსების ყველა პოზიცია; დადგენილია მათი გამოვლენის სიხშირე და აღნიშნული კილოებისთვის დამახასიათებელი ძირითადი, ჰარმონიული, დასაშვები და აკრძალული კომპლექსები.

გარდა ამისა, მოცემულია ბევრი უკვე ცნობილი ფაქტის ახლებური ინტერპრეტაცია.

## დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

ნაშრომში გაანალიზებულია ტაოსა და იმერხევეში ჩაწერილი დიალექტური ტექსტები (გაბმული მეტყველების ნიმუშები, ცალკეული წინადადებები და სიტყვები), შესწავლილია ფონეტიკური ხასიათის მოვლენები; ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ქართველური დიალექტების - ტაოურისა და იმერხეულის - მონაცემთა ბაზის შექმნისა თუ კვლევის მიმართულებით.

დისერტაციას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობაც, ნაშრომი ფასეულია არა მხოლოდ ენათმეცნიერეთათვის, არამედ მომიჯნავე დარგის სპეციალისტებისთვისაც.

## კვლევის მეთოდები

საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებულია აღწერის (ველზე მუშაობის), შედარება-შეპირისპირებისა და ანალიზის მეთოდები.

## ნაშრომის სტრუქტურის აღწერა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ნაბეჭდ 353 გვერდს. იგი შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, 3 თავის, დასკვნითი დებულებების, დამოწმებული სამეცნიერო ლიტერატურის სიის, დანართისა და სარჩევისაგან.

დისერტაციას თან ერთვის 2006 – 2014 წლებში დიალექტოლოგიური ექსპედიციების დროს ჩაწერილი ვიდეო მასალა.

**შესავალში** ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეების - ტაოსა და იმერხევის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა და შესწავლის ისტორიაა წარმოდგენილი; გარდა ამისა, აქვე განხილულია ფონემათა კლასებად დაყოფის საკითხიც და მოცემულია სხვადასხვა თვალსაზრისების კრიტიკული ანალიზი.

**პირველ თავში** დაწვრილებითაა განხილული ხმოვანთკომპლექსებისა და თანხმოვანთკომპლექსების ყველა პოზიცია. ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ერთი მორფემის ფარგლებსა და მორფემათა ზღვარზე რეალიზებული ორშემადგენლიანი, სამშემადგენლიანი და ოთხშემადგენლიანი კომპლექსები. დადგენილია მათი გამოვლენის სიხშირე და აღნიშნული კილოსთვის დამახასიათებელი ჰარმონიული, ბუნებრივი, დასაშვები და აკრძალული კომპლექსები.

**მეორე თავში** წარმოდგენილია ქართული ენის იმერხეული დიალექტის სინტაგმატური ანალიზი, იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც პირველ თავში განხილულია ტაოური დიალექტი.

**მესამე თავში** მოცემულია ტაოური და იმერხეული დიალექტების შედარებითი ანალიზი, კერძოდ, პირველ და მეორე თავში მიღებული დასკვნების მიხედვით რა მსგავსება-განსხვავებაა ამ ორ დიალექტს შორის. ბოლოს წარმოდგენილია მათი მიმართება სალიტერატურო ქართულთან.

**დანართში** წარმოვადგენთ ექსპედიციებში სხვადასხვა დროს ჩვენ მიერ ჩაწერილ და გაანალიზებულ ტაოურ და იმერხეულ დიალექტურ ტექსტებს.

## ნაშრომის აპრობაცია

ნაშრომთან დაკავშირებული მოხსენებები გამოქვეყნებულია ცალკეული სტატიების სახით, რომელთა სიას ქვემოთ წარმოვადგენთ:

1. ხატია ჯანგავაძე - „თანხმოვანთა კლასების საკითხისათვის ქართულში, ფონემათა დისტრიბუციის მიხედვით“, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2011, გვ. 326-332;
2. ხატია ჯანგავაძე - „დეზაფრიკაციზია ტაოურში“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის II საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“, მოხსენებათა თეზისები, 2012 წელი (იბეჭდება);
3. ხატია ჯანგავაძე - „ა, ჳ, უ, გ, უ ბგერების დისტრიბუცია ქართული ენის ტაოურ დიალექტში“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის III საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“, მოხსენებათა თეზისები, 2014 წელი, გვ. 106-108 (იბეჭდება);
4. ხატია ჯანგავაძე - „ერთი მორფემის ფარგლებში გამოვლენილი ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები ქართული ენის ტაოურ დიალექტში“, სოხუმის უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები „ფილოლოგიური პარალელები“, მე-7 ტომი (იბეჭდება).

# შესავალი

დღეს ქოროხის ხეობის მკვიდრთა დიდ ნაწილს, მიუხედავად ტრაგიკული ისტორიული წარსულისა, ავტოქთონი ეთნიკური ქართველები შეადგენენ: შავშელები (იმერხელები), ლივანელები, მაჭახლელები, ტაოელები და ლაზები. მათ ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უცხოენობრივ გარემოში მოუწიათ თანაცხოვრება, მაგრამ მოახერხეს დღემდე შეენარჩუნებინათ ქართული ენა და ქართული (ქართველური) თვითშეგნება. ისინი ახლაც დედაენაზე მეტყველებენ; თუმცა ახალგაზრდა თაობის უმრავლესობამ ცუდად ან საერთოდ არ იცის ქართული ენა. არსებობს რეალური საფრთხე, რომ ზოგი ქართველური კილო საერთოდ გაქრეს.

იმერხეული და ტაოური დიალექტები განსხვავებულია გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

## 1. ტაოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (სოფლები, მოსახლეობა)

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი - ტაო დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მდებარე ართვინის მხარის იუსუფელის რაიონში მდებარეობს. იგი ორ ნაწილად იყოფა: იმიერ და ამიერ ტაოდ. ამიერ და იმიერ ტაო ერთმანეთისაგან გამოიყოფოდა ოლთისისწყლის ქვემო წელით და მისი შენაკადი ბარდუსის წყლით.

დღეს ტაოს ყველა ქართულ სოფელს, ისევე როგორც შავშეთ-იმერხევისას, ოფიციალურად თურქული სახელი ჰქვია. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა (როგორც ქართველები, ისე თურქები) ყოველდღიურ ურთიერთობაში სოფლებსა თუ მის ცალკეულ ადგილებს მაინც ძველი, ქართული სახელებით მოიხსენიებს.

ტაოური მეტყველება კარგადაა შემონახული ჯევაის ხევში, პარხალთან ახლოს მდებარე სამ სოფელში: ჯევაიში (თურქ. Biçakçılar, 230-მდე კომლი), ბალჯსა (თურქ. Balçılı) და ქობაიში (ქვაბაა/ქობაა/ქობაქი/ქუბაქი/ქუბახი, 35-მდე კომლი. სოფლის ოფიციალური



სახელია იუქსეკობა (თურქ. Yüksekoba)). სამივე სოფელი თემის ტიპის დასახლებაა და შედგება პატარა სოფლებისაგან, რომელთაც დღეს უბნებს (არ. mahalle - მაჰალლე - „უბანი“, „რაიონი“) ეძახიან.

ტაოური დიალექტის შესახებ საუბარია ნიკო მარის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებში“: „ჭოროხის ხეობაში კიდევ ერთ ქართულ პროვინციაში, ტაოშიცაა გადარჩენილი ქართული ენა. ისტორიულად ტაოს ვრცელი ქვეყნიდან ქართულად საუბრობენ ელიასხევის რამდენიმე პატარა სოფელსა და ჭილათში, მათ მეტყველებას ტაოურ კილოს ვუწოდებთ“ (მარი 2012: 27).

რამდენადმე მნიშვნელოვანია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩაწერილი ქართული სოფლების მეტყველებაც. მეცნიერმა 1917 წელს იმოგზაურა ტაო-კლარჯეთში და ის ასახელებს სოფლებს: ბინათი, ზავრიეთი, უთავი, ორჯოხი (219 სული); ვინმე მატიასევიჩის<sup>1</sup> მიერ გადაცემული ქართული სოფლების სია, რომელსაც თავის წიგნში წერს: კობაკი, არმენხევი, ხევეკი, გუდახევი, ხუმხალი, ბალხი, ხოდ-სუფლია, უტავი, ვანისხევი, კირვანსი, ოთხთა ეკლესია და ბინათი. ჩილჩიმი//ჭიმჭიმი (208 სული) (თაყაიშვილი 1917: 223).

საინტერესოა საიტის - <http://www.yusufeli.gov.tr/> -ის 2012 წლის მონაცემების მიხედვით შეკრებილი ცნობები, რომელშიც მოცემულია სოფლების ძველი და ახალი სახელები, კომლთა და მოსახლეობის რაოდენობა. ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით ყველაზე მეტად დასახლებული ყოფილა შემდეგი სოფლები: ერსისი - 401 ოჯახითა და 1953 მცხოვრებლით; შემდეგ მოდის: პერტეკრეკი (195/674), ოთხთა (175/635), ხევეკი ლივანე (185/571), უტავი (180/574), ხერმუთი (154/481) და სხვ.

---

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილის წიგნში: „სამუსლიმანო საქართველო“ დაცულია ცნობა ბ-ნ ალექსანდრე სტეფანეს ძე მატიასევიჩზე, რომელიც იყო ომის დროის „ნაჩალნიკი“, მელოს „უჩასტკისა“, რომელმაც დაიარა სოფლები ჭოროხის შუაწელისა და შეკრიბა მოსახლეობის სტატისტიკური ცნობები და სია გადასცა ექვთიმე თაყაიშვილს (ე. თაყაიშვილი, 1971, გვ. 221). აქ ძალიან საინტერესოა ერთი გარემოება, ავტორი ამბობს, რომ მატიასევიჩი არ საუბრობს სოფელ ოთხთას შესახებ, როგორც ქართულ ენაზე მოლაპარაკე სოფელზე, მაგრამ, მისი აზრით, იქ ყველა ქართულად მოლაპარაკეა. მცხოვრებნი ყოველთვის არ ამხელენ, რომ ქართულად ლაპარაკობენ. ე. თაყაიშვილი ერთ ფაქტზეც ამახვილებს ყურადღებას: მატიასევიჩმა არ იცის ოთხთას ეკლესიის შესახებაც, რომელიც სოფლიდან 5 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს; მას არ უთხრეს ამის შესახებ იქაურებმა.

	ძველი სახელი	ახალი სახელი	კომლთა რაოდენობა	მოსახლეობა
1	კისკიმი	ALANBAŞI	142	446
2	პარხალი	ALTIPARMAK	150	394
3	-	ARPACIK	40	141
4	-	AVCILAR	34	140
5	ზუვარი/ჯუვარი	BADEMKAYA	40	96
6	კისპოროთი	BAHÇELİ	58	119
7	თუნგენსი/თუნგენესი	BAKIRTEPE	71	124
8	არჯევანი/არჯივანი	BALALAN	41	79
9	ბალხი	BALCILI	65	126
10	პატარა ხევეგი /ხევეგი ლივანე	BIÇAKÇILAR	185	571
11	უტავი	BOSTANCI	180	574
12	საჩვერეთი/საჩორეთი	BOYALI	35	93
13	ჯულჯიმი	CEVİZLİK	77	210
14	ხოსტაპორი	ÇAĞLAYAN	14	26
15	ლუსუნჯური	ÇAMLICA	44	124
16	გოჯეჟი	ÇELTİKDÜZÜ	84	352
17	პერტეკრეკი	ÇEVRELİ	195	674
18	შადლუთი	ÇIRALI	78	154
19	ვაშგანი/ვაშქანი	DAĞETEĞİ	25	123
20	-	DARICA	65	230
21	ზემოვანი	DEMİRDÖVEN	55	121

22	ერკინისი	DEMİRKENT	153	356
23	ნიზგოვანი	DEMİRKÖY	74	182
24	ხერმუთი	DEREİÇİ	154	481
25	ჰუნგამეჯი	DOKUMACILAR	95	433
26	ხერსი	ERENKÖY	35	140
27	არმაშენი	ESENDAL	74	209
28	ზორი	ESENYAKA	160	292
29	აღჯუთი	GÜMÜŞÖZÜ	31	67
30	ოღდარი	GÜNYAYLA	43	62
31	ოხერი/ოქარი	HAVUZLU	25	82
32	-	İNANLI	34	39
33	ზემო ქოლიჯი	IRMAKYANI	62	122
34	იშხანი	İŞHAN	137	370
35	ერსისი	KILIÇKAYA	401	1.953
36	აშფიშენი	KINALIÇAM	180	501
37	ხერსი	KIRAZALAN	55	132
38	-	KÖMÜRLÜ	54	115
39	ოშნაქი	KÖPRÜGÖREN	106	264
40	-	KÜPLÜCE	65	204
41	ლოქი	MORKAYA	140	434
42	სარზევი	MUTLUGÜN	55	150
43	ხომხალი	NARLIK	45	104

44	ქირვანსი	ORMANDIBİ	37	114
45	ქუშნარა/ოღდემი	ÖĞDEM	53	128
46	გუდასხევი	ÖZGÜVEN	25	94
47	ოხური	PAMUKÇULAR	208	505
48	ქვემო ქოლიქი	SEBZECİLER	40	107
49	ზევისქალი	SERİNSU	9	18
50	-	SÜTLÜCE	35	75
51	ფითი	TARAKÇILAR	20	60
52	ზოგაპორი	TAŞKIRAN	156	364
53	დორთქილისე/ოთხთა	TEKKALE	175	635
54	უმზუმი	YAĞCILAR	64	178
55	ჩორგენისი	YAMAÇÜSTÜ	140	360
56	ქორთა	YARBAŞI	60	124
57	ზემო ხევეგი	YAYLALAR	95	174
58	ნიხახი	YOKUŞLU	33	133
59	-	YENİKÖY	45	200
60	ქობაქი/ქობაი	YÜKSEKOBA	45	91
61	ქვემო ხუნგამეკი	YÜNCÜLER	95	356
62	ზილისპირი /წყლისპირი	ZEYTİNCİK	25	63

წარმოდგენილ ცხრილში მოცემული არაა 8 სოფლის (კახნესი, თევასორი, იფხანი, ახოთი, ხოსთვალი, ვანისხევი, იენიქოი, ოსხა) ძველი სახელი, რომელიც შევსებულია თანერ ართვინლის 2013 წელს გამოცემულ წიგნში - Artvin Yer Adları Sözlüğü (İdari,

Yerleşim ve Coğrafi Yer Adlarının Toponimisi).<sup>2</sup> გარდა აღნიშნული 8 სოფლისა, გვხვდება ყველა დანარჩენი სოფელი. წიგნის მიხედვით სოფლების ძველი და ახალი სახელებია: კისკიმი - Alanbaşı, პარხალი/ზარხალი - Altıparmak, ოსხა - Arpacık, კახნესი - Avcılar, ზუვარი/ჯუვარი - Bademkaya, კისპოროთი - Bahçeli, თუნგენსი/თუნგენესი - Bakırtepe, არჯივანი - Balalan, ბალხი/ზარხი - Balcılı, პატარა ხევეკი/ხევეკი ლივანე - Bıçakçılar, უთავი - Bostancı, საჩვერეთი/საჩორეთი - Boyalı, ჯულჯიმი - Cevizlik, ხოსტაპორი - Çağlayan, ლუსუნჯური/დელირმენტაში - Çamlıca, გოჯექი - Çeltikdüzü, პერტეკრეკი - Çevreli, შადუთი - Çıralı, ვაშგანი/ვაშქანი - Dağeteği, თივასორი - Darca, ზემოვანი - Demirdöven, ერკინისი/რკინისი - Demirkent, ნიგზივანი/ნიზგოვანი - Demirköy, ხამრუთი/ხარმუთი/ხერმუთი - Dereiçi, ზემო ჰუნგამეკი - Dokumacılar, ხერსი - Erenköy, არმაშენი - Esendal, ზორი - Esenyaka, აღჯუთი - Gümüşözü, ოლდარი - Günyayla, ოხერი/ოქარი - Havuzlu, ზემო ქოლიქი - Irmakyanı, იგხანი - İnanlı, იშხანი - İşhan, ერსისი - Kılıçkaya, აშფიშენი - Kınalıçam, ხერსი - Kirazalan, ახოთი - Kömürlü, ორშნაქი/ომნაქი - Köprügören, ვანისხევი - Küplüce, ლოქი - Morkaya, სარზეფი - Mutlugün, ხომხალი - Narlık, ქირვანსი - Ormandibi, ქუმნარა - Öğdem, გუდასხევი - Özgüven, ოხური - Pamukçular, ქვემო ქოლიქი - Sebzeciler, ზევისქალი - Serinsu, ხოსთვალი - Sütlüce, ბითი/ფითი - Tarakçılar, ზოგაპორი - Taşkıran, ოთხთა/დორთქილისე - Tekkale, უშხუმი - Yağcılar, ჩორგენსი/ჩორგენისი - Yamaçüstü, ქორთა - Yarbaşı, ხევეკი კისკიმი - Yaylalar, იენიქოი - Yeniköy, ნიხახი - Yokuşlu, ეობაქი - Yüksekoba, ქვემო ხუნგამეკი - Yüncüler, ზიგლისპირი - Zeytincik (Taner Artvinli 2013).

შ. ფუტკარაძე ტაოური მეტყველების შესახებ აღნიშნავს: „ტაოურში გამოიყოფა თქმები და ქცევები. მაგ., თუ არმენხევის ქართული სოფლების მეტყველებაში შეინიშნება სომხური ლექსიკური ერთეულები, ქუაბაგის ხევის ქართული წარმოაჩენს ზანიზმებს, რადგან მასისის ქედი ჰყოფს ხმოლოდ ამ მხარეს ლაზეთისაგან. არჯევანის თემის ქართულს კი სხვებისგან გამორჩულ იერს აძლევს მკვეთრი ტონური მახვილი, რომელიც სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალს ხვდება უმთავრესად“ (ფუტკარაძე 1995: 31).

<sup>2</sup> ჩვენ ვიყენებთ ზურაბ ბათიაშვილის მიერ ნათარგმნ წიგნის ნაწილს, რომელიც ინტერნეტის მეშვეობით მოგვაწოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ თარგმანი ჯერ არ გამოქვეყნებულა.

განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ ტაოს ქართული ადრავს მეცნიერთა შორის, რაც გამოწვეულია როგორც ახალგანვითარებული მოვლენებით, ასევე იმითაც, რომ ის გამოირჩევა არქაული ფორმების სიუხვით.

## 2. იმერხევის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

### (სოფლები, მოსახლეობა)

იმერხევი ისტორიული შავშეთის ნაწილია, ამიტომ იმერხეულ მეტყველებას შავშურ დიალექტსაც უწოდებენ.

ტერმინი "იმერხევი" გეოგრაფიული ცნების აღმნიშვნელი იყო („გადაღმა ხევი“), შემდეგ კი თურქეთის საზღვრებში მოქცეული ქართული კუთხის - შავშეთის ერთი ნაწილის სახელად იქცა.

იმერხევის გეოგრაფიული აღწერა მოცემული აქვს ცნობილ მოგზაურსა და სამხედრო სპეციალისტს გიორგი ყაზბეგს: „შავშეთის მთიანი მხარე - იმერხევი. შავშეთის სახელით იგულისხმება სივრცე, რომელიც მოთავსებულია არსიანის, კარჩხალისა და იალანუსჩამის მთის ქედებს შორის. ყველა ეს მთა მნიშვნელოვნად მაღალია ზღვის დონიდან. ამ მთებს შორის ჩაკეტილი სივრცე, თუ ზოგადად ვიტყვით, წარმოადგენს ერთ დიდი ქვაბულს და შესაძლოა გავყოთ ორ დიდ ნაწილად: მთიანი და დაბლობისა. პირველი შედგება იმერხევის ხეობისაგან, ხოლო მეორე სათლელის წყლის აუზის, ან საკუთრივ შავშეთისაგან... შავშეთის ბარის, ანუ სამხრეთის ნაწილი, რომელიც ზოგჯერ შავშეთად იწოდება, სხვა ხასიათისაა“ (ყაზბეგი 1874: 74).

„ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება მდინარე იმერხევის აუზი, რომელიც სათავეს ხულოს მერიდიანზე, შავშეთის, კარჩხალის და მაჭახლის მთების კვანძიდან იღებს. ამ მდინარეს სამხრეთ-დასავლეთი მიმართულება აქვს და შავშეთს ეკუთვნის მხოლოდ სათლელის წყალთან შესართავამდე“ (ყაზბეგი 1874: 84).

ზაქარია ჭიჭინაძეც იმერხევსა და შავშეთს ერთმანეთისგან გამოყოფს. მისი აზრით: „იმერხევი და შავშეთი ისეა ერთმანეთზე დაკავშირებულ-გადაბმული, მათ შორის ისე მცირე მანძილია, რომ ორივე ეს კუთხე ადმინისტრაციულად შეერთებულია და შეადგენს

ერთ ნაწილს, რომელსაც განაგებს ნაწილის უფროსი და რომელიც ეკუთვნის ართვინის ოლქს. მთელი ეს მიდამო შეიცავს 100-მდე დიდს თუ პატარა სოფელს“ (ჭიჭინაძე 1913: 288).

ნიკო მარი შავშეთს ყოფს ორ „რეგიონად“: შავშეთად და იმერხევად. დაყოფას საფუძვლად უდევს ქართულის ცოდნა-არცოდნა. მეთურქულე მხარე შავშეთია, მექართულე - იმერხევი. მკვლევარი აღნიშნავს: „საქმეში ყველაზე ჩართულმა პირებმა იციან მხოლოდ თავისი უბანი, უკეთეს შემთხვევაში - თავისი მხარე. ასე, იმერხეველმა - იმერხევი, შავშელმა - შავშეთი...“ (მარი 2012: 13).

შ. ფუტკარაძეც სადოქტორო დისერტაციაში ცალ-ცალკე კუთხედ ასახელებს შავშეთსა და იმერხევს: „რეგიონში (კლარჯეთში - ხ.ჯ) ტრადიციულად არსებობდა რამდენიმე ეთნოსი - თემური ერთიანობა, ტომობრივი გაერთიანება, როგორცაა: შავში/ შავშელი//შავშეთელი, იმერხეველი, ლივანელი, მაჭახლელი/ როგორც ქართველ ერში ქართლური, კახური, ხევსურული, თუშური, გურული... გამოიყოფა ქართველი ტომები( ფუტკარაძე 1995: 9). ამას გარდა, შავშეთის მნიშვნელოვან კუთხედ მიიჩნევს იმერხევსა და მიჭიხიანს, ანუ მაჭახელს.

ტ. ფუტკარაძის აზრით, ისტორიულ შავშეთს დაახლოებით მოიცავს დღევანდელი შავშეთის რაიონი. იმერხევი შავშეთის რაიონში შედის. იგი იწყება შერთულიდან (რომელიც მალე წყალქვეშ მოექცევა) და მოიცავს რამდენიმე პატარა მდინარის ხეობას აჭარის საზღვრამდე (ფუტკარაძე 2007: 21).

მეცნიერთა ჯგუფი: მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, ნ. ცეცხლაძე, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე... მიიჩნევს, რომ ქართულის ცოდნა-არცოდნის გამო ერთმანეთისაგან გაიმიჯნა იმერხევი და შავშეთი და ისტორიულად და ტერიტორიულად ერთი კუთხე - შავშეთი ორ კუთხედ იქნა გააზრებული.

ზ. შაშიკაძის აზრით, შავშეთ-იმერხევის შექმნას შესაძლოა იმანაც შეუწყო ხელი, რომ ოსმალთა ბატონობის ხანაში „შავშეთი, იმერხევი და მაჭახელი ოსმალეთის იმპერიაში ცალ-ცალკე სანჯაყებს (სადროშოებს) წარმოადგენდნენ“ (შაშიკაძე 1986 :17).

იმერხევში, ჭოროხის ხეობის სხვა მკვიდრთაგან განსხვავებით, ყველაზე უკეთ აქვთ დედაენა შენარჩუნებული და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართულ ენაზე მეტყველებს.

გიორგი ყაზბეგი და ზაქარია ჭიჭინაძე საინტერესო ცნობებს გვაწვდიან იმერხევის სოფლების ეთნიკური შემადგენლობისა და კომლთა რაოდენობის შესახებ.

გ. ყაზბეგის მიხედვით: „შავშეთის მოსახლეობა ორი ეროვნებისგან შედგება: ქართველებისა და სომხებისაგან. იმერხევის ჩათვლით აქ 58 სოფელია, რომელთაგან საკუთრივ შავშეთისაა 36. ოფიც. მონაცემებით: 1740 კომლი, სინამდვილეში 2000-ზე მეტია. 145 კომლი სომეხია, დანარჩენი სუფთა ქართული“ (ყაზბეგი 1874: 90).

ჩამოთვლილია იმერხევის ქართული სოფლები: ახალდაბა, კალოთი, ჯინალი, ყვირალა, მიქელეთი, გარყლობა, უხედი, წეთილეთი, ჩვარები (ზემო და ქვემო), კარავათი, ციხისძირი (50 კომლით), ტბეთი, დაბაკეთილი, ველი, სათლელი, შესაძლო სოფელი თუხარისი (ტბეთთან), ოქრობაგეთი, სხლობანი, მერია, დაბაწვრილი, აგარა, მოქთა, რაბათი (ოქრობაგეთის რაბათი ადრე პატარა სოფელი იყო. გ.ყ.), კუჩენი, მამანელი, მოქთა, სინგოთი, ფხიკიური, ახალდაბა (90 კომლი), ჭალეთი (10 კომლამდე), სურევანი (20 კომლი), ივიეთი (იმერხევის უკანასკნელი სოფელი), დიობანი, ფხიკიური (იგივე რაბათი, სომხური სოფელი, ოფიც. მონაცემებით 18 კომლი, გიორგი ყაზბეგის მონაცემებით 25 კომლი), ბაძირეთი (კარჩხალის ხეობაში), ზიოსი, ანდრიაწმინდა, ჩიხორი, დაბა, უბე, ზაქიეთი, დევაძე, ხევწვრილი.. არტანუჯისკენ მიმავალ გზაზე სოფლები: შინდობანი, ანაკლია, ჩვითლული, მოქთა, კარსინი, კონტრომი, სამწყალი, გვარაშენი და ბაცა. ანაკერტი და ანჩა. მათა შავშეთის უკანასკნელი პუნქტია.

ზაქარია ჭიჭინაძის მონაცემებით, იმერხევის სოფლებია: ხობლეური, აგარა, შოლტისხევი, წყალსიმერი (50 კომლი), წითლოეთი, დიობანი, იფხრევი, ივეთი, გზათა (40 კომლი), სურევანი, უბე, ძიოსი, ხემწვრილი, დაბა, ბელთიეთი, ზაქიეთი, ბაძირეთი, ლეონიძე (ძვ. დასაბმობი), ჩიხარი (40 კომლი), ციხის ხევი, უსტამისი (30 კომლი), ბრილ აგარა (25 კომლი), პხიკური, ლივანის ძირი, ჩაქველთა, შვამთა, ხარსანა, გორგოტიხანა, ოქროს წუა, ახალ-დაბა, გარიულუფი, ჯვარები, მიქელეთი (აბანოს ხევი), მანატბა (6 კომლი), წეფთის ბარი (20 კომლი), დევაგულა (10 კომლი).

მეცნიერის ცნობით, მხოლოდ სოფელ ახალდაბაში (100 კომლზე მეტი. შავშეთის შუაგულში) შემორჩენილა ქართული ლაპარაკი, რასაც მაჰმადიანობის გვიან მიღებით ხსნის (ჭიჭინაძე 1913: 285).



ზ. ჭიჭინაძე ქართულად მოსაუბრედ ასახელებს სოფლებს: გარყილუფს (60 კომლი) და ჯვარებს (60 კომლზე მეტი), რომელიც შავშეთის განაპირა სოფელია (იქვე: 288).

ნიკო მარის მიერ დასახელებულია შემდეგი სოფლები: სათლელი, რაბათი, სულესი, ტბეთი, შავქეთი, ბალვანი, ოქრობაგეთი, ველი, აგარა, (ორი დასახლება, ერთ-ერთი: კოლაზდილარი), დაბაწვრილი, ტაუზეთი, დაბაკეთილი, გურნათელი, ციხისძირი, სურევანი, წყალსიმერი (მეჭელეებით: წყალსიმერი, შოლტისხევი, ბზათა, სულ 112 კომლი), წვრილხევი, ყვირალა, კუტალეთი, დასამობი, ფხიკიური, სვირევანი (სვირევნის უბნები: სურევანი, დავითეთი, ფარნუხი, კუტალეთი, ჯვარისხევი, ჩაქველთა), მერე, დიობანი, იმფხრეული (უბნები: იფხრეული, ივიეთი, იმნაძე), უბე (უბანი: დევაძევი), დაბა, ზაქიეთი, ვაკეთი, ბაზგირეთი, თეთრაკეთი, ჩიხორი, ანდრიაწმინდა, ლიბანი, გაგიეთი, ბრილი, ნიოლეთი (ნიოლისძე), მერქეზი, ჭედრიული (რუკაზე ჩედლეური) (მარი 2013).

დღევანდელი მონაცემებით, ყველაზე მეტად ქართული ენა დაცულია ბერთისწყლის/შავშეთისწყლის შენაკადის - იმერხევისწყლის (ფაფართისწყლის) ხეობის სოფლებსა და მათ უბნებში: უსტამისში (უბან შერთულში), ჩიხორში (უბნებში - ანდრიაწმინდა, ლიბანი, თეთრაკეთსა და შარაბულში), დასამობში (უბნებში - ბრილ აგარა, ნიოლეთსა და დავლათში), ჩიხისხევიში (უბან დიდხანში), სვირევანში (უბნებში - დავითეთი, დიდმერესა და ფარნუხში), დაბაში (უბან დევიეთში), ხევწვრილში (უბნებში - მიკელკმიენთი, აბრამიენთი, მეგრელიენთი, რევაზიენთი, ჯიმუხიენთი, გოჩიენთსა და ბელთიეთში), ბაზგირეთში (უბნებში - გამეშეთსა და კარჩხალში), ბზათაში, იფხრეულში, წყალსიმერში და სხვ. ყველაზე ნაკლებად სოფელ დიობნის ცენტრალურ უბნებსა და სინკოთშია შენარჩუნებული ქართული.

თანერ ართვინლის წიგნის - „Artvin Yer Adları Sözlüğü (İdari, Yerleşim ve Coğrafi Yer Adlarının Toponimisi)“ - ის მიხედვით (ზურაბ ბათიაშვილის გამოუქვეყნებელი თარგმანი), იმერხევის სოფლების ძველი და ახალი სახელებია:

**სათლელი (რაიონული ცენტრი), Şavşat (İlçe merkezi):** ჩიხვთა/ჩიხთა - Akdamla, ზინდება/ზენდობა - Arpalı, ქვემო სულესი - Aşağı Koyunlu, წიწვეთი/ზიზვეთი/სისვეთი - Atalar, წყალსიმერი/ზაღლიმერი - Balıklı, ტბეთი/ტიბეთი - Cevizli, ველი - Ciritdüzü, ხევწვრილი/ხევსრული - Çağlayan, ხობლევი - Çağlıpınar, დიობანი - Meydancık,

ჩართულეთი - Çamlıca, სორსელი - Çavdarlı, სირასინქოთი - Çayağzı, მიქელეთი - Çermik, ჩიფთლიქი - Çiftlik, გარყლობა/გარქილობ - Çoraklı, ჩიხორი - Çukur, ანკლია - Dalkırmaz, დაბა - Demirci, კურელა - Demirkapı, დასამობი - Dereiçi, სვირევანი/სურევანი - Dutlu, სოფორო - Düzenli, ვანთა - Elmalı, აგარა/ზეთილეთი - Erikli, უსტამისი - Eskikale, ხანთუშეთი - Hanlı, ჯინალი - Ilica, ვერხუნალი - Karaağaç, შავქეთი - Karaköy, თურმანეთი/თურმანძე - Kayabaşı, ციხისძირი/სიხიძირი - Kayadibi, ბალვანა - Kirazlı, ქვათეთრისი/ქოთეთრისი - Kireçli, კუჩენი - Kocabey, რაბათი - Köprülü, ჯარეთი/ჯვარეთი? - Köprüyaka|Köprükaya, მორღელი - Kurudere, სინკოთი - Küplüce, ბაზგირეთი/ბაძგირეთი - Maden, დაბაწრული/დაბაზრული - Meşeli, ივეთი - Mısırlı, უბე - Oba, სათაფლია - Otluca, სულობანი - Pınarlı, მოქთა - Savaş, ქარავათი - Saylıca, ჯარისხევი/ჯვარისხევი - Sebzeli, გურნათელი - Susuz, ჩუვარეფი/ჯვარები? - Şalçı, შავთა - Şenköy, ჩაქველთა/ჩაქოლთა - Şenocak, იფხევი/იფხრული - Taşköprü, ზიოსი - Tepebaşı, ახალდაბა - Tepeköy, მუხობანი - Üzümlü, მერია/მირია - Veliköy, ზაქიეთი - Yağlı, მოროხოზი - Yamaçlı, დაბაკეთილი - Yaşar, მამანელისი - Yavuz, მანატბა - Yeşilce, სიხია/ციხია - Yoncalı, ზემო სულესი - Yukarıkoyunlu, სესხლავური/სესლავური - Ziyaret (Taner Artvinli 2013).

იმერხევში, ისევე როგორც მთელს ტაო-კლარჯეთში, სოფლებს ოფიციალურად შეუცვალეს ქართული სახელი და მათ ნაცვლად უწოდეს თურქული, ქურთული, სომხური სახელები, რაც მიზანმიმართული პილიტიკა იყო თურქეთის მხრიდან; კერძოდ:

თურქეთში ადგილთა სახელების (ტოპონიმების) შეცვლა დაახლოებით 50 წელია მიმდინარეობს და ამ დროის განმავლობაში 28. 000 სახელი შეიცვალა, ამათგან 12. 000-ზე მეტი სოფლის სახელებია. ტოპონიმთა შეცვლა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1940 წლებში მომზადებული ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით დაიწყო, რომელიც გულისხმობდა თითქოსდა ძნელად წარმოსათქმელი და უცხო ენობრივ სახელთა ჩანაცვლებას, მაგრამ ეს პროცესი მე-2 მსოფლიო ომის გამო შეფერხდა და ცოტა მოგვიანებით, 1949 წლიდან განახლდა; განსაკუთრებული ინტენსივობით კი 1960 - 1965 წლებში გააქტიურდა.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბებამდე, ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის პერიოდში დაიწყო ეს პროცესები (ზოგადად, ანატოლიაში 1920

წლიდან იცვლებოდა ტოპონიმები) და მას შემდეგ, რაც თურქეთი სახელმწიფოდ იქცა, ათა თურქის დროს, გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვითაც ტოპონიმებზე ძველ სახელთა დაბრუნება იყო შესაძლებელი და ასეც მოხდა, 120 სოფელს კვლავ მიენიჭა ძველი სახელი. ეს პროცესი ახლახან განახლდა.

დღეს ძველი და ახალი სახელების მნიშვნელობებს შორის დიდი სხვაობაა, რაც ასიმულატორული პოლიტიკის ნაწილია თურქეთის მხრიდან, რადგანაც მათ კარგად იციან, რომ ქართული სახელები ქართველს ქვეცნობიერად კიდევ დიდხანს დააკავშირებდა ქართულ ფესვებთან. ბოლო პერიოდში, რამდენიმე წელია, ახალი კანონით შესაძლებელია ძველი სახელების დაბრუნება, თუმცა ჯერ რაიმე ცვლილება არ მომხდარა ამ მხრივ. იმედია ძველი ტოპონიმები ამ გეოგრაფიულ არეალში კვლავ დაიბრუნებს არსებობის უფლებას.

### 3. საკითხის შესწავლის ისტორია

ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემატური სტრუქტურის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ერთი მხრივ, ტაოურსა და იმერხეულში შენარჩუნებულია სხვა ქართული კილოებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, მეორე მხრივ კი, მათ ფონეტიკაში (არა მხოლოდ, მორფოლოგიაში, სინტაქსშიც და ლექსიკაშიც) ასახულია თურქული ენის გავლენა, რაც ბუნებრივიცაა.

ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემატური სტრუქტურის შესახებ არაერთი გამოკვლევა (მონოგრაფია, სტატია) დაიბეჭდა: ფუტკარაძე შ., სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995; ფუტკარაძე შ., წიგნი „ჩვენებურების ქართული“, თბ., 1993; ფაღავა მ., „სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა“, სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი, 2003; „შავშეთი“ (ავტორთა კრებული), ბათუმი, 2010; მ. ფაღავა, „შავშური ჩანაწერები“, თბილისი, 2011; ფუტკარაძე ტ., „იმერჯევის მეტყველი მიწა-წყალი“, თბ., 2010; ფუტკარაძე ტ., მიქაუტაძე მ., „კვლავ ქართული წყვილბაგისმიერი სპირანტის შესახებ (იმერხეული მასალის ანალიზი), ქუთაისი, 2008; დადიანი ე., „ფონეტიკური პროცესები ტაოურ დიალექტში - I (ბგერათა დაკარგვა)“, ქუთაისი, 2012; დადიანი ე., მიქაუტაძე მ.,

„ფონემატური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხისათვის იმერხეულში“, ქუთაისი, 2010; მიქაუტაძე მ., „ჯ ბგერის საკითხისათვის იმერხეულ დიალექტში“, ქუთაისი, 2010.

იმერხეულ დიალექტზე პირველი მეცნიერული დაკვირვებები ნიკო მარს ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ იქაურ ქართველთა მეტყველება ცალკე არ უკვლევია. მან ჩაწერა და გამოაქვეყნა იმერხეული დიალექტური მეტყველების ნიმუშები<sup>3</sup> და ის დიდი ხნის განმავლობაში სახელმძღვანელო წიგნი იყო ქართველი მეცნიერებისთვის, ვიდრე შუშანა ფუტკარაძემ არ გამოსცა ექსპედიციების დროს ჩაწერილი მდიდარი დიალექტური მასალა წიგნში: „ჩვენებურების ქართული“. მასში არა მხოლოდ იმერხეული, არამედ თურქეთის მოქალაქე, იქაური ქართველების მეტყველების არაერთი ნიმუშია აღნუსხული. მონოგრაფიას თან ერთვის ლექსიკონი და ფოტომასალა. „ჩვენებურების ქართული“ ბერისთვის დღესაც სახელმძღვანელო წიგნია. აღსანიშნავია ბათუმის უნივერსიტეტის მიერ 2010 წელს გამოცემული წიგნი: „შავშეთი“, რომელსაც თან ერთვის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალები ლექსიკონითურთ (იმერხეული ტექსტები დაბეჭდილია 354 - 460 გვერდებზე); ასევე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ყოფილი დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ შეგროვილი მდიდარი დიალექტოლოგიური მასალა, რომელიც ჯერ არ გამოცემულა, თუმცა მასზე დაყრდნობით დაწერილია საგულისხმო სტატიები იქაური თანამშრომლებისა და ჩაწერილი ტექსტების უშუალო ავტორების მიერ (ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე...).

ტაო-იმერხევის კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვის პროფ. ტარიელ ფუტკარაძეს. საინტერესოა მეცნიერის მიერ 2001 წელს წარმოდგენილი ქართველურ კილოთა ახალი კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც იმერხეული და ტაოური - აჭარულთან, მაჭახლურთან, ლივანურთან, სამცხურთან და ჯავახურთან ერთად - განაპირა კილოების მესხურ ჯგუფში ერთიანდებიან (იხ. ფუტკარაძე 2001; ფუტკარაძე 2006: 40). ტერმინით: "მესხური კილოები" მოიაზრება ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე არსებული ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფთა (თემთა) მეტყველება (შდრ. სამეცნიერო ლიტერატურაში "მესხური" ძირითადად გამოყენებულია ან საკუთრივ სამცხურის, ან სამცხურ-ჯავახურის აღსანიშნავად) (დადიანი 2006: 51).

<sup>3</sup> ნ. მარის „დღიურები“ ქართულად ითარგმნა და ახლიდან გამოსცა ბათუმის უნივერსიტეტმა: მთარგმნელი - რ. დიასამიძე, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, შენიშვნები და რედაქცია პროფ. მამია ფალავასი (იხ. ნ. მარი, 2013).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს ტაო-კლარჯეთის დიალექტთა ენობრივი კვლევა, ტაოურისა და იმერხეულის ფონემათა სინტაგმატიკა მონოგრაფიულად დღემდე შესწავლილი არ ყოფილა. საკითხს რამდენადმე ეხებიან შ. ფუტკარაძე და მ. ფაღავა თავიანთ დისერტაციებში. დასახელებულ ნაშრომებში საუბარია მხოლოდ ხმოვანთკომპლექსებში განვითარებული ფონეტიკური თავისებურებების შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომში შევისწავლით იმერხეული და ტაოური დიალექტების სინტაგმატურ მიმართებებს როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე (ხმოვნებსა და თანხმოვნებში), სინქრონიულ დონეზე. ცალ-ცალკე განვიხილავთ ფონემათა კლასებს.

#### 4. ფონემათა კლასები

ფონემათა კლასებად დაყოფის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი, კერძოდ:

**ჰ. ფოგტი** თანხმოვანთა სამ ძირითად კლასს გამოყოფს: პირველი - **სონანტების** კლასი: რ ლ მ ნ და ვ, მეორე - **სიბილანტების** კლასი: ზ ს ჟ შ ღ ხ, მესამე - **ხშულების** კლასი, სამი ძირითადი ქვეკლასით: ბაგისმიერები, დენტალურები (დენტალურ ხშულებში იგულისხმება აფრიკატებიც) და პოსტერიულები (ფოგტი 1961: 14).

მკვლევარი თანხმოვანთა კლასების შიგნით გამოყოფს ურთიერთკომბინაციათა 27 შესაძლებლობას, როგორც თავკიდურში, ისე ბოლოკიდურში. **ჰ** არ შეაქვს არც ერთ კონსონანტურ ჯგუფში.

**გ. ნებერიძის** კლასიფიკაციით, თანხმოვანთა პირველ კლასში ერთიანდება ხშული თანხმოვნები (**C** კლასი), მეორეში – აფრიკატები (**F** კლასი), მესამეში – სონორები (**S** კლასი). კლასიფიკაცია ხდება სონორობის ხარისხის მიხედვით, ფონემათა მე – 4 კლასს ქმნიან ხმოვნები (**V**).

კლასის ფარგლებში ფონემები დალაგებულია სონორობის მატებით.

**C** – ხშულთა კლასი: პ<ფ<ბ<ტ<თ<დ<წ<ც<ძ<ჭ<ჩ<ჯ<კ<ქ<გ<ყ

F – ს<ზ<შ<ჟ<ხ<ღ

S – ვ<მ<ნ<ლ<რ

V – უ<ი<ო<ე<ა (ნებიერიძე 1974: 10).

განსხვავებულია თედო უთურგაიძის მიერ შემუშავებული ფონემათა კლასების ფორმულები. მკვლევარი თანხმობს ყოფს ორ დიდ კლასად: ხშულთა და ნაპრალოვანთა (არახშულთა) კლასად.

ხშულთა კლასი აღნიშნულია C სიმბოლოთი, რომელშიც გაერთიანებულია 16 ფონემა - ბ ფ პ, დ თ ტ, ძ ც წ, ჯ ჩ ჭ, გ ქ კ, ჳ, ნაპრალოვანთა კლასი კი – C°-ით და 12 ფონემა შედის - ზ ს, ჟ შ, ღ ხ ყ, ვ მ ნ რ ლ.

ამ ორი კლასის თანხმობანთა სინტაგმატური მიმართებები მკვლევრის მიერ წარმოდგენილია შემდეგი ფორმულების მიხედვით: (1) C C°, (2) C° C, (3) CC, (4) C° C°.

(1) ფორმულა გამოხატავს აღმავალი ანუ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსთა მოდელს, სადაც მეორე წევრი (ნაპრალოვანი) პირველს (ხშულს) აღემატება ნაპრალოვნობით;

(2) ფორმულა გამოხატავს დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსთა მოდელს, სადაც ნაპრაღან თანხმობანს მოსდევს ხშული;

(3) ფორმით გამოხატულია ხშულთა (ნულოვანი ნაპრალოვნობის) კომპლექსთა მოდელი;

(4) ფორმულის კომპლექსები ნაწილდება მზარდი და დამავალი ნაპრალოვნობის მოდელებს შორის იმის მიხედვით, კომპლექსი აღმავალი ნაპრალოვნობისაა თუ დამავალი ნაპრალოვნობისა.

მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი მიჩნეულია ქართული ენისთვის დამახასიათებელ კომპლექსად (უთურგაიძე 1976: 90-91).

საინტერესოა ტ. ფუტკარაძისა და ა. ვაშალომიძის თვალსაზრისი სინტაგმატური კლასების შესახებ. მსჯელობა ემყარება ბუნებრივი მეტყველებისას ალოფონური ერთეულების მიხედვით შექმნილ ბაზას, რომელიც საფუძვლად დაედება სინთეზატორის შექმნას (ე.წ. ალოფონური აკუსტიკური ბაზა). ალოფონთა სიმრავლის გამო შეირჩევა ისეთი ალოფონები, რომლებზეც გავლენას ახდენენ მხოლოდ მარჯვენა და მარცხენა მეზობელი

ფონემები (სამივე პოზიციაში - თავკიდურად, შუაში და ბოლოკიდურად). ეს მარჯვენა და მარცხენა მეზობელი ფონემების სიმრავლე დაყოფილია თანაუკვეთ კლასებად. ალოფონური ბაზის შემცირების მიზნით სამეტყველო ერთეულები დაჯგუფებულია არტიკულაციური მახასიათებლების მიხედვით; კერძოდ, ცალ-ცალკე ჯგუფებადაა წარმოდგენილი ხმოვნები: ა ე ი ო უ; სონორები ერთ კლასს წარმოადგენენ: მნ (ნაზალური) რლ (არანაზალური); ცალკე 6 ჯგუფებადაა დაყოფილი ჩქამიერი ფონემები: ჰომოგენური ფონემები დაჯგუფდება მსხვილ ჯგუფებად ლოკალური რიგების მიხედვით: ბაგისმიერი და უკანაენისმიერი (ვ ბ გ ლ) მჟღერები ერთ ჯგუფში გაერთიანდებიან, წინაენისმიერები (ს ც შ ჩ თ) - მეორეში, შესაბამისად, ორ-ორ ჯგუფებადაა დაყოფილი ყრუ ფშვინვიერი (ს ც შ ჩ თ) და ყრუ მკვეთრი (პ კ ყ ტ წ ჭ) ფონემები.

მეტყველების სინთეზის დროს საჭირო ფონემისა და ალოფონის იდენტიფიკაცია მოხდება ტექსტის სამელემენტო მონაკვეთებით ანუ ტრიფონებით (ფუტკარაძე, ვაშალომიძე 2011: 158-164).

ვფიქრობთ, სინტაგმატური კლასების ეს მოდელი კარგი იქნება ბუნებრივი მეტყველების სინთეზისთვის.

ბგერათა სინტაგმატური წესების ასაგებად ამჯერად თანხმობვანთკომპლექსებს ვყოფთ სონორთა და ჩქამიერთა კლასად.<sup>4</sup> ჩქამიერთა კლასში თავის მხრივ გაერთიანებულია ხშული და ნაპრალოვანი ბგერები, რომელიც თედო უთურგაიძის თანხმობვანთა სინტაგმატური მიმართებების ოთხი ფორმულის მიხედვითაა განაწილებული (C°C, CC°, C°C°, CC). ამგვარი არჩევანი განაპირობა იმანაც, რომ გაიოლდეს სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების - ტაოურისა და იმერხეულის შეპირისპირება.

---

<sup>4</sup> სონორთა კლასი - (S) ვ მ ნ რ ლ; ჩქამიერთა კლასი - (C, C°) ბ გ პ დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჭ გ ქ კ ხ ს ჟ შ ლ ხ ყ ჯ.

## I თავი

### ტაოური დიალექტის სამეტყველო ბგერათა

### სინტაგმატური ანალიზი

#### I.I. ხმოვანთა სისტემა. დისტრიბუცია და სინტაგმატური მიმართება

##### 1.1.1. ხმოვანთა სისტემა

ტაოურში, როგორც სალიტერატურო ქართულში, ფონემატური ღირებულების ხუთი ხმოვანი გვაქვს: ა, ე, ი, ო, უ. ამათ გარდა, სხვადასხვა პოზიციის მიხედვით გამოვლენილი ფონეტიკური ვარიანტებია: ა, ე, ი, ო, უ, ა, ე, ი, ო, უ, (ი>)ა, (უ>)უ.

გრძელი ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები მეორეული წარმომავლობისაა. პალატალიზებული ა და ო გვხვდება როგორც თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში, ასევე ქართულ სიტყვებშიც. ნეიტრალური ე უფრო ხშირად თანხმოვნის მომდევნოდაა გავრცელებული და წარმოადგენს რომელიმე ბგერის პოზიციურ ვარიანტს. მას ფორმათგანმასხვავებელი ფუნქცია არ აქვს და, შესაბამისად, ფონემასაც არ წარმოადგენს.

სალიტერატურო ქართულისა და ტაოური დიალექტისთვის საერთო ფონემატური ღირებულების ხუთი (ა, ე, ი, ო, უ) ხმოვნის დისტრიბუცია თავისუფალია და ისინი წარმოებისა და რაგვარობის მიხედვითაც იდენტურია.

ა - დაბალი აწეულობის, ფართო, ზოგ შემთხვევაში უკანა, ზოგ შემთხვევაში შუა რიგის, არალაბიალური ხმოვანი;

ე - საშუალო აწეულობის, წინა რიგის, პალატალური, არალაბიალური ხმოვანი;

ი - მაღალი აწეულობის, წინა რიგის, პალატალური, არალაბიალური ხმოვანი;

ო - საშუალო აწეულობის, უკანა რიგის, ლაბიალური ხმოვანი;

უ - მაღალი აწეულობის, უკანა რიგის, ლაბიალური ხმოვანი.



## 1.1.2. ხმოვანთა დისტრიბუცია

### 1.1.2.1. ა, ე, ი, ო, უ ბგერები

ტაოურში დადასტურებული გრძელი ხმოვნები ფონემებს არ წარმოადგენენ. ისინი მეორეული წარმომავლობისაა და მხოლოდ სიგრძით განსხვავდებიან ფონემატური ღირებულების ა ე ი ო უ ხმოვნებისაგან.

ტაოურ დიალექტში გრძელი ხმოვნები სხვადასხვა პოზიციის მიხედვით გამოვლინდა.<sup>5</sup> რიგ შემთხვევაში წარმოქმნილია:

#### 1. იდენტურ ხმოვანთა შერწყმით:

ა: დასხი, დასხი! (<დაასხი);

ზმნისწინისეული ა ხმოვნის ვ- პირის ნიშნის შემდეგ გადასმისა და ფუძისეულ იდენტურ ა ხმოვანთან შერწყმის შედეგად: ვადალეფთ, ზამთრი ჭჭამთა; აქო ა დევბადე, ამა მე ვაშენე; ჰო, მე ვაშენე ეს ქოხი, ე ქოხი მე ვაშენე. ავადალეფთ>ვადალეფთ>ვადალეფთ; ავაშენე>ვააშენე>ვაშენე... ზმნისწინის პირის ნიშნის შემდეგ გადასმა ტაოურში არცთუ იშვიათია; შდრ.: ვიწაკიდებით<წავიკიდებით;

ე: მალეზიც ქუყუავან, კუტუნები, ტუტუნები (<კატუნები, ტუტუნები); ასიმილაციის გზით: ედაა შენც დეჩეი და დუდე ბეზას (დაეჩეი>დეეჩეი>დეჩეი);

ი: ხუთ თანე კაცმა ნიშანი მიტანეს (<მიიტანეს);

უ: ასიმილაციით: ყგვალ მუჭირავთ, ვადალეფთ, ზამთრი ჭჭამთა (მოუჭერთ > მოუჭირაქთ > მუჭირაქთ).

#### 2. დაკარგული ბგერის საკომპენსაციოდ:

- რ ბგერის საკომპენსაციოდ: ამა ზოგნი ვაზან კაცები; ისე ყავემ-მავემი ვაზან ზოგნი; ხანში ისინი ვაზან დათვები; ა იციან ადგილები?; ა ვიცი, ისე რამ იტყვიან; ა მუწონა; თუე, მანტი, აპრილი, მადსი; დუეგვეცემო და კვათ გაჭხეგნაქსო; თადაამ ყვადლი აქა, ი ვადა; ვადი ერთი, მერე სოფ კიდე არი და ყაყაჩო; მანტო ვერ წავალთ; მოუკუდები ჩასვლამდე, ფაჩა-ფაჩა შევქნები; მანტო ვარ, ავინ ა მახლაქს; ა, ახლა სუბესთია; ამ ჩუენ

<sup>5</sup> უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება საუბარი ხმოვანთა სინტაგმატური ანალიზისას.

ქოდსა **წ**თი კიდო მაჰალე არი; ფილაჲ, **წ**ბო ჩუაგდეჲ; დუგუნში იმათ ვიჯებით: **ხრცი**, ტოლმა.

ზოგ შემთხვევაში **რ** ბგერა არაა დაკარგული იქ, სადაც მოსალოდნელია და გრძელი ხმოვანი მაინცაა წარმოდგენილი, რაც გამოწვეული უნდა იყოს, ზოგ შემთხვევაში **რ**-ს არტიკულაციის მიზეზით (ძალიან სუსტად წარმოთქმის გამო), ზოგჯერ კი მახვილით: გინდა დათესე, გინდა ეილე, შიდან **დარგე**; ხუთი ძმა **ვართა** ჩუენ; ის **ცერეკარი**; ჩემეჲარ, ჩამოხვალ **ბალეკარი** არი; ახლა **სერბესათ** წავალთ, მოვკლაჲთ; ეს **სარი**, **სარი**, ლებჲოსი **სარი**; ბიჲი ანათან გაჲგზავნე, **სარცხელი** ენა გამეღტანოს;

- **ჰ** ბგერის საკომპენსაციოდ: სხვა **მწლეფჩი** რა ვიცი; ჰევაჲსა **მწლე** ეთი არი;

### 3. ტონური მახვილის შედეგად:

**ა**: თომატისი და, გინდა დათესე, გინდა ეილე, შიდან **დარგე**; კაჲა, **ზნზა** კაჲ; შექერ **დუჲსხამთ**; დაჰთუთჲავ და ისი ემე **იქნმ**; აჰნ, ჩუენ გურჯები ზაბა გუიყუარან; **ჰსე** ვდარებოდით, ასე გურგუალი ემეჲ; წყალ **დუჲსხამთ**, სალჩა გურევეთ, **მწრილი**, ბაჰარათები; დუგუნ **ჰწლვა** ის; არბუზი ჰამე **დწ**; ედჲაჲა აქოს **სწმი** კაცი მოსულან;

**ბ**: გუჲჲმოფთ ასე **დწდი** ემეჲ;

**ბ**: ყეზართმა ვიქდა, მოჲთუთჲ **მწხრაკუთლი**; არსა მივალ და ქი, ემე **ვიცწდი**; **რ** ჩუენში, **რ**, ახლა გატენილნი არჲან; ფეხი გუჲდგი ქი, რა გწდგამ, **რ**, დათვი ადგა, **რ** მიყო ასე; არსა მივალ და ქი, ემე **ვიცწდი**;

**ე**: მი შერბეთ დუჲსხამთ, **ეჰწ**, რაჲ გეჲარენო შენა? **გაცხელდეზა** ისე, ცომ ჩავრთეფთ; არაბა **თელი** ქუჲაბა და გახვიდე.

მეტ-ნაკლებად ტაოურის მსგავსი გრძელი ხმოვნები დასტურდება სხვა ქართველურ დიალექტებში: 1. თუშური, აჭარული, ფერეიდნული (ჯორბენაძე 1998: 26, ჯორბენაძე 1989: 543, ნიჲარაძე 1975: 20, უთურგაძე 1960: 12); 2. აჭარული, თუშური (დიასამიძე 1978; ჯორბენაძე 1998: 28, ჯორბენაძე 1989: 254, უთურგაძე 1960); 3. მთიულურში (ჯორბენაძე 1989: 279; ჯორბენაძე 1998: 28, ჩიქობავა 1924, ჩიქობავა 1937: 34, კობაძე 1980); 4. ქართლური, კახური, მესხური, ფერეიდნული (ჯორბენაძე 1998: 31-32, ჯორბენაძე 1989: 293, 381, 321; მარტიროსოვი 1984).

### 1.1.2.2. ნეიტრალური გ ბგერა

ტაოურში ნეიტრალური გ უმთავრესად თანხმოვნის მომდევნოდაა გავრცელებული და წარმოადგენს რომელიმე ბგერის (ძირითადად ი ან უ) პოზიციურ ვარიანტს. მას ფორმათგანმასხვავებელი ფუნქცია არ აქვს და, შესაბამისად, ფონემასაც არ წარმოადგენს.<sup>6</sup>

გ გვხვდება ქართულ და თურქულ ლექსიკაში C – C და # - C პოზიციებში.

1. ქართულ სიტყვებში: C – C: გავალთ შეშას ჩმევეტანთ, შეშას ჩმევეტანთ სახლა კარისთუნ; შორვა ვიჯებით, ტყისძგრ მივდივარ; ამ ყუელსა ხმელი ყუელი ვიტყვით, ხმელი ყუელი, ო... შამ კვლდე, გაფსკტა, შენი თუალი ტკივილი გასჯკტა, გაქარდა; რა თქმა არი სარცხგპამ გურჯიჯაში? მოწყენილი, ო; ტყისძგრ მივდივარ; მემრე ზურგით ჩმეუზიდავთ აქა; წემოხვალ ასე; ძგრაამ, სახლისი ძგრაამ; ფგრინჯ ვაყრით, ფგრინჯ, ჰე; კნგა სგქელისაც ჰრ-და იყოს; გგმოძსწევთ, იმ ერბოს ცალკე შეჭჰყრით; ტკვბილია ისა, ტყემლები ჟავვა; ზენგინ ალაგა დეთხუენით, გგმჰტარტლეთ ერთი.

პოზიცია # - C: თემთი-ნა დადგა, გნა ადულო; პეტრა ხან გნდა ვიყუნეთ აქა; ფეთნა გნა დადეჰო კვბილითა;

ფუნქციურად ნეიტრალური ბგერა ანაპტიქსური ხმოვანი, თანხმოვანთგამყარია შემდეგ სიტყვებში: ხმელი, მოწყენილი, კვლდე...

2. თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში: C – C: ყგზართმა ვიჯებით; მოდი, ზგმელი-ნა ჭჰამოთ; ბეური, მელქი ათი, ყგრხი არი; მელქი, ათი ყგრხი არი; ყგვანდ მუჰირაჰთ, ვანდუდეფთ, ზამთრი ჭჰამთა.

ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ გ ბგერა უფრო ხშირია თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში, ტაოურში მისი არსებობა ზოგადქართულ ფონეტიკურ მოვლენას წარმოადგენს, რასაც სხვა ქართველურ დიალექტებში დადასტურებული არაერთი მაგალითი მოწმობს.

---

<sup>6</sup> ზოგადად, გ ბგერა იშვიათია ქართველურ კილოებში. მხოლოდ მეგრული და სვანური მეტყველებისთვისაა ნიშანდობლივი. სვანურში გ ხმოვანი ძირითად ხმოვანთა რიგში განიხილება (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, ა. ონიანი...), მეგრულში კი სისტემურ ზუგდიდურ-სამურზაყანულსა და მარტვილი-ჩხოროწყუს რაიონების მეტყველებაში გამოიყენება. დანარჩენ რაიონებში სპორადულად დაჩნდება (დადიანი 2007: 1).

### 1.1.2.3. უ, ო ბგერები

პალატალიზებული ხმოვნები როგორც ფუძეში, ასევე მორფემათა ზღვარზე „განსაზღვრულ პოზიციაში წარმოიქმნება, და ამდენად, იგი შესაბამისი ფონემის (ფონემათა კომპლექსის) პოზიციურ (ბგერით) ვარიანტს წარმოადგენს (ჯორნებაძე 1998: 37).

სამხრულ მეტყველებაში პალატალიზებული ხმოვნები (ო და უ) მიღებულია შემდეგი ფონეტიკური გარდაქმნებით: ა) ვე>ო, ვა>ო, ე>ო; ბ) ვი>უ, ო>უ, ვა>უ, ი>უ (ფაღავა 2003: 145).

ტაოურ დიალექტში პალატალიზებული უ და ო ხმოვნები მიიღება: ვი>უი>უ და ვე>უე>ო გარდაქმნებით.

ანალოგიური ვითარებაა ინგილოურში, მოხეურში, ჯავახურში. ისტორიულად, პალატალიზებული ხმოვნების წარმოქმნისკენ მიდრეკილება ფერეიდნულსაც ახასიათებდა, თუმცა მეორეული წარმოშობის პალატალიზებულ ხმოვნებს იქ შემდგომში დეპალატალიზაცია განუცდიათ და სადა ხმოვნებს დამთხვევიან (ჯორბენაძე 1989: 364).

აღსანიშნავია, რომ ყველა ქართველური კილო, რომელშიც მეორეული წარმომავლობის პალატალიზებული ხმოვნები გვხვდება, ისტორიულად განიცდიდა, ან დღესაც განიცდის უცხო ენათა გავლენას (ფუტყარაძე 1998: 123).

ტაოურში პალატალიზებული უ და ო გვხვდება როგორც თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში, ასევე ქართულ სიტყვებშიც. ვერ ვიტყვით, რომ ქართულ მასალაში უფრო ნაკლებია, ვიდრე თურქულში.

1. თურქულ სიტყვებში: თამარა **გურჯისტან** დიდი ფადიშაჰის ბგანო ყოფილა, აქ რუ უშენებია; ზედან ერბო მასწმიდეს, იშტა მისი **დუგუნი**; მზითევის, გამოსატანებელის საჯელი რა არი **გურჯიჯა?**; **გურჯიჯა** სახელი იმი სახელი ვერ ვეტყვი, არ ვიცი; ახლა ძე დალევთ, **სუთლი** ყავე გავაკეთოთ და სვით ლამაზებ; **აღუზი** ვერ მდარენია; ასე დათვები, **გუზელი** ბოტოტები არი და; **ჩუქურები** არი, **ჩუქერები** ასე, ი **ბოზალთია** ი ალაგი; **გურჯი-გოლ**-და გევნეთ; ქომო **გოლი** არი, **გოლში** ჩევდა; **ჩოქ** ხისუმები არიან მესელა მარადიდ;

2. საკუთრივ ქართულ სიტყვებში: უ: ზოგნი ემექნილა და, კარი ქი **დუწყდევნან**; პარასკეჲ, **კურა**, შაფათი; ახლა ემბე აღი მეჲა, **მოთუთქულები** მაგაჲა, ა მინდა; **მოთუთქული** მაგჲა ქიბარები უნდა, მე ართოხ კვბილები ა მასხდაჲა; ზედა ლებუა დუყყოლეფთ, სალჩასა,

დომათისის, მოთუთქული დომატისი;<sup>7</sup> ედა შენც დეჩუდე და დუდე ბეზას; ოხ სა და წინ და უკან აღნ ჩუმუხუწნა უნდა; ჩომოხუალ ფიშნაჟე არი, გახუალ, დუალეკარი; ახლა წუმა გვინდა, ო, ამა ნ წუმსა; მერთმა იშტასა გიგუიწუმეფს, იშტასა ნ გიგუიწუმეფს; ო, ახლასაც გაწუმდეს და დლით იყოს, ღამ იყო; იმა წყალში მოქხარშავთ, წყალ გუდუწურავთ; იმას დაქსჳრით, წყალში მოქხარშაჳთ, იმის წუენ წუწურაჳთ; კურა, კურა სალამოპირა ჩამოვალთ იქენდამ; ჳემელი ყუელი, ი ზამთრისთუენ ჳემელი ყუელი და; აღნ ჩუმუა, ხუწნა უნდა;

**რ:** ყრლ დდე არა, კვირეში ერთხელა; ჩომოხვალ - ფიშნაჟე; რაჲ გითხრა, ყრლი რამ, წყლის უკან; ჩუენ თევენარში ბეური არი ჩიჩეგები, ყრლი ჩიჩეგი არი აჳ; ახლა ქოძში ჩომოველით, თა გათავდა; ნადირი ისე არი ქი ალთმიში ოხა გრმოვა, სამოცი ქილო გრმოვა; ჳაეები ჳედობენ; ფახლაჲდა, წოხელი გემევიტანე, მოქხარშე; ალი და სადღობელი გუაჳუა; სადღობელ ერბო მევევანთ, შეჳჳჳმათ, ქი ვართ, წავალთ და; იმასაც ქართოლი, კავლა გიმედღეფსა, იმ კავლი ალაგეფ გაქსჳრით; ჩუე ქართოლ ვეტყვით; ე და შექნილ არ იჯრლება; გაღმა იქნება, მე არ ვიცი მე კარგაჲ, მე გრმოლმი ვარაჲ; ი ერბო ანზე ქი ჩაყრილი დო მრა, წყალი მრა, ერბო თედეფში წყალი მრა, დრა, იმა დო ებნეჲან; კრლ<sup>8</sup> რაჲგა ვიჯებით, იშთა ფურეჳ მოქსწველაჳთ, იმასა საწურავში ამევეღეფთ; ჩომოსულა ქომო, გოდღეკარ, გოდღეკარ ჩომოსულა.

პალატალიზებული ხმოვნები ტაოურში საკმაოდ მყარია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ძირითადად თურქულ სიტყვებში, მონაცვლეობს სალიტერატურო ქართულის ფონემატური ღირებულების ხმოვნებთან - უ და ო: გურჯულისი ჳურ ცომ ვეტყვით; ონან სორა აღარ იცჲან და გურჯიჯა; ზედან ერბო მწსხმიდეს, იშტა მისი დუგუნი; ჳალვა დუდებდით, ფილავ დუდებდით, დუგუნიჲ ისე...

#### 1.1.2.4. ა და უ ბგერები

ტაოურ დიალექტში დიდი სიხშირით გამოირჩევა ი-სა და უ-ს უმარცვლო ალოფონები ა და უ, რომლებიც, ფაქტობრივად, არა მხოლოდ დიალექტებში, არამედ

<sup>7</sup> სხვადასხვა მთქმელის მეტყველებაში ეს სიტყვა წარმოთქმულის პალატალიზებული უ-თი.

<sup>8</sup> მხოლოდ ეს ერთი შემთხვევა დავადასტურეთ სიტყვა ყველის კრლ ვარიანტი.

სალიტერატურო ქართულით მოსაუბრე თანამედროვე ქართველის მეტყველებაშიც ბუნებრივია.

**ღ** და **ჟ** წარმოადგენენ სონორული ბუნების ბგერებს, შესაბამისად, შესაძლოა, რომ **ი/ღ** და **ჟ/ჟ** განვიხილოთ სონანტებად.

პოზიციურად სონორული ბუნების წყვილბაგისმიერი მჟღერი **ჟ-სა** და პალატალური მჟღერი **ღ-ის** გამოვლენა თითქმის შეუზღუდავია.

**I. ღ** გვხვდება სხვადასხვა პოზიციაში: 1. **V-#** (ხმოვნის მომდევნო პოზიციაში), 2. **V-V** (ინტერვოკალურ პოზიციაში), 3. **#-V** (ხმოვნის წინა პოზიციაში), 4. **V-C** (ხმოვანსა და თანხმოვანს შორის).

**1.V-#** პოზიციაში **ღ** გვხვდება სახელებთანაც და ზმნებთანაც: რაცხა ვიპოვნებთ **იმაღ** ვიხდა, არა ვიცი; ახლა თორი მყავსა **მერამეღაღ**, **მეღბოღ** მემედასი ბიჭი; აქვე ასე შიგან **პეტერაღ** დაბედი **კედეღ**; მასისი, **პუტუტუღ**, **პუტუტუღ** მასისი არი; ამ ჳედს სახელი **ქობაღ** არი, სხვა **ხეღ** აღარ არი აქა; სახლი **თავაღ** სათივრე არი; **პატინაღ**, იმას მუაკოჭეფთ ემეზე; ჰო, მე გურჯულა, აქეჟრ **გებნეღ** და; ი მემრეც **კალოღ** აღარვინა ლეწაჲს აქეჟრობაში; **წევეღ**, წავიდნეს, მოვინეს; **დილაღ** მეცხვერე მისცემდეს ფურეფთა; **გაღმაღ** ის არი, **გაღმაღ** და; მასისი **პეტერაღ** **თაღ** და მოწლეპული.

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, **V-#** პოზიციაში, **ღ** უფრო გავრცელებული სახელობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტადაა. სხვა მაგალითები: როცა ფონეტიკური პროცესი უსწრებს წინ: **იპოღდა** < იპოვიდა; **გებნეღ** < გეუბნები; **წევეღ** < წავედი; ზმნისართებთან: **უკანაღც**, **გაღმაღ**.

2. **V-V** პოზიციაში **ღ-ს**, უმეტესად, იძლევა **ი**: **კააღ** აქეჟრი თივა, **კააღ** აქეჟრი ნაწუელი; ილაჯი არ შეშჴამ, **გეაღრ**, ი შეჴამე; ჯედრანი **რააღ**? ჯედრან უმახივართ; ერთ არაბაღ **ჩეაღრენ**; გიდაღმი **ქოაღ**, ჰო; ათდაორი თუ **ათდაცხრააღ**?; **თხააღ**, ქეჩი **თხააღ**; მა რას გაღდაღამ, **მოაღ**; შენ **კააღები** ხარა, ა ასე შემეხვეწებიენ, გუხარღები; აქ ღევბაღე, ჩემი სახელი **მემედააღ**; ასე **ჳევააღ**; ქომოღში ერთი მაჰალეში **გამეაღრეთ**; ესეც **თხააღ**, ვაცი, ვერძი; **კააღ** თეთრი **შეაღ**; ა იცღან ქი, ჩოფი რა **თქმააღ**; არ ვიცი თ ქი ჩოფი **რააღ**; ჩემი **აღააღ**; **თხააღ**, ერთანე ვაცი; შენი ლაპარაკი **კააღ**; ისე **გიღეაღრე** მი, იმ თერეფში; ახლა არაბა გამოაღდა **აა**, **გზააღ**; რაღ **გეაღრენო**; საფალანთო არი, **თააღ**, **თააღ**; **ტჴააღ**, **ტჴააღ**; წყალი **რუაღ**; ესე ირმი და

**ცხრაა**, ცხრა ირმუს უწინ; ე იმასაც ბიბერ ურთეფ **კედეა**; მე არ ვიცი მე **კარგაა**, მე გამოლმი **ვარაა**; **მახვაათებენ** ასე და იცინიან და; მოთუთქულები **მაგაა**, **წმინდა**;

**V-V** პოზიციაში წარმოდგენილია ზმნებთან, მორფემათა ზღვარზე, ზმნისწინისეული ხმოვნის მეზობლად: **გიდეარე**, **გამეარეთ**, **ჩეარენ**, **გეარენო**, და ყველაზე ხშირად შედგენილ შემასმენელთან, მეშველზმნიან ფორმებთან: **თხაა**, **გზაა**, **ტპაა**, **ვარაა**, თურქ. სიტყვაში: **შეა...** სხვა მაგალითები: რ>ა შენაცვლებით: **მახვაათებენ**, რომელიც საკმაოდ გავრცელებული პროცესია ტაოურისტვის დამახასიათებელი არავიბრანტი **რ** ბგერის გამო, რომელიც ხშირად ან იკარგება, ან **ა**-ად იქცევა.

3. **#-V** პოზიციაში **ა** გვხვდება თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში **Y**-ს გადმოსაცემად: **აასალია** და, უჩუმა მოკლენ, **ჰო**; ჩვენ არ ვიწაკიდევთ, **აოხ**; მანგალით, ძირედამ მოჭთიბაჭთ, **აალუზათ**; **აალუზი** ვერ მდარენია; პურ დუდებ, **აალ**, მაწონ; **აასალია** და, უჩუმა მოკლენ, უჩუმა, **ჰო**; ბეტრ საჭმელებ არ ვიჯებით **აანი**; **ააბანჯილამ** დავქორწილდეთ, **ააბანჯილამ** ვიყოთ; სიმღერები დამავიწყდა **აა**, გეგე?; დათვი მოკვლა **აასალი**; იქედან გამოხვალ ქი, გზაში, **აა** ბალაზე გასულა; **აა** შეფხდება, ჩამოვა იქილამ; **აოხ**, **აოხ**, ეთამ ტუკრები მეფაჰმა; იმაში თაფლი შერბეთინა მდართვა, დერმანი **აანი**; ზემო ფიშნარკევ **ააილაში**, იქ დავბადულვარ მეა; შიგან სხუა რამ **აანი** ჩუენი **აუსუჭელი** იქობათი თევზი; ისხამს, **ჰო**, **აალუზია**; **აალულ**, **აალახს** მივცემთ...

შეგვხვდა ქართულ მაგალითებშიც: **აა** ვიცი - „რა ვიცი“; ასე აქედამ, **აეთილამ** წავალთ („ეთი“ ტოპონიმი); ჯევაძსა მწლე **აეთი** არი; ე და დათუი ყოლ ღამე **აარება** აქრბაში; **აარალზე** ხელს შედჭრავ **აა**, იმაზე ჭენა კად იჯონლება ისა; სისხლ დაყენეფს, ემე **აარა** მოჰკრეფაჭს.

4. **V-C** პოზიციაში წარმოდგენილია ზმნებთან, მორფემათა ზღვარზე, დადასტურებულია ზმნისწინისეული ხმოვნის მეზობლად: **გეაზდება**, **გედეაბედავ**, **ჩამეიტანო**: აი მეცეხუარილამ უნდა **ჩამეიტანო**; გევიდე, დავდგე იქა, **გეაგე?**; დესდვა **ზეადან** და სისხლ დაყენეფს; ლანქერი დაწოლილ იყო, **რეგეცხა** დეცა; ზედან გიდავჭირპიდით ემესა, **ნაილონსა**, რასმესა, **ეფეაჯა**, ველარ მითქუია და; მას უკა აბლი კიდევ **გეაზდება**; იმის ოჯალის **უკანაიც** ყანა არი; **გედეაბედავ** და, ჩანსა იგერ.

ტაოურში მსგავსი სახის ფონეტიკური გამოკვლევა მხოლოდ შუშანა ფუტკარაძის დისერტაციაშია განხილული. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ტაოურში, მსგავსად იმერხეულისა, **ღ** თითქმის აღარ გამოიყენება და გვხვდება მხოლოდ თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში **Y**-ს გადმოსაცემად (ფუტკარაძე 1995: 333).

როგორც ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალიდან ჩანს, **ღ** ტაოურში საკმაოდ ხშირია და განსხვავებული ვითარება წარმოჩინდა, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი.

**II. უ ტაოურში გვხვდება შემდეგ პოზიციებში:** 1. **C – V** (თანხმოვანსა და ხმოვანს შორის), 2. **C – C** (თანხმოვანსა და თანხმოვანს შორის), 3. **V – C** (ხმოვანსა და თანხმოვანს შორის); 4. **V - #** (ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ); 5. **# - V** (ხმოვნის წინ პაუზის მომდევნოდ); 6. **V – V** ( ხმოვანთა შორის); **# - C** (თანხმოვნის წინ პაუზის მომდევნოდ). ამათგან ყველაზე ხშირია თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პიზიცია.

1. **C – V: ჩუენ** რაცხა **გუეყოფა** იმა ჭთიბაჭთ; მოჭსწყაჭთ **თუელი** მოვა, იმა ემევილეფთ; ახ ქუყავან და **ღათხუეთ**, **მოათხუეთ** **გუათეი**; თქუენ თუელი არ ეტყვით **თთუელსა?**; **ჩუენი** სოფლიდამ ხუთი ხანე ზე დგასა; იქ **გუაქ** ა ქობი და იქ მივდივართ; **ო**, იქა **გუაქ** ქელაზურ; აქ არ ვართა, **ჩუენ** არ ქუყავს; ახლა **ქუეში** ჩამევედით; იმის სახელი ნედლი **ყუელ**, **სხუა** ა მახსოვს რა გი..; ფირინჯის უკან მარილ **ჩუაყრით**, მარილის უკან მედხარშვის; ამა დავტეხაჭთ, **გუამავფქუაჭთ**, **ღოხებ** გაჭხსნავთ; ემე **ეტყუის**, ნენე **ეტყუის** ბიჭს: ეს გავყიდოთ ერთანეო; ერთ სოფელში ქი წევნეთო, მეხი **ჩუმუა**, **ღუეგვეცემაო** და კარგათ გავხერგნავსო; შაფათი, **კუირა**; პატარასაც **მოზუერი**; თქუენ **ცერცუი** თესუიდიოთ?; **გუეთხუები**, ქი **დაქუაწინდები**. ბიჭი **დაქუაწილდება**, ბგანო **გუთხუება**, ა ისე; მოხრაკულ ვიჯებით, **სუილი** ემექ ვიჯებით; **ქუაბად** მწლაგეს, **ქუაბად** იჯებდან ახლა; **ღენჭებ ვაჩუებ** მექთეფში;

2. **C – C:** პირტყუი **გუყავან** ოთხი, ისევ წუასხამთ; ა, მიწაში **შემძურალნი**; ასე შედქნა **მოსტლამდი**, აპა; **ო**, ენ წინაწინ ბეური ფურები **გუყავდეს**; ჰო, ჰო, **დაფშუნილი** და ნედლი ყუელ ვიტყუით; ვთიბაჭთ **ჩუენ**, მალეხი **ქუყავან** და, ფურები **ქუყავან**; ჩსოფ სარსა, წავა თაჭმხამი, **გასტლამდი**; **ექუს**, **ექუს**; **ო**, **იყუნეს** ბეური; **ბოდნა** ასკრებ **გუიკულენ**; ასე **წურილ-წურილ** დაჭხევ; **ღეუსეკარას** გიდემბენ და **დამდგურებულსკე წასტლიხან**; **ჩუენსთუნ** ანჯახ **ქუყოფნის**;



3. V – C: ფურები თუ ბეჭნი არაან, დიდი იჯონლება; დიკეული, ერთი დიკეული არი, ერთი ჯარი არი და ორი ფური არაან; აქეური ყომშები, ბითავა ერთგან ვიკრეფით; არა არ გეუქცევიო; მუანთილი არ მყაუდა; უწინ ქი ბეჭ იყუნეს; აქ დეუბადე; იქ დეუბადე, გეუზარდე; ძროხებ ვაჭმეჭთ;

4. V - #: ჰო, ჭესოუ, ე ძეწკნით მოჭესოუ;

5. # - V: ლებუო შორვა ვიქდა, რა უიცი; წყლის უკა ვიქდა, მარლის უკა ვიქდა, რა უიცი;

6. V – V: ერთი მიმეუარო, ხომ მაძლაში აბარგული არ ყოფილა;

7. # - C: უწუელავ და ნაწველაჲ არა იჯენ.

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, უ-ს გამოვლენა შეუზღუდავია თითქმის ყველა პოზიციაში. იგი ძირითადად წყვილბაგისმიერი ვ - ს მონაცვლეა, რაც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია. იშვიათად გვხვდება უ-ს პოზიციაში, -ურ/-ულ სუფიქსისეული უ ხმოვნის ე, ა ხმოვნებთან მეზობლობაში დავიწროების შედეგად ვეუბნევით, დიკეული, აქეური... გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა მოსალოდნელი კბილბაგისმიერი ვ-ს ნაცვლად წარმოდგენილია უმარცვლო უ, ხმოვნის მეზობლად, სიტყვის თავკიდურად: უიცი>ვიცი, უწველაჲ >წველაჲ, თუმცა სისტემური სახე არ აქვს, ერთსა და იმავე მთმელის მეტყველებაშივე შეინიშნება მერყეობა აღნიშნულ პოზიციაში უ/ვ მონაცვლეობასთან დაკავშირებით.

შ. ფუტკარაძე მიიჩნევს, რომ უ გამოიყენება როგორც ვ-ს, ასევე უ-ს პოზიციაში, თუმცა მეცნიერი თვლის, რომ კბილბაგისმიერი ვ უფრო გავრცელებულია, ვიდრე წყვილბაგისმიერი უ (ფუტკარაძე 1995: 133-134). ჩვენი აზრით, გაანალიზებული მასალის საფუძველზე, უმარცვლო ალოფონი უფრო დიდი სიხშირით გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ უ სისტემურადაა წარმოდგენილი შემდეგ სიტყვებში: ბეჭრი, ცხუარი, შუილი, ძუელი/ზუელი, წისქუილი/წისკუილი, ფქუილი.

წყვილბაგისმიერი უ სონანტი ხმოვანთან ქმნის დიფთონგს, ხოლო თანხმოვანთან ლაბიალიზებულ კომპლექსს.<sup>9</sup>

### 1.1.2.5. დიფთონგები ტაოურ დიალექტში

როდესაც ი-სა და უ-ს უმარცვლო ალოფონებზე (ი, უ) ვსაუბრობთ, აუცილებელია განვიხილოთ დიფთონგების საკითხიც.

ცნობილია, რომ დიფთონგი წარმოიქმნება ორი განსხვავებული ხმოვნის უშუალო მეზობლობისას, ხმოვანთა დავიწროებისას. ჩვეულებრივ ვიწროვდება ი(>ი) და უ(>უ) ხმოვნები. გვაქვს აღმავალი (როცა დიფთონგის პირველი ელემენტია ი ან უ და მეორე - სადა, სრული ხმოვანი) და დამავალი (როცა დიფთონგის პირველი ელემენტი სადა, სრული ხმოვანია და მეორე ელემენტი - ი ან უ) დიფთონგები.

ბ. ჯორბენაძე დიფთონგების პოზიციების თვალსაზრისით ქართულში გამოჰყოფს დიალექტთა ორ ჯგუფს: 1) დიალექტები, რომლებშიც გვაქვს როგორც აღმავალი, ისე დამავალი დიფთონგები; 2) დიალექტები, სადაც მხოლოდ დამავალი დიფთონგებია.<sup>10</sup> დამავალი დიფთონგის გავრცელების მიხედვით მხოლოდ ერთ დიალექტს ასახელებს და ესაა რაჭული; დანარჩენ დიალექტებში ყველგანაა წარმოდგენილი როგორც აღმავალი, ასევე დამავალი დიფთონგები (ჯორბენაძე 1998: 94). ტაოური<sup>11</sup> მიეკუთვნება პირველ რიგს. დიალექტებში წარმოდგენილია როგორც აღმავალი, ასევე დამავალი დიფთონგები.

დიფთონგები, როგორც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი, გვხვდება ერთი მორფემის ფარგლებშიც (ბეური, დეკუთლი, თოთლი...) და მორფემათა ზღვარზეც (აქაურობა, ჩამეიტანო, მოქქსოუ...) სამივე პოზიციაში: სიტყვის დასაწყისში, შუაში და ბოლოკიდურად.

<sup>9</sup> ტერმინი „ლაბიალიზებული კომპლექსი“ დაამკვიდრა გიორგი როგავამ (იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 82, სქოლიო).

<sup>10</sup> მხოლოდ აღმავალი დიფთონგების მქონე ქართული დიალექტები არ დასტურდება.

<sup>11</sup> იმერხეულიც

## აღმავალი დიფთონგები.

### I. ი.

ტაოურში დიფთონგის შემადგენელი ელემენტი **ი** შეიძლება სხვადასხვა ბგერის პოზიციური ვარიანტი იყოს: **ი** ხმოვნისა და **რ, ს** თანხმოვნების.<sup>12</sup>

სიტყვის ბოლოში: **ამ:** იმამ, მერამედამ, პეტერამ, ქობამ, თავამ, პატინამ, დილამ, უკანამც, გაღმამ, თამ, კამ; **ემ:** ჩამედტანო, კედემ, გემგე, გემნემ, ზემდან, წევემ, კედემა.<sup>13</sup>  
**ომ:** მემბომ, კალომ; **უმ:** პუტუტუმ, პუტუტუმ.

სიტყვის შუაში: **ამ:** ნაღლონსა; **ემ:** ჩამედტანო, გემგე, ზემდან, გემზდება, მემბომ, გედემხედავ, გემარ, ჩემარენ, გამემარეთ, გიდემარე, გემარენო; **ომ:** იპომდა;

**აღმავალი დიფთონგები:** სიტყვის თავში: **მასალია, მალუზათ, მამანჯიდამ, მალ, მამ, მარა, მეთი, მარალი**; სიტყვის შუაში: **ხვამათი**;<sup>14</sup> სიტყვის ბოლოში: **ტპამა, ცხრამა, გზამა, კარგამა, ვარამა, კამა, თხამა, თქმამა**.<sup>15</sup>

მ. ფალავას აზრით, **მარა, მეთი, მარალი** ტიპის ფორმები (აღმავალი დიფთონგის შემთხვევები - ხ.ჯ.), რომლებიც შ. ნიჟარამქესაც აქვს დადასტურებული აჭარულში, ხელოვნური, არაბუნებრივია და **ი**-ის ნაცვლად ჩვეულებრივი, სადა ხმოვნები უნდა ეწეროს (ფალავა 2003: 122). თუმცა, ვფიქრობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში **ი** წარმოდგენილ პოზიციაში დასტურდება არა მხოლოდ ტაოურში, არამედ იმერხეულსა და სხვა დიალექტებშიც და იმიტომ, რომ აღმავალი დიფთონგი ქართულისთვის არაბუნებრივია, ამ ფორმების უგულვებელყოფა გამოსავალი არ არის.

<sup>12</sup> სხვა ქართველურ დიალექტებშიც დიფთონგის **ი** სხვადასხვა ბგერის პოზიციური ვარიანტია: **ი, ჰ, ს, ზ, შ, ც, ლ**, რომელიც სხვაობს დიალექტების მიხედვით.

<sup>13</sup> მთიულურ-გუდამაყრულში: წავიდაა>წავიდაამ? ქართულურში (ზემო ქსნური თქმა): დედაა>დედაამ (ჯორბენაძე 1998: 176).

<sup>14</sup> დიფთონგში შემავალი **ი** წარმოდგენს რ-ს პოზიციურ ვარიანტს და წარმოიქმნება აღმავალი დიფთონგი.

<sup>15</sup> გვხვდება მთიულურ-გუდამაყრულშიც. ამ შემთხვევაში წარმოდგენს ხმოვანთგამყარს და წარმოიქმნება აღმავალი დიფთონგი (ჯორბენაძე 1998: 89).

## II. უ- ე/ა/ი.

უ ძირითადად გვხვდება იმ პოზიციებში, სადაც ისტორიულად ივარაუდება (ჩუნ, ქუა, თუალი, შუილი...), უ ხმოვნისა და ვ თანხმოვნის ადგილას.

დამავალი: ეუ: ბეტრნი, დიკეტლი, აქეტრი, ვეტუნევით, გეტქცევით, დეტბადე, გეტზარდე, ვაჭმეტ; აუ: მყატდა; ოუ: მოჭქსოუ; გათხოული; აუ: იქატრობაში, გომოდმაური.

აღმავალი დიფთონგები: სიტყვის შუაში: უე: ჩუნ, გუეყოფა, თუელი, დნთხუეთ, მოათხუეთ, გუათედ, თუელსა, ქუეში, ყუელ, დუეგვეცემო, მოზუერი, გუეთხუები, ვაჭუებ, მუესწარით, ამუელ, გუერევი, მუელით, ვაძუეფთ, გუეყარენით, ნაწუელ, დუეჩუენით; უა: გუაქ, ჩუაყრით, მიმეტარო, დაქუაწინდები, გუამაჭქუავთ; უი: ეტყუის, კუირა, თესუდიით, სუილი; სიტყვის ბოლოში: უი: დევეჩუი; უე: გევეთხუე, წუე; უო: ლებუო, დაგაჩუო.

სიტყვის ბოლოში: უა: სხუა, ჩუმუა, მუა, გუმუა; უი: ცერცუი.

როგორც ვხედავთ, ტაოურში დიფთონგი საკმაოდ გავრცელებული პროცესია.

### 1.1.3. ხმოვანთა სინტაგმატური მიმართება

სამეცნიერო ლიტერატურაში ხმოვანთკომპლექსთა დაჯგუფების რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს; ძირითადად გაზიარებულია შ. ძიძიგურის ხმოვანთკომპლექსთა ცვლილების ამსახველი დაჯგუფების პრინციპები, რომლის მიხედვითაც, ხმოვანთკომპლექსები დაჯგუფებულია A B C რიგად. A რიგში მოთავსებულია აი, აუ, აე, აო, ოი, ოუ, ეი, ეუ ხმოვნები. როგორც ვხედავთ, უფრო ღია ხმოვანს მოსდევს შედარებით ვიწრო; B რიგში პირიქითაა, უფრო ვიწროს მოსდევს შედარებით ღია ხმოვანი: ოა, ეა, იე, ია, უე, უა; C რიგში გაერთიანებულია იდენტური ან თანაბარი ღიაობის ხმოვნები: ოე, უი, ეე. საბოლოო დებულება კი ასეთია: „ყველა რიგის ხმოვანთა კომპლექსი ისწრაფვის ერთხმოვნობისაკენ: კომპლექსის განვითარების საბოლოო საფეხურია ერთ ხმოვანზე დასვლა“ (ძიძიგური 1946: 33). ანალიზი მოცემულია ქართულ-ზანურის საფუძველზე. მკვლევრისთვის ამგვარი დაჯგუფებისთვის ამოსავალია ღიაობა.

თ. უთურგაიძის აზრით: „ღიაობის, როგორც ხმოვანთა განმასხვავებელი ნიშნის ხმარება სერიოზულ სიმნელებს ქმნის“ (უთურგაიძე 1976: 5).

ტ. ფუტკარადის აზრით, ჯგუფების თანმიმდევრობა უნდა განისაზღვროს კომპლექსთა ცვლილების სირთულის მიხედვით და **A** ჯგუფში აერთიანებს იდენტურ ხმოვანთკომპლექსებს: **აა, ეე, ოო, იი, უუ**; **B** ჯგუფში: მაღალი + დაბალი: **ეა, ოა, უა, იე, უე, იო, უო**; **C** ჯგუფში ყველა დანარჩენს: **აე, აო, აი, აუ, ეო, ეი, ეუ, ოე, ოი, ოუ, ოფ, უი**. ამათგან, **A** ჯგუფი ტრანსფორმირდება შერწყმის გზით, **B** ჯგუფი - დიფთონგიზაციის გზით, **C** ჯგუფი - ძირითადად, ასიმილაციის გზით (ფუტკარაძე 1998: 92).

წარმოდგენილ დისერტაციაში ხმოვანთკომპლექსები დაჯგუფებული არაა ზემოთ ხსენებული ჯგუფების პრინციპების მიხედვით. კვლევის ამ ეტაპზე მოცემულია მხოლოდ დიალექტში რეალიზებულ ხმოვანთა სხვადასხვა კომბინაციები, რომელთაც განვიხილავთ როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე, სინქრონიულ დონეზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ანალიზის საგანს წარმოადგენს როგორც პირველადი, ასევე მეორეული, ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიღებული კომპლექსები.

დისტრიბუციული ანალიზისას გამოვლინდა, რომ ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად ტაოურ დიალექტში ძირითადად აკრძალულია ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა.

„ამ წესის დადასტურებას თანამედროვე ქართულში წარმოადგენდა ის მორფმონოლოგიური ცვლილებები, რომელთაც ადგილი აქვთ ენაში, კერძოდ, კვეცა, დიფთონგიზაცია, ასიმილაცია და დისიმილაცია ბრუნებისა და უღლების ფორმებში“ (უთურგაიძე 1976: 131).

### 1.1.3.1. ხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში

ისტორიულად, როგორც ცნობილია, ქართული ენისთვის დამახასიათებელი არაა ხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში. თუმცა, რადგანაც ჩვენი კვლევის მიზანია დღევანდელი ვითარების ჩვენება ტაოური დიალექტის მაგალითზე, სინქრონიულად, თეორიულად დასაშვები შესაძლებლობებიდან გამოვავლინეთ მეორეული 7 კომპლექსი: **აე, ოო, ეე, აა, აფ, უა**. ამათგან ყველაზე რეალიზებულია ა-ს შემცველი ხმოვანთკომპლექსები: **აფ** - 28,5%, **აე** - 23, 8%, **აა** - 14, 2%, **უა** - 19, 0%, **ეე** - 4, 7%, **ოო** - 4, 7%, **ეფ** - 4, 7%. ცხრილის ფარგლებში სულ რეალიზებულია კომპლექსების **10, 8%**.



ခခ	-
ဝဗ	-
ခဗ	-
ဝဗ်	-
ကခ	-
ကဗ	-
ကဝ	-
ကခ	-
ကဗ	-
ကဗ်	-
ဗခ	-
ဗ်ခ	+
ဗဝ	-
ဗ်ဝ	-
ဗုခ	-
ဗ်ုခ	-
ဗဝ	-
ဗ်ဝ	+
ဗဗ	-
ဗဗ်	-
ဗ်ဗ	-
ဗ်ဗ်	-

### 1.1.3.2. ხმოვანთკომპლექსები მორფემათა ზღვარზე

მორფემათა ზღვარზე ხშირად იქმნება ხმოვანთკომპლექსები სახელურ და ზმნურ ფორმებში. სამივე პოზიციაში - სიტყვის თავში, შუაში და ბოლოს - თეორიულად დასაშვები შესაძლებლობებიდან სულ გამოვლინდა 22 პირველადი და მეორეული კომპლექსი. ამათგან პირველადი კომპლექსებია: აო, ია, იო, ოა, ოე (5 ), ხოლო მეორეული - აე, აო, აფ, ეფ, ეჟ, ია, ია, იე, იო, ოა, ოე, ოფ, ოჟ, უა, უო, უი (17). ცხრილის ფარგლებში სულ რეალიზებულია პირველადი კომპლექსების 25, 0%, ხოლო მეორეული კომპლექსების - 41, 3%.

ტაოური	
	პირველადი
აა	-
აე	-
აო	+
აი	-
აუ	-
ეა	-
ეე	-
ეო	-
ეი	-
ეუ	-
ია	+
იე	-
იო	+
იი	-
იუ	-
ოა	+



ოე	+
ოო	-
ოი	-
ოუ	-
უა	-
უე	-
უო	-
უი	-
უუ	-

ტაოური	
	მეორეული/ტრანსფორმირებული
აა	-
აე	+
აო	+
აი	-
ად	+
აუ	-
აჟ	+
ეა	-
ეე	-
ეო	+
ეი	-
ედ	+
ეუ	-

၅၉	+
၆၀	+
၆၁	+
၆၂	+
၆၃	-
၆၄	+
၆၅	-
၆၆	-
၆၇	-
၆၈	-
၆၉	-
၇၀	-
၇၁	-
၇၂	-
၇၃	-
၇၄	-
၇၅	-
၇၆	-
၇၇	+
၇၈	+
၇၉	-
၈၀	-
၈၁	+
၈၂	-
၈၃	+
၈၄	-
၈၅	-
၈၆	-
၈၇	-
၈၈	-
၈၉	-
၉၀	-
၉၁	-
၉၂	-
၉၃	-
၉၄	-
၉၅	-
၉၆	-
၉၇	-
၉၈	-
၉၉	-
၁၀၀	+

უი	-
უი	+
უუ	-
უუ	-
უუ	-
უუ	-

### 1.1.3.3. ხმოვანთკომპლექსთა ანალიზი

როგორც ცნობილია ენა გამარტივებისკენ მიისწრაფვის, განსაკუთრებით ეს ითქმის ზეპირ მეტყველებაზე. ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად ტაოურ დიალექტში ძირითადად აკრძალულია ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა, რომლის დაძლევაც ხდება სხვადასხვა გზით: 1) ხმოვანთა შერწყმით (გრძელ ხმოვნად გარდაქმნით): გააკეთა>გაკეთა; ხეები>ხები... (ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები: გაუკეთა>გოუკეთა>გუუკეთა>გუკეთა; 2) ერთ-ერთი ხმოვნის დაკარგვით: გადაუგდო>გადუგდო; 3) ერთ-ერთი ხმოვნის დავიწროვებით და სწორედ ამის შედეგად წარმოიქმნება დიფთონგი. გარდა ამისა, ორი ხმოვნის წარმოთქმისას ორივე ფონემა ვერ იქნება სრულფასოვანი, რადგანაც ბგერის წარმოთქმის სამი მომენტი (შემართვა, დაყოვნება და დამართვა) ირღვევა. შესაბამისად, ხმოვანთკომპლექსები ვითარდებიან სხვადასხვა გზით, ფონეტიკური გარდაქმნებით.

განალიზებულ მასალაში, გამოვლენილი კომპლექსებიდან, სულ, ერთი მორფემის ფარგლებში, არც ერთი პირველადი კომპლექსი არაა წარმოდგენილი, გვხვდება მხოლოდ მეორეული კომპლექსები, ხოლო მორფემათა ზღვარზე სხვაგვარი ვითარებაა: ორი ხმოვანი შენარჩუნებულია სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ღია მარცვალზე დაბოლოებულ ზმნებში: დუყრია, გიგიკეთია, დიგვინახია, დუთხრია, მოტაცნია; გომოსწიო, ნადირიო, ვირიო, ქმარიო... როგორც კი მარცვალი დაიხურება, ი იჩენს თავს: უსაქმან, უმუშავან, ქონებან, უსხან, უყიდან; გურმოთ, მიდმოდეს, წაქცდოს... ერთი მორფემის ფარგლებში კი მხოლოდ მეორეულ, ან ნასესხებ ფორმებში გვხვდება: კრავკარი, მწაე, მჯაე, მიქაელი...

ტაოურ დიალექტში ხმოვანთა მეზობლობისას წარმოქმნილი კომპლექსებიდან ერთი მორფემის ფარგლებში სულ რეალიზებულია: **10, 8%**, ხოლო მორფემათა ზღვარზე: **30,9%**; ამათგან ძირითადად გვხვდება ტრანსფორმირებული, ფონეტიკური გარდაქმნებით მიღებული კომპლექსები, რომელიც უფრო ბუნებრივია ტაოური დიალექტისთვის.

აა კომპლექსი გვხვდება მეორეული გრძელი ა-ს სახით, როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა საზღვარზეც და ყოველთვის ტრანსფორმირებული ფორმითაა წარმოდგენილი: სნთი, თხა, დაწვინა; ზოგჯერ იდენტურ ხმოვანთა შერწყმას თან სდევს სხვადასხვა სახის ფონეტიკური მოვლენა: ხმოვანთა შერწყმას წინ უძღვის თანხმოვან რ-ს დაკარგვა: ვადა, მახვათეს, ვიმნხეთ; მარცვლის მოკვეცა: ძან; ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტის შეცვლა: შახო, შაყენო, მწყობენ, მწყარეთ - იცვლება ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტი: ეა>აა>ა: შეახო > შახო; შეაყენო > შაყენო.. ოა>აა>ა: მამოებენ > მოამოებენ; მოაწყობენ > მწყობენ; მოაყარეთ > მყარეთ...

აე: კომპლექსი გვხვდება როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე: მიქაელი (ნასესხები), მეორეული: კრაეკარი, მწაე, მწვაე, მჯაე, აშაეფს, ვიმუშაეფთ (ვ ბგერის ჩავარდნის შედეგად)... ანაეფჩი, ნანაები (როგორც წესი, ბოლოკიდური ძირეული ა ხმოვანი იკვეცება, ამ შემთხვევაში კი უკვეცელი სახითაა წარმოდგენილი).

აი კომპლექსი წარმოდგენილია როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა საზღვარზე # - და C-C პოზიციაში: ჩაა, მააა; შაა, კრაა, ქვაა, ვარდყვაა, მააწყდება- ვ- ჩავარდნის შედეგად.

აო გვხვდება მხოლოდ მორფემათა ზღვარზე # - და C - C პოზიციებში. წარმოიქმნება ფუძისეული ხმოვნისა და აფიქსების შეერთებით: დიგიმართებაო, იჯებაო, წუმსაო, მოშაო.

აუ კომპლექსი მხოლოდ მორფემათა ზღვარზეა წარმოდგენილი C-C პოზიციაში: დაჭკლიან, გაქცეულა, აქაური, ყაურმა (ნასესხები), ერთ შემთხვევაში გვხვდება აუ>ეუ ტრანსფორმირებული ვარიანტი: აუ>ეუ: აქაური>აქეური.

ეა: # - და C - C პოზიციებშია წარმოდგენილი: ვეაშილები, ვეარენები; სუფიქსისა და ფუძისეული ბოლოკიდური ე-ს შეხვედრისას: დლეა, მზეა...

ეე გვხვდება პაუზის წინა და C-C პოზიციებში, მორფემათა საზღვარზე. წარმოდგენილია მეორეული გრძელი ე-ს სახით (ყოველთვის ტრანსფორმირებული

ფორმით): ტყეები, დელეები, ბასილამეები, შერია; სრული რეგრესული ასიმილაციით: აე>ეე>ე; აენტება>ენტება, აეყუდა>ეყუდა, დაეჩვიე>დეჩვიე, გაერევი>გერევი... ა-ზე დაბოლოებულ სახელებთან, ბოლოკიდურად, სრული რეგრესული ასიმილაციით: ყანები, ბაღანები, თები; ყანა>ყანაები>ყანები... ანალოგიური ვითარებაა დაცული ფშაურში, მოხეურში, ქართლურში, კახურში, ლეჩხუმურში (ჯორბენაძე 1998: 178).

სრული რეგრესული ასიმილაციით მო/შემო ზმნისწინისა და ზმნური ე პრეფიქსის შეხვედრისას: ოე>ეე>ე; შემოყერება>შემეყერება, მოემწყვდევე>მემწყვდევა, მოერევა>მერევა.

ეო წარმოდგენილია # - და C – C პოზიციებში: შეხედეო, მამაკლევნიეო, გაგზანეო, მეორე, შეობა; ებნეოდეს (ბ-ს ჩავარდნით): ეუბნებოდეს>ებნეოდეს.

ეი ყოველთვის ტრანსფორმირებული ფორმითაა წარმოდგენილი სამივე პოზიციაში: თავკიდურად, სიტყვის შუაში და ბოლოში და ყოველთვის ქმნის დამავალ დიფთონგს: შედრბენ, შედყრებთან... ბოლოკიდურად წარმოდგენილია რამდენიმე შემთხვევაში: ვ-ს ჩავარდნის შედეგად: ელიასკეი, ნატპეი; გებნეი: გეუბნები>გეუბნევი>გებნეი (ტაოურში დადასტურებული ფორმა: ვეუბნევი); გაგდეი; ფუძისეულ ე ხმოვანს მოსდევს ბრუნვის ნიშნისეული -ი: ნაღვარაღელეი;

ზმნისწინისეული ხმოვნითი ელემენტის შეცვლით აი და ოი კომპლექსით მიიღება ედ დამავალი დიფთონგი: აი>ეი: აიკიდა>ეიკიდა, აილოს>ეილოს, გაიქცევა>გეიქცევა; ოი>ეი: ამოიღებს>ამეიღებს, მოიწველოს>მეიწველოს, მოითიბება>მეითიბება;

ეი>ეი: ვქენეით, ვილოცეით, დუმალეით...

ეუ კომპლექსი წარმოდგენილია მხოლოდ C – C პოზიციაში და ვიღებთ დამავალ დიფთონგს: ეუ. მორფემათა ზღვარზე: დაჩუეუღან, შემოხუეუღლი, დამწყდეუღლა; აქეუღრი, იქეუღრობაში... ერთი მორფემის ფარგლებში: დეკეუღლი.

ია კომპლექსი წარმოდგენილია როგორც ერთი მორფემის ფარგლებში (C-C პოზიციაში) ასევე მორფემათა საზღვარზე. მორფემათა საზღვარზე გვხვდება სამივე პოზიციაში: სიტყვის თავკიდურად, შუაში და ბოლოს: დუნთია, შუხედნია, კემელია, თაფლია; სიტყვის თავსა და შუაში ქმნის ადმავალ დიფთონგს: ძარეს; უსაქმძან, ახმძანეფს, არძან...

იე, იო კომპლექსები წარმოდგენილია # - და C - C პოზიციებში. ორივე ხმოვანთკომპლექსი გვხვდება როგორც იე, იო ფორმით, ასევე აღმავალი დიფთონგის სახით : დეჩუიე, მედწიე, გეყოფდენ; კარიო, მარქუალიო, ჩადოდეს, გურდოთ... იე(>დე), იო(>დო) გვევლინება ერთი მორფემის ფარგლებშიც, აღმავალი დიფთონგის სახით: ცარდელი, დონჯა.

იი კომპლექსი წარმოდგენილია C-C პოზიციაში. ყოველთვის მეორეული გრძელი ო-ს სახით, ტრანსფორმირებული ფორმით გვხვდება: იდენტურ ხმოვანთა შერწყმით: მრტანო; აი>ეი>რ: თავკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობისას: დაიჭირა>დრჭირა, ჩაიტანო>ჩრტანო, დაიჯერეფს>დრჯერეფს (ანალოგიური ვითარებაა აჭარულშიც, დისტანციური მეზობლობისას: დამინახა>დომინახა...).

იუ კომპლექსის არც ერთი შემთხვევა არ დადასტურებულა, არც ერთი მორფემის ფარგლებში, არც მორფემათა ზღვარზე. შეგვხვდა მხოლოდ ერთ ტოპონიმში: იუსუფელი და იქაც აღმავალ დიფთონგიანი ვარიანტით: იუსუჭელი.

ია კომპლექსი წარმოდგენილია # - და C - C პოზიციებში: მომრეხა, ლებჟა, გოგა; მიღებულია ვ-ს ჩავარდნის შედეგად: წომიალ, გომია, წომია, ამოარდა, სამოარი, მოა (ძირითადად მჟა ფორმით გვხვდება, თუმცა მოა დავადასტურეთ როგორც ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებში, ასევე პროფ. ევა დადიანის მიერ ჩაწერილ ტაოურ ტექსტებშიც),

იო გვხვდება # - და C - C პოზიციებში და ყოველთვის ტრანსფორმირებული ფორმითაა წარმოდგენილი - იდენტურ ხმოვანთა შერწყმით: დეუნახრ, გთხრ, გჟათხრ...

იი წარმოდგენილია # - და C - C პოზიციებში, ი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთა სახელობითი ბრუნვის ფორმებსა: ფოსოი, ახოი და ვ- თანხმოვნის ჩავარდნის შედეგად მიღებულ სიტყვებში: მოიდეს, გომოიდოდეს, ჩომოინეს, რომელთა შედეგად მიიღება დამავალი დიფთონგი.

იე გვხვდება # - და C - C პოზიციებში მორფემათა ზღვარზე და რიგ შემთხვევაში წარმოქმნილია ვ-ს ჩავარდნით: მწმოეფს, ითოეფს, გუმოელ, ვიპოე, მოძოენ, წამოელ, იპოებენ, ჭტოეფ, მოქსოენ, ითოეფს; რიგ შემთხვევაში კი ი-ზე დაბოლოებულ სახელთა და მრავლობითი ნიშნის ხმოვნითი ნაწილის ე-ს შეხვედრითაა მიღებული: კოფოეფ, ჯობოები, ორმოები, ალოები.

ოუ წარმოდგენილია პაუზის წინა და C – C პოზიციებში. რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით აუ გვამლევს ოუ>ოუ დამავალ დიფთონგს: აუ>ოუ<ოუ: აქაურობა>აქოურობა, გაღმაური>გაღმოუტი, აუღო>ოუღო; ქომოურობაში; ვე>ო: დაჩვეულან>დაჩოუღლან; გათხოვილი>გათხოუღლი.

უა წარმოდგენილია მხოლოდ C-C პოზიციაში. გვხვდება როგორც მორფემათა ზღვარზე, ასევე ერთი მორფემის ფარგლებში. რეგრესული დისიმილაციით ვიღებთ აღმავალ დიფთონგს: ოა>უა>უა; პროცესს ვერ აბრკოლებს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ, ან ფუძისეული თანხმოვანი: მოვაცხავებთ>მუაცხავეფთ, მოვასხამთ>მუასხამთ, მოვართვი>მუართვი, გამოვაცხოვბთ>გამუაცხოვფთ, მოვამოვებდით>მუამოვებდით, მოვალთ>მუალთ, მოვაგონო>მუაგონო, დავაბი>დუაბი, წავასხით>წუასხით, მოვადენდით>მუადენდით, დავაქუხო>დუაქუხო... დიდროვანი//დიდრვიანი>დიდრუანი (ჯორბენაძე 1989: 579); აა>უა: გავახმოვბთ>გუაჰმოვფთ, გავახმოვბთ>გუამხოვფთ, წავასხამ>წუასხამ, გავადებთ>გუაგდეფთ, გავათხოვე>გუათხოვე. ერთი მორფემის ფარგლებში უა>უა: შუა, გურგუალი, მუანთილი.

უე, უი ხმოვანთკომპლექსები მორფემათა ზღვარზე არ გამოვლინდა. ერთი მორფემის ფარგლებში უი კომპლექსი ქმნის აღმავალ დიფთონგს უი: ტყუილი - C-C პოზიციაში.

უო წარმოდგენილია მხოლოდ C-C პოზიციაში: იო>უო>უო: მაგაწყდუოს.

უუ წარმოდგენილია პაუზის წინა და ძირითადად C-C პოზიციაში. C-C პოზიციაში უუ კომპლექსი მიიღება იდენტურ ხმოვანთა შერწყმით, რომელიც ასიმილაციის გზით ტრანსფორმირდება: ოუ>უუ>უუ, აუ>უუ>უუ, ეუ>უუ>უუ; სრული კონტაქტური ასიმილაციით, მო ზმნისწინისა და ზმნური უ პრეფიქსის შეხვედრისას, ოუ>უუ>უუ: მოუნდება>მუნდება, მოუშვებს>მუშვეფს, ამოუსხია>გამუსხია, გამოუღონ>გუმუღონ; სრული რეგრესული ასიმილაციით, აუ>უუ>უუ: დაურქმევია>დურქმევნებია, დაუთქმევნებიათ>დუთქმევნებიან, გაურევთ> გურევთ; სრული, კონტაქტური რეგრესული ასიმილაციით, ეუ>უუ>უუ: შეუსვია>შუსვია, შეუღია>მუღია, შეურთებთ>მურთეფთ.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ტაოურისთვის ბუნებრივი არაა ორი ხმოვნის თავმოყრა და ამის თავიდან ასაცილებლად ზეპირ მეტყველებაში ხდება

სხვადასხვა სახის ფონეტიკური ხასიათის მოვლენა: 1) ხმოვანთა შერწყმა, 2) რომელიმე, ძირითადად ვ ბგერის დაკარგვა და 3) დიფთონგიზაცია, ანუ ხმოვანთა დავიწროება. ამათგან უფრო გავრცელებულია ხმოვანთა შერწყმა და დიფთონგიზაცია. როგორც ჩანს უ-სა და ძ-ს შემცველი კომპლექსები ტაოურისთვის ყველაზე ბუნებრივი კომპლექსებია.

#### 1.1.3.4. საილუსტრაციო მასალა

##### 1.1.3.4.1. ერთი მორფემის ფარგლებში გამოვლენილი ხმოვანთკომპლექსები

აა>ა: # - პაუზის მომდევნო : 0 ; - # პაუზის წინა : 0; C – C პოზიცია (3): **სწთი, ვწდია, ძწნ“;**

აე: # - პაუზის მომდევნოდ: 0; - # პაუზის წინ: **მწაე, მჯაე;**; C – C პოზიცია: 3 სიტყვაში: **მტკაელი, კრაეკარი, მიქაელი;**

აო: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

აი>აი # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 4 სიტყვაში: **ჩაი, შაი, ჭვაი, კრაი;** C – C პოზიცია: 2 სიტყვაში: **ვარდყვადილი, მაისი;**

აუ: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

ეა: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

ეე: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

ეო: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

ეი: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

ეუ> ეუ # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: **დეკეუღი.**

ია>ია: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 3 სიტყვაში:

**ზმარეთი, ღრმალი, სმარული;**

იე>იე: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 1 სიტყვაში:

**ცარმელი;**

იო>იო: # - პაუზის მომდევნო: 1 სიტყვაში: **იონჯა;** - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

იი: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

იუ: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;



ოა: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

ოე: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

ოო: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

ოი: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

ოუ: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

უა>უა: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 1 სიტყვაში: შუა; C – C პოზიცია: 3

სიტყვაში: მტანთილი, გურგტალი, შუადღებან;

უე: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

უი: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

უო: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

უუ: # - პაუზის მომდევნო: 0; - # პაუზის წინა: 0; C – C პოზიცია: 0;

#### 1.1.3.4.2. მორფემათა ზღვარზე გამოვლენილი ხმოვანთკომპლექსები

აა: # - პაუზის მომდევნო: ანთებდეს, ადენ, ადულებენ, აშენეს;

- # პაუზის წინა: ახლოსა, ევა, თხა, რა, პატარა, გზა, თივა, ტპა, იქა, სხვა, ვქნა;

C – C პოზიცია: დაწვინა, შხა, გაკეთო, გაძლო, გადნე, გარჩევენ, წასხამს, ჩაყენებ, შაყენო, შახედნიოს, გატეხინებდეს, დაწყვდიე, გაწმოფს, მამოებენ, დაჯობელ, შაჭირე, გახაროს, ჩაგდო, წაქციოს, გამთელეფს, ჩასხამ, გაცაფე, გაბტყელეფ, გაცხელეფ, გაყოლეფს, მწყობენ, გადნოფ, გასწორებდა, დასოფს, გაპობენ, დაკრავ, გაგდო, გაბევროს, დაგორეფს, დაწარცხეფს, დაწვენს, დადგა, გათაებდეს, გასუქე, გაბტყელეთ, მწყარეთ, ჩაგდეფს, დაწახვე, შახტა, გამთელოს, გაწვენ, დაწყლმანებ, დაქორწილა, ამწვლებენ, დევპაკეფთ, დაწისაც, შაჭმელი, გამწახე, ჩამწმენ, გიდწყრიდა, მართმენ, დაქქვეს, ვაშენედთ, გიდაბრუნებენ, თაზეა, დაჯობა, გიდწყარო, დასო, მწგვრიან, მწა, დახოვ, გამაბრუნო, გაბმან, გათაოს, ვადალო, გუმარგლო, შემწყარო, გამარჩევე, გამაძროფს, მწყუდა, დაწგრეფს, მწკდენს, გამწახედთ;

აე: # - პაუზის მომდევნო: 0;

- # პაუზის წინა: 0;

**C – C პოზიცია:** გათაებენ, ფილაებ, დედაეფთა, ნანაები, გუაზაეფთ, გუაცხაეფთ, წაელით, ვიმუშაეფთ, აშაეფს, ანაეფჩი, ბაღანაები, გათაებული, პაწაებ, წოწოლაები, ძირაები, დაწკაებულია;

**აღ: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # **პაუზის წინა:** დიგიმართებაო, ფულიაო, მოშაო, მედრიჭაო, შენაო, ამაო, არაო, გათოვდებაო, ქყავსაო, რაცხასაო, შამეყუჩაო, გუათაო, გაქუაო, იქსაო, მერთმაო, მანდაო, დედიჩირაო, აპაო, იჯებაო, გათავდაო, ეყოფაო, აქტკივდებაო, ვილოცაო, დაჯდებაო, ჩუენაო, დამჩაო, ყოფილაო, შექტყეპაო, ქონდაო, წევდაო, ერყეოდაო, მოზობელიაო, იქნებაო, ბებერმაო, გამჭრაკაო, გეხვეწაო;

**C – C პოზიცია:** გიგიშაოს, ათდაოთხი, ათდაორი, ქაოშვილი, იქაობაში, გაათაოს, ძხმაოფთ, პეტერაობიხან, დაბლაობაში, მაღლაობაში;

**აი: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # **პაუზის წინა:** ძირაად, ენკაად, უნეხვაად, ქობაად, ზოგანაად, უკანაად, ქომოთაად, შიგანაად, წინაად, ჭანურაად, ლელეთაად, ხედთაად, ვირისთაად, კვირთაად, აქობაად, გაღმაად, ქოხითაად, სარცეხპაად, ლომბიტპაად, ბალყანაად, წაად, კაწა-პუწაად;

**C – C პოზიცია:** თაადამ, ვიყაათ, რაადგა, პატარაადც, ველითაადც, მაადწყდება, ჩაადცვი, ჩაადჩხოკვიან, ვერსაათ;

**აუ: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # **პაუზის წინა: 0;**

**C – C პოზიცია:** დაუკლიან;

**ეა: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # **პაუზის წინა:** ეგრეა, ტყეა, მზეა, საქმეა, ისეა, თაზეა, გავხდეა, მწუანეა, ცხარეა, თუეა, მეცხუერეა, კიდეა, დდეა, ასეა;

**C – C პოზიცია:** ვეაშილები, ვეარენები.

**ეე: # - პაუზის მომდევნო: ენთება, ეყუდა;**

- # **პაუზის წინა: 0;**

**C – C პოზიცია:** გეყუდება, დეჩვიე, დედუბ, შეხათრებოდა, გერევი, ბაღანუბი, ტყუბი, დელუბის, ყანუბი, გიდუხვევა, გეთხუება, დედება, დეყრებდან, დეთესა, კუტუნუბი, გეყაროს,

პეტერებ, შემწყობა, დეცა, გეყუდა, მემწყუდევა, გეხსნა, ბასილაძეები, შერი, თები, მესწარენით, გიდწყრებიან, მერევა, გეთხოვბოდა, შეხატრება, დერჰენით, გეყუდები, გერყია;

**ეო: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # **პაუზის წინა:** შეხედო, გაგზანო, დედსხენო, იყუო, შეჭამო, კედო, წედო, დიმაწავლო, ჩემეყვანო, ფეხზო, ღამო, შიჭჭამო, კაზო, თავზო, ერყოდაო, წომოვდო, იყო, ტოტოლებზო, დიმიქსო, გამპარსო, ჩეუდო, წელზო, შომოქწო, გომოვდო;

**C – C პოზიცია:** მეორე, ებნოდეს, შეობა;

**ეი: # - პაუზის მომდევნო:** ეაკიდა, ედოს;

- # **პაუზის წინა:** ელიასხე, გაგდე, გებნე, ნაღვარაღლე, ნატპე;

**C – C პოზიცია:** ამედღეს, შედრბენ, დედმაღვის, გექცევა, ჩამედღეს, დედშტვინე, მედწულოს, გედსხნევა, შექნება, ჩამედტანს, შედზამთრი, დედთესტის, ემექქმენ, მედთიბება, მედკრიბება, მედკრიფვის, შედყრებიან, გედზდება, გემედსხამს, დედჭირაქს, დედნახენ, მედღრიჭაო, დედვინახედთ, გევიზარდედთ, ვიკითხედთ, იხვარათედთ, მედტანეთ, მედწონეღს, ჩემეყვანენ, დედნახუენ, მედღალვიან, მედწიე, დედკარგე, გედგონეთ, გედგნეფ, ვებნედთ, წედყვანეს, მედკლა, დედკადრა, გამედღონ, გედყარენით, დედნგრა, შედშალა, ჩედცვა, დედღია, გამედდეს, გამედღედეს, გემედტანე, გედღესა, გექრევა, გედღეწება, ზედთ, მედხარშვის, მედგო, დედღრუბაქს, გიმედცვალა, ჩედცვამ, ვქენედთ, ვიფერხულედთ, მჭაგვარედთ, ხედთავი, დედჩხოკნეს, გემედცვალა, გედსვლება, გიდედბენ, მედხედაქს, ვილოცედთ, შედფურცვლის, გემედრჩიოს, დედრთვება, მედქსოვნება, ევლედთ, ვიწაკიდედთ, დედჯერეფ, მედგოს, მედღალოს, გედედცვალა, შედქმევა, გედწელვის, მედღირკის, დუმალედთ, დედბურონ, მედსაქმებენ, გედხრაკუი, წედცხო, დედჯერეფს, გედრეკა;

**ეუ: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # **პაუზის წინა: 0;**

**C – C პოზიცია:** იქეური, აქეური, დაჩუეულან, შემოხვეული, დამწყდეულია;

**ია: # - პაუზის მომდევნო:** დარეს;

- # **პაუზის წინა:** დუყრია, გიგიკეთია, დიგვინახია, დუთხრია, მოტაცნია, მოკლულია, ეშინია, ფულია, ძუირია, კვამა, ტყულია, ვანდია, ჩუყრია, ყუამა, ჩემია, კორჩხებია ქართულია, დიდია, უპოვნია, ადგილია, კარია, ოჯადია, ქუტია, ამათია, წითელია, მიწაშია, ბოსტანია, ასხია, ალაგია, სოფელია, თეთრია, მაღალია, დათესილია, ყუითელია, გამუსხია, დასხმულია, სარია, შიმშიამია, ქია, რომელია, სირცხვილია, დიმინახია, ბეურია, უთქუტია, დუშტვენია, გოდლეკარია, ყოფილია, დურქმევნებია, გიგვიგნია, დუხია, გუხია, დახურულია, ყოლამფერია, მოლია, ბალია, დაჯობილია, დაბმულია, ამისია, სახლია, დეილია, მანგალია, გალესილია, ჭალია, საყვარელია, ზალია, გირძელია, ადვილია, გემრიელია, კარგია, ქალია, მიმიხმარია, გაღმია, ომია, გუიმზირია, თქუტენია, კაცისია, ბიჭია, გამომწია, დუგვია, ვიცია, ვაშლია, ყავადია, გასულია, ჰყოლია, უშენებია, დუგუბებია, წუსხია, გიდავლილია, ჩუდენია, შორია, ნაჭალია, დიგიწერია, გიდაღმია, ჰევამსია, საყდარია, მგონია, სამოვარია, მაცვია, ფინთია, წაყოლია, წელწადია, თოჭლია, საყიდელია, დაკიდულია, ხტებიან, ფრინჯია, ჭრელია, ფუმფულია, ყანებია, დედნგრია, შექნილია, ფილავია, გაყოფილია, გითქვია, მჭამთილია, შემპალია, მითქვია, თაფლია, გუგზავნია, უწევნია, მიმიშლია, ბედელია, აშენებულია, მოწვენილია, ცარიელია, მაღლობელია, უკითხია, დუჭირია, შურია, შუმუტყორცნია, გიგირევნებია, ცუდია, უხვართია, გურიგებია, რამდენია, უჭყულადია, ცხელია, კაცია, აყუდებულია, მოხოულია, დუდვია, შუჭამია, მუძოვია, ყავარია, ღარია, გაგდებულია, მუძოვნია, გინგვილია, გომოსულია, გუმუყვანია, იმათია, გიმირიგებია, მუკოდრია, დაწკაებულია, დარჩომია, გუტეხია, დადწყებია, შიმშიხენია, გურყევნია, მუკოჭია, უჯგუტლემია, მუხურშია, მუჭრია, მუჯუდებია, გუდურბენებია, დუღადანებია, დუმახნია, წუმუქცეჭნია, გუქანებია, წუმუტაცნია, დავიწყებია, მულესია, გეშინია, მუკრეფია, მუკიდია, გინახია, იქეურია, გუპარსია, მუკოჭებია, შუწვენია, უტირია, გაგწითლებია, დუნთია, შუხედნია, წორია, მიმითიბია, გემიხია, გურყია, მუგდია;

**C – C პოზიცია:** უსაქმდან, უმუშავდან, ქონებდან, უსხდან, უყიდდან, ჩამოდდან, ჩამოსხრდან, უყრდან, გუყრდან, დუკიდდან, ახმდანეფს, არდან, მდართვა, გეძქცევდან, მდართმევ, მიდდან, დაჯდებდან, უმახდან, ჩაყრდან, ჰენჭდანი, წყლდანი, დუყრდან, შედყრებდან, მოდინდებდან, დაწვებდან, იქნებდან, წვერდანი, დურქმევნებდან, უქნდან, იცდან,

იხდან, უთქვან, ცოდნან, გვებნევან, გიძახან, მედღალვან, მუყვანან, მუკლან, კიბილანნი, გაფრინდებან, ტყან, გეტყვან, ურევან, მუცემან, ურთმევნებან, მდაქ, ემატებან, დუსხან, მყოფნან, მიჯებან, მიგარს, წეკიდებან, უთესან, უხარან, მიძახან, გონებან, გუკეთებან, ჩუდვან, უპოვნან, ექნებან, გიდარ, დუჯერან, დუთქმევნებან, დუჯობან, გუდმუზიდან, უფერჯულან, დურქმევნან, ჩუმარხან, გაჩდებან, მავგრან, გაზბან, გაპყრან, შეექნებან, რჩებან, უმღერან, გაშლან, შდაყრი, მარილანნი, მეზნევან, ტოტანნი, გედმარ, გუდმოვლან, მიხვდებან, მეკადრებან, გეყოფან, ჩეიჩხოკვან, დუტებან, ემინან, დუჭირან, დუნახან, შუჭმან, გუმუყვანან, წუმუტრეკან, გუყვანან, წუსხან;

**იე: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # პაუზის წინა: დეჩჷდე, მედწდე, გომოსწდე, დწყუდდე, სანაცრდე, ვაძლდე, გუდურდე, მევეხვდე;

**C – C პოზიცია:** გეყოფენ, მამაკლევნაეო, შემევიქნაეთ, დაგალევნაეთ, აწდეს, შევეჩჷენით, ბოცდები, დანგრდეს, აზენაებდეს, გუაცაფეთ, მაღაზაფეფში, შუმუხუთეთ, მდერე, მწცადნაებენ;

**იო: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # პაუზის წინა: კარიო, მარქუალიო, ქმარიო, კაციო, დავაჩჷიო, შეექნებიო, კონკალიო, მოკალიო, თქვენშიო, გურიო, ჭთქქიო, გაჭხთიო, იჯებიო, გომოჭწიო, ნადირიო, ვირიო, ყანაშიო, თაიო, ვიციო, ბერიო, ძმებიო, ჭალაშიო, სუქანიო, ვიქნებიო, კედიო, ეყუდებიო, ავდულდიო;

**C – C პოზიცია:** შხედნდოს, ჩადოდეს, გურდოთ, კააობა, მოდოდეს, დამანახვდოსო, წწეციოს, გემედრჩდოს, მევიქნდოთ, დედნგრდოსო, მოვდოდო, დანგაყრეუწდოს;

**იი: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # პაუზის წინა: 0;

**C – C პოზიცია:** მრტანო, მრთიბება, დრჭირა, ჩრტანო, დრდვა, დრჯერეფს;

**იუ: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # პაუზის წინა: 0;

**C – C პოზიცია: 0;**

**ოა: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # პაუზის წინა: მოა, გომოა, წომოა, გეთხოა, შომოა, ლებუა, მომრეხოა, კიდაა;

**C – C პოზიცია:** გომოანობდით, მოალთო, ჩომოაყრედნებდით, ჩომოარდება, მოაგუარე, ჩამოაცუამ, გომოაცხოფთ, გომოათრეჭთ, ჩომოალთ, მოასხა, გომოარჩეჭთ, მოართჭამთ, მოახრაკუნე, გომოარდა;

**ოე: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # პაუზის წინა: ნაკავლოე, გუმუეთხოე, მოჭესოე, ვიპოე;

**C – C პოზიცია:** მოძოენ, გათხოება, წამოელ, კოკოებ, იპოებენ, ჭტოებ, ლებუოებ, მოქსოენ, ითოეფს, კოფოეფ, ვობოები, ორმოები, ჩომოელი, მძმოეფს, ითოეფს, გუმოელ, ალოები;

**ოო: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # პაუზის წინა: შხბრ, დევნახბრ, ქთხბრ, ედვიდბრ, იმუშაბრ, მოქსბრ, იყბრ, იპბრ, გათხბრ, მერთბრ, ბებერბრ, მაგაკოჭბრ;

**C – C პოზიცია:** ვითხბრთო, გუათხბრთ, ქომბრა, აქობაში, მოძრსო;

**ოი: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # პაუზის წინა: ფოსოდ, ახოდ;

**C – C პოზიცია:** ქომოდში, მოდდეს, გომოდდოდდეს, ჩომოდნეს;

**ოუ: # - პაუზის მომდევნო: ოულო;**

- # პაუზის წინა: 0;

**C – C პოზიცია:** აქოტრობა, გადმოტრი, ქომოტრობაში, მოტბრუნე, მოხოტლია, დაჩოტლი;

**უა: # - პაუზის მომდევნო: 0;**

- # პაუზის წინა: 0;

**C – C პოზიცია:** გუაჯმოფთ, წუასხამ, გუაგდეფთ, ჩუასხმიდით, დუანახუინე, დიდრუანი, ქყუანდა, წეყუანდა, გუდუაყრით, დუაბამთ, წუაქცეჭთ, გჭათხოუე, დუასოფთ, გუაკეთოთ, დუაბრუნეფთ, გუათეთრეფთ, გუასუქეფთ, მუაწყოფთ, გუაზაეფთ, გუანდავეფთ, მუაცხაეფთ, გუარჩეფთ, ჩუასოფთ, ჩუაგდეფთ, დუართავ, მუაბა, დუაწკარეფ,

დუარიგეფთ, ჩუაყრით, დუაგეფთ, მუაყრით, გუადნოფთ, მუასხამით, მუართვი, დუაწოფთ, გუაცხელეფ, ჩუაწყოფთ, მუადუღეფთ, დუაპოფთ, მუართმიდით, გუაჯმოფთ, შუაყრით, გუათხელეფთ, დუაწყოფთ, გუაციეფთ, მუამოებდით, გუაბამით, მუალთ, ჩუარდება, მიქყუაჭს, მუახვედრე, გუადგი, მუაბრუნე, შუახტუნე, ჩუაგდებდით, გუმუასწარით, დუაგორეფთ, დუაწერინე, მუაგონო, გუდუაკრაჭთ, დუაბი, გუმუასხამ, შუაყენოთ, გუათხოე, წუასხით, მუადენდით, გუაპტყელეფთ, გუაცივოთ, დუაქუხო;

**უე: # - პაუზის მომდევნო: 0;**

**- # პაუზის წინა: 0;**

**C – C პოზიცია: 0;**

**უი: # - პაუზის მომდევნო: 0;**

**- # პაუზის წინა: 0;**

**C – C პოზიცია: 0;**

**უო: # - პაუზის მომდევნო: 0;**

**- # პაუზის წინა: 0;**

**C – C პოზიცია: მაგაწყდუოს;**

**უუ: # - პაუზის მომდევნო: უღოს;**

**- # პაუზის წინა: 0;**

**C – C პოზიცია:** გამუსხია, გუმულონ, დურქმევენებია, დუვლებენ, დუთქმევენებან, გუხარდნეს, გურეჭთ, მუშვეფს, შუსვია, მუნდება, მურეფთ, მურწყველა, ჩუვლია, დურგა, შუღია, შურთეფთ, გუხმობლა.

## **I.II. თანხმოვანთა სისტემა. დისტრიბუცია და სინტაგმატური მიმართება**

### **1.2.1. თანხმოვანთა სისტემა**

ტაოურ მეტყველებაში თანხმოვანთა სისტემა წარმოდგენელია ძირითადად სხვა ქართველური დიალექტებისა და სალიტერატურო ენის იდენტურად. მათგან - 25 ჩქამიერია და 5 სონორი. თანამედროვე სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით დასტურდება ჯ, ჭ ბგერები. პირველი არქაულ ქართულ სამწიგნობრო ენაში ფონემას

წარმოადგენდა, დღეს დაცულია ცალკეულ კილოებში; ჭ ბგერა ქართული ენის დიალექტებში ძირითადად უცხო ენათა გავლენით არის გაჩენილი.

**ჩქამიერი თანხმოვნები** იყოფა ხშულებად და ნაპრალოვნებად; **სონორები** - ნაზალებად და ორალებად. მათი განაწილება პარადიგმატულ ცხრილში ასეთ სახეს მიიღებს:

	ხშულები			ნაპრალოვნები		სონორები	
	მჟღერი	ყრუ ფშვინვიერი	ყრუ მკვეთრი	მჟღერი	ყრუ ფშვინვიერი	ნაზ.	ორალ.
ბაგისმიერი	ბ	ფ	პ			მ	[ვ]
კბილისმიერი	დ	თ	ტ				
კბილგაბისმიერი				ვ	[ჭ]		
წინანუნისმიერი	ძ	ც	წ	ზ	ს	ნ	ლ
შუანუნისმიერი							რ
უკანანუნისმიერი	ჯ	ჩ	ჭ	ჟ	შ		
უკანაენისმიერი	გ	ქ	კ				
ხახისმიერი		[ვ]	ყ	ღ	ხ		
ხორხისმიერი					ჰ		-

## 1.2.2. თანხმოვანთა დისტრიბუცია

### 1.2.2.1. ჯ ბგერის დისტრიბუცია

ჯ ტაოურში, ისევე როგორც სხვა დიალექტებში, ვერ ქმნის ოპოზიციას ხ-სთან და ისინი ერთმანეთის მონაცვლედ გვევლინება, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის მოშლის გზაზეა,



რადგანაც სისტემურად გვხვდება სხვადასხვა ფორმაში. **ჯ** ხახისმიერი ხშული თანხმოვანია.<sup>16</sup>

**ჯარი** გვხვდება სხვადასხვა პოზიციაში: სიტყვის თავკიდურად და შუაში. რაიმე სახის კანონზომიერება **ჯ**-ის გამოვლენასთან დაკავშირებით ტაოურ დიალექტში არ ჩანს.

ა) თავკიდურად:

**#-V**: **ჯალი** ჰა, **ჯალისი** ფურცელი დიდი ფურცელი, ამა **ჯალავენ**; **ჯიდიყანა**, **ონაჯეთკარ**, **ჯუცეკარ**; **ჯარით** ყანა ვთესვიდით და, ადგილსა; **ჯალი** ჰა, **ჯალისი** ფურცელი დიდი ფურცელი, ამა **ჯალავენ**; **ჯაფები** ჭედობენ, ი ზროხეფთ..

ბ) სიტყვის შუაში:

**V-V**: თუელი მოვა, იმა ემევილეფთ, **თოჯით** ემევილეფთ ართოლი, ა ისე ვხმაროფთ და; ეთი აგა **ფეჯი** მოადგი;

**V-C**: აჯლასაც ებედ დედედ უნდა მყავდეს?; ჰო და **საჯნისიც** იმა ჩუმნცტამთ და დათხრისა; **საჯნის** დტაპ მიდის, იმა ყანაში **ჯარებ** დტაპ მიდის; **თოჯნა** არ უნდა, ის დავითესეთ; ბითთავა **გეჯტრაკა**, **გაჯმა** ტყევენარში;

**C-V**: **ელასჯევი**, **ჯევასაც** არი ჯამე ჰამა; ე რემდარი ჯამით ასე **გავჯოცავთ**, ხელი არ გატკინოს; მე **ელმასჯევიდან** მოსული ვარ; იქედამ არხადაში **უთჯარი** დაჯექ; მას უკა ჯამით **გავჯოცავთ**, ე რემდარი ჯამით ასე **გავჯოცავთ**; ის **ნარჯტი**, **ნარჯტი**.. საჭმელი არ არი, ფურებისა;

**C-C**: ძროხები **მსჯმენ** იმა, აჭედებენ იმათ; **თოჯით** **დათჯრან**, ზათენ დათესვენ; **გამჯმა** კაწა-პუწა; ასე შუზვრება, **ამოთჯრის** ყანასა.

ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებში, ზოგი მთქმელის მეტყველებაში, **ჯარისა ხანის** მონაცვლეობა შესამჩნევია. პროცენტულად მათი გავრცელების სიხშირე ასეთია: **ჯ** – 43%; **ხ** – 57%.

---

<sup>16</sup> **ჯ** დაცული აქვს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებს - ხევსურულს, ფშაურს, თუშურს, მოხეურს, მთიულურ-გუდამაყრულს, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტთაგან - კახურის ქიზიყურ კილოკავს, სპორადულად დაჩნდება კახეთის სხვა რეგიონებშიც; გვაქვს ფერეიდნულსა და ინგილოურში, შემორჩენილია იმერხეულში (კლარჯულში), გვხვდება ჩრდილო ქართლურშიც (არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველებაში) (ჯორბენაძე 1998: 64).

### 1.2.2.2. ჭ ბგერა

ჭ ბგერა ტაოურში, საკუთრივ დიალექტურ ფორმებში შვ- კომპლექსისა და ფ-ს რეფლექსებს წარმოადგენს, თუმცა ძირითადად გვხვდება ნასესხებ სიტყვებში. ზოგადად, სხვა ქართველური დიალექტებისთვისაც არაა უცხო, მაგრამ ტაოურში თურქულის გავლენით გააქტიურებულია. ჭ ფონემას არ წარმოადგენს.

1. ნასესხებ სიტყვებში გავრცელებულია სხვადასხვა პოზიციაში: პაუზის მომდევნოდ, ხმოვნების წინ - #-V, ხმოვანსა და ხმოვანს შორის - V-V, ხმოვანსა და თანხმოვანს შორის - V-C.

თავკიდურად, #-V: აქსაც არი ჭესტივალი; ო, ო, დალეწავ, ჭორვა იქამ; დილაძ, ჭახირი ყოფილა ქუბაძ; ჭორი ხისუმი თუ არი, ფარა დაჰკიდავს; ბევრ დაჰკიდავს, ჭახირი თუ არი; დიდი ო , ჭენა კაძა; ვაღლეფთ, ჭინჯანში ვსტამთა; ვყიდავთ, ჭაზა თუ მოვა; ობი ჭასულიე არი; ჩემი სახელი ჭირდესაძ; სახლი უკან ჭოთოსა სწევს; ჭერამუზი ორი; ჭაბრიკაძამ ადებული გუბრე არ ვაყრით; მარქუალი შევწვაჭთ, ჭორმაში შევყრით...

V-V: თქმა არი, ეჭენდუმ, სხვა რაღ გითხრა; თავარი ჩუენში მუსაჭირ უქნია; ჩემ ბერ შოჭერობა იჯოლა; ღენჭი ჯუნუნნი, ჩეჭილი გომოა და; ესეც ზემო დეჭანი; ამა ვთიბავ, მეჭელ უყო და; მუსაჭირები არ გაგზანეო; მუსტაჭაძ, ხოჯა, იუსუჭელისა სამოსდაოთხი ქომ ჰყავს; ყაჭლობდა, ქუჭურ იჯებოდა; ბეჭრი ნუჭუს იყო, ბეჭრ ოჯალი იყო;

V-C: ზაბა არ ჩადდოდეს ბიჭი თერეჭსა; ვარებ დუბმიდით, ჩიჭთ დევჭირაჭთ; საღამოზე იჭთარი ვიზამ;

2. დიალექტურ სიტყვებში გვხვდება შვ კომპლექსისა და ფ-ს რეფლექსებად. შვ- კომპლექსისგან რთული ფონეტიკური პროცესის შედეგად წარმოდგენილია თავკიდურად, პაუზის მომდევნოდ, ხმოვნის წინა (-V) პოზიციაში, შუაში - ხმოვნებს შორის (V-V); ფ-ს რეფლექსად მხოლოდ (V-V) პოზიციაშია გავრცელებული.

ჭ-შ: თავკიდურად, #-V: ჭადლე, საღამოპირა; ასე, ჭაგულეში შემა ანთებდეს; ღამი ჭაგულეში მოდინდებოდეს; ჭორ-ჭორ დუასოფთ; აბლი ჭორიღამ; ჭადლეხან, საღამოპირა ჭორ; ჭაგულეძ გამუჯაცხოფთ; რაღ გითხრა, ჭაყანები;

შუაში, V-V: ამა ჭორი, ახლო არა.

**ჟ-ფ:** V-V: ამა კიდე ეჭელებიან, ეჭელებიან; გუაგდო, მეც მევეჭელე ამაზე; ო, ეჭელება, ო; ერთმანეთს მევეჭელებით...

საინტერესოა **ჭიდი** ტიპის მაგალითები, რომლის მსგავსი შემთხვევა არ დასტურდება არცერთ ქართველურ დიალექტში.

**შე:** ძალსაც არ **გუჭებ**, უცდი; **ათდაჭიდი**, **ათდაჭიდი**; **გუმუჭა** წყალი და თქუენაც წუალებინო თქუენი თაჲ; გასულა და წყალი **გუმუჭია**; მე **სამოციდაჭიდი** წლისა ვარა;

**გუჭებ**<გაუშვებ, **ათდაჭიდი**<ათდაშვიდი, **სამოციდაჭიდი**<სამოცდაშვიდი, **გუმუჭია**<გამოუშვია... შესაძლოა ამ ტიპის მაგალითებში განვიხილოთ ტაოურში დადასტურებული კიდეც ერთი ფორმა - **ჭადლე**: **შუადლე**>**შვადლე**>**ჭადლე**.

**ჭ** სხვა ქართველური დიალექტებისთვისაც არაა უცხო ისეთ შემთხვევებში, როცა ვ-ს ყრუ ალოფონს წარმოადგენს : **მოჭთუთქ** მოხრაკუთლი, მოძდა უთხრა და, ე და **წაჭყე**; ვაშლი **ჭჩირაჭთ**, ვაჭმოფთ...

**ვ-ჭ** ბგერებს ქართულ სალიტერატურო ენაშიც ადასტურებენ (ახვლედიანი 1949: 82, 271; ჯაფარიძე 1975: 40). გ. ახვლედიანთან დადასტურებულია შემდეგი მაგალითები: **ჭხედაჭ** (ვხედავ), **ჭსინჯაჭ** (ვსინჯავ), **ჭტებ** (ვტებ), **ჭჩივი** (ვჩივი), **კარაჭში** (კარავში).

**ჭ** სპორადულად გამოვლინდება ფერეიდნულში (ჯორბენაძე 1989, მარტიროსოვი 1984, ჭინჭარაული 1990, შ. ნიჭარაძე 1961, გრ. იმნაიშვილი 1974...). დასტურდება ზანურის ჭანურ დიალექტში (არნ. ჩიქობავა 1936: 14) (თუმცა მეგრულში არ მოიპოვება). ინგილოურში **ვ > ჭ** ხორციელდება ყრუ მკვეთრ და ყრუ ფშვინვიერ ბგერათა წინ (თუმცა არა სისტემურად): **ჭკნავდი**, **მიჭყონდი**, **ჭჭამ**, **ჭჭრი**.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ვ-ს** ნაცვლად **ჭ-ს** გამოვლენა შეპირობებულია სამეტყველო კოდების შერევით. მიზეზი, ცხადია, თურქულ ენაში **ვ. ჭ** ბგერები აქტიურად გამოიყენება.

### 1.2.2.3. ვ ბგერა

აქვე მოკლედ შევეხებით **ვ** ბგერას. ტაოურ დიალექტში **ვ-ს** სამი ალოფონია მოსალოდნელი (ასახულია ზემოთ წარმოდგენილ პარადიგმატულ ცხრილში):

კბილბაგისმიერი ვ მისი ყრუ ალოფონი (ჭ) და წყვილბაგისმიერი სონორი (ვ/ჭ). ალოფონთა გამოვლენას განსაზღვრავს ბგერათა მეზობლობა.

ერთი მორფემის ფარგლებში წარმოდგენილია წყვილბაგისმიერი სონორი ვ (რომელსაც თანხმოდგანთა სინტაგმატური ანალიზისას ადვნიშნავთ ჭ-თი), ხოლო მორფემათა ზღვარზე - კბილბაგისმიერი ვ და მისი ყრუ ალოფონი ჭ.

ვ-ს შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე საკამათო საკითხია, მათ შორისაა სონორობისა და სპირანტობის შესახებ. ვ-ს სპირანტებში განიხილავენ ს. ჟღენტი (1956), ჰ. ფოგტი (1961) (თუმცა სინტაგმატური ანალიზის დროს სონორთა შორის ასახელებს), გ. როგავა (1962), შ. გაფრინდაშვილი (1966), ბ. ჯორბენაძე (1998) და სხვ. ვ სონორთა რიგშია თ. უთურგაიძის (1976), ზ. ჯაფარიძის (1980), ტ. ფუტკარაძის (1998) და სხვათა გამოკვლევებში.<sup>17</sup>

მეორე საკითხი ეხება ვ-ს საწარმოთქმო ადგილს. ვ კბილბაგისმიერია: გ. ახვლედიანის (1949: 87), ს. ჟღენტის (1956: 158), ჰ. ფოგტის (1961: 10) და სხვათა პარადიგმატულ ცხრილებში. წყვილბაგისმიერია - გ. როგავას (1962: 115), რ. რობინსი, ნ. ვატერსონის (1968: 148), გ. ნებიერიძე (1974: 4), თ. უთურგაიძის (1976: 74) და სხვ.

ტ. ფუტკარაძის აზრით, არა მხოლოდ ძველ ქართულში, არამედ სამწიგნობრო ქართულის ყველა ქვესისტემაში (და მთლიანად ქართველურ ენებში) წყვილბაგისმიერი ჭ და კბილბაგისმიერი ვ ალოფონებია გავრცელებული (ფუტკარაძე 1998: 39).

#### 1.2.2.4. რ ბგერა

ტაოურში რ ბგერა განსხვავებულია, რომელიც ზოგჯერ იმდენად სუსტდება, რომ ან საერთოდ ქრება, ან იოტად იქცევა, ხშირ შემთხვევაში კი ძალიან ყრუდ აღიქმება, ძირითადად ხმოვანთა მეზობლობაში. ტაოურში რ-ს განსხვავებულობა მ. ლაბაძესაც აქვს

---

<sup>17</sup> ტ. ფუტკარაძის აზრით, არ გამოირიცხება, რომ სონანტის უმარცვლო ალოფონს ზოგ ქვესისტემაში შეიძლება გაუჩნდეს სპირანტი ვარიანტიც (ჭ>ვ); ვ-ს გამოვლენა, რიგ შემთხვევებში, შეპირობებულია დენტალურ ბგერებთან წინსწრებით, ხოლო, რიგ შემთხვევაში, უნდა აიხსნას სამეტყველო კოდების შერევით (ფუტკარაძე 1998).

მორფემათა ზღვარზე ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსებში რეალიზებულია ბგერათმომდევრობათა 16 მოდელი: სონორთა შემცველი კომპლექსები - SCC° S, S C° C° S, SCCS, SCSC°, SC° CS, SC C° C° , C° SCC, C° C° C° S, C° CCS, C° CC° S, CCC° S, C° C° CS, CC° SC° (13); მხოლოდ ჩქამიერთა შემცველი კომპლექსები - CCC° C, C° C° CC°, C° CCC° (3).

როგორც ზემოთ განხილულ ყველა შემთხვევაში (ორწევრა, სამწევრა, ოთხწევრა, ერთი მორფემის ფარგლებსა და მორფემის საზღვარზე ბგერათკომბინაციებში) ამ შემთხვევაშიც რეალიზებულია პირველადი (ცეცხლსა, დავსხდებით, მოვრწყაჭთ...) და მეორეული (გავსხნავთ, დაჭთხრით, გამოჭფქუავთ) კომპლექსები.

#### 1.2.3.4.5. ხუთწევრა თანხვამოვანთკომპლექსები

ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსი რეალიზებულია მხოლოდ ერთ მაგალითში: C° C° SCS: ჭხუდნ: მიჭხუდნით.

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ენის ტაოურ დიალექტში თანხმოვანთკომპლექსთა მაქსიმალური სიგრძეა 5, მაგრამ არა ერთი მორფემის ფარგლებში, არამედ მორფემათა ზღვარზე. ერთი მორფემის ფარგლებში მაქსიმალური სიგრძის კონსონანტური ჯგუფი 4 ელემენტს შეიცავს. ყველაზე ხშირია

ორშემადგენლიანი თანხმომავანთკომპლექსები, თუმცა არც სამშემადგენლიანი თანხმომავანთკომპლექსებია მცირე რეოდენობით; შედარებით ნაკლებია ოთხწევრა კომპლექსები.

### I.III. ფონეტიკური პროცესები

ტაოურში გვხვდება ყველა ის ფონეტიკური მოვლენა, რაც დამახასიათებელია სხვა ქართველური დიალექტებისთვის.

#### 1.3.1. ასიმილაცია

როგორც ტაოურში, ისე იმერხეულში ხმოვანთა/თანხმომავანთა კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებები განისაზღვრება ქართულისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციით და ამ დიალექტებში წარმოდგენილია ცვლილებების სხვადასხვა საფეხური.

ტაოურსა და იმერხეულში ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები უპირატესად შეინიშნება მორფემათა ზღვარზე, გვხვდება ასევე ერთი მორფემის ფარგლებშიც.

ცვლილების ერთ-ერთი საფეხურია ასიმილაცია, როცა ერთი ბგერა მეორეს იმსგავსებას რაღაც ნიშნის მიხედვით.

- **ხმოვანთა ასიმილაცია.** ხმოვნებში მომხდარი ფონეტიკური პროცესები უფრო ვრცლად წარმოდგენილია ხმოვანთა სინტაგმატური ანალიზისას, ამიტომ დაწვრილებით აქ აღარ შევხებით. განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას დისტანციური ასიმილაციისას, რომელიც მომხდარია ზმნისწინებში.

მრავალფეროვანია რთულ ზმნისწინთა ფონეტიკური ვარიაციები. ზმნისწინში ხან ორივე ხმოვანი იცვლება, ხან ცალი:

**გამო>გომო:** შე გაღმი, მე **გომოდმი**, გულმა რანა გედსვენოს;

**გამო>გუმო:** მზე ქი **გუმოვა**, მაში ართულ სამუშაოებლე მივდივართა;

**გამო-ი>გამე-ი> გემე:** ახლა **გემეცვალა**, აურფასავდენ;

**წამო>წუმუ:** წუმუწვენია, დრუხ, წუმუწვენია, დრუხ;

**წამო>წომო:** უკნისკე მოვტრიალდი, ქი გოგო თვალი წომოვკარ;

**ჩამო>ჩუმუ:** იქედამ ჩუმოდით, და ამასაც შეშა ქონებია და ბეჭერი კაწა-პუწა; მისულა, ბებერა აქ ჩუმოვდაო? **ნ ჩუმოვდაო;**

**ამო>ამე:** თუელზე ამევეფთ კადა; (<ამოვიღებთ) ამო-ი > ამე-ი

**და-ი>დე-ი:** აქნა მოხულნეთ, კიდე დევპაკეფთ; წერვასაც დევჩუი;

**და-ი>დი-ი:** არ ვიცი და, ვერ დიგვინახია;

**მო-ი>მე-ი:** ა, ასე მემიტაცეს და წიმიყვანეს; მე შენ მეგებმარები, მე შენის მემებმარები;

**მო>მე:** მას უკენ მეველ; აქ მევეყანეთ ქალი;

**შე-ი>ში-ი:** შივდარე წითელი კამდონითა;

**ჩა>ჩი:** ფოტოროში ჩივარე;

**გა>გი:** ჩუენ გიგვინარდაო და ასე ვფერხულოფთო;

**გადა>გიდ, გადმო>გიდმი:** ქოხუკნიდან გივარე, გიდვარე, გიდმივარე (იცვლება მარტივი და რთული ზმნისწინის, ერთ შემთხვევაში, პირველი ხმოვანი, მეორე შემთხვევაში (გადმო) - ორივე ხმოვანი); ქოხუკნიდამ გავლიხან დეშტვინე და გიდდარე; **და>დი:** არ დიგვინახან..

- თანხმოვანთა ასიმილაცია.

**კდა>კტ>ქტ:** ზოგი გზაში მომკტარა, ზოგი დარჩენილა; ჩემი ალაღ მოკვტა; ჩემი ალაღ მოქვტა;

**ცლა>ცხ:** ასე მიდიან, ვინცხა ლენჭები ყავან, ისკე მიდიან ისტამბულისკე; ფული რაცხა არი; საცხა ცხოვრობენ იქ მიდიან;

**გც>ქც:** შენო გეიქევიო, მეგრემ, დათვი ებნევა; ე გეგმებიც დავაწყო და გევძევიო; რამდენცხა ძროხა ქყავს, იმდენს გაკეთეფ; ნაწველ არ მოქცემენ მემრე;

**გყ>ქყ:** მერე ცხრა თვე კიდე ბურსისკენ მიქყვან, იქ დგანან;

**სჭ>შჭ:** მაწვნის უნ შეშჭამ, ა ესე ლებუოს უკან შეშჭამ; ბაქლუბავა, ლებუა შორვა სოღან დაშჭრავ; წმინდა-ნა დაშჭრა; აქა დათვები ლებუო, ლებუო შჭამენ; არ შჭირდებით თქუენა? არ შჭირდებით სიცხედამ?

**სტ>შტ:** ქოხუკნიდამ გავლიხან დეშტვინე და გიდდარე;

**ბს>ფს:** ღორეფსაც ვკლავთ; ი თხრის, ასე ამეიდეფს; ისე ტანკა არი და, ქი ახმანეფს; ჯმა იდეფსო..

**დ>თ:** ხანჩი **ჭხჭტეები** და ხანჩი ვერ მიმჭხთარვარ; წევნეთ რუს უკან, რა **შეხვთება** ჩემს უკან; **პირველათ** მანქანებ არ იყო; ბერი აბლი **ავათ** არი და ბებრი ახვადათეთ;

**დ>ტ:** აბლი ცქვიტა ხვადათობენ ზოგნი და ზოგნი **ვხტები**;

**ტ>თ:** ე **თკივილი** გასკკტა , გაქარდა; ამას ფეხი **უთკივნია**, უგზუვნია;

**ბ>ფ:** კემელ **დავდეფთ** შიგა; აქ **ვცხოვროფ**, იშთა; ასე **ვჭედოფთ**, **ვთამაშოფთ**;

**ძროხეფთა** პირველათ იმას მძართმევ; **ორშაფათი** დღე ანთალიაში უნა წევდე; **ფიჩხი..**

**დაჭრა ბიჩხითა;**

**კ>ბ:** ე **ბურკა**, ე **კურწი**, შიგანაჲ **ბურკა**.

### 1.3.2. დისიმილაცია.

დისიმილაცია ასიმილაციის საპირისპირო პროცესია და აღნიშნული ფონეტიკური პროცესის დროს ხდება მეზობელ ბგერათა განმსგავსება. ასიმილაციისგან განსხვავებით იშვიათია დისიმილაციის შემთხვევები, განსაკუთრებით ეს ითქმის თანხმოვნებზე.

- **ხმოვანთა დისიმილაცია.** ასიმილაციის მსგავსად, ხმოვანთა დისიმილაციას აქ არ წარმოვადგენთ, ვინაიდან დაწვრილებით განხილულია ხმოვანთა სინტაგმატური ანალიზისას.

- **თანხმოვანთა დისიმილაცია**

ტაოური მასალის ანალიზისას თანხმოვანთა დისიმილაციის მხოლოდ რამდენიმე მაგალითი გამოვლინდა: **რ-რ >რ-ლ:** გზა არ ალი; თა არ ალი, ახლა ქოღში ჩრმოველით, თა გათავდა; **შ-შ > შ-ს:** შესებს ვზიდავდი იქენდამ, შენც წადი და ზიდე ა-ექენდამ; **ფ > ბ:** ფიჩხი... დაჭრა ბიჩხით.

### 1.3.3. მეტათეზისი.

მეტათეზისი ისეთი ფონეტიკური პროცესია, როცა ბგერები გადასმულია ერთი ადგილიდან მეორეზე. ეს პროცესი შეიძლება განიცადოს ყველა რაგვარობის თანხმოვანმა, ასევე ხმოვანმა და თანხმოვანმა.

როგორც ცნობილია, როგორც ენა, ასევე დიალექტი, ხასიათდება ფონემათა შეხამების გარკვეული კანონზომიერებით, რომლის ცვლაც ხდება ნელა, დროთა განმავლობაში. აღნიშნული ფონეტიკური პროცესიც ამ კანონზომიერების ნაწილია.

ტაოურ ტექსტებში მეტათეზისის არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, თუმცა არცთუ ისე ბევრი. სხვა ქართველური კილოების მსგავსად, ის უფრო გავრცელებულია **ხსნ** ძირის შემცველ ფორმებში, სადაც ადგილს ინაცვლებს თანხმოვანი სპირანტები: **ხს > სხ**.

**ხს > სხ: სპირანტები:** ჩემი ღარჭი არ მოვდან, **გჷსხნა**; ჩემს უკან იხვნეთ, აქა **გაგასხნა** იმერე დილაზე **უსხნა** და იმა დეძარენა ქი; გახვალ ისე, **გეძსხნევა**; ცომ ვიჯებით, **გავსხნავთ**, მუყარით კაკალასა; რახან-ნა **გეძსხნას** ჩუენი სოფელისი შეშა; ბორეგებ **გავსხნავთ**, იმა მოვკრეფავთ; **გავსხნავთ**, იმა თენჯერეში ჩავყრით..

**ჯ/ზ** მონაცვლეობამ წარმოქმნა სალიტერატურო ქართულის **ხსნა** და **ხშირი** ფორმები (შდრ. ძვ. ქართულის **ჰსნა** და **ჰშირი**), ე. ი. ბუნებრივი კომპლექსები შეიცვალა არაბუნებრივით (თოფურია 1927). ამას **ჯ**-ს არმქონე დიალექტებში მოჰყვა ფონეტიკური ცვლილებები: **ხს > სხ** (ხსნა > სხნა), **ხშ > შხ** (ხშირი > შხირი).

კახეთში ჩასახლებული მთიელების ის ნაწილი, რომელიც **ჯ**-ს აღარ ხმარობს, არ იყენებს **სხნა** და **შხირი** ფორმებს, რაც იმით აიხსნება, რომ მათ, მსგავსად წინა თაობებისა, იციან რა **ჯ**-ს ადგილი **ჰს** და **ჰშ** ფონემათა გვერდით, **ჯ**-ს ისევე **ჰს**-სა და **ჰშ**-ს წინ სვამენ (უთურგაძე, მანჯგალაძე, ტეტელოშვილი, იკე 2008: 214). მაგრამ ტაოურში დაცულია **ჯ** და პარალელურად დაჩნდება **სხნ** - **ხსნ** ვარიანტებიც: რატომნა **გავხსნა**, ვიმარხავ; ქურეგით გამოვყრიდით და ისე კარ **გავხსნიდით**; თელეფონს დილიდან **გახსნიან** და ვერ გავიგონავთ; ასე დილბერე **გახსნილი**, **გახსნილი**; ბაქლავა, ტათლი, ხამურ **გავხსნავთ**...

ბიჭიც ეტყუის ქი **ზღაფული**, **ზღაფული** მუა, ქარჩილი მუა, ვენახში რა-ნა ვასაქმოთო...

მეტათეზისი, ზოგადად, უმეტესად სონორ თანხმოვნებს მოსდის.

**ნმ > მნ:** ნამგალი > მანგალი: ეს **მანგალი** ვთიბავთ; ასე მოვთიბავთ, **მანგალი**...

**ვს > სვ:** ახლან **ათდაექსუტი**, ათდახუთი, ათდაოთხი წლის ქი შედქნები, იმხან ბაღანეფს დუარშილები...

### 1.3.4. დეზაფრიკატიზაცია

დეზაფრიკატიზაცია ისეთი ფონეტიკური პროცესია, როცა აფრიკატი **ძ ც წ ჯ ჩ ჭ** ბგერები იცვლებიან არააფრიკატ ბგერებად.

საანალიზო ფონემები ქართველურ კილოებში ნაირგვარი რეფლექსებით გამოირჩევა. **ძ ც წ ჯ ჩ ჭ** თანხმოვანთა დეზაფრიკატიზაცია ხდება სხვადასხვა გზით: 1. ერთ შემთხვევაში **ძ ც წ ჯ ჩ ჭ** იცვლება შესაბამისი ლოკალური რიგის სპირანტი თანხმოვნით, ანუ **ძ → ზ, ც → ს, ც → ზ, წ → ს, წ → ზ, ჯ → ჟ, ჩ → შ, ჭ → შ**; 2. მეორე შემთხვევაში, **ძ ც წ ჯ ჩ ჭ** აფრიკატთა დეზაფრიკატიზაცია ხდება ხშული (**დ, თ, ტ**) თანხმოვნით: **ძ → დ, ც → თ, წ → ტ**.

ქართული ენის დიალექტებში უფრო გავრცელებულია დეზაფრიკატიზაციის პირველი შემთხვევა, რომელსაც სპირანტიზაციის ხასიათი აქვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ქართველურ დიალექტებში დეზაფრიკატიზაცია სისტემური ხასიათისაა და იგი უცხო ენობრივი გარემოს გავლენით იხსნება; ეს შეიძლება ითქვას როგორც ჭოროხის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაზე, ასევე ინგილოურსა და ფერეიდნულზე.

მართალია, დეზაფრიკატიზაციის პროცესის განვითარებას ხელს უწყობს უცხო ენობრივი გარემო, მაგრამ ტენდენცია ამ ფონეტიკური პროცესისა ყველა ქართველურ დიალექტში შეინიშნება: ზოგ დიალექტში მეტად, ზოგში - ნაკლებად (**ძ > ზ**: ქართლ. - ზმა < \*ძმა, ზალიან < ძალიან (იმნაიშვილი 1974: 158); მესხ. - ზალი < \*ძალი < \*რძალი (მიძიგური 1954: 136); ხევს. - ზალ < \*ძალი, ზროხაჲ < ძროხა (ჭინჭარაული 1960: 279); მთ.გუდამაყრ. - ტაზარი < ტაძარი, ოზდაერთი < ოძდაერთი < ოცდაერთი; იმერ. - ნიზლავი < ნიძლავი (მოწენიძე 1973: 44); აჭარ. - ოზდაათი < ოძდაათი < ოცდაათი, ყურზენი < ყურძენი (ნიჟარაძე 1961: 47); მეგრ. - ბუზი „ძუძუ“ < ბეჭი, ნეზი < //ნეძი „ნიგოზი“ (ჩიქობავა 1942: 131-132); სვან. - ყუნზელ < ყურზენ, ზესხრა < ზეცხრა < \*ძეცხრა „ცაცხვი“ (ჩიქობავა 1942: 129); ქინზ < ქინძ (ლხმრ.) (ქალდანი 1955: 160); ს > ც: მოხ. - სხენი < \*ცხენი (ქავთარაძე 1985: 20); გურ. - შესდომა < შეცდომა (ჟღენტი 1936: 50); აჭარ. - შენას < \*შენაც (ნიჟარაძე 1957: 31); იმერ. - ზარმათი < ზარმაცი (მოწენიძე 1973: 285); სვან. წყ > სყ: ქართ. რწყილი, სვან. ზი-სყ; მარწყვი - ბასყ (როგავა 1953: 47); იმერ. წ > ზ - აზეული < აწეული; დეისტავლე <

\*დეისტავლე, სტავლა < სწავლა, სტორი < სწორი (მოწენიძე 1973: 19); რაჭული: დღესასტაული < დღესასწაული (კობახიძე 1987: 409); აჭარ. სტორი < სწორი (ნიჟარაძე 1961: 404); **ჯ** > **ჟ**: ინგილ. - ჟორ < ჯვარი, გაჟავრდა < \*გაჯავრდა (იმნაიშვილი 1966: 196); რაჭ. - დაჟდა < \*დაჯდა (მიძიგური 1937: 9, 25); გურ. - დაჟდა < \*დაჯდა (ჟღენტი 1936: 52); აჭარ. - დაჟდა < \*დაჯდა (ნიჟარაძე 1957: 31); სვან. - ჟელ < \*ჯელ (როგავა 1953); მეგრ.ჭან. - ჩხვინჯი // ჩხვინდი, ჩხინდი „ცხვირი“ (როგავა 1947: 351); **ჩ** > **შ**: თუშურ. მოხეურ. - შვიდმეტი < ჩვიდმეტი (ჯორბენაძე 1989: 263, 278); იმერ. - შტილი < შთილი < ჩთილი < ჩდილი < ჩრდილი (ჯორბენაძე 1989: 455); ლეჩხ. - შთილი < //ჩთილი < \*ჩდილი < \*ჩრდილი (ბ. ჯორბენაძე 1989: 410); მეგრ. - კამბეში < კამბეჩი, ჩხური < \*ჩხური (ჩიქობავა 1942: 80); ჭან. - შქიმი < ჩქიმი (ჩიქობავა 1942: 80); **ჭ** > **შ**: სვ. მშკად „მჭედელი“ < \*მჭკად, შყაჟუ „მწყერი“ < \*ჭყჟუ < \*ჭყაჯუ...) (როგავა 1953: 47).

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა აღნიშნული ფონეტიკური პროცესის ირგვლივ იმ დიალექტებში, სადაც დიდია უცხო ენის გავლენა;

მაგალითად, ინგილოურში **ძ** და **ჯ** აფრიკატების უქონლობა ბუნებრივად მიაჩნიათ, მათ ადგილს კი **ზ** და **ჟ** სპირანტები იკავებენ, ვინაიდან ინგილოური განიცდის ხუნძური და აზერბაიჯანული (ზოგი მკვლევრის აზრით უდიური ენის) გავლენას, შესაბამისად, ამ ენებში არაბუნებრივ **ძ** და **ჯ** აფრიკატებს **ზ** და **ჟ** სპირანტები ენაცვლებიან; დღეს მიიჩნევენ, რომ **ძ** და **ჯ** აფრიკატები უკვე დასტურდება ინგილოურში, რაც გამოწვეულია საქართველოსთან მჭიდრო კავშირით (ბარიხაშვილი 2004: 22). მიჩნეულია, რომ ფონეტიკური პროცესი მიმდინარეობს სხვა ქართველური დიალექტების მსგავსად. რაც შეეხება ფერეიდნულს, მიუხედავად სპარსული ენობრივი გარემოცვისა (არნ. ჩიქობავა 1927: 196), ქართული ენის ამ დიალექტში დღემდე შემონახულია **ძ**-ს შემცველი სიტყვები, (ერთი ჩემი ბიძას ბიჭი (იკე XXI: 226); იმას აძობენ (იკე XXI: 228); ბადტა ხან დაიძინა...(იკე XXI: 223). იგივე შეიძლება ითქვას იმერხეულზეც: აქ, ძირითადად, აფრიკატთა და სპირანტთა თავისუფალი მონაცვლეობის შემთხვევებია გავრცელებული (ძალიან // ზალიან// ზალუან; ეძება // ეზება; დუუძახა // დუუზახა; მოძებნა // მოზებნა; სიძე // სიზე; საბძელი // საბზელი... (ქობალავა 1954: 84 – 86).



ამდენად, დეზაფრიკატიზაცია საერთოქართული მოვლენაა და ძირითადად დასავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი.

დეზაფრიკატიზაციის პროცესი ქართულის სამხრულ-დასავლურ დიალექტებში ნაკლებადაა შესწავლილი. ზოგი მეცნიერი (შ. მიძიგური, ა. ლომთაძე...) აღნიშნულ ფონეტიკურ პროცესს განიხილავს იმერხეულსა და სხვა ქართველურ დიალექტებშიც. **ტაოური მეტყველება კი ამ მხრივ საერთოდ შეუსწავლელია.** საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გავრცელებული მოსაზრება დეზაფრიკატიზაციის სისტემურობის შესახებ მცდარია.

წარმოვადგენთ მაგალითებს ჩვენ მიერ მოპოვებული ტექსტებიდან:

**ძ > ზ:** პროცესი ტაოურში დასტურდება შემდეგ შემთხვევებში:

**რძალი/ზალი:** ერთი **ზალი** მყავს; **ზალ** იქმენ, წეყვანებენ; დუგუნში იმთე **ზალ**, **ზალ** ვიქამთ; **ზალსა** ვეძეფ; **ზლებიც** ლამაზები მინდა...

მაგრამ: **ძალი** ვქნათაო, ვიტყვით, **ძალი**; **ძალი**, **ზალი** ანაჲ; ძალუზი ბიჭი მყავს, **ძალიც** ძალუზია; **ძალი** ჯოხავს, **ძალი** ზიდავს, **ჯოხავს**..

**სიძე/სიზე:** **სიზე** სახლა შესლიხან ასე; ხელზე მივდოდა, **სიზე** ხისუმეფთა, ხელზე მისცემდა..მაგრამ: **სიძე** მწრე დღე, დუგუნი მწრე **სიძე** წავა; **სიძე** წევდოდა, მარტო **სიძე** წევდოდა, **ზალ** ჯ წეყვანდეს..

**ძმა/ზმა:** ჩემი **ძმა**, ჩემ **ძმისი** შვილი; ჩემ ანასი **ძმა** რაჲ ეტყვით?; ჩემ პატინაჲ **ძმა**ჲ, ო; მის **ძმას** ყოვდა ბიჭი, ედა.. ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებში ძმა/ზმა ფორმა არ გამოვლინდა, მაგრამ: **ზმა**ო, გუენატრებით (ფუტკარაძე 1995: 170); **ზმები** მყავან ჩემზე პატინა (ფუტკარაძე 1995: 172); და-**ზმები** ვართ ერთმანეთისა (ფუტკარაძე, 1995: 172); ართუხ ორი **ზმა** ჩამოვლენ (ფაღავა, ცინცაძე, მაკარიძე, დიასამიძე, თანდილავა 2005).

**ყურძენი/ყურზენი:** რაჲ გითხრა, სახრავი, **ყურზენი**, ო, **ყურზენი**; კაჲ **ყურძენია**, კაჲ, ასე დიდრუჲან-დიდრუჲანი, თრანდა **ყურზენ** ეტყვძან, თრუჲანდა **ყურზენ** ეტყვძან, სხვა კიდევ ეტყვძან, შავი **ყურზენი** არი.. **ყურზენი** არ იქნება იმისთვის ქი; რომელი **ყურძენი** შეჲქნება, იმა თრუჲანდ ეტყვძან...

**ზაძგირეთი//ზაზგირეთი**, რომლის ფონეტიკური ვარიანტია **ვაზგირეთი** .

**ბველ//ზველ:** კაკლი შიდნები არი, ასე **ზუტელათ** გომოზდილი; **ზუტელათ** რუსია გურჯები დამჩალან; **ძუელი**, გურჯიჯა ვხვართოფთ, ჰო; ო, ამათი ბექმეზი **ძუელი** გვარი, ჩუენი **ძუელი** ბათუმიდან ჩამოსულან; სახლისი **ძუელ** ადგილი სათივრე...

**ც > ს** პროცესი გვაქვს შემდეგ მაგალითებში:

**ორმოსდაექვსი**, ჰო, **ორმოცდაექვსი** წლისა ვარ; ხამდან მე ახლა მე ზათი **ოსდნთ** წელწად; **ოსდაერთი** წლი ვარა; ფროფესორ თუ-ნა გახდე, **ოსდახუთ** წელწად-ნა იკითხო უნდა, **ოსდახუთი**, ა ამდენი დამჩალა...

პარალელურად დასტურდება **ოცი**, **ოცდაერთი**.. **ორმოცდაათი**, ჰო; **ოცდახუთი** წლის ვარ; **ოცდნთი** ქილომეტრი არა; იქსაც არძან **ოცდნთი** ხანე..

**ც-ს** დეზაფრიკატიზაციის მაგალითები, ძირითადად, რიცხვით სახელებში გვხვდება, სხვა შემთხვევის მხოლოდ ერთი მაგალითი დავაფიქსირეთ: **უსდის**, **უსდის**, სალამო პირა წამნსხამს;

ცალკეულ შემთხვევაში **ც** თანხმოვნის მონაცვლედ წარმოდგენილია **ზ** თანხმოვანი:

**ც > ზ:**

**ორმოცდაათი** < **ორმოზდაათი**: დეზაფრიკატიზაციამდე ჯერ მომხდარია ასიმილაცია (**დ-სთან** გამჟღერებით) **ორმოცდაათი** < **ორმოძდაათი** < **ორმოზდაათი**), ანალოგიურად: **ოზდაოთხი** წლისი ვარ; **ოცი**, **ოზდაერთი**.. **ოზდაერთი** წელიწადის არი; **ოზდნთი** და ხუთი.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა რიცხვით სახელებში მიმდინარე დეზაფრიკატიზაციის პროცესის შესახებ: ბ. ჯორბენაძის აზრით, **ც > ძ > ზ** პროცესი აღმოსავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი, დასავლურში კი შემდეგი ფონეტიკური პროცესია მომხდარი: **ც > ს > ზ**: დეზაფრიკატიზაციის შედეგად **ც-სგან** მიღებულია **ს** სპირანტი, ხოლო შემდეგ კი რეგრესული ასიმილაციით - მჟღერი **ზ**: **ორმოცდაექვსი** > **ორმოსდაექვსი** > **ორმოზდაექვსი**; ალ. ლლონტისა და შ. ნიჭარაძის აზრით, გურულსა და აჭარულში პროცესი შუალედური საფეხურის გავლის გარეშეა მომხდარი: **ც > ზ**: **ორმოცდაათი** > **ორმოზდაათი**; შ. ძიძიგური, ს. ჟღენტი, გრ. იმნაიშვილი, გ. ცოცანიძე, ი. ქობალავა, ა. ლომთაძე კი არ გამორიცხავენ შუალედურ ფონეტიკურ პროცესს - **ც > ძ > ზ**: **ც** აფრიკატს **დ-სთან** რეგრესული ასიმილაციით უნდა მოეცა **ძ** მჟღერი აფრიკატი, შემდეგ კი

ხშულობის მიხედვით დეზაფრიკატიზაციით მიღებული უნდა იყოს **ზ** მჟღერი სპირანტი. მაგ., **ორმოცდაათი < ორმოცდაათი < ორმოცდაათი.**

**ჯ > ჟ:**

დეზაფრიკატიზაციით **ჯ** იძლევა სპირანტ **ჟ**-ს: **გამარჯობა..** რა იჯებით?; ესეც **გურჯია**, ჩვენებურია; ეს **საჟღუმელ** ადგილი; ბალხიწუერზე მოსულან, **დამჟდარან** იქო; იმ ტყეში **დაჟწეთო** და ქი **დამჟდარან** (ფუტკარაძე 1995).

მაგრამ: სახში **გურჯულა**, თურქულა **ვ** ვიპარაკეფთ; შარშან აქ მოვნეს **გურჯები...**

სხვა შემთხვევები ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებში არ გამოვლინდა.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე, ზოგადი სურათი ასეთია: დეზაფრიკატიზაცია ესაა წმინდა ფონეტიკური მოვლენა, რომელიც ზოგადად დამახასიათებელია ტაოური და სხვა ქართველური დიალექტებისათვის. ბუნებრივია, აღნიშნული ფონეტიკური პროცესის გააქტიურებაში არ გამოირიცხება თურქულის გავლენაც, ვინაიდან თურქული ენისათვის უცხოა ქართულისთვის ასე დამახასიათებელი სპეციფიკურ აფრიკატ თანხმოვანთა სისტემა.

### 1.3.5. აფრიკატიზაცია.

აფრიკატიზაცია დეზაფრიკატიზაციის საპირისპირო ფონეტიკური პროცესია, რომლის დროსაც არააფრიკატ ბგერებს ენაცვლება აფრიკატები.

აფრიკატიზაციის შედეგად: 1. ერთ შემთხვევაში **დ თ ტ** იცვლება წინანუნისმიერი თანხმოვნებით - **დ → ძ; თ → ც; ტ → წ;** 2. მეორე შემთხვევაში სპირანტი **ზ ს ჟ შ** იცვლება შესაბამისი ლოკალური რიგის აფრიკატით, ანუ **ზ → ძ, ზ → ც, ზ → წ, ს → ც, ს → წ, ჟ → ჯ, შ → ჩ, შ → ჭ.**

ქართული ენის დიალექტებში უფრო გავრცელებულია აფრიკატიზაციის მეორე შემთხვევა. ტაოურ მეტყველებაში ძალიან იშვიათია აღნიშნული ფონეტიკური პროცესი; უმეტესად **შ > ჩ** ბგერათშენაცვლება იჩენს თავს.

**შ > ჩ:** ფუტკარი **კოდებჩია**, მწღალ ადგილებში სმენა; ორითანე პატინაჲ და ექვსითანეც აქ ზროხებ არია **ამაჩი**; **ოჯადეფჩი** მისულა და უთქვია ქი; **იბრიმანჩი** მისულა ქი; ართუხ ჩემეიყვანეს **კარჩი**; ერთ **ბოსტანჩი** ეყოფა;

ს > ც: მე შე ასეო გაგპარცო და წინდა მიგიქსო.. დუჯერია, ამას გუპარცია ი დილბერა;  
ჟ > ჯ: დამჯავდება, მჯაე შედექნება..

### 1.3.6. სუბსტიტუცია

ენასა და დიალექტში მომხდარი ყველა ფონეტიკური პროცესი კანონზომიერია და თუმცა ზოგჯერ კარგად არ ჩანს ცვლილების გამომწვევი მიზეზი, მაინც მოეძებნება ახსნა. ხშირად ერთი ბგერა მეორეს ენაცვლება, ასეთ ფონეტიკურ პროცესს ზოგჯერ სუბსტიტუციას, შეუპირობებელ, სპონტანურ ბგერათცვლილებას უწოდებენ, ან უბრალოდ ბგერათშენაცვლებას, თუ კი ჩანს ცვლილების გამომწვევი მიზეზი.

ტაოურიც არაა გამონაკლისი ამ მხრივ. დიალექტში ყველაზე ხშირია სონორ თანხმოვანთა შენაცვლების შემთხვევები.

**ნ>მ** : ხედავს მა, შეფთხდება, ჩამოვა იქიდამ; შე უკნედან, ისაც წინიდამ წახვალ; იმას რაც იმა ჩამედღეფს სახლიდამ; იქედამ აქ ჩამოსულვარ; ქობუკნიდამ ვადა, ვარდყვანალი ჩყურია; ახლოს ჩემი სახლი უკნიდამ; თადამ, ძირიდამ, ბითთავა; ჯიდიდამ მარჯუენასი; ღარჭიდამ სამი თორუმი; ქონობანიდან ვარ, ქონობანიდამ; ძირიდამ მალეები არიან, თადამ თივა უჯოხავ; დედლევა წვიმადამ, ტალახი დედლევა; ჩემი ქალი ქვემოთიდან, ჯევაადამ; ჯინჭკველა// ჯიმჭკველა...

**ნ > ლ**: არ იტილო, გოგოლი, ნა მოვდე მილდონითაო; დაქორწილდი, გეთხუე; ბიჭი დაქუარწილდება, ბგანო გეთხუება;

**რ > ლ**: არ იტილო, გოგოლი;

**ს > ჰ**: ჩემი გოგო ჰად არი; ო, იმაჰაც მევეწონე და კად იქნა და; ჰად წევდა, ო ვიცით; ახლა მე თორი მყავსა დაჰაქორწილებელი;

**ს > შ**: ქობუკნიდამ გავლიხან დემშტვინე და გიდდარე;

**ბ > ვ**: გახვალ ისე, გედსხნევა;

**ვ > ფ**: ყამად ვიქამთ, შეფჭამთ;

**ვ > ლ**: მოსულა და დუნახლელა წასულაო (//დუნახველა წასულა);

**ტ > თ**: ანთალიაში უნა წევდე; ე თახთით გაკეთებული, შეში თახტით; ე თკივილი გასკტა, გაქარდა;

**კ > ქ:** აქედამ ხუთი ქილომეტრე ზემოში (ნასესხებ სიტყვაში); ასქილი არი?; თუ არ იგნავ, არ ვილაფარაქო;

**ყ > ლ:** იმხან ბალანეფს დეაშილები;

**ხ > ლ:** ბოსტანში ჭანალი არის, ისპანალი არი; ნ არი, ხალლი ნ არი; იქ ოც ოჯალია, ოც;

**ღ > ხ:** მერე რაცა შიგა იქნება ჩადებული, იმა ქარჩხამდი ჭამს, მაგრამ: საქარჩილო მიწაში ჩაჭყრით...

**ყ > კ, ნ > წ:** ე ბურკა, ე კურწი, შიგანაა ბურკა;

**თვის - თვინ:** ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაცია: დათუისთუნ უთქვია ქი...

**ხმოვანთა მონაცვლეობა:** ე>ი: იქი მოვბრუნდებოდით, ამა ვთისვიდით; სხვინზე, ო, ო;

**ე>ა:** კვირე>კვირა;

**ა>უ:** ერთიც პუტურუდ ჯობო არი.

### 1.3.7. ბგერის განვითარება.

ტაოურ მეტყველებაში, სხვა ქართველური დიალექტების მსგავსად, არცთუ იშვიათად ჩნდება ესა თუ ის ბგერა, რაც, როგორც სხვა ფონეტიკური პროცესები, კანონზომიერი პროცესია. შესაძლოა განვითარდეს როგორც ხმოვნები, ისე თანხმოვნებიც. თანხმოვანთაგან უფრო ხშირია სონორთა გაჩენის შემთხვევები, ხმოვნებიდან კი - ი (უფრო ხშირად) და ე (იშვიათად).

ა) თანხმოვანთკომპლექსის ხმოვნით გათიშვის შემთხვევები:

**ე:** სველი არა, ჳემელი, ჳემელ დავდეფთ შიგა; ჳემელი თივა, ფურცელი;

**ი:** კიბილი ჰადლა მაქუა, ქი ემენტოს; კიბილები ქონებია ასე; ბოსტანში მოვა, ომოვა გირბელი; კილდეზე დაკოკომდა; ჩირდილია მალლა, ჩირდილში გასულა; ერთიც პუტურუდ ჯობო არი...

**ბ) თამხმოვანთა განვითარება:**

**1.სონორები:**

**მ:** მემრე იქ ჩუენი ყანა ორი თანე; ა ისეთი მცოტა-მცოტა ადგილებია; იმხან ქოდეში რამ არ იყო, ახლა გახდა ყუელამფერი; მემრე მალაზიაში წეყვან, ყოლამფერს უღეფ; იქედამ ქი წამოსულან ასე, ქი დამრჩალან;

**ნ:** და ორი წყვილინ, ეთი წყვილინ ჯარი ჰყოლია;

**რ:** სახლისი ძუელ ადგილას სათივრე, იმაში დაჯოხვენ ზამთრი;

**2.ჩქამიერები:**

**ფ:** შად ტყე გაფსკტა, შად კაცი გუმუარდა;

**კ:** ძეწკნი არი, ძეწკნი;

**ჩ:** დილბერე ჩუჩხაკუნეფთ, ისე იზავთა, ჰად ვიცი;

**შ:** მაწუნის უკან შეშქამ.

**1.3.8. ბგერის დაკარგვა.**

ყველა ფონეტიკურ პროცესს მკაცრი კანონზომიერება განსაზღვრავს (ბგერათა მეზობლობა). ამა თუ იმ დიალექტში შესაძლოა ერთი ბგერა სხვა ბგერად იქცეს, ან საერთოდ დაიკარგოს.

ტაოურ მეტყველებაში, როგორც სხვა ქართველურ დიალექტებში, ბგერათა დაკარგვის არაერთი შემთხვევა დასტურდება.

ტაოურში განსაკუთრებით საინტერესოა რ-ს დაკარგვის შემთხვევები. ეს ფონემა ძალიან ხშირად სრულად იკარგება, ან იოტად იქცევა, ზოგჯერ სუსტ, ყრუ რ ბგერად ისმის.

**რ:**

- **რ - დ:** აბლი ცქვიტა ხვამათობენ ზოგნი და ზოგნი ვხტები; უწინ ჯადებ, ძროხებ დჭაბილით; მე შენ მეგეხმადები, მე შენს მემეხმადები, ისე ვაკეთეფთ; იმა ძალუზა იცის, იმა იხვამათოს (ყველგან, სიტყვაში - იხვამათოს - რ იოტადაა ქცეული); წყალი მოა, ეზო თედეფში წყალი მოა;

- **რ იკარგება:** ქოხუკნიდამ ვაღია, ვარდყვაილი ჩუყრია (როცა კომპოზიტია ვარდი, მაშინ ინარჩუნებს რ-ს და როცა ცალკე სიტყვაა, მაშინ ყველა მაგალითში იკარგება);

ფუტკარ იჯება და სხვა **წა** ვიცი ქი; აქ ა ვაგდეფთ გურჯიჯა, გურჯიჯა ჭხვადათოფთ ბოდნა; **რ**, ჰექია-მექია წ მაგონდება; აქ წ გუაქუა და ქომო არი; აქ **მწო** ბალი არი; ბოსტანში **ჭხალი** არის, ისპანალი არი; სხვა **წა** ვიცი; თუე, **მტი**, აპრილი, მადსი; ზემოდან მოდის ამა სახელი რამა წ ვიცი; **წა** უსდივართ, სამ დღე უკან დავფორჩხაჭთ; დუეგვეცემო და **კნათ** გავხეგნავსო; **გამხამა** კაწა-პუწა; **ეთი** წყვილინ ჯარი ჰყოლია; **დაზდილია** ი შეხედეთა, **თუელზე** ამევეფთ, კადა;

- **ყრუ რ**: დეკაცი მესელეა, შე დეკაცი **ხარ** (ბოლოკიდურში, ხან ისმის ეს რ, ხან - არა); ხანჩი ჭხთები და ხანჩი ვერ **მიმვხდარვარ**; ლაჰანა **მოჭხარშავთ**; დუგუნში საჭმელი ფილაა **აი**, **ხორცი** არი, **ტოლმა** არი (ხან ისმის არი, ხან - აი); სხუა რა არი? დო **ერბოთი** გუმტანოფთ; **იმარხავთ?**; ის **სერეკარი**, მაჰალე, ის **ჭედლმანკარი**, ესეც **შაბალმანკარი**; **წრ** დიგინახიან (ამ შემთხვევაში თან ხმოვანი დაგრძელდა და ბოლომდე არ დაიკარგა რ); ე გურჯიჯა არი, ჰო; **ჯუოხური** იცით, **ჯუოხური?**; **გოდორი** ა ამბაში, ამბაში; თქუენში **სარწყაა** არი? **რწყავთა?** (როცა კითხვითი სიტყვა იწყება რ-თი ძალიან კარგად ისმის); მე **არსა** წავალო, ვიქნები ბალკსაო; ბიბერა **აღარ** არი;

**მ**: **გელი**, **გელი** მოკალ; აქ **რო** ვიკითხე ხუთი წელწადი, მასუკან წაველ ბურსა; სოფელში ნაყორი ადგილ არი ჩუენი, **თა** ზემოთ; ამ **თაში** უკნიდამი სოფელი არი; ვაშლი გუგზავნე, **სხალი** გუგზავნე;

**ლ**: **სახში**, ჰასთახანაში გამოვდა; აქ ქონობან **სახში**, სოფელში; ადულებენ, **ო**, **ცეცხზე**;

**ს**: **იმა** ჰამს; **ჩემ** ჰალაში ფური ძოვს, **იმან** რანა მედწელოს; **დათვიწყარო**; ჩემია ი ადგილი; **ხიდითავი**; **ჩილდიკევი** (მაგრამ: გუდასკევი); ყანა აქ არ არი; ჩუენი ძაღლები იქ არი; **იმა** მისცემ; **იმათ** **ნარცხ** უზმენ, **წყალ** გურევენ; **ფურცელი** და **თივა** **ერთმანეთ** გურევს, გურევთ, **ძროხებ** მივცემთ; ახლა **სახლებ** ზედან ბალკონ არი ძა; იმ ქომოთკე **ქართუელ** ვედარ იპოვი; ამ ჰოროხისი ე ადგილი არი; ე თახთით გაკეთებული, **შეში** თახტით; რწ **ყურძნი** სახელები?; **ამა** ვთისვიდით;

**ვ**: **ვარდყვადლი** ჩუყრია; **ყვამა** თუ ყართალი; **კიდე** დევპპკეფთ; იქ **წასლა-წამოსლა** ძოხ; აქ ეთი **ფიშნარკეძ** არი; ქომოძ **ელმასხეძ**; ხუთშაფათი, **ჰარასკეძ**; წყალი **მოა**, ერბო თედეფში წყალი **მოა**; **შამ**, თეთრი ყურზენი; **ლებჟო** **მოა**, ლაზუდი; თურქჩასაც ეჩვედან **ღენჭები**; შენი **თამ** მინდაო; **ქესადგურიდან** უნდა მეძტანო;

**ნ:** კენ: უკნისკე მოვტრიალდი ქი, გოგო თუალი წამოგვკარ; იმ ქომოთვე ქართუელ ვედარ იპოვი; თავშხამისკე გორამეთია; მიდდან ისტამბულისკე, ანკარასკე, ბურსისკე;

**ნ:** შე გაღმი, მე გომოღმი, გულმა რანა გედსვენოს; შე დეკაცი ხარ; ჩუე გათხოვილი ვართა; ესეც ვეტყვით, კიდე შე რა დილბერები ხარა; უწი იყო; ჩუე გათხოვილი ვართა;

**დ:** ორშაფათი დღე ანთალდაში უნა წევდე; უნა მორწყო ქი; დოხ ასე უნა ვენათ, ისე ნა უნა ვენათა; ე და წასულა ი მოსაკითხელა; ო, წავინენ, ო;

**თ:** დღისი არა, ღამეში; ხუთმეტი არდან ჩემი; ზემო, ფიშნარაგევ დაღლაში;

**ხმოვანთა დაკარგვა:**

**ი:** ორ წელწადი ხოფა ვარ ახლა; ა, იმ ქედზე გამოჩნდება გუდასკევ; სოფელში ნაყორი ადგილ არი; პირველათ მანქანებ არ იყო; ქომო პეტრედ ბალჯ არი; იქ ოც ოჯალია, ოც; ათ დღე შეექნა; დევნახავთ, მოვკლავთ ამა;

**ე:** მეტი წვიმა გარცხავს;

**უ:** ჰოუ, გუყავს, პირტყვებიც გუყაჟან..

შესაძლოა დაიკარგოს მარცვალცი: ი დუკიდიან, ისე ყოფილან დაკიდიული: -ებ-; კიდე დევპაკეფთ: დავილაპარაკებთ - იკარგება რ, მარცვალი - ლა-, ხმოვანი - ი; ჩუე გათხოვილი ვართა, დეკაცს გუეტყვიან: -დე-; ბოსელის ზედამ, სათივლე არი: -ვი-; პატა ხანს უკან: -რა-; ედ, მოტაცული ის არი, მოტაცული: -ებ-..

როგორც ცნობილია, განსხვავებულია სხვადასხვა დიალექტში ამა თუ იმ ბგერის დაკარგვის ცალკეული შემთხვევები; მაგალითად, დიალექტთა ერთ ნაწილში შეიძლება ერთი და იმავე სიტყვის სხვა ბგერა დაიკარგოს, მეორე ნაწილში კი სხვა ბგერა. განსხვავებაც მხოლოდ ამ დონეზეა ტაოურსა და სხვა ქართველურ დიალექტებს შორის, ისე კი ერთიანი, საერთოქართველური კანონზომიერება მოქმედებს.

### 1.3.9. ბგერათა შერწყმა.

**აუ>უუ>უ>უ:** ჩავალთ დილაზე ქი, ჭალები დუთხრია; იმ დათვებზედაც ემე დუკიდიან; ქოხუკნიდამ ვაადია, ვარდყვაილი ჩუყრია; მოსულა და დუნახლელა წასულაო; სახლი-კარი დუყრია; ა ასე შემეხვეწებიენ, გუხარდები ; ვაშლი გუგზავნე, სხალი გუგზავნე;



დათვსაც დუჯერია. ქი დუჯერია, ამას გუპარცია ი დილბერა; შეშები მუკრეფია, მუკრეფია და თოკზე დუწყვია; თუ აი, დუკრავს ისაო..

ა-ი>ე-ი>ე: მოკლა, ა, იქ წყალში ჩევდა; მე აქ დევბადე; დევნახავთ, მოვკლავთ იმა; თქვენ ბაზრამ გევგონე, ტყუილია თუ მართალი; წევნეთ რუს უკან, რა შეხვთება ჩემს უკან; იმ გზას უკან ქი წევდა და ქომო გოლი არი, გოლში ჩევიდა.

ბგერათა შერწყმის სხვა შემთხვევები განხილულია ხმოვანთა სინტაგმატური ანალიზის დროს, ამიტომ აქ აღარ განვიხილავთ.

ბგერათცვლილებებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ დიალექტი ორენოვნობის პირობებშიც კი ექვემდებარება ქართულისა და ქართველური კილოების ფონეტიკურ კანონზომიერებებს, რაც გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ტაოური მეტყველების ფონეტიკური სტრუქტურა ინარჩუნებს თავისთავადობას; ასევე, რიგ შემთხვევებში, არ გამოირიცხება უცხო ენის (თურქულის) გავლენაც.

## II თავი

# იმერხეული დიალექტის სამეტყველო ბგერათა სინტაგმატური ანალიზი

### II.I. ხმოვანთა სისტემა. დისტრიბუცია და სინტაგმატური მიმართება

#### 2.1.1. ხმოვანთა სისტემა

იმერხეულში, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, გვაქვს ფონემატური ღირებულების ხუთი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ და მათი ნაირსახეობები, გამოვლენილი სხვადასხვა პოზიციაში: ა - ა; ე - ე; ი - ი; ო - ო; უ - უ, უ, უ; გ.

როგორც ტაოურში, ისე იმერხეულშიც, გრძელი ა ე ი ო უ ხმოვნები მეორეული წარმომავლობისაა. პალატალიზებული ბგერები ძირითადად თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში გხვდება და რიგ შემთხვევებში თავისუფლად მონაცვლეობს სადა ხმოვნებთან. ნეიტრალური გ უფრო ხშირად თანხმოვნის მომდევნოდაა გავრცელებული და წარმოადგენს რომელიმე ბგერის პოზიციურ ვარიანტს.

სალიტერატურო ქართულისა და იმერხეული დიალექტისთვის საერთო ფონემატური ღირებულების ხუთი (ა, ე, ი, ო, უ) ხმოვნის დისტრიბუცია თავისუფალია, და ისინი წარმოებისა და რაგვარობის მიხედვითაც იდენტურია. მათი პარადიგმატული დახასიათება მოცემულია ტაოურში და აქ აღარ წარმოვადგენთ.

#### 2.1.2. ხმოვანთა დისტრიბუცია

##### 2.1.2.1. ა ე ი ო უ ბგერები

მეორეული წარმომავლობის გრძელი ხმოვნები იმერხეულში ძირითად შემთხვევაში წარმოქმნილია:

#### 1. იდენტურ ხმოვანთა შერწყმით:

ა: გაცივა, გაგდო მეგრემ ქალი (<გააცივა, გააგდო);

ე: ი კაცი ყვიროდა ტყეფში; (<ტყეებში);

ბ: ეწიკება, ეწიკება, მრტანა ქი ქუთუგი (<მიიტანა);

რ: წევდე წყალი მევტანრ (<მოვიტანო);

შ: ფენა ლამაზათ ამუყრდა იქეთ-აქედან (<ამუყურია<ამოყურია - ასიმილაციის გზით).

## 2. ტონური მახვილის შედეგად:

ა: დაწოლიხან დედეფ, დილმდი გექნება; ჭალები დაჭრმდი ერთ ავლენ; ანაჲ ერთ თანე ანაჲ მყავს აქ მრტო; მემრეც კარგა ეთამ მალე დნპაბემონ; შინდ მოხარშავ, ლამაზათ წყენში; ი ალზგზე-ნა გებანო; ჩადებ ჰსსეზე, გადნბრუნებ; კი, აპს!; ქალიც ერთია, ხო, მაგრამ... კარგა მეხარშა ქი; ო, დნ გეგონება მორი გეგიგორებდაო; დავაკრაჲთ, ჲქმით აგურ და ახლა იმდენი აღარ ალი; იცი, ზნათენ;

ბ: ერთი დრდი კაცი ყოფილა; აღმა ბადრყანეფ ვუზახნით;

ქ: თელი სოფელი ადნი ამ თერეფში იშთა; თელმა დედწყეს ჩაცმა; იქა უსტებ უკეთნებია ესენი; ჰქ, ივმარეფ რაცხაში; ჰქ, არა, მაშინ არაფერი არ უთქვამს; ერთანე ჰერგუნ ართვინ ჩავა; ჰელე ბაზგირეთ იხვევენ; ამ სისწორ ასე ვაწორეფთ; რუს გავაკეთეფ ასე; ნენეგო, დოჲძახეფთ;

შ: დეგიწივლეფს, ცშ, ემეს იქს; გშნი ბელლი არ ალი ადნი; კშრადლეს სადამოპირამდე; ფშტბოლი თუ არი; იქ ზემოთ არი მიშირლი ქშდ; ბაზგირეთ?; წყვია; ამოვიდოდენ იმ ზედ რუსები და, წითელ-წითელი სშლ და გვიყურებდენ;

რ: რ, არ გაგარონებდენ; იმასაც ბეჲრი შეხედა უნდა, ჰრ; ჰრ, მალლიდამ ეშინია და ვერ მოსულა; რ, ჰამამ აგზე გეჲარე; მილლეთი იმდენი მედყრებიან, რრმ შენ გონია ქი, ემეა; აბა ყანები ბრდნა სიმიდ ჲთესევედით;

### 2.1.2.2. ნეიტრალური გ ბგერა

ნეიტრალური ბგერა იმერხეულში შემდეგ პოზიციებში გვხვდება:

- C-C: მრტანა, გუგემები დწყო ქალმა; მევისხნაო, ე გუგემებიც დავაწყო და გევძქეო; წყალსემერი, შოლდიკევი; ზედაჲ სოფელ ივეთ, მესირილ ქვია; ამ სოფელში არ მოვსულვარ, დგმავიწყდა; ადნი ბაჯო ყესა, ბაჯი; მედდანჯიქ, ბალგხლი; ჰანი რომ ბგზე არ

გამტა, იმ დრობამდინ ილოცავ იმა; ჰო, ასე გაყვრმიზდება, გამწცხოზ, შჭამ; ხოჯას ასგნდა ისენი არიან და;

• პოზიცია #-C: ო, აპა, გახმეს გნდა; ადგე-გნდა თქრელ-და ჩახვიდე იშთა; დედნახეო დათვმა გნდა დაქჭჭამოსო?

როგორც მაგალითებიდან ჩანს, იმერხეულში ნეიტრალური გ უმეტესად C – C პოზიციაშია გავრცელებული და ფუნქციურად, უმეტესად, ანპტიქსური ხმოვანი, თანხმოვანთგამყარია.

ძირითადად რეალიზებულია თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში: იქ არჰაბე არი, ბგნდგხლი არი; ჩტენ ყვშლწების ზედან იმათი მააღლა არი; იშთა ზამანგნდა დწრიგებმან; ყარგნჯამ, ყარგნჯამ, წწრილია ისენი; დილათ ენთო და გასკვდა; ყვრხლული, ყვრხლულ ეტყვმან; მე ყვრხი ქი მაშინდა ვარ; ყვრხ კოდი ჩავა, ყვრხი; თუ ყვზართმა გინდა, ფათლიჯანი ყვზართუსუნ, ბიბერი ყვზართუსუნ; ამ ზემოთ ყვშლა გტაქ ჩტენ...<sup>23</sup>

### 2.1.2.3. პალატალიზებული რ და ლ ბგერები

პალატალიზაციის შემთხვევები იმერხეულში დაფიქსირებული აქვს შ. ფუტკარაძესა და მ. ფაღავას. შ. ფუტკარაძის აზრით, პალატალიზებული ხმოვნები იმერხეულში მხოლოდ თურქული ენიდან ნასესხებ ფორმებში გვხვდება. მათი პოზიცია მყარია და სადა ხმოვნებთან არ მონაცვლეობენ (ფუტკარაძე 1998: 42).

მ. ფაღავა თავის დისერტაციაში აღნიშნავს, რომ პალატალიზაცია სამხრული კილოებისთვის მეორეული მოვლენაა და ძირითადად თურქულ ენასთან ხანგრძლივი ურთიერთობით უნდა აიხსნას (ფაღავა 2003: 138).

მ. ლაბაძე მსჯელობს რა მურღულურ-ლივანულ კილოკავში ხმოვანთა პალატალიზაციაზე, აქვე იმერხეულ კილოზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ იმერხეული კილოს პალატალიზებული ბგერები ისეთივე „ნასესხებ ფონემებად — უნდა ჩავთვალოთ, როგორცაა მაგალითად, ლაზური კილოების, ან ფერეიდნულის ჭ ბგერა, რომელსაც

<sup>23</sup> თურქული სიტყვები გადავამოწმეთ თურქულ ლექსიკონში და ვნახეთ, რომ ნეიტრალური ბგერა არაა აღნიშნული სპეციალური ნიშნით. მას გამოთქვამენ მეტყველებისას თანხმოვანთგამყარად, როგორც ქართულ, ისე თურქულ სიტყვებში.

ამჟამად ხსენებულ სამეტყველო კოდებში უკვე სრულფასოვანი ფონემის სტატუსი აქვს (ქლენტი 1965, გვ.22; ქუთელია 2005, გვ. 34; ასევე ჩიქობავა 1925, ჯორბენაძე 1989, გვ) (ლაბაძე 2013: 36).

ჩვენი აზრით, საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს და დარწმუნებით იმის თქმა, რომ იმერხეულში დადასტურებული პალატალიზებული ხმოვნები ნასესხები ფონემებია, ვფიქრობთ, გაჭირდება; გარდა ამისა, პალატალიზებულ ხმოვნებს არც ფონემის სტატუსი აქვს და იმერხეულში მეორეული წარმომავლობისაა, ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია და მიიღება **ჭი>ჭ** და **ჭე>ჩ** გარდაქმნებით: **კჭირა>კჭრადღეს; მჭერე>მჩრე**.

ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის მიხედვით, იმერხეულ ტექსტებში პალატალიზებული ბგერებიდან **ჭ** უფრო გავრცელებულია, ვიდრე **ჩ**. სჭარბობს ნასესხებ ლექსიკაში და იქაც მერყეობა შეინიშნება, პალატალიზებული ხმოვნები იმერხეულში, უმეტესად, თავისუფლად მონაცვლეობს სალიტერატურო ქართულის ფონემატური ღირებულების ხმოვნებთან: ეტყოდნენ, ქი **დუგუნი** გჭაქ და მოდიოთ; ვინცხას **დუგუნი** აქ, ისენი იპოვდენ; **დუგუნი** ბეჭრი ხანია იქნა იმათი; **დუგუნი** მოსვლამდი ვერ დედნახევდენ რა სოდაო; ურუბა **გურჯიჯა** არი; იმან უფრო ღორი ლაპარაკი იცის **გურჯიჯა...**<sup>24</sup>

1. თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში: **ჭ**: დეგიწივლეფს, **ეჭ**, ემეს იქს; **გჭნი** ბელლი არ ალი ძანი; **ფჭტბოლი** თუ არი; იქ ზემოთ არი მიშირლი **ქჭ**; ბაზგირეთო, **მოძრჭ** ყათში ვართ; ჰო, ის არი, **თუქჭრქ**; **ალთჭზირა** გამომივიდა ამაში; ბეჭრია, **ჭ**, ბეჭრი; **ჭზ** მიცემს, **ჭზელის** მიცემს; იქ ზემოთ არი მიშირლი **ქჭ**, **გჭმო** ბელლი არ ალი ძანი; ჰო, **გჭრჯულად** ჩუენ ისე ვიცით და; ე ჩუენი ლაპარაკი ნახევარი **გჭრჯიჯა** არი, ამა ნახევარი თურქია არი; უსტები არძან აქა და საქმოზე, **გჭლთექინათან**;

---

<sup>24</sup> აღსანიშნავია, რომ პალატალიზებული **ჩ** და **ჭ** გაცილებით მყარი ტაოურ მეტყველებაშია და არა მხოლოდ თურქულ სიტყვებში, არამედ დიალექტურ მასალაშიც საკმაოდ დიდი რაოდენობით დასტურდება.

2. ქართულ სიტყვებში: **ჟ:** კჭრადღეს საღამოპირამდე; **რ:** ზაფხული მოდდა მი, ეს სოფელი მორე სოფლევ აჭარბევს; **მორები** თლათ ყურბეთში არდან წასული, ზაფხულში მოდდან ისენი.

მართალია იმერხეულში პალატალიზაციისკენ მიდრეკილება ნაკლებია, თუმცა ქართულ ლექსიკაში დადასტურებული ერთეული შემთხვევები საფუძველს გვაძლევს აღნიშნოთ, რომ ხმოვანთა პალატალიზაცია მხოლოდ ნასესხები ლექსიკისთვის არაა დამახასიათებელი და ისინი არც სრულფასოვან ფონემებს წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ თურქულიდან ნასესხებ ფორმებში პოზიციურად გვხვდება.

#### 2.1.2.4. **ღ და ჟ ბგერები**

იმერხეულში სონორული ბუნების წყვილბაგისმიერი ჟ-სა და პალატალური **ღ**-ის გავრცელების სიხშირე დიდია.

**I. ღ** გვხვდება სხვადასხვა პოზიციაში: 1. V-# (ხმოვნის მომდევნო პოზიციაში), 2. V-V (ინტერვოკალურ პოზიციაში), 3. #-V (ხმოვნის წინა პოზიციაში), 4. V-C (ხმოვანსა და თანხმოვანს შორის).

**1.V-#:** სახელი ქემალაღ მქვია; ათარაღ მქვია; იქაღ ჩანჩხალას ამბობენ; გუშინ რომელი იყო, ეკაღ? ერთიც ქალი იყო, გოგოღ; რომენაღ ერთპირაღ მორჩეს; ჩემი ბოდნა ემეღ, ანაღ, ბაბოღ, ემეღ; კუთნიკალოღ ერთი ალაგია, იქაღ; ზოგიც ცხემლაღ, უზრავაღ; ამა ქომოთ, ჰო, ჯჭარისხევაღ ქომოთ; შენთანაღ ამითანაღ ბაღვები; ერთ ბერმა ჩუმაღ გამეფყვანა; ამა იქითაღ საჯინჭრე, ჯინჭველაღ; ერთი წინაღ გადაწურე; თურქულაღ ლაპარაკობენ; თერთმეტი რაღ იყო; რავაღ სამობენ, რავაღ მღერობენ; დაბაღ, დაბური; აბა, უჩუმალაღ ვერ გეგებენ; ასე ტიტველაღ აქ არ გაგარონდებენ; დიდი წვიმა, ხოშკაკალაღ თუ მევდა; მარჯუნაღ, მარჯუნაღ; წავალთ, სასამურაღ, სამღერელაღ წევდიოდით; დის ქმარი სიზეღ;

**2. V-V** პოზიციაში **ღ**-ს, უმეტესად, იძლევა ი: კააღ იშთა; ერთი ცალფეხააღ, რა ვიცი; იგზე ვინცხა გეადრს; ჰო, მელააღ, კვერნააღ; იქ ავლენ, თააღ; ა, ისე ჩეადრ; ეადრ იშთემ ოხოთებ ვუზახით; იქითიდან ამეადრენით და; აქაც ჭახრაკააღ, იშთე; ჩემი თავი რასოდაო; ტააშვილები არალ სენათის ტყე, დიდტყეააღ; ბუმბულააღ, წოწოლააღ, მაჭახლელააღ;

წარება სხალი; გურჯიჯა ყოლადა; მაგა ადაჰყაბი, ამა ელლი ქი; ის თავღადა, მესელა; ჰო, ტააა ემო;

3. #-V პოზიციაში **ი** უმეტესად გვხვდება ნასესხებ სიტყვებში **Y**-ს გადმოსაცემად: **იუხაზე** მოაყრი; **იანი**, აღარ იქმება; **იადლა** ჩორბასავენ; მარილსაც ჩაყრი, გახდება შორვა, **იემეგი**; **იად** განდნოვ; ართუხ ბაჯალა **იადგორა**; **ო**, ცოტა **იადლი**–**ბადლი** ქალი; სულ **იადანჯი** ინსანი მტა, ისენი **იანი**; **იადლები** არიან; დომუზია, **იადანი** თხა არი; **იად** საც შედლობაჰთ; მდორეს **იადრიმ**, **იადრიმჯი** არა; არ უნდა მოკრიფო **იადილი**; გახდება **იემეგი**, შჰამ; **იადნები** იქ ცოცხლობენ; **იადიხან** ონიქის უკან... ერთი შემების **იადიკები** გტაქ; თითო **იადიკ** ბითთავ უღევ;

ქართულ მაგალითებში: **ო**, ეს **იონჯა** არი; გინდა **იადრე**, გინდე რაცხა გინდა ი ქენე.

4.V-C: იმიზამ **იოტადლა** გურიო და; **იანი** ყართოვ **იადადცხა** ვუყურეფთ; ისაც **იელკაცადც** ახლა ის ემნები არდან **იად**; სიტყვაში: იქედან თავის თავისთვინ **იადტანა ემე**, წყალი; **იუდში** ჩაყრი; დადექ, **იადცადე**, მოდი; **იურუგადს** ებნევიან, **იადლურ**; ის გინდა, **იადმინე**; მოკუტდება, **იადყრებდან**, მოთხრიან; ამეადრე, **იადნახეთ**..

## II. უ ბგერა.

უ იმერხეულში გვხვდება შემდეგ პოზიციებში: 1. C – V (თანხმოვანსა და ხმოვანს შორის), 2. C – C (თანხმოვანსა და თანხმოვანს შორის), 3. V – C (ხმოვანსა და თანხმოვანს შორის), 4. V - # (ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ) 5. # - V (ხმოვნის წინ პაუზის მომდევნოდ), 6. V – V (ხმოვნებს შორის).

1. C – V: ჩომაზე ბეური იხტაჯი აღარა გტაქ; **ჩუნ** მარდობას წევდოდით; ერთ კუირე ვიქნებოდით; სულ ძუელათ **თუეს ქტია**; **ყტელამფერი** მივტანეთ ზამთრითვინ; **ყტავები**, **ყტავები** თლათ; იმათაც ემე აქტან ერთი; მარტო ისინი დარჩებდან, **ყტელად** პოვნულობენ ერთპირად; **ფქტილ** ჩაყრიან, **ქადი ფქტილ**; ფურცელ ჩვაყრიდით **მოხარშუიხან**; გევტანდით იქა, **ბადშუები** დავაჰედებდით; საქონელს **აქტან**; პატარად **ბადშუები** კარი-კარ მეადრდენ; დღეს ახალწელიწადადო, **ხტალო**; ბიშ ჩავასხმევნდებდით, **ქტამდით**; იმა წუნ ასტემდენ; **დაჩხტერდა**, კიდე ჩამოტტანდა; **ამგტარობა** ბეური არი აქა; იმა შიგნიდან ემე აქ **თტალი**; **ჩუნნი** გტარი ზუმბაზე, **ცხტარიზე**; ასე **გტარგტალი**

გაწვიმდება; სუანეთი ივეთლების ერთი ადგილია; ახლა ის ცქუიტად იჯება; ყუალა ბალახი არი; ესაც ერთი სხუანადრი; ჰალა ორი თვე კიდო გუიკლია;

2. **C – C:** წურილი ვირებ ეტყოდენ; ფქუილ მოქუცემდენ; ახლაც ვინმე ბალუში აღარ არი ქი; მოჰკრეფდით, ჰუამდით, გაჰრცქუნდით; ამდენი ჩომა ქუყავს; ამა იმას ჰურიით; შერეფში ჩასულა გინდოდეს, აქედან ოთხი არაბა სერვისია; ო, ასე წურილ-წურილათ დავაწურილებ კარგა; ჩემი კუდარი ჩემ ადგილზეა, იმისი კუდარი იმის; მემრე ზედანას სუსამი არ ქუქონდა; აქ ათ ემეში მოსულამდინ აქ ვიყავი მე; რაცხას გამნცხოზდენ, შჰუამდით; ჩუენ ჰუამეთ ახლა;

3. **V – C:** ო, შარშან და წრეულ; ახლა აქეური, დაწერეთ აქეური; ლობიო ხაშლები წაქცეულ იყო; თაურობა აგზეა, აგზე ბეური არან; ო, იფხრეულ, იფხრეულ; მჰად დავფქუავთ; ჩუენებურ თაურობაზე მიველ; იქ იფხრეულიდან; ყუელამფერი მივტანეთ, ზამთრითუინ გეუჰაზირეთ; დილაზე აუდგებოდით, ქი ყოჯნ ყანა ჩოუჰრელია ღამეში, გათენდა, ქი ყანა ჩაწოლილა.

4. **V- #:** გოგოჰ, გოგოჰ ფაცია, თეთრი კაბა გაცვია; თავმაჰ დავბანდით ფუტკრი ნაკბენზე;

5. **# - V:** ბალვი ყოჯნ გაცდა მეგრემ, უარდაცა აქ, მაქინაცა აქ;

6. **V - V:** ჰამამ აგზე გეუარე.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, უ-ს გამოვლენა პოზიციების მიხედვით შეუზღუდავია. ყველაზე ხშირად გამოვლინდება **C - V** (თანხმოვანსა და ხმოვანს შორის) და ტაოურის მსგავსად იშვიათია უ-ს პოზიციაში, უმეტესად გვხვდება ვ-ს მონაცვლედ.

### 2.1.2.5. დიფთონგები იმერხეულ დიალექტში

დიფთონგები, როგორც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი, გვხვდება როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა საზღვარზეც. იმერხეულ დიალექტში გავრცელებულია როგორც დამავალი, ასევე აღმავალი დიფთონგები და წარმოდგენილია სამივე პოზიციაში: სიტყვის დასაწყისში, შუაში და ბოლოკიდურად.



## დამავალი დიფთონგები.

### I. ა:

სიტყვის ბოლოში: **აა:** ქემალაა, ათარაა, იქაა, ეკაა, რომენაა, ერთპირაა, ანაა, ცხელმაა, უზრავაა, შენთანაა, ამითანაა, ჩუმაა, ჯვარისხევაა, ჯინჭველაა, წინაა, თურქულაა, რაა, რავაა, დაბაა, უჩუმალაა, ტიტველაა, მარჯვენაა, სასამურაა, სამღერელაა, ხომკაკალაა; **ოა:** გოგოა, ბაბოა, კუთნიკალოა; **ეა:** ემეა;

სიტყვის შუაში: **აა:** ჩურუგაას, ცოტაადა; **ეა:** დედნახეთ, დედიხე, მეფრებინ, მეტანა, ამედარენით; **ოა:** რასოა; **უა:** ყუაში.

**აღმავალი დიფთონგები:** სიტყვის თავში: **აარე, ააშიკები, აანი, აემეგი, აალ, ააბანჯი, აერი, ააილა; აო:** აონჯა;

სიტყვის შუაში: **აა:** ეაარ, გეაარს, ჩეაარ;

სიტყვის ბოლოში: **ააქახლეააა, აოლააა, აქახრაკააა, აელააა, ავერნააა, ათაა, აწარეა.**

### II. ა - ე/ა/ი:

**აღმავალი დიფთონგები:** სიტყვის შუაში: **აა:** გააქ, შამომგაალებული, ცხაარიზე, გაარგაალი, სუანეთი, ხაალო, ჭაამდით, გაარი, ყაავები, თაალი, სხაანაირი; **აე:** ჩაენ, თაეს, ასაემდენ, ბააშეები, დააჩაერდა, ყაელამფერი, წაენ; **აი:** კაირე, ქაია, ფააილ, ყაელაა, მოხარააშეინ, გააიკლია;

**დამავალი დიფთონგები:** **აა:** თააურობაზე, თააურობა; **აე:** წააქვეაულ, იფხრეაულ, აქეაური, წრააულ, გააუააზირეთ; **აი:** გოგოაა.

მიუხედავად იმისა, რომ დიფთონგი იმერხეულში საკმაოდ გავრცელებული პროცესია, მისი მოშლის ტენდენცია შეინიშნება ზოგი მთქმელის მეტყველებაში: ისე ეაარე იქვერობა ქიო, ბაბამა, სად მივიდოდი არ ვიცოდიო; მედწონეთ აქვერობა?..<sup>25</sup>

იმერხეულში გვხვდება ერთეული შემთხვევები, როცა ზმნასთან და ზმნიზედასთან გვაქვს დამავალი დიფთონგი: **მემრეა** ხასათ გააქმება, მემრე გამოსწვენ იმა ცეცხში; **წევდეა** იქში, დელბერე ჩაა ადულდება. ბ. ჯორბენაძე ასეთი ტიპის მაგალითებზე აღნიშნავს, რომ **ა** დანართს წარმოადგენს (ჯორბენაძე 1998: 93).

<sup>25</sup> ასეთი შემთხვევა ტაოურში არ დავიდასტურებია.

### 2.1.2.6. ც ბგერის დისტრიბუცია.

ც ბგერა ძირითადად დასტურდება ექსპრესიულ სიტყვებში (შორისდებულები, ნაწილაკები) და მეტნაკლებად ყველა დიალექტში გვხვდება (თუმ.: ცუამბჷ „უამბო“, ციუკადრის „იუკადრისა“; ჰერ.: ცემაგ „აი, მაგრე“; აჭარ.: ცეჰ, ცაჰ, ცე ( ნიჟარაძე 1961; ჭან.: ცარ (ათინ.) „ერთი“, ციკითხუ < იკითხუ „იკითხა“; მეგრ.: ცეხ „ეხ“, ცაუ „აუჰ“; სვან.: ცახ, ცოხ (თოფურია 1979: 159); თუმ.: გაჰკეთ „გააკეთა“; ხევს.: დასტურებიჲ „დასტურები“, არაჲ, ჰაჲ...)<sup>26</sup>

იმერხეულ მეტყველებაში ც ბგერა უმეტესად წარმოდგენილია თავიკიდურ პოზიციაში და გვხვდება შორისდებულებთან:

- **თავიკიდურად (#-V):** ცუჲ, აქ ბგერი ზამთარია; ტყეში ცა, მეივა; ცუჲ, რასოდ გაწვიმდა; კაჲ. ცე იაბანჯი იყვეს, შამჷა, დაწვება; ცჲ, ამდენი ალი გამოვლილი ვარ; ცა, ცა, მარტივი ი სამი დღე ცეცხს, ემეჲს ჰნთებენ; ცეჲ, თქვენაც ოთხმოც წელიწადი იმათი იყავით; ას დორლარ, ცე, მე ორას დოლარ; ცენ უკანაჲ ყალუა ესა; ცე, ბაღვები იმფო კაჲ; ცეს არ არი, ეს ქექია;

- **ბოლოკიდურად (V-#):** აჲ, ამდენი ალი გამოვლილი ვარ.

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, იმერხევეში ც მკვეთრი შემართვა-დამართვის ხმოვანია და არც ისე ბგერი შემთხვევა დასტურდება. იგი ფონემად ვერ ჩაითვლება და ძირითადად ხმოვნის მაგარი შემართვის შედეგად ვითარდება.

### 2.1.3. ხმოვანთა სინტაგმატური მიმართება

ჩვენ მიერ ჩაწერილ და გაანალიზებულ იმერხეულ ტექსტებში დადასტურდა ხმოვანთა სხვადასხვა კომბინაციები, რომელთაც განვიხილავთ როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე, სინქრონიულ დონეზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ანალიზის საგანს წარმოადგენს როგორც პირველადი, ასევე მეორეული, ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიღებული კომპლექსები.

<sup>26</sup> აღსანიშნავია, რომ მეგრულ-ჭანურში ც წარმოადგენს ყ-ს პოზიციურ ვარიანტს: ყ > ც.

### 2.1.3.1. ხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში

იმერხეულში ერთი მორფემის ფარგლებში მხოლოდ ერთი პირველადი - **იო** - კომპლექსია წარმოდგენილი მხოლოდ ერთ სიტყვაში: **ლობიო**,<sup>27</sup> დანარჩენ შემთხვევაში კი მარტო მეორეული კომპლექსები გამოვლინდა.

წარმოვადგენთ მხოლოდ მეორეული კომპლექსების ცხრილს. თეორიულად დასაშვები შესაძლებლობებიდან გამოვავლინეთ **7** კომპლექსი: **აფ** - 25%, **ეფ** - 11, 1%, **აა** - 11, 1%, **აე** - 8, 3%, **იო** - 5, 5%, **აო** - 19, 4%, **ჭა** - 19, 4%. ცხრილის ფარგლებში სულ რეალიზებულია კომპლექსების **10, 8%**.

იმერხეული	
	მეორეული/ტრანსფორმირებული
აა	-
აე	-
აო	-
აი	-
აფ	+
აუ	-
აჭ	-
ეა	-
ეე	-
ეო	-
ეი	-
ეფ	+

<sup>27</sup> ტაოურში სიტყვა „ლობიო“ ყველგან ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმითაა წარმოდგენილი და გვხვდება მხოლოდ შემდეგნაირად: „ლებჭო“.



ჭო	-
უი	-
ჭი	-
უუ	-
უჭ	-
ჭუ	-
ჭჭ	-

### 2.1.3.2. ხმოვანთკომპლექსები მორფემათა ზღვარზე

მორფემათა ზღვარზე ცალკეულ შემთხვევებში შენარჩუნებულია ორი ხმოვანი სიტყვის ბოლოში. სამივე პოზიციაში - სიტყვის თავში, შუაში და ბოლოს - თეორიულად დასაშვები შესაძლებლობებიდან სულ გამოვლინდა **27** პირველადი და მეორეული კომპლექსი. ამათგან პირველადი კომპლექსებია: აე, აო, ეა, ეო, ია, იე, იო, ოა, ოე (9), ხოლო მეორეული - აე, აფ, აო, აჭ, ეა, ეფ, ეჭ, ფა, ფე, ფო, ოა, ოე, ოფ, ოჭ, ჭა, ჭე, ჭი, ჭო (18). ცხრილის ფარგლებში სულ რეალიზებულია პირველადი კომპლექსების **36, 0%** და მეორეული კომპლექსების - **39, 1%**.

იმერხეული	
	პირველადი
აა	-
აე	+
აო	+
აი	-
აუ	-
ეა	+
ეე	-

ეო	+
ეი	-
ეუ	-
ია	+
იე	+
იო	+
იი	-
იუ	-
ია	+
იე	+
იო	-
იი	-
იუ	-
უა	-
უე	-
უო	-
უი	-
უუ	-

იმერხეული	
	მეორეული/ტრანსფორმირებული
აა	-
აე	+
აო	+
აი	-
აჟ	+

აჲ	-
აჲ	+
ეა	+
ეე	-
ეო	-
ეი	-
ეჲ	+
ეჲ	-
ეჲ	+
ია	-
ია	+
იე	-
იე	+
იო	-
იო	+
იი	-
იი	-
იი	-
იი	-
იჲ	-
იჲ	-
იჲ	-
ია	+
იე	+
იო	-
იი	-
იი	+

ოუ	-
ოჭ	+
უა	-
ჭა	+
უე	-
ჭე	+
უო	-
ჭო	+
უი	-
ჭი	+
უუ	-
უჭ	-
ჭუ	-
ჭჭ	-

### 2.1.3.3. ხმოვანთკომპლექსთა ანალიზი

იმერხეულ დიალექტში ხმოვანთა მეზობლობისას წარმოიქმნება კომპლექსები, რომელთაგან ძირითადია ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიღებული ბგერათმომდევრობები. ერთი მორფემის ფარგლებში წარმოდგენილია მხოლოდ მეორეული, ხოლო მორფემათა ზღვარზე როგორც პირველადი, ასევე მეორეული კომპლექსები. ერთი მორფემის ფარგლებში სულ რეალიზებულია ხმოვანთკომპლექსების **10, 8%**, ხოლო მორფემათა ზღვარზე - **38, 0%**. მორფემათა ზღვარზე ხშირად ხდება ფონეტიკური ცვლილება ზმნისწინისეული ხმოვნების, ქცევისა და გვარის ნიშანთა შეხვედრისას.

აა კომპლექსი გვხვდება მეორეული გრძელი ა-ს სახით, როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა საზღვარზეც და ყოველთვის ტრანსფორმირებული



ფორმითაა წარმოდგენილი: სწი, ყანწ, ხისწ, გამწკრივე, გაწავეფ... ზოგჯერ იდენტურ ხმოვანთა შერწყმას თან სდევს სხვადასხვა სახის ფონეტიკური მოვლენა: ზმნისწინისეული ხმოვნითი ელემენტის შეცვლა: **ოა>აა>ან**: შემომამწკრივებ > შამამწკრივეფ, წამოადულეებ > წამადულეფ, გამოადრობ > გამამდროფ.

**აე** კომპლექსი გვხვდება მხოლოდ მორფემათა ზღვარზე. **აე**-ს გამოვლენის სიხშირე არც ისე დიდია: **აეშალა**, ჩაერთო, გადაერთყა, იმუშაეფს (<იმუშავებს - **ვ**-ს ჩავარდნით). **ა**-ზე დაბოლოებული სახელები უკვეცელი სახითაა წარმოდგენილი, შესაბამისად ვიღებთ მეორეულ **აე** კომპლექსს, ასიმილაციით: **სხვა>სხვაეები**, **ყანაწვერა>ყანაწვერაეები**, **რაცხა>რაცხაეებ**, **წეფთა>წეფთაეები**.

**აი** კომპლექსი წარმოდგენილია როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა საზღვარზე: **ჩაა**, **მაა**სი, **დაა**ბურეო, **დაა**ყვირეფ, **დაა**წყრ; **დამავიწყდესო>დამააწყდენო** - **ვ**-ს ჩავარდნით; **აე>აი>აა**: **ყენისა>ყაანისა**; **ანასი>ანაა**ს... **ოი>აი>აა**: **შემოიტანოს>შამააიტანოს**. **ოი** ჩვეულებრივ შენარჩუნებულია I სუბიექტური (ასევე II ობიექტური პირის) ფორმებში, ხოლო მეორე და მესამე პირებში გამოიყენება **მა**-**ზმნისწინი**, შესაბამისად გვაქვს **აი(>აა)** კომპლექსი (ჯორბენაძე 1998: 254).

**აო** წარმოდგენილია მხოლოდ მორფემათა ზღვარზე. წარმოიქმნება ფუძისეული ხმოვნისა და აფიქსების შეერთებით: **გაკეთაო**, **ემურებაო**, **გარცხაო**, **მუშაობდენ**, **ათაოს**...

**აუ** კომპლექსი გვხვდება მორფემათა ზღვარზე: **საუბნოა**, **აქაუ**რი, **გადაუ**ღეთ...

**ეა** კომპლექსი წარმოდგენილია მხოლოდ მორფემათა ზღვარზე: **შეაყრიდა**, **შეაშინებდენ**, **შეარცხვენენ**; **სუფიქსისა** და **ფუძისეული ბოლოკიდური ე**-ს შეხვედრისას: **ხანეა**, **ხეა**, **ღელეა**, **სავსეა**... **გაიარა>გეარა**, **ჩაიარა>ჩეარა**, **ამოიარეთ>ამეარეთ**, **მოვიარდით>მეარდით** (ასიმილაციით **ფუძისეული ი** იმსგავსებს **ზმნისწინისეულ ო**-ს და აქცევს **ე**-დ, შემდეგ კი ფუძიდან ქრება).

**ეე** კომპლექსები გვხვდება მორფემათა ზღვარზე. ყოველთვის ტრანსფორმირებული ფორმით, მეორეული გრძელი ე-ს სახითაა წარმოდგენილი: **საქმეების**, **თვეფში**... ზოგჯერ მიღებულია სრული რეგრესული ასიმილაციით: **ყანა > ყანეები**, **სკოლა > სკოლეფში**, **თმა > თმეები**, **ჭალა > ჭალეზია**, **ოდა > ოდეები**; **აე>ეე**: **დაეჩვივნენ > დეჩვივნენ**, **დაეტეოდენ > დეტეოდენ**, **დაეცემაო > დეტემაო**, **გაერჩვიან > გერჩვიან**, **დაენახები > დენახები**; **მო/შემო**

ზმნისწინისა და ზმნური ე პრეფიქსის შეხვედრისას: **ოე>ეე**: მოერიოს > მერიოს, მოეწყო > მეწყო.

**ეო** კომპლექსი მხოლოდ მორფემათა ზღვარზეა წარმოდგენილი და გვხვდება მხოლოდ პირველადი კომპლექსები: მოსახლეობა, დღეო, ჩვედღეო, ვექცეოდით, მერეოდა, მონადირეობაზე...

**ეი** კომპლექსი შედარებით რეალიზებული კომპლექსია. გვხვდება როგორც ერთი მორფემის ფარგლებში (**CC** პოზიციაში), ასევე მორფემათა ზღვარზე სამივე პოზიციაში: სიტყვის თავში, შუაში და ბოლოს და ქმნის დამავალ დიფთონგს: **ლეილა**, **ქეიფი**, **ზეითუნი**, **შეიტანოს**, **შეინახავ**; ზევით>ზეით - **ვ**-ს დაკარგვით; ზმნისწინისეული ხმოვნითი ელემენტის შეცვლით **აი** და **ოი** კომპლექსით მიიღება **ეი** დამავალი დიფთონგი: **ოი>ეი>ეე**: **მოიტანდენ>მეიტანდენ**, **მოიყრებოდენ>მეიყრებოდენ**, **წამოიღებდე>წამეიღებდე**, **ჩამოიტანდენ>ჩამეიტანდენ**, **გამოიქცა>გამეიქცა**; **აი>ეი**: **აივსება>ეივსება**, **გაიკითხა>გეიკითხა**, **დაიხურავს>დეიხურავს**, **წაიკოჭავ>წეიკოჭავ**, **გაირჩევა>გეირჩევა**, **გაიგონებ>გეიგონებ**.

**ეუ** წარმოდგენილია მხოლოდ მორფემათა ზღვარზე და ქმნის დამავალ დიფთონგს: **დარქმეული**, **დაჩუეული**, **გეუბნევი**, **გაქცეულან**, **მოწეული**;

**ეა** კომპლექსი გვხვდება როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა საზღვარზეც. თავკიდურა და შუა პოზიციაში იქმნება ადმავალი დიფთონგი, ხოლო ბოლოკიდურა პოზიციაში შენარჩუნებულია ორი სრული ხმოვანი: **მარა**, **ადამანის**, **მიძახან**, **რჩებან**, **გუკეთებან**, **შინდია**, **სოჭია**...

**ეე** კომპლექსი რეალიზებულია როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე. ბოლოკიდურად წარმოდგენილი **ეე** უცვლელი სახით გვხვდება, ხოლო თავსა და შუა პოზიციაში ქმნის ადმავალ დიფთონგს: **განგებიე**, **ავწიე**; **შერი**, **ცარდიელი**, **სარბიელა**, **გერმიელა**, **დნგრდეს**, **ნტანდეს**. ბოლოკიდურ პოზიციაში დისიმილაციით იცვლება **ეე** კომპლექსი: **ღელე>ღელეები>ღელეებია**, **ხეებია>ხეებია**; **ტყეების>ტყეების**, **კლდეები>კლდეები**, **დღეეფში>დღეეფში**; რეგრესული დისიმილაციით **აე>ეე>ეე**: **თხეები**, **ქვეები**, **ლობები**, **ლორღები**...

იი კომპლექსი წარმოდგენილია მხოლოდ მორფემათა ზღვარზე და ყოველთვის მეორეული გრძელი ო-ს სახით, ტრანსფორმირებული ფორმით გვხვდება: იდენტურ ხმოვანთა შერწყმით: მრსვაო, მრტან, მრყვან; თავკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობისას, სრული ასიმილაციით: აი>ეი>ბ: დაინახა>დინახა, წაილო>წრლო, დაიჯერეფ>დრჯერეფ; შეინახავს>შინახავს.

იო კომპლექსი გვხვდება როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე და როგორც ეი-ს შემთხვევაში, აქაც ბოლოკიდურად წარმოდგენილი იო უცვლელი სახითაა წარმოდგენილი, ხოლო თავსა და შუა პოზიციაში იქმნება აღმავალი დიფთონგი: იონჯა, ლობიო, მარბოა, დობანი, ყურიო, სტუმარიო, გაგაგნებო; რეგრესული კონტაქტური დისიმილაციით, ეო>იო>იო: მეორე>მეორე.

იუ კომპლექსი არ გამოვლინდა არცერთ შემთხვევაში - არც ერთი მორფემის ფარგლებში და არც მორფემათა ზღვარზე.

ია ბგერათმომდევრობა წარმოდგენილია მხოლოდ მორფემათა ზღვარზე და გვხვდება როგორც პირველადი: ერბია, მარტია, ასევე მეორეული კომპლექსები, რომელიც მიიღება სონორი ვ-ს ჩავარდნით: წამიალ, ჩამიარდა... აღსანიშნავია, რომ ი ხმოვნით დაწყებული ხმოვანთკომპლექსები არ გვხვდება ერთი მორფემის ფარგლებში.

იე კომპლექსი რეალიზებულია მორფემათა ზღვარზე და გვხვდება როგორც პირველადი: კალოები, ხფოფესა, გოგოები, ზემოები, ასევე მეორეული კომპლექსები, უმეტეს შემთხვევაში ვ-ს ჩავარდნით: გათხოება, ჩამოელ, შამომიწროებული.

იო ხმოვანთკომპლექსი წარმოდგენილია მხოლოდ მორფემათა ზღვარზე. მიღებულია იდენტურ ხმოვანთა შერწყმით: განდრ, ვასამრ, დავდრ, უმწულრბა, უქონრბაც, კალრბა...

იი კომპლექსი რეალიზებულია მორფემათა ზღვარზე: წამიმალე, გამიარეთ; ი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთა სახელობითი ბრუნვის ფორმის დართვითა: ბაბი და ვ- თანხმოვნის ჩავარდნის შედეგად მიღებულ სიტყვებში: მიიდა...

CCS: გკლ: მოგკლავს; თხნ: იკითხნება; კდნ: მოკდნენ; კკრ: გაკკრას;

C C° S: თხნ: იკითხნება;

CSS: ჭუნ: ფიჭუნარას;

C° SC: ვრჩ: დავრჩი;

C° CS: ვკმ: ჩავკმაზავთ; სვრ: გასვრი; სწრ: მწსწროფს; შქრ: ლოშქრები.

### 2.2.3.4.2. ჩქამიერ თანხმომავანთა სამწევრა კომპლექსები

CCC: ფთდ: გასუფთდებოდა; ქტკ: აქტკივდება;

C° C° C°: ვხვ: დავხვეტავ; ცხშ: ცეცხში; გევსვენოთ; CC C°: ქცხ: დაქცხება; ქქვ: ქქვია;

C° C° C: ვშპ: გამოვშპი, ვშჭ: ჩავშჭარ; ვხდ: გავხდები, დავხდით;

C C° C°: ფსს: თეფსსავ;

C C° C: წყდ: დამავიწყდა;

C° C C°: შკშ: შუშკში, ვფხ: გავფხეკთ, ვბლ: დავბლაღავთ, სწყ: სწყურია;

C° CC: ვგდ: ვგდივარ.



### 2.2.3.4.3. სონორის შემცველი ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები

SC°SC: მხტდ: მიმხტდარხართ, შემხტდება;

C°SC C°: ვრწყ: მოვრწყე; ვრცხ: გავრცხაჲთ;

C°CCS: ჲშჲრ: დაჲშჲრიდით;

C C°S C°: ცხლს: ცეცხლსა;

CCC S: გფჲტუ: დაგფჲტუავს;

C°C°SC: ჲხტდ: მიჲხტდი;

### 2.2.3.4.4. სონორი თანხმოვნების შემცველი ხუთწევრა კომპლექსები

SSC C° S: მრცხტუ: შემრცხტება;

C C°C C°S: ჲსწყტუ: ამოჲსწყტეტო.

### 2.2.3.4.5. სონორი თანხმოვნების შემცველი ექვსწევრა კომპლექსები

C°SCCSS: ვრცჲტუნ: გავრცჲტუნდით.

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ენის იმერხეულ დიალექტში თანხმოვანთკომპლექსთა მაქსიმალური სიგრძეა 6, მაგრამ არა ერთი მორფემის ფარგლებში, არამედ მორფემათა ზღვარზე. ერთი მორფემის ფარგლებში მაქსიმალური სიგრძის კონსონანტური ჯგუფი 4 ელემენტს შეიცავს. ყველაზე ხშირია ორშემადგენლიანი თანხმოვანთკომპლექსები, თუმცა არც სამშემადგენლიანი თანხმოვანთკომპლექსებია მცირე რაოდენობით; შედარებით ნაკლებია ოთხწევრა და ხუთწევრა კომპლექსები.

## II. III. ფონეტიკური პროცესები

იმერხეულ მეტყველებას, სხვა ქართველური დიალექტების მსგავსად, ახასიათებს სხვადასხვა ფონეტიკური ხასიათის მოვლენა, რომელსაც ძირითადად დიალექტის შინაგანი, იმანენტური კანონები წარმართავს.

ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები უპირატესად შეინიშნება მორფმათა ზღვარზე.

### 2.3.1. ასიმილაცია

იმერხეულში ხმოვნებით შედგენილ კომპლექსებში ხშირია რეგრესული ასიმილაცია, როგორც სრული, ისე ნაწილობრივი. უფრო დაწვრილებით იხილეთ ზემოთ, ხმოვანთა სინტაგმატური ანალიზისას.

- თანხმოვანთა ასიმილაცია.

**კდ>კტ:** ღვიზლი ხალვი და ამიდამ მოკუტა (დისტანციური ასიმილაცია);

**ცღ>ცხ:** საცხა დამახეს ვინცხამა და ერთ დუძმახე ქი კატა გდძაო; ვინცხა რომ წადის...; ცოტა უკუღმა არი რაცხა, გზები არ წადის (რაცხა/რადაც; ვინცალა>ვინცლა>ვინცხა - პროგრესული ასიმილაცია).

**ტბ>ტპ:** ემეში შევდენ და, გოლეფში, ტპაში და მედრჩო, არ იცოდა ცურვა;

**ბშ>ფშ:** ჩატენდენ კროჭეფში, ქულაგეფში;

**გხ>ქხ:** იმსოღ ვინცხა შექხვთება, რო;

**ხ-დ>ხ-თ:** იმას მიხვთები, რო რაცხა დემემართა; შექხვთება;

**გტ>ქტ:** და თავი აქტკივდება;

**გვ>ქვ:** ადეთი არ ქვქონდა;

**ხდ>ხთ:** იმაზე ავათ ხთებიო;

**ბთ>ფთ:** ყუელ არ ვაკეთეფთ; გორჯოლოს გაკეთეფთ, იმი წუნენსაც მუადუღეფთ; იმის ფურცლებ ემეს გავაკეთეფთ;

**სჭ>შჭ:** შჭრიან ხნბ, მძაქვან საყიდლათ, რაცხამდენი ოჭზე რო სჭირია, იმ ოჭზე ტყეში-ნა გამოვშჭრა; იგზე ვინცხა გეძარს, იმის სულზე მისცემ სხტას, შეშჭამენ (რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია);

**ხბ>ხფ:** ხფოფსა რაცხა ქი ემე ექნებოდენ.

### 2.3.2. დისიმილაცია

შედარებით ნაკლებია დისიმილაციის შემთხვევები, განსაკუთრებით ეს ითქმის თანხმოვნებზე. ხმოვანთა დისიმილაცია იხ. ზემოთ, ხმოვანთკომპლექსთა ანალიზისას.

**წლეულ<წრეტლ>წრევლ:** წლევანდლამდი არ იყო და **წრევლ** გახსნილა; ახლა გუბრე დეფყარა **წრევლ**.

**რ-რ> რ-ლ:** აქ **ორჯელ** დასახლება ადეთი არ ალი.

### 2.3.3. მეტათეზისი

იმერხეულში მეტათეზისი არცთუ იშვიათია, თუმცა სხვა ფონეტიკურ პროცესებთან შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული. ყველაზე ხშირია სონორ ბგერათა მონაცვლეობის შემთხვევები, როგორც თანხმოვნებს შორის, ასევე ხმოვანსა და სონორ თანხმოვანს შორის.

ა) ხმოვნისა და თანხმოვნის მეტათეზისი: **ზურგი > ზრუგი:** საცოდავათ **ზრუგებით** ვზიდდით; **ზრუგებზე** ემეს გადმუსვემდით, ნაზვის ემეს, ტოტს; ბოტოტები არ გოჭრდნენ **ზრუგზო;** **ღრუბელი > ღურბელი:** ღურბლები თუ მედღურბლა, გაშავდა, მიხვდები ქი, გაწვიმდეს-ნა; დღისითაც **ღურბელი**, მესელა ახლა ნახევარი **ღურბელია;**

ბ) თანხმოვანსა და თანხმოვანს შორის: **ნამ:** ჩამეეტანთ **მანგალ;** ო, ამა, ჩუენ კაცები **მანგალ** არ ვიხმარეფთ (**ნამგალი > მანგალი**);

**მრ>რმ:** ლამაზი წვიმა **გერმელია;** ჰავა **გერმელი**, ალთემის ჰავა **გერმელი;**

**ხს>სხ:** იმათ თვალი არ **გუსხნა** სოფელ; უნდა ასე ჩეცვის, უნდა **გეცხნის;** ენ გერმელ რაცხები ბითთევ ვჭამთ;

**რუ>ურ:** **ოთხმოცისურა, ოთხმოცისურა** წლის იყო...

ქართველური დიალექტოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ჩაწერილ მასალებში დადასტურდა საინტერესო მაგალითი. ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება არის „**წყალსიმერი**“, დღეს სოფელში ადგილს **წყარსიმელს** ეძახდნენ: **წყარსიმელი** მწლე გახდა; ექუსი თანე სოფელი არი, გადაკიდეს **წყარსიმელმა** და დღობანმა (**ლ > რ**).

### 2.3.4. დეზაფრიკატიზაცია

დეზაფრიკატიზაცია აფრიკატიზაციის საპირისპირო პროცესია და იმერხეულში საკმაოდ გავრცელებულია. როგორც ტაოურში, იმერხეულშიც აღნიშნულ ფონეტიკურ პროცესს სპირანტიზაციის ხასიათი აქვს.

მართალია, დეზაფრიკატიზაციის პროცესის განვითარებას ხელს უწყობს უცხო ენობრივი გარემო, მაგრამ ტენდენცია ამ ფონეტიკური პროცესისა ყველა ქართველურ დიალექტში შეინიშნება (დაწვრილებით იხ. I თავში, ტაოური დიალექტის მაგალითზე).

იმერხეულში ყველაზე გავრცელებულია ძ>ზ პროცესი: ზათენ უზახიდი; სამნი გურჯი ზღები მყავს; აქ ჩუე ლოლაზები ვართ; ზუელათ ოცი თანე ზროხა ქუყაუდა; შეაზლება, ახლა შეაზლება; ზრუგებზე ემეს გადმუსვემდით, ნაზვის ემეს, ყეროს, ტოტ; თი ბალახ უზახიდენ იმა; ყურზენი, თუთა არ ალი აქა... ზ და ძ თავისუფლად მონაცვლეობენ ერთმანეთთან, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ზ უფრო ხშირია.

ც > ს: ჰო, სამოცი, სამოსდათიც იქნება; ოსდახუთი გახდება, მარდობას წავლენ; შემასას მოზამთრო დღეფში ვინახავთ;

ცალკეულ შემთხვევაში, ც თანხმოვნის მონაცვლედ წარმოდგენილია ზ თანხმოვანი; ც>ზ (დეზაფრიკატიზაციამდე ჯერ მომხდარია ასიმილაცია (დ-სთან გამჟღერებით): გურჯიჯა, სამოზდათი, სამოზდაცხრა; ორმოზდათი თანე შიგან ოდა არი;

ჯ>ჟ: ეს მაჩიჟუარია, ე ადგილი მაჩიჟუარ უზახთან; მაგრამ: იშთე მაჩიჯუარი ქუა არი ისა; კულასასა აანი მაჩიჯუარ ეტყოდენ აგზე;

### 2.3.5. აფრიკატიზაცია

იმერხეულში აფრიკატიზაციის ორი შემთხვევა დასტურდება, როცა სპირანტი იცვლება შესაბამისი რიგის აფრიკატით.

შ > ჩ: ფეხით ორ სნთჩი ანჯახ გახვალ, ორ სნთჩი; შემას დავჭრით, ჰარებზე დუდგამთ, მევიტანთ... დავწვავთ ზამთარჩი; იმ დუნდაში ჯენნეთჩი-და წახვიდეთ; რუსეთჩი არის; აქა, ქოქლდეთჩი..

ჟ > ჯ: დამჯავდება, ვჭამთ; ი დამჯავდება, მაწონსავენ.

### 2.3.6. სუბსტიტუცია

იმერხეულში გავრცელებულია ბგერათშენაცვლების არაერთი ფაქტი. შენაცვლება ხდება, როგორც ხმოვანთა, ასევე თანხმოვანთა შორის. ყველაზე ხშირია თანხმოვანთშენაცვლების მაგალითები.

**ნ>მ:** ახლა აქედამ მიდმან გზა; ქალაქიდან ხართ თუ **სოფლიდამ?**; ასე **შორედამ** მოდმან; **ნაზვებიდამ** მოკეპენ, იმას ჩამეგებენ; სხუა **სოფლიდამ** მოჰყავან, მიჰყავან; **იქედამ**, **ისტამბულიდამ** ქი წამტელ მე; იმ **თერეფიდამ** მოსულია; საჯის **ქვემედამ** ჭერებად დავაწყოფთ; **ფოცხოვიდამ** მოსული არიან; იმას **ქვემედამ** ბრაგა არი; **ქომოდამაც** ისე არმან (გავრცობილ ფორმასთანაცაა შეცვლილი); ფული ასწე **ჯიბედამ**.

**დ>ლ:** კოტრობას **გადაველით**;

**ხ>ღ:** დაჭმჭრიდით **ყაბალ**, მოჭხარშვიდით; აქვერელები მოდმან **ოჯალეფში**;

**კ>ყ:** **მუზიყას** დჷკრევდენ; **მუზიყაჲ** შავშეთ ჭიპონია; ჩუნ გუიან მტელით **ანყარადან**; **ბ>ვ:** არა, **გეუბნევი**, რო მთავრობაში ისე შეუზლობა-უმუზლობა არა; მიხვალ ხომ, ზურით არ **გებნევდან** ხომ; ფენა სუქანია და **ებნევა** ქი ღარჭი;

**ვ>მ:** ბაგისმიერი ბგერების: **მასკულავები** თუ არი, ჰავა აჩულია...

**ს>ნ:** ბოლოკიდური თანხმოვნის ნაზალიზაცია: ამა ფარა **მოგებასთვინ** კაცი აქა, ქალი არა; **თავისთვინ** იზრდება; **დავკონავთ** **საქონლისთვინ**; იმი **გაკეთებთვინ**, **დამოკლებთვინ**, **ტარი მოხეცნითვინ**, **ტარი დაბმითვინ**; **ზოგიც** **ფულითვინ** იბურვენ; **ჰო**, **ზამთრისთვინ** ჩამტატანდეფთ;

**ტ>ჭ:** მედტანოს უნდა **ჭუირთი**...

აფრიკატი ბგერების ურთიერთშენაცვლების შემთხვევებზე ვრცლადაა საუბარი აფრიკატიზაცია/დეზაფრიკატიზაციის ფონეტიკური პროცესების განხილვისას.

**ხმოვანთა:** ა>ე: **ადეთი** არ ქვქონდა; გევზდი, **ესკერში** წევდა; ე>ა: **ო**, ახლა **ყუალამფერია**; **ყუალა** ხის მოჭრა შედზლება.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, იმერხეულში ხმოვანთა/თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები სხვა ქართველური კილოების იდენტურია, თუმცა გვაქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური ხასიათის მოვლენებიც, რომლებიც

შესაძლოა იმართება დიალექტის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე და არ გამოირიცხება უცხო ენის (თურქულის) გავლენაც.

### 2.3.7. ბგერის განვითარება

იმერხეულში ბგერის განვითარების ცალკეული შემთხვევები დასტურდება, როგორც თანხმონებში, ასევე ხმოვნებში. ყველაზე ხშირად დაჩნდება სონორი თანხმონის მ-ს გაჩენის ფაქტები.

**1. თანხმოვანთა: მ:** სიტყვის შუაში ო, ახლა ყუალამფერია; ყუალამფერი გერმელა ჭამ; ხალღში ჩნბემდენ, ასამებდენ, მემრე მპარვებდენ ღარჭ; მემრე მდორე დღეს წეფყანებენ კაცის სახში; მეფრებდენ; მემრე-მემრე დაყვითლდება; სხუამფრათ ვარ გაჭირებული;

თავკიდურად: ქართველის უკან ცოტა-მცოტა; მაშინ ართუხ ერთათ იმცხოვრებენ...

**ზ:** ამეზღამ ბაჯლი ყინა გეჯას იქმენ (ამაღამ > ამასღამ > ამაზღამ);

**ლ:** ჭყინტლი ემესიჯებდენ, ტებენ; აქ ქი ერთ წელიწად გათოვღდა, იშთე ორ წელიწად წინ;

**ნ:** ბითთევი სოფელშივენ ვართ აქა.

**2. ხმოვანთა: ი:** ა იქ კილდეები, გაღმაზე იქა წითელზირ უზახდან იქა, მაგრამ : კლდეთ უკანა, ისაც ტყეა; კლდე კლდეს არ შეხვდება და ინსა... ინსანი ინსან შეხვდება; აქ არა, აქა, ამ მხარეში, ამ კლდეში.

ფილავის უკან, ფილავზე მწყარე, ჭამე; იმასაც ფილავის უკან უხდება; ფილაგ მარილი-ნა დწყარო, შექერი არა;

ახლა ბევრი თხები აღარ ქყუავს; ესენი ძმები ყოფილან, გაყრილან; დედნახევდით, ქვები არი, ქილისასია ისა. ვფიქრობთ, ე-ზე დაბოლოებული სახელების (ტყიები, მთიები, კლდეები, ღელიები...) ანალოგიით უნდა ჩნდებოდეს ა-ზე დაბოლოებულ სახელებთან ი ხმოვანი.

**ი:** თავკიდურად: ისინი ისტამბოლ არდენ; ისტამბულში წევდა, იქ მუშაუროფს.

საინტერესოა თავკიდურა ი-ს შესახებ მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაში; გრ. იმნაიშვილის აზრით: „ქართული ენის იმ კილო-თქმებში, რომლებიც განიცდიან თურქულ-აზერბაიჯანული ენების გავლენას, სიტყვის თავში სტ, სკ, შკ, სფ (</სკ) თანხმოვანთა კომპლექსების წინ დაერთვის ხმოვნები; მაგ.: ასტარშინა(დ) (ინგილ.),

ისტანცია(დ), ისტანბულ(დ), ისტაქან(დ)//ესტაქან(დ) (ინგილ.), ისტაქანი (ტაო, იმერხევი), ისკამ(დ) (ინგილ.), იშკაფ(დ) (ინგილ. იმერხ.), ისპილო, ისტვირი (რეხა), ისფიჩქა(დ) (ინგილ.), იშკოლა (ჯავახ.), იშკოლ(დ)//უშკოლ(დ) (ინგილ.) და მისთ.“ (იმნაიშვილი 2000: 83).

„ისტაქანისა“ და „ისკამის“ მაგალითი დადასტურებულია შუშანა ფუტკარაძის იმერხეულ ტექსტებშიც: შუშას ჩუენა ისტაქან ვეტყვით; მუართვი მოსაფირსა ისკამი; ხანუმი დაჟდება ისკამზე (ფუტკარაძე 2008: 326).

ჩვენ მიერ ჩაწერილ და გაანალიზებულ ტექსტებში მხოლოდ ისტამბულის მაგალითი გვხვდება, სიტყვა სკამი კი ყველგან ი-ს გარეშეა: სამფეხი სკამი, ჰო; სკამი, სკამი, ჰო; თბილ სკამზე დაჯდები, შეცივებული თუ ხარ...

ვფიქრობთ, თურქული ენის გავლენით ი უჩნდება თავად თურქულ, ან უცხო ენის გზით შემოსულ სიტყვებს აღნიშნულ კომპლექსებთან და ამას მოწმობს შუშანა ფუტკარაძესთან დადასტურებული რამდენიმე მაგალითიც: იზენი მომეც წასლაზე (არაბ. **Isni** - ნებართვა, თანხმობა. იზნი - იზენი); შეიკერვენ ქალები ნაირ-ნაირ ურუბას (თურქ. **Ruba** - კაბა; იმერხ. ურუბა -ტანსაცმელი) (ფუტკარაძე 2008: 326). გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ იმერხეულში სკ კომპლექსი სხვა შემთხვევაშიც ი-ს დართვის გარეშე წარმოდგენილი: დუგუნები ზათენ სკოლნეფში იჯებიან; ზველათ დაბურული არ შედზლებოდა სკოლნეფში; სტუმრების ოდა ცალკე გვაქ...

ასეთი ვითარებაა ზემოაჭარულ კილოკავშიც და აქ მსგავსი მაგალითები განიხილება, როგორც სრულხმოვნობა (ხუბუა 1932: 7; ნიჟარაძე 1975: 113). ნ. გურგენიძის აზრით, ხმოვანთა განვითარება თურქული მეტყველების გავლენით უნდა იყოს გამოწვეული, ვინაიდან, როგორც ცნობილია, თურქულ ენაში სიტყვის დასაწყისში თანხვამონთკომპლექსები არ გვხვდება და სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებში სიტყვის თავში თანხმოვანთა გასაყარად ჩნდება ვიწრო ი ხმოვანი (გურგენიძე 1976: 151-152).

ო: ხობოებ გვიჭამენ, მაგრამ: ექვსიც ხბო მყავს, ხუთიც მოზვი მყავს; ჯბოებ გუზახებ, ჩომას გუზახებ; ეს ხბოს უნა ჩოჟდვა, ხბო მყავს პატარად... უფრო ხშირია ხმოვანგანუვითარებელი ვარიანტი - ხბ.

ჰ: ხმოვნის წინ ანლაუტში: ასე ჰამგვარ ემეს მედსხამს ზედედან; იშთე ჰაგზეთ დიდ ლოდ უზახდან, ა იგზე ედარ; მელაჲ ჰაგზე მოდის; ჰაგზე დეჲქახებდი ასე, იმსოჲ

დიდრუჟანი იყო. ამგვარი შემთხვევები დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებშიც (მესხ., ჯავახ., ინგილ., თუშ., ქართლ.).

### 2.3.8. ბგერის დაკარგვა

სამეცნიერო ლიტერატურაში თანხმობანთა დაკარგვა სხვადასხვა მიზეზითაა ახსნილი. რამდენიმე თანხმობის თავმოყრის შემთხვევაში ბგერების დაკარგვა ახსნილია თანხმობანკომპლექსის გამარტივებისკენ მიდრეკილებით (უთურგაიძე 1971: 123), VCV პოზიციაში კი ბგერის დაკარგვა მიჩნეულია თანხმობის არტიკულაციის შესუსტებით (ქავთარაძე 1964: 143).

იმერხეულში ხშირად იკარგება როგორც ხმოვანი, ასევე თანხმობანი ბგერები. ბგერათა დაკარგვა სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული.

**I. თანხმობნები.** ძირითადად იკარგება **ს** და **მ** თანხმობნები, იშვიათად - **ნ**, **რ**, **ლ**, **ვ**, **ღ**, **ფ**, **დ**.

**1. ს-ს დაკარგვის სხვადასხვა შემთხვევა დასტურდება:** ა) იკარგება თანხმობანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშნისეული **-ს**: **ყველ** არ გავაკეთეფთ; **კარებ** დუდგემდით, წევლებდით, ცხენზე მოვკიდევდით; სახლობაში ქვხურავს **დედაბრებ**; ზოგი ქალები ეხვეწებან **კაცებ** თმა შიმღებეო; **პურებ** მოვთიბევდით, გავლეწევდით; **ხავიწ** მოადულებდით, **გევრეგ** ჩავსხემდით; **ცხუარ** დავრცხიდით სადამოზე; **შაჟშეთლებ** ვეტყვით; **საქონლებ** მივარვამთ იმას; შჭრან **ხებ**, მძაქვან საყიდლათ...

ბ) მიცემითი **-ს** ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი მსაზღვრელი ნაცვალსახელი: **ჩემ** ბაბას გუზდია იშთა; **ჩემ** რძლუნესაც არ უთქვამან ჩემთვინ; გორჯოლოს გავაკეთეფთ, **იმი** წუნესაც მოადულებთ...

III პირის ნაცვალსახელი **-ს-ს** გარეშე: **იმი** გაკეთებთვინ, დამოკლებთვინ; **იმა** გუსვამ, გამუსვამ, გახევ...

გ) გარკვეულ შემთხვევაში მიცემითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითი ბრუნვის ნიშანია წარმოდგენილი: **ნიშადური** ვეტყვით, იმა წუსვამთ...

დ) არცთუ იშვიათად **-ს** იკარგება ზმნებთან. ყველაზე ხშირია III სუბიექტური პირის ნიშნისეული **-ს** დაკარგვის შემთხვევები: ცოტა უკულმა **არი** რაცხა; დუგუნი **გვაქ**,



მოდითო; ოდები არი იშთა; თი ბალახ უზახიდენ იმა; შარშარ დეაწავლა; ამა ღორები დიდი ფრობლემი არი;

2. ლ იკარგება CC პოზიციაში: ლ: თბილ სახში მოდდან; მეორე დღეს წეაყვანებენ კაცის სახში და ყინას მუტანებენ; აჰა იმ კდის თავი უღელტეხილია...

3. მ ყველაზე ხშირად იკარგება თავკიდურა პოზიციაში, როცა ფუძისეულია: მ: ანნი თებიც ისეა; თი ბალახ უზახიდენ იმა; ამ სოფელ თელ დაპატიჟვენ; ოც წელიწად ვდარე თაზე; ჯერ თველზე მუა სხლები; ცოტა შინდი ჯავვა; ემეა ჯავვა; წარეაა სხალი გუაქ; გლები ბევრ მოდდოდენ წინ-წინ; ახლა ქი გზებია თელ სოფელში; სხვილი არა, ამა ზუელათ იმსოდ იქნებოდა ქი; თავრობა წერავს იქა...

სიტყვის შუაში, თანხმოვანთშეყრისას: ასე დახვიო ერთ სისხოზე;

ბოლოკიდურად ხმოვნის მომდევნოდ: გზა აღარ არი, რო მევდარო; ახლა ეს რო მუა, ამან მოვლენ; შტუმარი რო მუა... მაგრამ: რომ მოდდა და მოღვრიჭა კაცი და მეტანა; ო, რომ არ იცი, გეძარო, ჩავარდები და...

4. ნ: ყველაზე ხშირია -კენ თანდებულის -ნ-ს დაკარგვის შემთხვევები: იქედამ ქომოთკე, ბარისკე ყდებე არი; ახლა იმ გოზალდენტ გამოხვალ აქეთკე...

ზმნებში იკარგება III სუბიექტური პირის მრავლობითი -ნენ სუფიქსისეული -ნ: ისე მეტყოდენ ბალვობაში; ხალღში ჩაბემდენ, ასამებდენ, მემრე მნპარგებდენ ღარქ...

5. რ: არცთუ იშვიათად იკარგება სონორი -რ, ძირითადად თავკიდურა პოზიციაში: ჯერ თუელზე მუა სხლები; მემრეს ახლა თუელი მუა, მოვჭრით, მოვტეხავთ; თუელზე პაწავდება, ზამთარი მდა; ძალი სუმედა, ძალი, გოგო; ის ჩემ ტადაშვილის ზალია...

ზმნებში თანხმოვანთა შეყრისას: ისე მემრეც გეაზდება სიმინდი; ჩემ ბაბას გუზდია იშთა; აქ დაზდილი არ არდან;

6. ვ: როცა -ვ პრეფიქსი I სუბიექტური პირის ნიშანია: -უ ხმოვნის წინ, თავკიდურა პოზიციაში: ა) ჩუენ უძახით მსხალი, ისენი უძახდან სხაა; ხევწრული ღელე, ისე უძახით ჩუენ; ქალებისაც არი აგზე, თხილნართებ უძახით.

V-V პოზიციაში: გორჯოლოს გავაკეთეფთ, იმი წვენსაც მოადუღეფთ; ყავრიდან გადმოარდი და საჯზე გამოვცურდი ზამთარში; დათვები რაცხას ემეს გვიქნევსო და სირით ნობეთო დოჭცადოთო;

ხშირია ზმნისწინისეულ ხმოვანსა და ზმნურ პრეფიქსებს შორის მოქცეული -ვ-ს დაკარგვის ფაქტები: აგზე ჩამტულით იშთა, გავაკეთეთ; ვერავინ ვედარ ვიპტეთ ჩტენ; ეროლი თუ მოდდა, მე თუ ჩამოელ, გე... ემესვიქთ და; სალამო მე წამოალ...

CC პოზიციაში (მხოლოდ 1 მაგალითში): ექსი წლისა ვიყავ; მაგრამ: ექუსიდამ სამოცზე ევდა; ექუსი ზტელი გვარი არის აქა მოსული; ახლა ექუსი წელიწადი-ნა გამოდდეს უნდა ქი, პასპორთი ედლო...

V-V პოზიციაში (მხოლოდ 1 მაგალითში, ადგილის სახელთან): ყტაღლანჯტარ უზახდან;

ბოლოკიდურ პოზიციაში: ეთამ კიდე შეთბობიხან კიდე მოაყრით; კიდე, იშთე, ხან თაფლისას, ხან ბექმეზისას რაცხას;

7. დ: ბოლოკიდურად ხმოვნის შემდეგ: თქტენებურა არის აქაც? გურჯულა ზოგ ქელიმ, ზოგი ართუხ ვერ მიმხვდარვართ თქტენი; გურჯულა არ არი, რაცხა იმი სახელი არ არი.

თანხმოვანთშეყრისას: ჩტენაც სიმინსაც ვეტყვით..

8. ლ: თავკიდურად (ფუძისეული): მერთი იმას არ ემესიქს, მესელა, არ გაჩუქეფს; მერთი ამბოფს, რომენაღ თლათ დუნდაში რაცხა რო ხალხი არდანო, თლათ მუსლიმანი გახდებაო (მაგრამ: ქოთი მილლეეთი-ნა ღმერთი გამოდდესო \_ ამა ვიტყვით; ღმერთი უნდა აწვიმეფს, უნდა გედედეფს; იმა ღმერთის მეტი ვერვინ ვერ მივხვდებით ქი...)

9. ფ: თანხმოვანთშეყრისას: აგერ რჩხილებზეც დედეფ...

II. ხმოვანთა: ა) ი: ყველაზე ხშირად იკარგება I სუბიექტური ვ- ნიშნის მომდევნო ზმნური პრეფიქსი ი-: აგზე დევბადე; ჩვენ ვერ დეჭსწავლეთ ვინ სად არიან ზოგ შემთხვევაში...

იკარგება ვალ, ვედ ზმნური ფუძისეული ი: წევდენ; ზემოთ ევდოლით;

როცა -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია (მსაზღვრელ-საზღვრული): ოც წელიწად ვდარე თაზე; სამ წელიწად ისე...

ბოლოკიდურად: ბეტრ აღარა გტაქ, ბეტრ; თქტენ თერეფიდან ამოდოდენ იგზე...

ბ) ე: ცხტარ დავრცხილით სალამოზე...

გ) ა: იკარგება -ავ/-ამ თემისნიშნისეული ა ხმოვანი მრავლობით რიცხვში: **სმენ**, ქალები **სმენ** ახლა.

არ: ამა **ზამთრი** არ პოვნისლევს; ქი **ზამთრი** ლამაზათ მოვხარშავთ იმა წყალში.

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, იმერხეულში ბგერები იკარგება სხვადასხვა პოზიციაში და საერთოქართული ხასიათი აქვს.

### III თავი

## ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემატური სტრუქტურის

### შედარებითი ანალიზი

ტაოურსა და იმერხეულში, ერთი მხრივ, შენარჩუნებულია სხვა ქართული კილოებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, მეორე მხრივ კი, მათ ფონეტიკაში (მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში) ასახულია თურქული ენის გავლენა, რაც ბუნებრივიცაა.

#### 3.1. ხმოვანთა სისტემაში არსებული მსგავსება-განსხვავებანი

##### 3.1.1. ხმოვანთა დისტრიბუცია

ქართული ენის ტაოურ და იმერხეულ დიალექტებში, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, ფონემატური ღირებულების ხუთი ხმოვანი გვაქვს წარმოდგენილი: ა, ე, ი, ო, უ. ამათ გარდა, სხვადასხვა პოზიციის მიხედვით გამოვლენილი ფონეტიკური ვარიანტებია: ა, ე, ი, ო, უ, აჲ, ეჲ, იჲ, ოჲ, უჲ (<უ), ა(<ი), ეჲ, ოჲ, გ.

##### 3.1.1.1. გრძელი ხმოვნები

ტაოურში გრძელი ხმოვნები სხვადასხვა პოზიციის მიხედვით გამოვლინდა. რიგ შემთხვევაში წარმოქმნილია: 1. იდენტურ ხმოვანთა შერწყმით (დასხი<დაასხი; მუჭირავთ: მოუჭირავთ > მუუჭირავთ > მუჭირავთ), 2. დაკარგული ბგერის საკომპენსაციოდ, რითაც ტაოური განსხვავდება იმერხეულისგან: გაზიან, მატი, მალე; 3. ტონური მახვილის შედეგად: დარგე, საში, ვიცრდი...). იმერხეულში კი ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები ძირითად შემთხვევაში წარმოქმნილია: 1. ტონური მახვილის: დიდი, დილაში, ლამაზათ... და 2. ხმოვანთა შერწყმის შედეგად: გაცივა, გაგლო, ტყეფში, მევტანო...

მეტ-ნაკლებად ტაოურისა და იმერხეულის მსგავსი გრძელი ხმოვნები დასტურდება სხვა ქართველურ დიალექტებში: 1. თუშური, აჭარული, ფერეიდნული (ჯორბენაძე 1998: 26, ჯორბენაძე 1989: 543, ნიჟარაძე 1975: 20, უთურგაიძე 1960: 12); 2. აჭარული, თუშური

(დასამიძე 1978; ჯორბენაძე 1998: 28, ჯორბენაძე 1989: 254, უთურგაძე 1960); 3. მთიულურში (ჯორბენაძე 1989: 279; ჯორბენაძე 1998: 28, ჩიქობავა 1924, ჩიქობავა 1937: 34, კობაძე 1980); 4. ქართლური, კახური, მესხური, ფერეიდნული (ჯორბენაძე 1998: 31-32, ჯორბენაძე 1989: 293, 381, 321; მარტიროსოვი 1984).

### 3.1.1.2. ნეიტრალური ბგერა

ტაოურ და იმერხეულ დიალექტში **გ** ბგერა უფრო გავრცელებულია თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში (**ყგზართმა, ზგმელი-ნა, ყგრხი, ყგფაღ, ყგრმა...**), თუმცა მისი არსებობა ზოგადქართულ ფონეტიკურ მოვლენას წარმოადგენს, რასაც სხვა ქართველურ დიალექტებში დადასტურებული არაერთი მაგალითი მოწმობს.

აღსანიშნავია, რომ ტაოურში, იმერხეულთან შედარებით, **გ** ბგერა უფრო ხშირად გვხვდება შემდეგ მაგალითებში: **ხგმელი, ფგრინჯ, კგლდე, ტგებელი, კგბელი...** იმერხეულში გავრცელებულია ან სრულხმოვნის ვარიანტი წარმოდგენილი მაგალითების, ან, ჩვეულებრივ, თანხმოვნები მოიყრიან ხოლმე თავს, თუმცა არც ნეიტრალური ბგერის გამოვლენაა უცხო და იშვიათი.

### 3.1.1.3. პალატალიზებული ბგერები

ტაოურსა და იმერხეულში დადასტურებულია პალატალიზებული **ჭ** და **ჩ** ხმოვნები; თუმცა, აღსანიშნავია, რომ პალატალიზებული **ჩ** და **ჭ** გაცილებით მყარი ტაოურ მეტყველებაშია და არა მხოლოდ თურქულ სიტყვებში, არამედ დიალექტურ მასალაშიც საკმაოდ დიდი რაოდენობით დასტურდება; იმერხეულში კი, საკუთრივ ქართულ სიტყვებში, ერთეული შემთხვევა გამოვლინდა.

აღსანიშნავია, რომ პალატალიზებული **ჩ** იმერხეულში ძირითადად ნასესხებ ლექსიკაში გვხვდება; ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალაში მხოლოდ ერთი მაგალითი დავადასტურეთ: **მჩრე**, ხოლო ტაოურში კი როგორც თურქულ, ასევე ქართულ სიტყვებშიც საკმაოდ რაოდენობითაა წარმოდგენილი: 1. ქართული ლექსიკა: **ყჩღ, ჩჩმოველით, წჩხელი, სადღჩბელ, ქართჩლი, იჯჩღება, მჩა, დჩა, კჩღ, გჩმოლმი**; 2. თურქული ლექსიკა: **ბჩჩალთია, გჩღი, ჩჩქ...** რაც შეეხება **ჭ**-ს, ორივე დიალექტში უფრო

გავრცელებული ეს უკანასკნელია, თუმცა როგორც რ-ს შემთხვევაში, ტაოურში გაცილებით დიდი მასალა გამოვლინდა.

საერთოდ, მართალია იმერხეულში პალატალიზაციისკენ მიდრეკილება ტაოურთან შედარებით ნაკლებია, თუმცა ქართულ ლექსიკაში დადასტურებული ერთეული შემთხვევები საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ხმოვანთა პალატალიზაცია იმერხეულში მხოლოდ ნასესხები ლექსიკისთვის არაა დამახასიათებელი და ისინი არც სრულფასოვან ფონემებს წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ თურქულიდან ნასესხებ ფორმებში პოზიციურად გვხვდება.

#### 3.1.1.4. **ღ და უ ბგერები**

ტაოურსა და იმერხეულ დიალექტებში გამოვლენილი ი-სა და უ-ს უმარცვლო ალოფონები **ღ** და **უ**, ფაქტობრივად, არა მხოლოდ დიალექტებში, არამედ სალიტერატურო ქართულით მოსაუბრე თანამედროვე ქართველის მეტყველებაშიც ბუნებრივია.

ორივე დიალექტში, პოზიციურად, სონორული ბუნების წყვილბაგისმიერი მჟღერი **უ-სა** და პალატალური მჟღერი **ღ-ის** გამოვლენა შეუზღუდავია. დიალექტებში არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

ტაოურშიც და იმერხეულშიც:

**I. ღ** გვხვდება: 1. V-# (ხმოვნისმომდევნო პოზიციაში), 2. V-#-V (ინტერვოკალურ პოზიციაში), 3. #-V (ხმოვნისწინა პოზიციაში), 4. V-C პოზიციაში. ორივე დიალექტში მსგავსი ვითარებაა:

1. **V-#** პოზიციაში, **ღ** უფრო გავრცელებული სახელობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტადაა. სხვა მაგალითები: როცა ფონეტიკური პროცესი უსწრებს წინ: **იპოღდა** < იპოვიდა; **გებნეღ** < გეუბნები; **წევეღ** < წავედი; ზმნისართებთან: **უკანაღც, გაღმაღ**;

2. **V-#-V** პოზიციაში **ღ-ს**, უმეტესად, იძლევა **ი**. წარმოდგენილია ზმნებთან, მორფემათა ზღვარზე, ზმნისწინისეული ხმოვნის მეზობლად: **გიღეღარე, გამეღარეთ, ჩეღარენ, გეღარენო**, და ყველაზე ხშირად შედგენილ შემასმენელთან, მეშველზმნიან ფორმებთან: **თხაღა, გზაღა, ტპაღა, ვარაღა**, თურქ. სიტყვაში: **შეღა** (ტაოურ.); სხვა მაგალითები: ფონეტიკური პროცესის შედეგად: **მახვაღათებენ** (რ > ღ (ტაოურ.);

3. #-V პოზიციაში **ღ** გვხვდება თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში **Y**-ს გადმოსაცემად: **მასალია, მაილაში, მალუზია, მაგორა, მეგნები...** ქართულ ლექსიკაში, იმერხეულში, ტაოურთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია აღნიშნულ პოზიციაში **ღ**-ის გამოვლენა. იმერხეულში გამოვლინდა მხოლოდ ორი მაგალითი: **მერი და მონჯა**, ხოლო ტაოურში 5 მაგალითია წარმოდგენილი: **მეთი, მარება, მრალი, მარა, მა**;

4. V-C პოზიციაში წარმოდგენილია ზმნებთან, მორფემათა ზღვარზე, დადასტურებულია ზმნისწინისეული ხმოვნის მეზობლად: **გეზდება, გედეახედავ, ჩამეიტანო**.

ტაოურში მსგავსი სახის ფონეტიკური გამოკვლევა მხოლოდ შუშანა ფუტკარაძის დისერტაციაშია განხილული. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ტაოურში, მსგავსად იმერხეულისა, **ღ** თითქმის აღარ გამოიყენება და გვხვდება მხოლოდ თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში **Y**-ს გადმოსაცემად (ფუტკარაძე 1995: 333). იმერხეულში კი, შ. ფუტკარაძის გარდა, **ღ**-ის გამოვლენის საკითხს კიდევ რამდენიმე მეცნიერი (მ. ფალავა, ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე) ეხება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შ. ფუტკარაძე ტაოურის მსგავსად, არც იმერხეულში ადასტურდებდა **ღ**-ს, თუმცა მოგვიანებით, მ. ფალავას, ე. დადიანისა და მ. მიქაუტაძის კვლევებმა ცხადყო, რომ **ღ** საკმაოდ ხშირია, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ ჩაწერილი და გაანალიზებული მასალაც და განსხვავებული ვითარება წარმოჩინდა, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი. ასევე აღსანიშნავია, რომ ნ. მარის 1911 წელს ჩაწერილ იმერხეულ ტექსტებშიც გვხვდება აღნიშნული ბგერა.

II. გაანალიზებული მასალის მიხედვით, ტაოურსა და იმერხეულ დიალექტებში **ჟ**-ს გამოვლენა შეუზღუდავია ყველა პოზიციაში. ორივე დიალექტში იგი ძირითადად წყვილბაგისმიერი **ვ** - ს მონაცვლეა, რაც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია. იშვიათად გვხვდება **ჟ**-ს პოზიციაში, **-ურ/-ულ** სუფიქსისეული **ჟ** ხმოვნის **ე, ა** ხმოვნებთან მეზობლობაში დავიწროების შედეგად **ვეზბნევით, დიკეული, აქეური...** იმერხეულისგან განსხვავებით, ტაოურში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა მოსალოდნელი კვილბაგისმიერი **ვ**-ს ნაცვლად წარმოდგენილია უმარცვლო **ჟ**, ხმოვნის მეზობლად, სიტყვის თავკიდურად: **ჟიცი>ვიცი, ჟწველავ >ვწველავ**, თუმცა სისტემური სახე არ აქვს,

ერთსა და იმავე მთქმელის მეტყველებაშივე შეინიშნება მერყეობა აღნიშნულ პოზიციაში **ჟ/ვ** მონაცვლეობასთან დაკავშირებით.

ტაოურ და იმერხეულ დიალექტზე მსჯელობისას, შ. ფუტკარაძე მიიჩნევს, რომ **ჟ** გამოიყენება როგორც **ვ**-ს, ასევე **უ**-ს პოზიციაში, თუმცა მეცნიერი თვლის, რომ კბილბაგისმიერი **ვ** უფრო გავრცელებულია, ვიდრე წყვილბაგისმიერი **ჟ** (ფუტკარაძე 1995: 133-134). ჩვენი აზრით, გაანალიზებული მასალის საფუძველზე, აღნიშნულ დიალექტებში უმარცვლო ალოფონი უფრო დიდი სიხშირით გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ ტაოურშიც და იმერხეულშიც **ჟ** სისტემურადაა წარმოდგენილი შემდეგ სიტყვებში: ბეჭრი, ცხუარი, შუილი, ძუელი/ზუელი, წისქუილი/წისკუილი, ფქუილი.

### **3.1.1.5. დიფთონგები ტაოურ და იმერხეულ დიალექტებში (ა-ა/ე/ო/უ; ჟ-ე/ა/ი)**

როგორც სხვა ქართველურ კილოებში, საანალიზო დიალექტებში დიფთონგებს ქმნიან **ა** და **ჟ** უმარცვლო ხმოვნები. არსებითი განსხვავება დიფთონგების საკითხთან დაკავშირებით დიალექტებს შორის არ შეინიშნება. ორივე შემთხვევაში გავრცელებულია როგორც დამავალი, ასევე აღმავალი დიფთონგები. **ა/ჟ** პოზიციურად დაკავშირებულია ხმოვანთან და გვხვდება სამივე პოზიციაში: სიტყვის დასაწყისში, შუაში და ბოლოკიდურად. მაგალითები ვრცლადაა წარმოდგენილ პირველ და მეორე თავებში, ამიტომ აქ აღარ შევხებით.

### **3.1.2. ხმოვანთა სინტაგმატური მიმართება**

ჩვენ მიერ ჩაწერილ და გაანალიზებულ ტაოურ და იმერხეულ ტექსტებში დადასტურდა ხმოვანთა სხვადასხვა კომბინაციები, რომლებიც წინა თავებში (I, II) განვიხილეთ როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე, სინქრონიულ დონეზე. წარმოვადგინეთ როგორც პირველადი, ასევე მეორეული,



ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიღებული კომპლექსები. დიალექტებს შორის რაიმე პრინციპული სახის განსხვავება ხმოვანთკომპლექსებში არ გვხვდება.

დისტრიბუციული ანალიზისას გამოვლინდა, რომ ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად ტაოურ და იმერხეულ დიალექტებში ძირითადად აკრძალულია ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა.

ერთი მორფემის ფარგლებში, ცხრილში წარმოდგენილი თეორიულად დასაშვები კომპლექსებიდან ორივე დიალექტში წარმოდგენილია მეორეული კომპლექსების **10, 8%**. ტაოურში წარმოდგენილია: **აფ, აე, აა, უა, ეე, იო, ეუ** კომპლექსები, რომელთა გავრცელების პროცენტული მაჩვენებელი ასეთია: **აფ - 28,5%, აე - 23, 8%, აა - 14, 2%, უა - 19, 0%, ეე - 4, 7%, იო - 4, 7%, ეუ - 4, 7%**. ყველაზე რეალიზებული ა-ს შემცველი ხმოვანთკომპლექსები ჩანს. იმერხეულში გამოვლინდა შემდეგი კომპლექსები: **აფ, ეფ, აა, ეე, იო, იო, უა**, რომლებიც პროცენტულად ასე გადანაწილდა: **აფ - 25%, ეფ - 11, 1%, აა - 11, 1%, ეე - 8, 3%, იო - 5, 5%, იო - 19, 4%, უა - 19, 4%**.

როგორც ვხედავთ, ორივე დიალექტში, ცხრილის ფარგლებში, პროცენტულად, ხმოვანთკომპლექსთა თანაბარი რეალიზაციაა, თუმცა განსხვავებულია გამოვლენილ კომპლექსთა ზოგიერთი კომბინაცია და პროცენტული მაჩვენებელი.

ორივე დიალექტშია რეალიზებული: **აფ, აა, იო, უა, ეე** კომპლექსები. დიალექტებს შორის განსხვავებულ კომპლექსებს წარმოადგენს 2-2 კომპლექსი: ტაოურში ესაა: **აე და ეუ**, ხოლო იმერხეულში - **იო და ეფ**.

თანაბრად რეალიზებად კომპლექსებში, ზოგ შემთხვევაში, ტაოურში მეტია ბგერათკომბინაციის გავრცელების პროცენტი, ზოგჯერ კი იმერხეულში სჭარბობს: ტაოური: **აფ - 28,5%** - იმერხეული: **აფ - 25%, აა - 14, 2% - აა - 11, 1%, იო - 4, 7% - იო - 19, 4%, უა - 19, 0% - უა - 19, 4%, ეე - 4, 7% - ეე - 8, 3%**.

ცალკე აღვნიშნავთ იმერხეულში გამოვლენილ პირველად **იო** კომპლექსს, რომელიც მხოლოდ 1 მაგალითში დავადასტურეთ: „**ლობიო**“. ტაოურში ანალოგიური მაგალითი „**ლებუო**“ ფორმითაა გავრცელებული.

**მორფემათა ზღვარზე** ხშირად იქმნება ხმოვანთკომპლექსები სახელურ და ზმნურ ფორმებში. აღნიშნულ პოზიციაში განსხვავებულია ხმოვანთკომპლექსთა გამოვლენა

ტაოურ და იმერხეულ დიალექტებში. ტაოურში, თეორიულად დასაშვები შესაძლებლობებიდან სულ გამოვლინდა 22 პირველადი და მეორეული კომპლექსი. ამათგან პირველადი კომპლექსებია: აო, ია, იო, ოა, ოე (5), ხოლო მეორეული - აე, აო, აფ, ეფ, ეჟ, ია, მა, იე, იო, ოა, ოე, ოფ, ოჟ, ჟა, ჟო, ჟი (17). ცხრილის ფარგლებში სულ რეალიზებულია პირველადი კომპლექსების 25, 0%, ხოლო მეორეული კომპლექსების - 41, 3%. იმერხეულში, გამოვლინდა 27 პირველადი და მეორეული კომპლექსი. ამათგან პირველადი კომპლექსებია: აე, აო, ეა, ეო, ია, იე, იო, ოა, ოე (9), ხოლო მეორეული - აე, აფ, აო, აჟ, ეა, ეფ, ეა, ეჟ, მა, მე, მო, ოა, ოე, ოფ, ოჟ, ჟა, ჟე, ჟი, ჟო (18). ცხრილის ფარგლებში სულ რეალიზებულია პირველადი კომპლექსების 36, 0% და მეორეული კომპლექსების - 39, 1%. საერთო ჯამში, ტაოურში, მორფემათა ზღვარზე გამოვლენილია ხმოვანთკომპლექსთა 30, 9%, ხოლო იმერხეულში - 38, 0%.

საანალიზო დიალექტებში, მორფემათა ზღვარზე, ხმოვანთკომპლექსების წარმოქმნისას ადგილი აქვს სხვადასხვა სახის ფონეტიკურ მოვლენას, შესაბამისად, ბგერათკომპლექსთა რეალიზების ალბათობაც მეტია.

## 3.2. თანხმოვანთა სისტემაში არსებული მსგავსება-განსხვავებანი

### 3.2.1. თანხმოვანთა დისტრიბუცია

ტაოურსა და იმერხეულში თანხმოვანთა სისტემა ძირითადად სხვა ქართველური დიალექტებისა და სალიტერატურო ენის იდენტურია. მათგან - 25 ჩქამიერია და 5 სონორი. თანამედროვე სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით დასტურდება ჯ, ჭ ბგერები. პირველი ძველ ქართულ სამწიგნობრო ენაში ფონემას წარმოადგენდა, დღეს დაცულია ცალკეულ კილოებში; ჭ ბგერა ქართული ენის დიალექტებში ძირითადად უცხო ენათა გავლენით არის გაჩენილი.

#### 3.2.1.1. ჯ ბგერის დისტრიბუცია.

ჯ საანალიზო დიალექტებში, ისევე როგორც სხვა დიალექტებში, ვერ ქმნის ოპოზიციას ხ-სთან და ისინი ერთმანეთის მონაცვლედ გვევლინება, თუმცა ვერ ვიტყვიტ,

რომ ის მოშლის გზაზეა, რადგანაც სისტემურად გვხვდება სხვადასხვა ფორმაში. პოზიციურად ტაოურშიც და იმერხელში ძირითადად წარმოდგენილია: სიტყვის თავში და შუაში.

**ტაოურის მაგალითები: კალი, კალავენ, კარით; თოჯით, ელმასწევი, ფეწი, გაჭყოცავთ, ნარცკი, მსწმენ, საწნისიც...**

**იმერხელის მაგალითები: კევწვრული, კიდზე, კელით, კმამალაჲ, ბაწალა, ფეწები, თოჯით, საწმარობელები, აწმოფს, მწრებ...**

პროცენტულად კარისა და ხანის გავრცელების სიხშირე განსხვავებულია. ტაოურში კ წარმოდგენილია მაგალითების 43%-ში, ხოლო ხანი - 57%-ში; იმერხელში პროცენტულად გაცილებით სჭარბობს კარის გამოვლენის შემთხვევები: კ- 61%; ხ-39%.

როგორც ვხედავთ, ტაოურსა და იმერხელს შორის ძირითად განსხვავებას, კ-თან დაკავშირებით, გავრცელების სიხშირე წარმოადგენს.

### **3.2.1.2. ჭ ბგერა**

ჭ გვხვდება როგორც ტაოურში, ასევე იმერხელში. ზოგადად, სხვა ქართველური დიალექტებისთვისაც არაა უცხო, მაგრამ საანალიზო დიალექტებში თურქულის გავლენით გააქტიურებულია. ჭ ფონემას არ წარმოადგენს.

ჭ ბგერა ტაოურში, საკუთრივ დიალექტურ ფორმებში შ-ს, შვ-სა და ფ-ს რეფლექსებს წარმოადგენს, თუმცა ძირითადად გვხვდება ნასესხებ სიტყვებში. იმერხელში კი მხოლოდ ნასესხებ სიტყვებშია წარმოდგენილი (ჭორვა, ჭაბრიკაჲამ, ჩეჭილი, ნუჭუს, ჭარხი, მუსტაჭა...).

საინტერესოა ტაოურის მაგალითი, დიალექტურ სიტყვებში შ-სა და ფ-ს რეფლექსებად წარმოდგენილი ჭ, რომელსაც ანალოგი არ აქვს არც იმერხელში და არც სხვა ქართველურ დიალექტებში. ჭ-შ: ჭადლე, ჭორ-ჭორ, ჭაგულეში, ჭუადლეხან; ჭ-შვ: გუჭებ, ათდაჭიდი; ჭ-ფ: ეჭელებიან...

ჭ სხვა ქართველური დიალექტებისთვისაც არაა უცხო, ოღონდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ვ-ს ყრუ ალოფონს წარმოადგენს: მოჭხარშევდით, გამოჭჭერით, ქჭყავდა, დაჭყავავთ, დაჭსხდებით, გაჭჩეჩაჭთ...

**ვ-ჭ** ბგერებს ქართულ სალიტერატურო ენაშიც ადასტურებენ (ახვლედიანი 1949: 82, 271; ჯაფარიძე 1975: 40). გ. ახვლედიანთან დადასტურებულია შემდეგი მაგალითები: **ჭხედაჭ** (ვხედავ), **ჭსინჯაჭ** (ვსინჯავ), **ჭტეხ** (ვტეხ), **ჭჩივი** (ვჩივი), **კარაჭში** (კარავში).

**ჭ** სპორადულად გამოვლინდება ფერეიდნულში (ჯორბენაძე 1989, მარტიროსოვი 1984, ჭინჭარაული 1990, ნიჭარაძე 1961, იმნაიშვილი 1974...). დასტურდება ზანურის ჭანურ დიალექტში (ჩიქობავა 1936: 14) (თუმცა მეგრულში არ მოიპოვება). ინგილოურში **ვ > ჭ** ხორციელდება ყრუ მკვეთრ და ყრუ ფშვინვიერ ბგერათა წინ (თუმცა არა სისტემურად): **ჭჭნავდი**, **მიჭჭყონდით**, **ჭჭამ**, **ჭჭრი**...

### 3.2.1.3. ვ ბგერა.

როგორც ტაოურში, ასევე იმერხეულ დიალექტში **ვ**-ს სამი ალოფონია მოსალოდნელი: კბილბაგისმიერი **ვ**, მისი ყრუ ალოფონი (**ფ**) და წყვილბაგისმიერი სონორი (**ვ**). ალოფონთა გამოვლენას განსაზღვრავს ბგერათა მეზობლობა. ტაოურშიც და იმერხეულშიც კბილბაგისმიერი **ვ** და მისი ყრუ ალოფონი **ფ** მხოლოდ მორფემათა ზღვარზე გამოვლინდა, ძირითადად პირველი სუბიექტური პირის **ვ**-ს ნიშნად.

### 3.2.1.4. რ ბგერა

ტაოურსა და იმერხეულ თანხმოვანთა სისტემას შორის არსებითი განსხვავებაა **რ**-ს არტიკულაციასთან დაკავშირებით, თუმცა თანხმოვანთა სინტაგმატური ანალიზისას, ჩვეულებრივ, ერთნაირად განვიხილავთ.

ტაოურში დადასტურებული **რ** ბგერა განსხვავებული, არავიზრანტი ბგერაა, რომელიც ზოგჯერ იმდენად სუსტდება, რომ ან საერთოდ ქრება, ან იოტად იქცევა, ხშირ შემთხვევაში კი ძალიან ყრუდ აღიქმება, ძირითადად ხმოვანთა მეზობლობაში.

### 3.2.1.5. მკვეთრი თანხმოვნები

ტაოურსა და იმერხეულში გამოვლენილი მკვეთრი თანხმოვნების წარმოთქმასთან დაკავშირებით, ამ ორ დიალექტს შორის, დიდი განსხვავება არ შეინიშნება. ვითარება

თითქმის იდენტურია; კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ ტაოური და იმერხეული მეტყველება, ისევე როგორც სხვა ქართველური კილოები, რომლებიც ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული, უცხო ენის (თურქულის) გავლენას განიცდის, მკვეთრი თანხმომავნების წარმოთქმის თვალსაზრისით არსებითი სახის ცვლილება არ განუცდია. განსხვავებულია ახალგაზრდებისა და ასაკოვან ადამიანთა მეტყველება: ახალგაზრდებს ძირითადად უჭირთ ქართულისთვის სპეციფიკური თანხმომავნების წარმოთქმა და გაბმული მეტყველებისას ფშვინვიერ თანხმომავნებს ანაცვლებენ, ასაკოვნები კი ორივეს ამბობენ. რიგ სიტყვებში მხოლოდ მკვეთრი თანხმომავნებია შენარჩუნებული. გავრცელებულია მკვეთრი თანხმომავნებისგან შედგენილი კომპლექსების წარმოთქმის არაერთი შემთხვევა. ჩვენ გამოვავლინეთ მკვეთრ თანხმომავნთა კომპლექსებში მონაწილეობის მიხედვით საერთო სიხშირული მაჩვენებელი ორივე დიალექტში, რომლის მიხედვითაც, ტაოურში ყველაზე გავრცელებულია კ – 28, 57%, შემდეგ - ტ – 26, 19%, ყ – 16, 66%, ჭ – 13, 49%, წ – 12, 69%, პ – 2, 38%; ხოლო იმერხეულში ყველაზე მეტად რეალიზებული წ და კ ფონემებია, ყველაზე ნაკლებად კი პ გვხვდება, თუმცა სხვა მკვეთრ ბგერებთან ერთად მკვეთრ პ-ს ხმოვნებთან მეზობლობაში ძალიან ხშირად წარმოსთქვამენ: წ – 32, 86%, კ – 31, 8%, ტ – 22, 26%, ჭ – 16, 29%, ყ – 6, 36%, პ – 2, 12%.

### 3.2.2. თანხმომავნთა სინტაგმატური მიმართება

ტაოურსა და იმერხეულში თანხმომავნთკომპლექსთა სიგრძე განისაზღვრება 2 - დან 5 - მდე, თუმცა ძირითადია ორწევრა კომპლექსები. სამწევრა და ოთხწევრა ბგერათკომბინაციები დიდი სიხშირით არ გამოირჩევა. მორფემათა ზღვარზე ძირეული მორფემის თანხმომავნი რთულდება აფიქსისეული თანხმომავნებით და წარმოიქმნება თანხმომავნთკომპლექსები, როგორც ბრუნების, ასევე ზმნის უღვლილების პარადიგმაში, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ფონეტიკური ფაქტორების გათვალისწინებით გარდაიქმნებიან. მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი თანხმომავნთკომპლექსების სიხშირე მეტ-ნაკლებად განსხვავებულია პოზიციების მიხედვით. ზოგჯერ

თანხმოვანთკომპლექსები შეიძლება გაითიშოს ნეიტრალური ხმოვნით და ხშირად ასეთი ფორმები ამოსავალი ფორმების პარალელურად დასტურდება.

### 3.2.2.1. ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში

ტაოურსა და იმერხეულში ორწევრა თანხმოვანთკომპლექსების შემდეგი სახეებია რეალიზებული: სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსები (SC/SC°, CS/C°S, SS), ჩქამიერ თანხმოვანთა კომპლექსები (CC/C°C°/CC°/C°C). მათი გამოვლენის სიხშირე მეტ-ნაკლებად განსხვავებულია პოზიციების მიხედვით.

**ტაოურში** ერთი მორფემის ფარგლებში გამოვლენილი ორწევრა თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე მეტ-ნაკლებად განსხვავებულია პოზიციების მიხედვით; რეალიზებული **164** კომპლექსიდან უფრო ხშირია სონორის შემცველი ბგერათკომბინაციები: **30, 32%**, ამათგან თავკიდურად გვხვდება **24, 29%**, ხოლო სიტყვის შუაში - **32, 84%**. ჩქამიერ თანხმოვანთა შემცველი ბგერათკომბინაციებიდან სულ რეალიზებულია **5, 58%**; **3,02 %** გვხვდება სიტყვის თავკიდურად, ხოლო სიტყვის შუაში - **8, 13%**-ია წარმოდგენილი.

**იმერხეულში** თეორიულად შესაძლებელი **სონორ** თანხმოვანთა შემცველი ბგერათმიმდევრობებიდან დადასტურდა **24, 44%** (თავკიდურად - **14, 36%**, სიტყვის შუაში - **32, 16%**), ხოლო **ჩქამიერ** თანხმოვანთა კომპლექსებიდან - **4,69%** (თავკიდურად - **3, 75%**, სიტყვის შუაში - **5, 63%**).

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ტაოურში, ერთი მორფემის ფარგლებში თანხმოვანთკომპლექსთა მეტი რაოდენობაა რეალიზებული, ვიდრე იმერხეულში.

როგორც ტაოურში, ასევე იმერხეულში, ერთი მორფემის ფარგლებში, საკუთრივ ქართულ სიტყვებში, არ დასტურდება ერთი რაგვარობისა და ლოკალური რიგის თანხმოვნები; აქ იგულისხმება ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით, იდენტურთანხმოვანი კომპლექსები, ე.წ. გემინირებული თანხმოვნები, რომლებიც ქართული ენის ქვესისტემებისთვის არაა დამახასიათებელი. უცხო ენობრივ გარემოში მოსალოდნელი ცვლილება დიალექტში არ აისახა.

გემინირებული თანხმონები გვხვდება იმ დიალექტებში, რომლებიც უცხო ენობრივ გარემოში არიან: ინგილოურში, ფერიდნულში; მაგ., გემინირებული **მ**: გამმერ „კამერი“, ამა „მაგრამ“, ქელლა „თავი“... ორი იდენტური თანხმონის თავმოყრით, რასაც წინ მათ შორის პოვნირი ბგერის დაკარგვა უძღვის: პაწა>პაწწა, გამოლალვით>გამოლლით (ჯორბენაძე 1989: 341, 364); სამმი, მეტტი, თოფფი... (ჩხუბინაშვილი 2002: 84).

### 3.2.2.1.1. ჰარმონიული თანხმონთა კომპლექსები

საანალიზო დიალექტებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია ჰარმონიულ კომპლექსთა გამოვლენა.

**ტაოურში** ჰარმონიულ კომპლექსთა შემდეგი წყვილებია რეალიზებული:

I	II	III
ფს ფშ ბზ -	- ფხ -	სყ ზღ შხ -
ქს - გზ -	დღ თხ ტყ	
- -	ძღ ცხ წყ	
- -	ჯღ ჩხ ჭყ	

მასალაში არ გამოვლინდა პირველი ჯგუფის - ბჟ, ქშ, გჟ, ჳს, ჳშ; მეორე ჯგუფის ბღ, პყ და მესამე ჯგუფის ჟღ კომპლექსები (სულ - 8).

ჰარმონიულ კომპლექსთა რეალიზაციის შემთხვევები **იმერხეულ** დიალექტში:

I	II	III
- - ბზ -	ბღ ფხ -	-
ქს - გზ -	დღ თხ ტყ	ზღ
- -	ძღ ცხ წყ	-
	ჯღ ჩხ ჭყ	-

მასალაში არ გამოვლინდა პირველი ჯგუფის ფს, ფშ, ბჟ, ქშ, გჟ, კს, წშ; მეორე ჯგუფის - პყ, მესამე ჯგუფის - სყ, შხ, ჟღ კომპლექსები (სულ - 11).

როგორც ვხედავთ, ტაოურში ჰარმონიულ კომპლექსთა მეტი რეალიზაციაა, ვიდრე იმერხეულში: ტაოურში სულ წარმოდგენილია 18 ბგერათმომდევრობა ხოლო იმერხეულში - 15.

### 3.2.2.1.2. აქცესიურობა-დეცესიურობა

აქცესიურობა-დეცესიურობის თვალსაზრისით, ტაოურსა და იმერხეულ დიალექტებში არსებითად ერთნაირი ვითარებაა, ორივე შემთხვევაში მეტია თანხმოვანთკომპლექსთა აქცესიური მიმდევრობა.

აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში, როგორც აქცესიური, ისე დეცესიური მიმდევრობის კომპლექსის შემცველ სიტყვებში: კმელი, ბრინჯი, ფლავი, კბილი... ჩნდება თანხმოვანთგამყარი ნეიტრალური ბგერა გ, ან სრული ხმოვანი ი, თუმცა, იმერხეულში, ტაოურისგან განსხვავებით, უფრო ხშირად თანხმოვანთგამყარის გარეშე ვარიანტია წარმოდგენილი.

### 3.2.2.2. ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები მორფემათა ზღვარზე

ტაოურსა და იმერხეულში ორწევრა თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის შემთხვევები მორფემათა ზღვარზე განსხვავებულია. იმერხეულში გაცილებით მეტი კომპლექსია რეალიზებული, ვიდრე ტაოურში.

ტაოურში, რეალიზებული 139 კომპლექსიდან უფრო დიდი რაოდენობით გამოვლინდა ჩქამიერთა ბგერათკომბინაციები - სულ 77; სონორების შემცველი თანხმოვანთკომპლექსების რაოდენობაა - 62.<sup>30</sup>

---

<sup>30</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სონორთა შემცველი კომპლექსების კლება გამოიწვია ვ ბგერამ, რომელიც ერთი მორფემის ფარგლებში წყვილბაგისმიერი ბგერაა და სონორული ბუნებისაა, ხოლო მორფემათა



იმერხეულში გამოვლენილი 149 კომპლექსიდან ჩქამიერ თანხმოვანთა ბგერათმომდევრობებია - 90, ხოლო სონორების შემცველი თანხმოვანთკომპლექსების რაოდენობა კი 59-ს შეადგენს.

### 3.2.2.3. სამწევრა და ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში

გაანალიზებული მასალის მიხედვით, ტაოურსა და იმერხეულში სამწევრა და ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის შემთხვევები არსებითად ერთნაირია. ორივე შემთხვევაში სამწევრა და ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსთა არც თუ ისე მცირე რაოდენობაა რეალიზებული. სამწევრა ბგერათმომდევრობის შემთხვევაში, ტაოურში, სონორი და ჩამიერი თანხმოვნებისაგან შედგენილი მეტი მოდელია რეალიზებული, ვიდრე იმერხეულში, ხოლო ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსების შემთხვევაში კი - იმერხეული 1 მოდელით აღემატება.

ტაოურში სულ გამოვლინდა, სამწევრა თანხმოვანთკომპლექსების, სონორი და ჩქამიერები თანხმოვნებისაგან შედგენილი 17 მოდელი: SCC, SCC°, SCS, SC°S, SSC, C°CS, CC°S, C°C°S, CCS, CSC, CSC°, CSS, C°SS, C°CC, CC°C, CCC°, CCC; ამათგან სონორების შემცველი ბგერათკომბინაციები გვაქვს 13 მოდელში, 4 კი - მხოლოდ ჩქამიერთაგან შედგენილ მოდელებში.

ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსებიდან რეალიზებულია სონორი და ჩქამიერი ბგერათკომბინაციებისგან შედგენილი 6 მოდელი: SCC°S, SCCS, SCC°C, CC°SS, CCSS, CC°SC.

იმერხეულში სამწევრა თანხმოვანთკომპლექსების 13 მოდელია რეალიზებული, რომელთაგან წარმოდგენილია სონორი და ჩქამიერი თანხმოვნებისგან და მხოლოდ ჩქამიერ თანხმოვანთა წარმოქმნილი ბგერათმომდევრობები: C°CS, CSC, SCS, SC C°, SCC, C°SC, CSS, CCS, C°SS, S C°S, C C° S (11); C C°C, CCC (2).

---

ზღვარზე კი კბილბაგისმიერ ნაპრალოვანს წარმოადგენს, რომელიც ხშირად მისი ყრუ ალოფონის ჭ-ის სახით რეალიზდება.

ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსებში მხოლოდ სონორის შემცველი ბგერათმომდევრობებია რეალიზებული. სულ გამოვლინდა 7 მოდელი: SC C°S, S C°CS, SCSS, SCSC, CS C°S, C°CSS, SCCS.

### 3.2.2.4. მორფემათა ზღვარზე გამოვლენილი სამწევრა, ოთხწევრა, ხუთწევრა და ექვსწევრა თანხმოვანთკომპლექსები

როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე გამოვლენილი სამწევრა, ოთხწევრა, ხუთწევრა და იმერხეულის შემთხვევაში - ექვსწევრა თანხმოვანთკომპლექსთა მოდელები არსებითად ერთნაირია.

**ტაოურში** მორფემათა ზღვარზე რეალიზებულია სამწევრა თანხმონთკომპლექსთა 23 მოდელი, ამათგან სონორთა შემცველია - SC C°, S C° C°, SCC, S C°C, SCS, C C°S, C°CS, C° C°S, C° SC, CS C, C°CS, CSC, CSC°, CCS, C C°S (15), ხოლო მხოლოდ ჩქამიერ თანხმოვანთა მიერ შედგენილი მოდელებია: C C°C, CC C°, C°C° C°, C° C°C, C°CC, C° C C°, C C° C°, CCC (8).

ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსებში რეალიზებულია ბგერათმომდევრობათა 16 მოდელი: სონორთა შემცველი კომპლექსები - SCC°S, S C° C°S, SCCS, SCSC°, SC°CS, SC C° C°, C°SCC, C°C°C°S, C°CCS, C°CC°S, CCC°S, C°C°CS, CC°SC° (13); მხოლოდ ჩქამიერთა შემცველი კომპლექსები - CCC°C, C°C°CC°, C°CCC° (3).

ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსი რეალიზებულია მხოლოდ ერთ მაგალითში: C°C°SCS: **ჭხჷდნ**: მიჭხჷდნით.

**იმერხეულში** მორფემათა ზღვარზე რეალიზებულია სამწევრა თანხმონთკომპლექსთა 21 მოდელი: სონორთა შემცველი - SCC, SC C°, S C° C°, S C°C, S C°S, SCS, SSC, SSS, C° C°S, CCS, C C°S, C°SC, C°CS (13), მხოლოდ ჩქამიერ თანხმოვანთა მიერ შედგენილი - CCC, C° C° C°, CC C°, C° C°C, C C° C°, C C°C, C°C C°, C°CC (8).

ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსებიდან 8 მოდელი რეალიზებდა: SC°SC, S C° C°S, C°SCC, C°SC C°, C°CCS, C C°S C°, CCC S, C°C°SC°; არ დადასტურდა მხოლოდ ჩქამიერთა ოთხწევრა ბგერათკომბინაციები.

ხუთწევრა თანხმომავანთკომპლექსის რელიზაციის მხოლოდ ორი შემთხვევა გვაქვს და გვხვდება მხოლოდ სონორის შემცველი კომპლექსები - SSC C° C, C C° C C° S

ტაოურისგან განსხვავებით, იმერხეულში, მორფემათა ზღვარზე გამოვლინდა ექვსწევრა თანხმომავანთკომპლექსის ერთი მაგალითი: C°SCCSS: ვრცქუნ: გავრცქუნდით.

### 3. 3. ფონეტიკურ პროცესთა მსგავსება-განსხვავებანი ტაოურსა და იმერხეულ დიალექტებში

ტაოურსა და იმერხეულში სხვა ქართველური დიალექტების მსგავსად, წარმოდგენილია სხვადასხვა ფონეტიკური ხასიათის მოვლენა, რომელსაც ძირითადად დიალექტის შინაგანი, იმანენტური კანონები წარმართავს. ორივე დიალექტში თითქმის მსგავსი ტიპის ფონეტიკური პროცესები მიმდინარეობს, თუმცა გვაქვს განსხვავებებიც.

საინტერესოა ბგერის დაკარგვის შემთხვევები, რომელიც რამდენადმე განსხვავებულია ტაოურსა და იმერხეულში; განსაკუთრებით ეს ითქმის რ-ს დაკარგვის შესახებ. სხვა ბგერებთან მიმართებით, მსგავსი ვითარებაა დაცული. ძირითადად იკარგება ს და მ თანხმომონები.

ტაოურში სონორი რ ძალიან ხშირად სრულად იკარგება, ან იოტად იქცევა, ზოგჯერ სუსტი, ყრუ რ ბგერად ისმის. ზოგჯერ, სადაც მთრთოლი, ყრუ რ-ა, იმავე სიტყვაში, სხვა წინადადებაში იკარგება კიდევ.

რ:

• რ - დ: აბლი ცქვიტა ხვამათობენ ზოგნი და ზოგნი ვხტები; უწინ ხადებ, ძროხებ დუაბიდით; მე შენ მეგეხმაფები, მე შენის მემეხმაფები, ისე ვაკეთეფთ; იმა ფალუზა იცის, იმა იხვამათოს (ყველგან, სიტყვაში - იხვამათოს - რ იოტადაა ქცეული); წყალი მჭა, ერბო თეფეფში წყალი მჭა;

• რ იკარგება: ქოხუკნიდამ ვაადია, ვარდყავილი ჩუყრია (როცა კომპოზიტია ვარდი, მაშინ ინარჩუნებს რ-ს და როცა ცალკე სიტყვაა, მაშინ ყველა მაგალითში იკარგება); ფუტკარ იჯება და სხვა ლა ვიცი ქი; აქ ა ვაგდეფთ გურჯიჯა, გურჯიჯა ჭხვამათოფთ ბოდნა; რ, ჰექია-მექია ა მაგონდება; აქ ა გჭაქჭა და ქომო არი; აქ მატო ბალი არი; ბოსტანში ჭხალი არის, ისპანალი ად; თუე მატი, აპრილი, მადსი; ზემოდან მოდის ამა სახელი რამა ნ

ვიცი; **წა** უსდივართ, სამ დღე უკან დავფორჩხავთ; დტეგვეცემაო და კნგათ გავხერგნავსო; **გამხმა** კაწა-პუწა; ეთი წყვილინ კარი ჰყოლია; **დაზდილია** ი, შეხედეთა, **თტელზე** ამევღეთ, კადა;

- **ყრუ, მთრთოლი რ:** დეკაცი მესელეა, შე დეკაცი ხარ (ბოლოკიდურში, ხან ისმის ეს რ, ხან - არა); ხანჩი ვხვთები და ხანჩი ვერ მიმტხდარვარ; ლაჰანა მოვხა(რ)შავთ; დუგუნში საჰმელი ფილაა აი, ხორცი არი, ტოლმა არი (ხან ისმის არი, ხან - აი); სხვა რა არი? დო ერბოთი გუმტანოფთ; იმარხაჰთ?; ის სერეკარი, მწლე, ის ჰედლიანკარი; ჯტოხური იცით, ჯტოხური?; თქტუნში სარწყაა არი? რწყავთა? (როცა კითხვითი სიტყვა იწყება რ-თი ძალიან კარგად ისმის; ჩვეულებრივ, მჟღერი რ ისმის); მე არსა წავალო, ვიქნები ბალჰსაო.

იმერხელში სონორი -რ ძირითადად იკარგება თავკიდურა პოზიციაში: ჯერ **თტელზე** მტა სხლტები; მემრეს ახლა **თტელი** მტა, მოვჰრით, მოვტეხაჰთ; **თტელზე** პაწავდება, ზამთარი მტა; ძალი სვემდა, ძალი, გოგო; ის ჩემ ტაძაშვილის ზალია...

ზმნებში თანხმოვანთა შეყრისას: ისე მემრეც გეძდება სიმინდი; ჩემ ბაბას გტუზდია იშთა; აქ **დაზდილი** არ არძან.

იმერხელისგან განსხვავებული ფონეტიკური პროცესი მიმდინარეობს ტაოურში შვ კომპლექსის ჰ-დ ქცევასთან დაკავშირებით: **ჰადლე**, საღამოპირა; ასე, **ჰაგულეში** შეშა ანთებდეს; ღამი **ჰაგულეში** მოდინდებოდეს; **ჰორ-ჰორ** დტასოფთ; აბლი **ჰორიღამ**; **ჰადლენან**, საღამოპირა **ჰორ**; **ჰაგულე** გამტაცხოფთ; რაა გითხრა, **ჰაყანები**; ძალსაც არ გუჰებ, უცდი; ათდაჰიდი, ათდაჰიდი; ამა **ჰორი**, ახლო არა; გუმუჰა წყალი და თქვენაც წუალებინო თქვენი თაა; გასულა და წყალი გუმუჰა; მე სამოცი და ჰიდი წლისა ვარა;

**ჰ-ფ:** ამა კიდე ეჰელებიან, ეჰელებიან; გუაგდო, მეც მევეჰელე ამაზე; ო, ეჰელება, ო; ერთმანეთს მევეჰელებით...

საინტერესოა **ჰიდი** ტიპის მაგალითები, რომლის მსგავსი შემთხვევა არ დასტურდება არცერთ ქართველურ დიალექტში.

**შვ:** გუჰებ<გაუშვებ, ათდაჰიდი<ათდაშვიდი, სამოციდაჰიდი<სამოცდაშვიდი, გუმუჰა<გამოუშვია... შესაძლოა ამ ტიპის მაგალითებში განვიხილოთ ტაოურში დადასტურებული კიდევ ერთი ფორმა - **ჰადლე: შუადლე>შვადლე>ჰადლე.**

გაანალიზებული მასალის მიხედვით, როგორც ტაოურში, ისე იმერხეულში ხმოვანთა/თანხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებები განისაზღვრება ქართულისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციით და ამ დიალექტებში წარმოდგენილია ცვლილებების სხვადასხვა საფეხური, თუმცა დასტურდება მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესებიც, რაც შიძლება გამოწვეული იყოს, ერთი მხრივ, დიალექტების შინაგანი ბუნებით, მეორე მხრივ, უცხო ენის (თურქულის) ინსტენსიური გავლენით.

## ძირითადი დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში გამოვავლინეთ ტაოური და იმერხეული კილოების ფონემატური სტრუქტურის ძირითადი კანონზომიერებები; კერძოდ, დადგენილია ტაოური და იმერხეული დიალექტებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო ბგერები, აგრეთვე, დაწვრილებითაა განხილული ხმოვანთკომპლექსებისა და თანხმოვანთკომპლექსების ყველა პოზიცია; დადგენილია აღნიშნული კილოებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური ხასიათის მოვლენები და სინტაგმატური წესები.

**I. ტაოურში**, როგორც სალიტერატურო ქართულში, ფონემატური ღირებულების ხუთი ხმოვანი გვაქვს: ა, ე, ი, ო, უ. მათი დისტრიბუცია თავისუფალია და ისინი წარმოებისა და რაგვარობის მიხედვითაც იდენტურია. ამათ გარდა, სხვადასხვა პოზიციის მიხედვით გამოვლენილი ფონეტიკური ვარიანტებია: ა, ე, ი, ო, უ, ა(<უ), ე(<ი), გ, უ, ო.

- გრძელი ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები მეორეული წარმომავლობისაა და მხოლოდ სიგრძით განსხვავდებიან ფონემატური ღირებულების ა ე ი ო უ ხმოვნებისაგან. ტაოურში გრძელი ხმოვნები, რიგ შემთხვევებში, მიღებულია იდენტურ ხმოვანთა შერწყმით, დაკარგული ბგერის საკონპნესაციოდ და ტონური მახვილის შედეგად;

- უ და ო ბგერები გვხვდება არა მხოლოდ თურქულ სიტყვებში, არამედ დიალექტურ მასალაშიც საკმაოდ დიდი რაოდენობით დასტურდება; რიგ შემთხვევებში თავისუფლად მონაცვლეობს უ და ო ხმოვნებთან;

- ნეიტრალური გ უფრო ხშირად თანხმოვნის მომდევნოდაა გავრცელებული და წარმოადგენს რომელიმე ბგერის (ძირითადად ი-ს ან უ-ს) პოზიციურ ვარიანტს. მას ფორმატგანმასხვავებელი ფუნქცია არ აქვს და, შესაბამისად, ფონემასაც არ წარმოადგენს. ფუნქციურად, რიგ შემთხვევებში, ნეიტრალური ბგერა ანაპტიქსური ხმოვანი, თანხმოვანთგამყარია.

მიუხედავად იმისა, რომ გ ბგერა უფრო ხშირი თურქულიდან ნასესხებ სიტყვებშია, ტაოურში მისი არსებობა ზოგადქართულ ფონეტიკურ მოვლენას წარმოადგენს, რასაც სხვა ქართველურ დიალექტებში დადასტურებული არაერთი მაგალითი მოწმობს.

- ტაოურში სონორული ბუნების წყვილბაგისმიერი მჟღერი უ-სა და პალატალური მჟღერი ე-ის გამოვლენა თითქმის შეუზღუდავია.

1. **ღ** გვხვდება: 1. V-# (ხმოვნის მომდევნო პოზიციაში), 2. V-V (ინტერვოკალურ პოზიციაში), 3. #-V (ხმოვნის წინა პოზიციაში), V-C (ხმოვანსა და თანხმოვანს შორის).

**V-#** პოზიციაში, **ღ** უფრო გავრცელებული სახელობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტადაა; **V-C** პოზიციაში - ზმნებთან, მორფემათა ზღვარზე, დადასტურებულია ზმნისწინისეული ხმოვნის მეზობლად; **V-V** პოზიციაში **ღ**-ს, უმეტესად, იძლევა **ი**. წარმოდგენილია ზმნებთან, მორფემათა ზღვარზე, ზმნისწინისეული ხმოვნის მეზობლად და ყველაზე ხშირად შედგენილ შემასმენელთან, მეშველზმნიან ფორმებთან; **#-V** პოზიციაში **ღ** გვხვდება თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში **Y**-ს გადმოსაცემად.

2. **ჟ** წარმოდგენილია შემდეგ პოზიციებში: 1. C – V (თანხმოვანსა და ხმოვანს შორის), 2. C – C (თანხმოვანსა და თანხმოვანს შორის), 3. V – C (ხმოვანსა და თანხმოვანს შორის); 4. V - # (ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ); 5. # - V (ხმოვნის წინ პაუზის მომდევნოდ); 6. V – V ( ხმოვანთა შორის); # - C (თანხმოვნის წინ პაუზის მომდევნოდ). ამათგან ყველაზე ხშირია თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიცია. **ჟ** ძირითადად წყვილბაგისმიერი **ვ** - ს მონაცვლეა, რაც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია. იშვიათად გვხვდება **უ**-ს პოზიციაში, - **ურ/-ულ** სუფიქსისეული **უ** ხმოვნის **ე**, **ა** ხმოვნებთან მეზობლობაში დავიწროების შედეგად. ტაოურში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა მოსალოდნელი კბილბაგისმიერი **ვ**-ს ნაცვლად წარმოდგენილია უმარცვლო **უ**, ხმოვნის მეზობლად, სიტყვის თავკიდურად: **ჭიცი>ვიცი**, **ჟწველავ >ვწველავ**, თუმცა სისტემური სახე არ აქვს, ერთსა და იმავე მთმელის მეტყველებაშივე შეინიშნება მერყეობა აღნიშნულ პოზიციაში **ჟ/ვ** მონაცვლეობასთან დაკავშირებით.

**ჟ** სისტემურადაა წარმოდგენილი შემდეგ სიტყვებში: ბეჭერი, ცხეარი, შუილი, ძუელი/ზუელი, წისქვილი/წისკვილი, ფქვილი.

• ტაოურში, ისე როგორც სხვა ქართველურ კილოებში, დიფთონგებს ქმნიან **ღ** და **ჟ** უმარცვლო ხმოვნები. დიალექტში გავრცელებულია როგორც დამავალი, ასევე აღმავალი დიფთონგები. **ღ/ჟ** პოზიციურად დაკავშირებულია ხმოვანთან და გვხვდება სამივე პოზიციაში: სიტყვის დასაწყისში, შუაში და ბოლოკიდურად.

• დისტრიბუციული ანალიზისას გამოვლინდა, რომ ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად ტაოურ დიალექტში ძირითადად აკრძალულია ორი ხმოვნის უშუალო

მეზობლობა. ერთი მორფემის ფარგლებში, სინქრონიულად, თეორიულად დასაშვები შესაძლებლობებიდან, გამოვავლინეთ 7 მეორეული კომპლექსი, რომელთა გავრცელების პროცენტული მაჩვენებელი ასეთია: აბ - 28,5%, აე - 23, 8%, აა - 14, 2%, აჟ - 19, 0%, აე - 4, 7%, აო - 4, 7%, ეჟ - 4, 7%. ყველაზე რეალიზებული ა-ს შემცველი ხმოვანთკომპლექსები ჩანს. ცხრილის ფარგლებში სულ რეალიზებულია კომპლექსების 10, 8%.

- მორფემათა ზღვარზე, ტაოურში, თეორიულად დასაშვები შესაძლებლობებიდან სულ გამოვლინდა 22 პირველადი და მეორეული კომპლექსი. ამათგან პირველადი კომპლექსებია: აო, ია, იო, ია, იე (5 ), ხოლო მეორეული - აე, აო, აბ, აჟ, ებ, ეჟ, ია, აა, იე, იო, ია, იე, იბ, იჟ, აა, აო, აჟ (17). ცხრილის ფარგლებში სულ რეალიზებულია პირველადი კომპლექსების 25, 0%, ხოლო მეორეული კომპლექსების - 41, 3%. საერთო ჯამში, ტაოურში, მორფემათა ზღვარზე გამოვლენილია ხმოვანთკომპლექსთა 30, 9%.

- ტაოურ მეტყველებაში თანხმოვანთა სისტემა წარმოდგენილია ძირითადად სხვა ქართველური დიალექტებისა და სალიტერატურო ენის იდენტურად. მათგან - 25 ჩქამიერია და 5 სონორი. თანამედროვე სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით დასტურდება ჯ, ჰ ბგერები.

- ტაოურში ჯ წარმოდგენილია მაგალითების 43%-ში, ხოლო ხანი - 57%-ში. პოზიციურად გვხვდება - სიტყვის თავში და შუაში. ჯ-ის რეალიზაციასთან დაკავშირებით რაიმე ტიპის კანონზომიერება არაა გამოვლენილი.

- ჰ ბგერა ტაოურში, საკუთრივ დიალექტურ ფორმებში შვ- კომპლექსისა და ფ-ს რეფლექსებს წარმოადგენს, თუმცა ძირითადად გვხვდება ნასესხებ სიტყვებში. ზოგადად, სხვა ქართველური დიალექტებისთვისაც არ არის უცხო, მაგრამ ტაოურში თურქულის გავლენით გააქტიურებულია. ჰ ფონემას არ წარმოადგენს.

- ტაოურ დიალექტში ვ-ს სამი ალოფონია მოსალოდნელი: კბილბაგისმიერი ვ მისი ყრუ ალოფონი (ჰ) და წყვილბაგისმიერი სონორი (ვ). ალოფონთა გამოვლენას განსაზღვრავს ბგერათა მეზობლობა. ტაოურ დიალექტში კბილბაგისმიერი ვ და მისი ყრუ ალოფონი ჰ მხოლოდ მორფემათა ზღვარზე გამოვლინდა, ძირითადად პირველი სუბიექტური პირის ვ-ს ნიშნად. როცა მეორე კომპონენტია ვ, მაშინ ყველგან კბილბაგისმიერი ვ გვხვდება.



- ტაოურში რ განსხვავებული, არავიბრანტი ბგერაა, რომელიც ზოგჯერ იმდენად სუსტდება, რომ ან საერთოდ ქრება, ან იოტად იქცევა, ხშირ შემთხვევაში კი ძალიან ყრუდ აღიქმება, ძირითადად ხმოვანთა მეზობლობაში. მსგავსი ტიპის რ დასტურდება მურღულურ-ლივანურში, მაჭახლურში, ლაზურში, ქვემოაჭარულ მეტყველებაში.

- მიუხედავად იმისა, რომ ტაოური, ისე როგორც იმერხეული და სხვა ქართველური კილოები, რომლებიც ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, უცხო ენის (თურქულის) გავლენას განიცდის, მკვეთრი თანხმომენების წარმოთქმის თვალსაზრისით არსებითი სახის ცვლილება არ განუცდია. განსხვავებულია ახალგაზრდებისა და ასაკოვან ადამიანთა მეტყველება: ახალგაზრდებს ძირითადად უჭირთ ქართულისთვის სპეციფიკური თანხმომენების წარმოთქმა და გაბმული მეტყველებისას ფშვინვიერ თანხმომენებს ანაცვლებენ, ასაკოვნები კი ორივეს ამბობენ. რიგ სიტყვებში მხოლოდ მკვეთრი თანხმომენებია შენარჩუნებული. გავრცელებულია მკვეთრი თანხმომენებისგან შედგენილი კომპლექსების წარმოთქმის არაერთი შემთხვევა. ჩვენ გამოვავლინეთ მკვეთრ თანხმომენთა კომპლექსებში მონაწილეობის მიხედვით საერთო სიხშირული მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ყველაზე გავრცელებულია კ – 28, 57%, შემდეგ - ტ – 26, 19%, ყ – 16, 66%, ჭ – 13, 49%, წ – 12, 69%, ვ – 2, 38%;

- ტაოურში თანხმომენთა კომპლექსთა სიგრძე განისაზღვრება 2 - დან 5 - მდე, თუმცა ძირითადია ორწევრა კომპლექსები. სამწევრა და ოთხწევრა ბგერათკომბინაციები დიდი სიხშირით არ გამოირჩევა. მორფემათა ზღვარზე ძირეული მორფემის თანხმომენი რთულდება აფიქსისეული თანხმომენებით და წარმოიქმნება თანხმომენთა კომპლექსები, როგორც ბრუნების, ისე ზმნის უღვლილების პარადიგმაში, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ფონეტიკური ფაქტორების გათვალისწინებით გარდაიქმნებიან. მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი თანხმომენთა კომპლექსების სიხშირე მეტ-ნაკლებად განსხვავებულია პოზიციების მიხედვით. ზოგჯერ თანხმომენთა კომპლექსები შეიძლება გაითიშოს ნეიტრალური ხმოვნით და ხშირად ასეთი ფორმები ამოსავალი ფორმების პარალელურად დასტურდება.

- ერთი მორფემის ფარგლებში, რეალიზებული 164 კომპლექსიდან უფრო ხშირია სონორის შემცველი ბგერათკომბინაციები: 30, 32%, ამათგან თავკიდურად გვხვდება 24,

29%, ხოლო სიტყვის შუაში - 32, 84%. ჩქამიერ თანხმოვანთა შემცველი ბგერათკომბინაციებიდან სულ რეალიზებულია 5, 58%; 3,02 % გვხვდება სიტყვის თავკიდურად, ხოლო სიტყვის შუაში - 8, 13%-ია წარმოდგენილი.

- ტაოურში ერთი მორფემის ფარგლებში არ დასტურდება ერთი რაგვარობისა და ლოკალური რიგის თანხმოვნები; აქ იგულისხმება ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით, იდენტურთანხმოვანიანი კომპლექსები, ე.წ. გემინირებული თანხმოვნები, რომლებიც ქართული ენის ქვესისტემებისთვის არაა დამახასიათებელი. უცხო ენობრივ გარემოში მოსალოდნელი ცვლილება დიალექტში არ აისახა.

- ტაოურში ჰარმონიულ კომპლექსთა შემდეგი წყვილებია რეალიზებული: ფს, ფშ, ბზ, ფხ, სყ, ზღ, შხ, ქს, გზ, დღ, თხ, ტყ, ძღ, ცხ, წყ, ჯღ, ჩხ, ჭყ. მასალაში არ გამოვლინდა პირველი ჯგუფის - ბჟ, ქშ, გჟ, კს, ჯშ; მეორე ჯგუფის ბღ, პყ და მესამე ჯგუფის ჟღ კომპლექსები.

- აქცესიურობა - დეცესიურობის თვალსაზრისით, სონორი და ჩქამიერი თანხმოვანთკომპლექსები განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ. სონორთა კლასის თანხმოვანთკომპლექსებში სჭარბობს აქცესიური ბგერათმომდევრობა (60 აქცესიური და 50 დეცესიური), ხოლო ჩქამიერთა კლასში - დეცესიური (20 აქცესიური და 24 დეცესიური). საერთო ჯამში, ერთი მორფემის ფარგლებში, ტაოურ დიალექტში მეტია თანხმოვანთკომპლექსების აქცესიური მიმდევრობა. აღვნიშნავთ, რომ განვიხილავთ როგორც პირველად, ასევე მეორეულ, ფონეტიკურ ნიადაგზე სახეცვლილ კომპლექსებსაც.

- ტაოურში ორწევრა თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის შემთხვევები მორფემათა ზღვარზე განსხვავებულია: რეალიზებული 139 კომპლექსიდან უფრო დიდი რაოდენობით გამოვლინდა ჩქამიერთა ბგერათკომბინაციები - სულ 77; სონორების შემცველი თანხმოვანთკომპლექსების რაოდენობაა - 62.

- ერთი მორფემის ფარგლებში, სამწევრა კომპლექსთა სონორი და ჩქამიერები თანხმოვნებისაგან შედგენილი 17 მოდელი გამოვლინდა: SCC, SCC°, SCS, SC°S, SSC, C°CS, CC°S, C°C°S, CCS, CSC, CSC°, CSS, C°SS, C°CC, CC°C, CCC°, CCC; ამათგან სონორების შემცველი ბგერათკომბინაციები გვაქვს 13 მოდელში, 4 კი - მხოლოდ ჩქამიერთაგან შედგენილ მოდელებში.

- ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსებიდან რეალიზებულია სონორი და ჩქამიერი ბგერათკომბინაციებისგან შედგენილი 6 მოდელი: SCC°S, SCCS, SCC°C, CC°SS, CCSS, CC°SC.

- მორფმათა ზღვარზე რეალიზებულია სამწევრა თანხმონთკომპლექსთა 23 მოდელი, ამათგან სონორთა შემცველია - SC C°, S C° C°, SCC, S C°C, SCS, C C°S, C°CS, C° C°S, C° SC, CS C, C°CS, CSC, CSC°, CCS, C C°S (15), ხოლო მხოლოდ ჩქამიერ თანხმოვანთა მიერ შედგენილი მოდელებია: C C°C, CC C°, C°C° C°, C° C°C, C°CC, C° C C°, C C° C°, CCC (8).

- ოხწევრა თანხმოვანთკომპლექსებში რეალიზებულია ბგერათმიმდევრობათა 16 მოდელი: სონორთა შემცველი კომპლექსები - SCC°S, S C° C°S, SCCS, SCSC°, SC°CS, SC C° C°, C°SCC, C°C°C°S, C°CCS, C°CC°S, CCC°S, C°C°CS, CC°SC° (13); მხოლოდ ჩქამიერთა შემცველი კომპლექსები - CCC°C, C°C°CC°, C°CCC° (3).

- ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსი რეალიზებულია მხოლოდ ერთ მაგალითში: C°C°SCS: ჭხჷდნ: მიჭხჷდნით.

**II. იმერხეულში,** სალიტერატურო ქართულის მსგავსად გვაქვს ფონემატური ღირებულების ხუთი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ და მათი ნაირსახეობები, გამოვლენილი სხვადასხვა პოზიციაში: ა - ა̄; ე - ე̄; ი - ი̄, ი̄; ო - ო̄, ო̄; უ - უ̄, უ̄, უ̄; გ.

- როგორც ტაოურში, ისე იმერხეულშიც, გრძელი ა̄, ე̄, ი̄, ო̄, უ̄ ხმოვნები მეორეული წარმომავლობისაა და წარმოქმნილია ტონური მახვილისა და ხმოვანთა შერწყმის შედეგად.

- პალატალიზებული ბგერები ძირითადად თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში გხვდება, თუმცა რიგ შემთხვევებში თავისუფლად მონაცვლეობს სადა ხმოვნებთან; დასტურდება ცალკეული შემთხვევებიც, როცა საკუთრივ დიალექტურ სიტყვებში პალატალიზებული ბგერებია გამოვლენილი.

- ნეიტრალური გ უფრო ხშირად თანხმოვნის მომდევნოდაა გავრცელებული და წარმოადგენს რომელიმე ბგერის პოზიციურ ვარიანტს. ძირითადად წარმოდგენილია თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში;

- იმერხეულში ო-სა და უ-ს გამოვლენა თითქმის შეუზღუდავია პოზიციების მიხედვით.

1. **ღ** გვხვდება: 1. V-# (ხმოვნისმომდევნო პოზიციაში), 2. V-#-V (ინტერვოკალურ პოზიციაში), 3. #-V (ხმოვნისწინა პოზიციაში), 4. V-C (ხმოვანსა და თანხმოვანს შორის).

2. **ყ** წარმოდგენილია: 1. C – V (თანხმოვანსა და ხმოვანს შორის), 2. C – C (თანხმოვანსა და თანხმოვანს შორის), 3. V – C (ხმოვანსა და თანხმოვანს შორის), 4. V - # (ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ) 5. # - V (ხმოვნის წინ პაუზის მომდევნოდ), 6. V – V (ხმოვნებს შორის). **ყ** იშვიათია **უ**-ს პოზიციაში, **-ურ/-ულ** სუფიქსისეული **უ** ხმოვნის **ე, ა** ხმოვნებთან მეზობლობაში დავიწროების შედეგად. ძირითადად წყვილბაგისმიერი **ვ - ს** მონაცვლეა; ტაოურის მსგავსად, იმერხეულშიც **ყ** სისტემურადაა წარმოდგენილი შემდეგ სიტყვებში: ბეჭრი, ცხტარი, შტილი, ძუელი/ზუელი, წისქტილი/წისკუტილი, ფქტილი.

- იმერხეულში, ისე როგორც ტაოურსა და სხვა ქართველურ კილოებში, დიფთონგებს ქმნიან **ღ** და **ყ** უმარცვლო ხმოვნები. გვხვდება როგორც დამავალი, ასევე აღმავალი დიფთონგები.

- ერთი მორფემის ფარგლებში იმერხეულ დიალექტებში ძირითადად აკრძალულია ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა. სინქრონიულად, თეორიულად დასაშვები შესაძლებლობებიდან გამოვავლინეთ მეორეული 7 კომპლექსი: **აღ, ეღ, აა, ეე, იო, ეო, ჟა, რომლებიც** პროცენტულად ასე გადანაწილდა: **აღ** - 25%, **ეღ** - 11, 1%, **აა** - 11, 1%, **ეე** - 8, 3%, **იო** - 5, 5%, **ეო** - 19, 4%, **ჟა** - 19, 4%. აღსანიშნავია, რომ იმერხეულში გამოვლინდა პირველადი **იო** კომპლექსი, რომელიც მხოლოდ 1 მაგალითში დავადასტურეთ: „ლობიო“. ტაოურში ანალოგიური მაგალითი „ლებჟო“ ფორმითაა გავრცელებული.

- მორფემათა ზღვარზე, გამოვლინდა 27 პირველადი და მეორეული კომპლექსი. ამათგან პირველადი კომპლექსებია: **აე, აო, ეა, ეო, ია, იე, იო, ოა, ოე (9)**, ხოლო მეორეული - **აე, აა, აო, აჟ, ეა, ეა, ეჟ, აა, ეე, ეო, ოა, ოე, ოა, ოჟ, ჟა, ჟე, ჟი, ჟო (18)**. ცხრილის ფარგლებში სულ რეალიზებულია პირველადი კომპლექსების **36, 0%** და მეორეული კომპლექსების - **39, 1%**. საერთო ჯამში, იმერხეულში, მორფემათა ზღვარზე გამოვლენილია ხმოვანთკომპლექსთა **38, 0%**.

- იმერხეულ დიალექტში თანხმოვანთა სისტემა ძირითადად სხვა ქართველური დიალექტებისა და სალიტერატურო ენის იდენტურია. ტაოურის მსგავსად, თანამედროვე სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით დასტურდება **ჯ, ჭ** ბგერები.

- პროცენტულად ჯარისა და ხანის გავრცელების სიხშირე ასეთია: **ჯ – 61%; ხ – 39%**;
- **ჟ** ბგერა იმერხეულში, ზოგი სხვა ქართველური დიალექტის მსგავსად, ძირითადად, უცხო ენის გავლენით არის გაჩენილი და ფონემას არ წარმოადგენს;
- როგორც ტაოურში, ასევე იმერხეულ დიალექტში **ვ**-ს სამი ალოფონია მოსალოდნელი: კბილბაგისმიერი **ვ** მისი ყრუ ალოფონი (**ჟ**) და წყვილბაგისმიერი სონორი (**ვ**). ალოფონთა გამოვლენას განსაზღვრავს ბგერათა მეზობლობა.
  - იმერხეულში დაცულია მკვეთრი თანხმოვნები: **პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ**. მათი კომპლექსებში მონაწილეობის მიხედვით საერთო სიხშირული მაჩვენებელი ასეთია: **წ – 32, 86%, კ – 31, 8%, ტ – 22, 26%, ჭ – 16, 29%, ყ – 6, 36%, პ – 2, 12%**.
  - ერთი მორფემის ფარგლებში, ორწევრა თანხმოვანთკომპლექსთა თეორიულად შესაძლებელი **სონორ** თანხმოვანთა შემცველი ბგერათმომდევრობებიდან დადასტურდა - **24, 44%** (თავკიდურად - **14, 36%**, სიტყვის შუაში - **32, 16%**), ხოლო ჩქამიერ თანხმოვანთა კომპლექსებიდან - **4,69%** (თავკიდურად - **3, 75%**, სიტყვის შუაში - **5, 63%**).
  - იმერხეულში, ტაოურის მსგავსად, ერთი მორფემის ფარგლებში, საკუთრივ ქართულ სიტყვებში, არ დასტურდება ერთი რაგვარობისა და ლოკალური რიგის თანხმოვნები.
  - იმერხეულში, ერთი მორფემის ფარგლებში, საერთო ჯამში, სჭარბობს თანხმოვანთკომპლექსების აქცესიური მიმდევრობა - 55 კომპლექსი, ხოლო დეცესიური მიმდევრობის 52 კომპლექსია რეალიზებული. განსხვავებულია სონორ და ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა ჩვენებაც. სონორთა კლასის თანხმოვანთკომპლექსებში სჭარბობს აქცესიური ბგერათმომდევრობა (42 აქცესიური და 35 დეცესიური), ხოლო ჩქამიერთა კლასში - დეცესიური (13 აქცესიური და 17 დეცესიური).
  - იმერხეულში ჰარმონიულ კომპლექსთა შემდეგი წყვილებია რეალიზებული: **ბზ, ბღ, ფხ, ქს, გზ, დღ, თხ, ტყ, ზღ, ძღ, ცხ, წყ, ჯღ, ჩხ, ჭყ**. მასალაში არ გამოვლინდა პირველი ჯგუფის **ფს, ფშ, ბყ, ქშ, გყ, კს, კშ**; მეორე ჯგუფის - **პყ** და **ჯღ**, მესამე ჯგუფის - **სყ, შხ, ჟღ** კომპლექსები;
  - განსხვავებულია მორფემათა ზღვარზე თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის შემთხვევები. გამოვლენილი **149** კომპლექსიდან ჩქამიერ თანხმოვანთა

ბგერათმომდევრობებია - **60, 40%**; ხოლო სონორების შემცველი თანხმომავანთკომპლექსების რაოდენობა კი - **39, 60%**-ს შეადგენს.

ერთი მორფემის ფარგლებში, იმერხეულში, სულ რეალიზებულია სონორის შემცველი და მხოლოდ ჩქამიერი თანხმომავნებით შედგენილი სამწევრა თანხმომავანთკომპლექსების **13** მოდელი: **C°CS, CSC, SCS, SC C°, SCC, C°SC, CSS, CCS, C°SS, S C°S, C C° S (11); C C°C, CCC (2).**

- ერთი მორფემის ფარგლებში ოთხწევრა თანხმომავანთკომპლექსებში მხოლოდ სონორის შემცველი ბგერათმომდევრობებია რეალიზებული. სულ გამოვლინდა **7** მოდელი: **SC C°S, S C°CS, SCSS, SCSC, CS C°S, C°CSS, SCCS.**

- მორფემათა ზღვარზე რეალიზებულია სამწევრა თანხმომავანთკომპლექსთა **21** მოდელი: სონორთა შემცველი - **SCC, SC C°, SC° C°, SC°C, SC°S, SCS, SSC, SSS, C° C°S, CCS, C C°S, C°SC, C°CS (13),** მხოლოდ ჩქამიერ თანხმომავანთა მიერ შედგენილი - **CCC, C° C° C°, CC C°, C° C°C, C C° C°, C C°C, C°C C°, C°CC (8).**

- ოთხწევრა თანხმომავანთკომპლექსებიდან **8** მოდელი რეალიზდება: **SC°SC, S C° C°S, C°SCC, C°SC C°, C°CCS, C C°S C°, CCC S, C°C°SC'**; არ დადასტურდა მხოლოდ ჩქამიერთა ოთხწევრა ბგერათკომბინაციები.

- ხუთწევრა თანხმომავანთკომპლექსის რელიზაციის მხოლოდ ორი შემთხვევა გვაქვს და გვხვდება მხოლოდ სონორის შემცველი კომპლექსები - **SSC C° C, C C°C C°S.**

- ტაოურისგან განსხვავებით, იმერხეულში, მორფემათა ზღვარზე გამოვლინდა ექვსწევრა თანხმომავანთკომპლექსის ერთი მაგალითი: **C°SCCSS: ვრცქუნ: გავრცქუნით.**

- გაანალიზებული მასალის მიხედვით, როგორც ტაოურში, ისე იმერხეულში ხმომავანთა/თანხმომავანთა კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებები განისაზღვრება ქართულისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციით და ამ დიალექტებში წარმოდგენილია ცვლილებების სხვადასხვა საფეხური, თუმცა დასტურდება მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესებიც, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს, ერთი მხრივ, დიალექტების შინაგანი ბუნებით, მეორე მხრივ, უცხო ენის (თურქულის) ინსტენსიური გავლენით

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბზიანიძე 1984:** აბზიანიძე თ., ფშვინვიერი თანხმოვანი ხშულ თანხმოვანთა მეზობელ პოზიციაში, „საენათმეცნიერო კრებული, მიძღვნილი გიორგი ახვლედიანის ხსოვნისადმი“, I, გვ. 26-29, თბილისი, 1984, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“;
2. **აფრიდონიძე 1974:** აფრიდონიძე შ., ბოლოკიდურ ხმოვანთა საერთო ფუნქციისათვის ქართულში: თსუ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები. ტ. 3 – 4, თბილისი, 1974;
3. **აფრიდონიძე 1977:** აფრიდონიძე შ., კონსონანტური წყვილები, გ. მაჭავარიანი 70, მოხსენებათა გეგმა და თეზისები, თბილისი, 1977;
4. **ახვლედიანი 1936:** ახვლედიანი გ., ქართულ სამეტყველო ბგერათა წარმოთქმის სპეციფიკურობა „ფუნქციონალურ-ნერვულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. I, გვ. 117 – 128, თბილისი, 1936;
5. **ახვლედიანი 1938:** ახვლედიანი გ., ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები. I, თბ., 1938;
6. **ახვლედიანი 1953:** ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1953;
7. **ბაბლუანი 1985:** ბაბლუანი ლ. სამწევრა და ოთწევრა თანხმოვანთმიმდევრობანი სვანურსა და ქართულში, „იკე“, XXIII, თბილისი, 1985, „მეცნიერება“, გვ. 254-262;
8. **ბათიაშვილი 2008:** ბათიაშვილი ზ., ქართველები ოსმალური პერიოდის ტრაპიზონში, თბილისი, 2008;
9. **ბაქრაძე 1987:** ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987;
10. **ბერიძე 1981:** ბერიძე გ., ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1981;
11. **ბერიძე 1982:** ბერიძე მ., ქართული ენის მესხური დიალექტის ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1982 (სადიპლომო ნაშრომი);

12. **ბერიძე 1993:** ბერიძე მ., სამცხურის ძირითადი თავისებურებანი, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1993;
13. **ბერიძე 1988:** ბერიძე გ., ჯავახური კილო, თბილისი, 1988;
14. **ბერიძე 1998:** ბერიძე მ., სამეტყველო კოდთა თვითგამიჯვნის ზოგი ასპექტისათვის; ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998;
15. **ბერიძე 2009:** ბერიძე ე., ნიგალი, თბილისი, 2009;
16. **ბოლქვაძე 1998:** ბოლქვაძე თ., ინტერფერენცია და ენობრივი ნიშნის პრობლემა, „ქუთაისური საუბრები“ V, სიმპოზიუმის მასალები, 1998;
17. **გამყრელიძე 1965:** გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965;
18. **გამყრელიძე... 1981:** გამყრელიძე თ., გუდავა ტ. თანხმომავანთკომპლექსები მეგრულში, თბილისი, 1981;
19. **გამყრელიძე 2000:** გამყრელიძე თ., ქართველურ თანხმომავანთა განდასება, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი, 2000;
20. **გამყრელიძე 2000:** გამყრელიძე თ., ქართულ თანხმომავანთა „განდასება“, ხარი/ქ და ყ/ხ' ფონემათა სტატუსისათვის ქართულსა და კავკასიურში (თ. გამყრელიძე, „რჩეული ქართველოლოგიური შრომები“), გვ. 249-257, თბილისი, 2000, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“;
21. **გამყრელიძე... 2003:** გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2003;
22. **გაფრინდაშვილი 1955:** გაფრინდაშვილი შ., ლაბიალიზაციის ბუნებისათვის ზოგი იბერიულ-კავკასიურ ენაში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VII, გვ. 229-273, თბილისი, 1955;
23. **გაფრინდაშვილი 1966:** გაფრინდაშვილი შ., ქართული ენის სონორ თანხმომავანთა ფორმანტული დიაპაზონები, „მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები“, თბილისი, 1966;



24. **გაფრინდაშვილი 1967:** გაფრინდაშვილი შ., ქართული ენის ნაპრალოვან თანხმოდანთა საშუალო სპექტრები, „მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები“, თბილისი, 1967;
25. **გაფრინდაშვილი 1969:** გაფრინდაშვილი შ., ფონემათა დიფერენციალური ნიშნების სამწევროვანი კლასიფიკაციისათვის, „მეტყველების ანალიზის საკითხები“, თბილისი, 1969;
26. **გვანცელაძე 2003:** გვანცელაძე გ., გვანცელაძე თ., ქართველურ დიალექტთა ურთიერთმიმართება და დიალექტური ტექსტის აღქმა-გაგების ხარისხი (ექსპერიმენტული გამოკვლევა), ქართველოლოგიური კრებული, ტ. II, თბილისი, 2003;
27. **გიგინეიშვილი... 1961:** გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი, 1961;
28. **გიგინეიშვილი 1961:** გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1961;
29. **გივიაშვილი... 2004:** გივიაშვილი ი., კობლატაძე ი., ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004.
30. **გოგოლაშვილი 1987:** გოგოლაშვილი გ., მორფემათა მიჯნაზე წარმოქმნილ ხმოვანთკომპლექსთა შესახებ თანამედროვე ქართულში: იკვ. XXXVI, თბილისი, 1987;
31. **გოგოლაშვილი 1975:** გოგოლაშვილი გ., სახელთა პრეფიქსული წარმოება ქართულში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, # 3, თბილისი, 1975;
32. **გოგოლაშვილი 1981:** გოგოლაშვილი გ., სახელთა ფუძისეული ხმოვნის რედუქციასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში: ქესს, ტ. V, თბილისი, 1981;
33. **გურგენიძე 2010:** გურგენიძე ტ., ქართული ენის ჩქამიერ ხშულ თანხმოდანთა „სამეულეზად“ დაყოფის პრინციპისათვის; ენათმეცნიერების საკითხები, I-II, 2010;
34. **გუჯეჯიანი... 2008:** გუჯეჯიანი რ., თოფჩიშვილი რ., ფუტკარაძე ტ., შოშიტაშვილი ნ., ჭეიშვილი გ., ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელი, ქართველური მემკვიდრეობა XII, ქუთაისი, 2008;

35. **გუჯეჯიანი... 2010:** გუჯეჯიანი რ., ფუტკარაძე ტ., იუსუფელის (ისტორიული ტაოს) ქართულენოვან სოფელთა ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2010;
36. **დადიანი... 2010:** დადიანი ე., მიქაუტაძე მ., ფონემატური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხისათვის იმერხეულში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე "ენა როგორც კულტურათაშორისი მედიატორი" წაკითხული მოხსენებების კრებული; ქუთაისი, 2010;
37. **დოლიძე 1954:** დოლიძე გ., თანხმობები ქართულ ენაში (ექსპერიმენტული გამოკვლევა), თბილისი, 1954 (საკანდიდატო დისერტაცია);
38. **დოლიძე 1955:** დოლიძე გ., 3 თანხმობის ფიზიოლოგიისათვის ქართულში, „ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, ტ. X, გვ. 417-418, თბილისი, 1955;
39. **დოლიძე 1957:** დოლიძე გ., სონანტ თანხმობანთა არტიკულაციისათვის ქართულში, „ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, ტ. XI, გვ. 175-180, თბილისი, 1957;
40. **ერთელიშვილი 1963:** ერთელიშვილი ფ., უმარცვლო უ ძველ ქართულში, თსუ შრომები, 96 (ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია) თბილისი, 1963;
41. **ერთელიშვილი 1970:** ერთელიშვილი ფ., ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970;
42. **ერთელიშვილი 1980:** ერთელიშვილი ფ., სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1980;
43. **ვეიდენბაუმი 2005:** ვეიდენბაუმი ე., ბათუმიდან ართვინამდე, თბილისი, 2005;
44. **თაყაიშვილი 1991:** თაყაიშვილი ე., სამუსულმანო საქართველო, დაბრუნება, ტ. I, თბილისი, 1991;
45. **თოფურია 1941:** თოფურია ვ., ნ და ს ბგერებისათვის ქართველურ ენებში: საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სმამ), II, (1,2), თბილისი, 1941;
46. **თოფურია 1946:** თოფურია ვ., რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იკე, I, თბილისი, 1946;

47. **თოფურია 1954:** თოფურია ვ., გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954;
48. **თოფურია 1979:** თოფურია ვ., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, შრომები, ტ. III, თბილისი, 1979;
49. **თოფჩიშვილი 1998:** თოფჩიშვილი რ., მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების მნიშვნელობისათვის საქართველოს ისტორიაში, მიემღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას (მეორე სამეცნ. კონფერენცია), თბილისი, 1998;
50. **თოფჩიშვილი 2009:** თოფჩიშვილი რ., ზოგიერთი ეთნოგრაფიული რეალია შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, ბათუმი, 2009;
51. **იმნაიშვილი 1949:** იმნაიშვილი ი., ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1949;
52. **იმნაიშვილი 1962:** იმნაიშვილი გ., ხმოვანთა დაკარგვა ქართული ენის ზოგიერთ კილოში: იკე, XIII, თბილისი, 1962;
53. **იმნაიშვილი 1966:** იმნაიშვილი გ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966;
54. **ინგოროყვა 1956:** ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, 1956;
55. **კარალიძე 2005:** კარალიძე ჯ., „აჭარის მუჰაჯირთა ისტორიის ზოგიერთი საკითხისთვის“, საისტორიო მაცნე N 15, ბათუმი 2005;
56. **კაჭარავა 1975:** კაჭარავა გ. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები ქართველურ ენებში (ასიმილაცია და დისიმილაცია), „სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი“, თბილისი, 1975, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“;
57. **კახიძე 1974:** კახიძე ნ., მაჭახლის ხეობა, ბათუმი 1974;
58. **კახაძე 1984:** კახაძე ო.მ ხმოვანთა ასიმილაციის ზოგიერთი საკითხის თაობაზე ქართველურ ენებში, იკე-ს წელიწდეული, VIII, თბილისი, 1984;
59. **კახიძე 2005:** კახიძე ნ., მაჭახლის ხეობის ისტორიული წარსულიდან: ჟურნ. ხერთვისი, 2005, # 1.

60. **კობაიძე 1990:** კობაიძე მ., მთიულურის ფონეტიკური თავისებურებები, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1990;
61. **ლაბაძე 2008:** ლაბაძე მ., ლაზური კილოების ხმოვანთა სისტემა, ქართველური მემკვიდრეობა, XII, ქუთაისი, 2008;
62. **ლეჟავა 1010:** ლეჟავა ი., ლორთქიფანიძე ლ., გლოტალიზაციის ნიშნის აკუსტიკური ანალიზი ქართულ ენასა და მის დიალექტებში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბილისი, 2010;
63. **ლომთაძე 1999:** ლომთაძე ა., სპირანტებისა და აფრიკატების ფონეტიკური სახეცვლილებანი ქართველურ ენებში, თბილისი, 1999, „ქართული ენა“;
64. **ლორთქიფანიძე 1984:** ლორთქიფანიძე ლ., ქართული ენის ბ, დ, გ მჟღერ ხშულ ბგერათა აღქმისათვის „საენათმეცნიერო კრებული, მიძღვნილი გიორგი ახველდიანის ხსოვნისადმი“, I, თბილისი, 1984, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“;
65. **ლომთათიძე 1984:** ლომთათიძე ქ., კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში, თბილისი, 1984;
66. **ლომთათიძე 1985:** ლომთათიძე ქ., ფონეტიკურ ცვლილებათა არათანაბარი ხასიათის შესახებ, იკე, XXIII, თბილისი, 1985;
67. **ლომთაძე 2005:** ლომთაძე თ., ქალაქის ენის შესწავლის ისტორიიდან, ქართველური მემკვიდრეობა, IX, ქუთაისი, 2005;
68. **მაკალათია 1933:** მაკალათია ს., თუშეთი, თბილისი, 1933;
69. **მაღაყმაძე 2008:** მაღაყმაძე რ., ლიგანის ხეობა, თბილისი, 2008;
70. **მაისურაძე 1942:** მაისურაძე ი., ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში: გორის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1942;
71. **მარტიროსოვი 1956:** მარტიროსოვი ა., იმნაიშვილი გ., ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956;
72. **მარტიროსოვი 1972:** მარტიროსოვი ა., ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ., 1972;
73. **მარტიროსოვი 1984:** მარტიროსოვი ა., ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984;

74. **მაჭავარიანი 1958:** მაჭავარიანი გ., ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 69, თბილისი, 1958;
75. **მაჭავარიანი 1965:** მაჭავარიანი გ., საერთოქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965;
76. **მაჭავარიანი 1974:** მაჭავარიანი მ., ზმნის ძირების ფონოლოგიური სტრუქტურა, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, #2, გვ. 127-136, თბილისი, 1974;
77. **მაჭავარიანი 1975:** მაჭავარიანი მ., თანხმოვანთა განაწილება ქართული ენის სახელურ ძირებში, „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 164, ენათმეცნიერება, I, გვ. 97-105, თბილისი, 1975;
78. **მელიქიშვილი 1976:** მელიქიშვილი ი., მარკირების მიმართებისათვის ენათმეცნიერებაში, თბილისი, 1976;
79. **მელიქიშვილი 1976:** მელიქიშვილი ი., მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი, 1976;
80. **მელიქიშვილი 2000:** მელიქიშვილი ი., ქართველურ ენათა ფონოლოგიური ტიპოლოგიისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2000;
81. **მელიქიშვილი 2011:** მელიქიშვილი ი., გამყრელიძე ნ., ლეჟავა ი., ლორთქიფანიძე ლ., მარგიანი ქ., ქობალავა ი., გლოტალიზაციის ნიშანი ქართველურ ენებში აკუსტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით, თბილისი, 2011;
82. **მეგრელიძე 1964:** მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან, თბილისი 1964;
83. **მიქაუტაძე 2010:** მ. მიქაუტაძე, ჯ ბგერის საკითხისათვის იმერხეულ დიალექტში, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „საზრისი“, №10; ქუთაისი, 2010;
84. **ნიჟარაძე 1957:** ნიჟარაძე შ., ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957;
85. **ნიჟარაძე 1971:** ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971;
86. **ნიჟარაძე 1975:** ნიჟარაძე შ., აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975;

87. **ნებიერიძე 1965:** ნებიერიძე გ., Г. С. Небиеридзе, Фонологический анализ вокализма грузинского языка. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 1965;
88. **ნოლაიდელი 1972:** ნოლაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები II, დიალექტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972;
89. **ონიანი 1989:** ონიანი ა., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია), თბილისი, 1989;
90. **ონიანი 2003:** ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბილისი, 2003;
91. **ჟლენტი 1936:** ჟლენტი ს., გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი, 1936;
92. **ჟლენტი 1953:** ჟლენტი ს., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის ზოგიერთი საკითხი, თსუ შრომები, ტ. 49, 1953;
93. **ჟლენტი 1953:** ჟლენტი ს., ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953;
94. **ჟლენტი 1953:** ჟლენტი ს., ქართული დიალექტების წარმოთქმის თავისებურებათა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, თსუ შრომები, ტ. 69, თბილისი, 1958;
95. **ჟლენტი 1956:** ჟლენტი ს., ქართველური ენის ფონეტიკა, თბილისი, 1956;
96. **ჟლენტი 1960:** ჟლენტი ს., ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, თბილისი, 1960;
97. **ჟლენტი 1965:** ჟლენტი ს., ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965, „განათლება“;
98. **რობინსი 1968:** რობინსი რ., ვატერსონი ნ., შენიშვნები ქართული სიტყვის ფონეტიკის შესახებ, "მიმომხილველი", 4, თბილისი, 1968;
99. **როგავა 1958:** როგავა გ., ვ ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XVIII, ქუთაისი, 1958; როგავა 1962:
100. **როგავა 1962:** როგავა გ., ქარველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბილისი, 1962;

101. **როგავა 1984:** როგავა გ., ქარველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, II, თბილისი, 1984;
102. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ III, ბათუმი, 2008;
103. **სარჯველაძე 1975:** სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975;
104. **სარჯველაძე 1985:** სარჯველაძე ზ., უმლაუტის კვალი ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 120, I, თბილისი, 1985;
105. **სარჯველაძე 1997:** სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბილისი, 1997;
106. **სარჯველაძე 2000:** სარჯველაძე ზ., ფენრიხი ჰ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა თბილისი, 2000;
107. **სვანიძე 1996:** სვანიძე მ., ქართველები თურქეთში, თბილისი 1996;
108. **სიხარულიძე 1988:** სიხარულიძე ი., ნიგალი (ლივანა), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათუმი, 1988;
109. **სიხარულიძე 1988:** სიხარულიძე ი., შავშეთ-იმერხევი: საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათუმი, 1988;
110. **სურმავა 1983:** სურმავა ნ., სიტყვათწარმოების შესახებ აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა IV, თბილისი, 1983;
111. **სურმავა 1986:** სურმავა ნ., სიტყვათწარმოების ზოგიერთი თავისებურება აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა V, თბილისი, 1986;
112. **ტაბიძე 1998:** ტაბიძე მ., ენობრივი კონტაქტები და ენობრივი დაგეგმვა, არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1998;
113. **უთურგაძე 1957:** უთურგაძე თ., სიტყვათა მორფონემატური დიაქრონიული ცვლილებისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, ტომი მე-6, თბილისი, 1957.
114. **უთურგაძე 1960:** უთურგაძე თ., თუშური კილო, თბილისი, 1960;
115. **უთურგაძე 1966:** უთურგაძე თ., ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი, კრებული, მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, თბილისი, 1966;

116. **უთურგაიძე 1971:** უთურგაიძე თ., ჰარმონიულ კომპლექსთა დიაქრონიული ინტერპრეტაციისათვის ქართულში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, #4, გვ. 111-125, თბილისი, 1971;
117. **უთურგაიძე 1973:** უთურგაიძე თ., ქართული ენის თანხმოვანთა პარადიგმატული ანალიზი, მეტყველების ანალიზის საკითხები, ტ IV, თბილისი, 1973;
118. **უთურგაიძე 1974:** უთურგაიძე თ., ქართული ენის ვოკალიზმი, მეტყველების ანალიზის საკითხები, ტომი მე-5, თბილისი, 1974.
119. **უთურგაიძე 1976:** უთურგაიძე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1976;
120. **უთურგაიძე... 1981:** უთურგაიძე თ., ჩხუბიანიშვილი დ., გიუნაშვილი ჯ., დიალექტის ცვლილებისთვის ისტორიულ ასპექტში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი, 1981;
121. **უთურგაიძე 1986:** უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986;
122. **უთურგაიძე... 1986:** უთურგაიძე თ., ქანთარია ლ., ასიმილაციისათვის ქართული ენის თანხმოვანთა და ხმოვანთა შერეულ კომპლექსებში, იკე, XXV, თბ., 1986;
123. **უთურგაიძე 2002:** უთურგაიძე თ., შოთა ძიძიგური ფონეტიკური პროცესების შესახებ ხმოვანთა კომპლექსებში, შ. ძიძიგური, 90, თბილისი, 2002, გვ. 13-16;
124. **ფაღავა 2003:** ფაღავა მ., სამხრული კილოების ფონამეტური სტრუქტურა, სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი, 2003;
125. **ფაღავა... 2005:** ფაღავა მ., ცინცაძე მ., მაკარაძე ე., დიასამიძე რ., თანდილავა ლ., ტაოური მეტყველების ნიმუშები, ბათუმის უნივერსიტეტის კრებული IV, ბათუმი, 2005;
126. **ფოგტი 1962:** ფოგტი ჰ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1962;
127. **ფუტკარაძე 1993:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი I, ბათუმი, 1993;
128. **ფუტკარაძე 1995:** ფუტკარაძე შ., ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი



- ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1995;
129. **ფუტკარაძე 1986:** ფუტკარაძე ტ., სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1986;
130. **ფუტკარაძე 1992:** ფუტკარაძე ტ., CVC | CC სტრუქტურის სახელურ ფუძეთა და CV||C ტიპის სუფიქსთა ურთიერთმიმართების შესახებ (ქართველურისა და ქართული ენის დიალექტთა მონაცემების მიხედვით), მე-13 რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და თეზისები, ქუთაისი, 1992;
131. **ფუტკარაძე 1996:** ფუტკარაძე ტ., სუპერსტრატისა და ენობრივი თვითიმუნიზაციის საკითხისათვის, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1, 1996, (ინგლისური ვარიანტი);
132. **ფუტკარაძე 1996:** ფუტკარაძე ტ., ლაბიალიზაციისა და უმლაუტიზაციის მიმართებისათვის (ხევსურულის, მოხეურისა და ინგილოურის მიხედვით), არნ. ჩიქობავას საკითხავები, VII, მუშაობის გეგმა და თეზისები, თბილისი, 1996;
133. **ფუტკარაძე 1996:** ფუტკარაძე ტ., ენობრივი პოტენცია და რედუქციის საკითხები ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, 1996;
134. **ფუტკარაძე 1997:** ფუტკარაძე ტ., უ სონანტი, ვ სპირანტი თუ უ|ვ სონორი? მე-17 რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ქ. თელავი, 1997;
135. **ფუტკარაძე 1998:** ფუტკარაძე ტ., ხმოვანთა ადაპტაციისათვის ქართულში ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, 1998;
136. **ფუტკარაძე 1998:** ფუტკარაძე ტ., ლაბიოველარიზაციისა და პალატალიზაციის მიმართებისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1998;
137. **ფუტკარაძე... 1998:** ფუტკარაძე ტ., დადიანი ე., ნაკანი ნ., ი და ძ ალოფონთა მიმართებისათვის ქართველურ ენებში, ქუთაისური საუბრები, V, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1998;

138. **ფუტკარაძე 1998:** ფუტკარაძე ტ., ლომთაძე ლ., ხაჭაპურიძე ლ., უქვ და უ ბგერათა განაწილებისათვის ქართული ენის დიალექტებში-I, ქუთაისური საუბრები, V, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1998;
139. **ფუტკარაძე 1998:** ფუტკარაძე ტ., თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1998;
140. **ფუტკარაძე 2003:** ფუტკარაძე ტ., მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის პრობლემა და ქართველთა დიალექტების დაჯგუფების საკითხი; ენათმეცნიერების საკითხები, #1, თბილისი, 2003;
141. **ფუტკარაძე 2005:** ფუტკარაძე ტ., ქართველები I, თბილისი, 2005;
142. **ფუტკარაძე... 2006:** ფუტკარაძე ტ., ქართული ენის ისტორია, ქუთაისი, 2006;
143. **ფუტკარაძე 2008:** ფუტკარაძე შ., ფონეტიკური პროცესები იმერხეულში, ქართველური მემკვიდრეობა, XII, ქუთაისი, 2008;
144. **ფუტკარაძე... 2008:** ფუტკარაძე ტ., მიქაუტაძე მ., „კვლავ ქართული წყვილბაგისმიერი სპირანტის შესახებ (იმერხეული მასალის ანალიზი), ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XII, ქუთაისი, 2008;
145. **ფუტკარაძე 2010:** ფუტკარაძე ტ., დადიანი ე., შეროზია რ., „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო, ქუთაისი, 2010;
146. **ფუტკარაძე 2011:** ფუტკარაძე ტ., ვაშალომიძე ალ., სინთეზატორის ალოფონური ბაზის განსაზღვრა არტიკულაციური მახასიათებლების მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XV, 2011;
147. **ქობალავა 1972:** ქობალავა ი., CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში, II – „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, III, თბილისი, 1972;
148. **ქობალავა 1976:** ქობალავა ი., ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში, თბილისი, 1976;
149. **ქუთელია 2003:** ქუთელია ნ., ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 2003, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“;
150. **შაჰინი 2005:** შაჰინი მ., მაჭახლური თქმანი, ჟურნ. ხერთვისი, 2005, #1;
151. **ჩიქობავა 1936:** ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ. 1936;

152. **ჩიქობავა 1964:** ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1964;
153. **ჩოხარაძე 2001:** ჩოხარაძე ვ., შავშური ლექსიკის ზოგიერთი საკითხი, კულტურათმორისი კომუნიკაციები, №15., „უნივერსალი“, თბილისი, 2001;
154. **ჩოხარაძე 2013:** ჩოხარაძე ვ., თურქიზმები ქართული ენის სამხრულ დიალექტებში, ბათუმი, 2013;
155. **ჩუხუა 2003:** ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003;
156. **ჩუბიანიშვილი 1998:** ჩუბიანიშვილი დ., ფერეიდნულის შესწავლის ზოგი ასპექტი, არნ. ჩიქობავასადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1998;
157. **ძიძიშვილი 1960:** ძიძიშვილი მ., ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბილისი, 1960;
158. **ძიძიშვილი 1966:** ძიძიშვილი მ., თანხმოვანთა კომპლექსისა და ფონეტიკური პროცესის ურთიერთმიმართების შესახებ ქართულში, „იკე“, XV, გვ. 228-232, „მეცნიერება“, თბილისი, 1966;
159. **ძიძიგური 1973:** ძიძიგური შ., დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1973;
160. **ცეცხლაძე 2000:** ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000;
161. **ცინცაძე 1998:** ცინცაძე მ., ფაღავა მ., სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.), ბათუმი, 1998;
162. **ცინცაძე 2001:** ცინცაძე მ., ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება, XXI დიალექტოლოგიური სამეცნ. სესიის მასალები, თბილისი 2001;
163. **ცოცანიძე 1970:** ცოცანიძე გ., თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კრებული, თბილისი, 1970;
164. **ცოცანიძე 1974:** ცოცანიძე გ., ხმოვანთა მიმდევრობის შესწავლისათვის ფშაურში, მეტყველების ანალიზის საკითხები, თბ., 1974;

165. **ჭინჭარაული 2005:** ჭინჭარაული ა., ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960;
166. **ჭინჭარაული 2005:** ჭინჭარაული ა., ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005;
167. **ჯიქია 1978:** ჯიქია ს. ერთი ფონეტიკური კანონზომიერებისათვის ქართულში, თსუ შრომები, 1978;
168. **ჯიქია 2010:** ჯიქია მ., თურქულ ანთროპონიმთა ქართულში დამკვიდრების ფონეტიკურ-ფონოლოგიური კანონზომიერებანი, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, 2010;
169. **ჯორბენაძე 1989:** ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი, 1989;
170. **ჯორბენაძე 1995:** ჯორბენაძე ბ., ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი, 1995;
171. **ჯორბენაძე 1998:** ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია II, თბილისი, 1998;
172. **ლექსიკონი 2007:** „Osmanlıca-Türkçe Ansiklopedik“, Ankara, 2007;
173. **Taner Artvinli 2013:** Artvin Yer Adları Sözlüğü (İdari, Yerleşim ve Coğrafi Yer Adlarının Toponimisi), Turkey, 2013.

# დანართი

(ტაოური და იმერხეული დიალექტური ტექსტები)

## 1. ტაოური კილო

საადი ჩივჩი<sup>31</sup>

ხუცეკარი, 2012 წელი

### კერძების მომზადება

- ფქულის შორვა ვიქდა, ლებუო შორვა ვიქდა, რა ვიცი. თქუენც რაცხა იპოვნება იმა ვიქდა და რა ვიცი.

- მაწუნის უკა ვიქდა, წყლის უკა ვიქდა, მარილის უკა ვიქდა, რა ვიცი. ა, იმსოდ ვიქდა.

- პეტრუხა-პეტრუხანა ამზოფთ ამა, მე მოცლა არ მაქუან, ქი ი-ჟუნადა, ი-ჟუნადა და კილო გაჭუო.

- ეს ახლა ამა ანად-დედე არ ჰყავა?

- მაშინ ქენჯერე დანდგამ, წყალ დანსხამ, ნაწუელ დანსხამ, ფქუილი, ლაზუდი ფქუილს ჩაჰყრი გინდა, გინდა მერე ქერი ფქუილს ჩაჰყრი, მურევ, იქამ. ნდულე დილბერე, დედსხამ, შიშჰამ.

- ადვილია, ადვილი, თუ დეჩუე ადვილია.

- ფილავ ვიქენი.

- აგვრ ვიჯები. გინდა მოჰთუთქავ ძალუს უკა, გინდა წყლის უკა მოხარშავ, რა ვიცი. ბებრები წყლის უკა ადვილი მოლამის. ახლა ემბე ალი მედა, მოთუთქულები მაგადა, ა მინდა. დედე, დედე, მყაუსა დედე, მოთუთქული მაგარი ქიბადები უნდა, მე ართოხ კვბილები ა მასხადა, ართუხ, წყლის უკა მოხარშული მინდა და ესე იგრა.

- რა ვიცი, ე ხალი ჭორვა ვიჯები დილბერა, ძირი და მენი, ძირძან ხალიდან, მივბრუნდები მერე კურზნეჯარ ვირჯებით.

<sup>31</sup> ასაკი არ ახსოვდა, ან არ გვითხრა.

- ყურზნებალი? ფურცელ დაჰკრეფავ, ა, ისე იგრე თუთა, ყურძენითა, იმისავითა ფურცელ იჯება, იმასაც დილბერა მოხარშავ,<sup>32</sup> ლაზუდი ფქუილს უკა იქამ, ფქუილს ადუღეფ.

- დოხ, ემე ადუღეფ, ფქუილს უკან ადუღეფ, წყალს უკა, ადუღდება დილბერემ, იმ ჯალსაც დასჭრი დილბერემ. ყურზნიხალსაც, ამა გნა დაჰთუთქო და ისე-ნა დასჭრა. დაჰთუთქავ და ისი ემე იქამ. ჩაჰყრი წყალში დილბერემ, რა ვიცი, ე ისე.

- ედა შენც დეჩუე და დუდე ბებმას.

### ადგილების სახელები

- ლაცეხუარაა წუერ, საცრეა წუერ, რა ვიცი რა გითხრა. ქელაზორ, ქესადგურ. შესებს ვზიდავდი იქანდამ. შენც წადი და ზიდე ა-ექენდამ.

- ჰოუ, მეტანე კი, ზამთრად თოვსა ჩუენ. თოვსა, ილლა შემა უნა შოტროთოთ იქ, გატფე. იქასაც ა, ხედავ, ა-ამ ქესადგურიდან უნა მეტანო, ა-ამ ნაცეხვარადან უნა ჩემეტანო, დახერხო დილბერემ და დნპო, გახრაკო, ქი გატფე.

- თქუნა ადგილები რად გინდა, მე ქი მაჩოუნებინეფო.

\*\*

- მოზობლობა რადგენ გაქუა?

- ერთმანეთ უსკუამთ?

- დაზღეპედოთ ის.

- ახლა იმა ვინცხას მერედოთ, დაზღეპედოთ, აწიწინედოთ.

### სოფლის ცხოვრება

- მალეები ქყაუან?

- ჰოუ, ქუყაფს. პირტყუებიც ქუყუაგან, მალეებიც ქუყუაგან, კუტუნუბი, ტუტუნუბი, ტუტუნუბი ქყაგან?

- გიცილუბი, გიცილუბი.

- ქყაგან გიცილუბი?

- კუტუნუბისაც ქყაგან, გიცილუბისაც.

- გუაქუა და ასე ყანები ბოსტნებია, აპა რა არი ესინი?

<sup>32</sup> ისეთ შემთხვევებში, როცა რ-ს წინამავალი ხმოვანი გრძელია რ ისმის ხოლმე, ოღონდ ძალიან სუსტად.

- რა მოქტყაფთ, ო?

- ჭასვილია მოვჰყავთ, მესირ მოქტყავ, ლებდოსაც მოქტყავ. ა იგერ ყანეფში ხედავთ და?! დიღბერემ იჯონლება. თვალეზი რამ გასხია, რა გინდა? არა ხედავ?

### **პირტყვი**

- პირტყვი: ცხტარი, ვერძი.

- მე ჰა, ახლა თანა არ მყტავან, ე ბერ დედი ვარ და იმა მოაბედი უნდაო, ცხტარსა და კუტუნასა მოაბედი უნდაო. მეცხტერე დანი. მალიც Ⴀ მყავან მე. ველარ მიქნია და. ბებერი, დედე.

### **ოჯახის შესახებ**

- დენჭი ახლა, დენჭეზი თქტენ იყუნენ.

- Ⴀლა ხტყტავან და დტათხტეთ, მტათხტეთ, გტათეთ.

- ახლასაც ებედ დედე რა-ნა მყტიდეს?

- დოხ, თორეზი მყტავანა, მადა იქა არდან მათანას უკა, ა-დსე იგრა.

### **დაოჯახების ამბეზი**

- ჰო, გოგტეზი ხყავან მათა.

- ერთმანეთი დედნახეს, დედარშიდნეს.

- თქტენც ისე Ⴀ ქნათ, Ⴀ გეძცნეთ.

- დტგუნი, Ⴀ, დტგუნი. უწინ დტგუნი ქყტავდე ყერბეთ, ახლასაც დტგუნია, ჰამა ახლა ალოეზი აქვან, ჰადდე, ჰადდე, წევნეთ, წევნეთ, დატდგნეთ, დატდგნეთ.

- Ⴀ, და ვიცი, ველარ მივმხთარვარ რადგა გითრა, Ⴀ?!

- წევნეს, მოდნეს, ართუხ კედევ რო დევვარშიდნით და.

- ჰოვ, ჰოვ, კედევ დადარშიდლობით.

- ჰადდე, ახლა ალო, წომომყე, წომოჰყტე, გითხოვონ, დრრა ადვილი. დანი მეხტტბითა, მახილითა... ართუხ, უკანამსაც ეშიდებდენ, იჯებდენ. დოხ, ფასი გგდებენ, დაბანჯი.

- და თქტენ იდტგუნეთ, ეხვამათენით. დოხ ასე-ნა ვქნათა, ისე-ნა ვქნათა დიღბერა ჩუჩხაკუნეთ, ისე იზამთ, ჰადდე...

### **მზითვი**

- ჯედი. უ,უ,უ, ჯემედენი გასხდან თუალეზზე და? ჯედი, არ-ნა ქნათ გნა ჯედი.  
წაჰყე, წაჰყე და. გნგდე ჯედი.

- უწი ასე ზნბა არ იყო.

- დოხ, იმხან წითელ წინდებ მოვქსოვიდეს, დილბერა ყაზალეზ მოვქსოვდეს, შალი კედიდამ, ე, ლეჩეფს ჭქსოვდეს. იმხა ფემტამლები იყო, ფემტამლებ იჯებოდეს. ჰა, ისენი და. ყაბებ იყვეს, სხუა რამენ იყვეს, გნტენილი.

- დნბორჯენეთ ერთი, ზენგინ ალაგა დნთხუნით, გემჭუარტლეთ ერთი.

\*\*

- საჯელი - სნდი ჩივჩი, სოადი ჩივჩი, სულ ჩივჩი და.

- მიხინკლდან ჩივჩები არდანო, მიხიკლდან ჩივჩები არდან ისენი.

- ა, ახლა წლისაც, დილაზე ყაჭი ავდგე და შევქამე, ა ვიცი ო! ა ვიცი რამდენი წლის.

### დალოცვა

- რადგა უყვარხარო?

- რა ვიციო, ე ბელდა თხა, ე ბელი, მოდი მომსურდი, ჩეგეხუტებდან, გაკოცებენ. რედა შევეყვარა ის, ანა ჩემი მეუღლე დილბერი, ჩემი თორი დილბერი. ე დილბერეა ხარა, ე რა დილბერი გოგო ხარა. ესეც მეტყვის ქი, კიდე შე რა დილბერები ხარა, შე კადები ხარა. ა ისე შემეხვეწებდენ ისე, გუხარდებდენ. ახლა თორი მყავსა მეჰმედაა, მედბოდ, მეჰმედასი ბიჭი, ო ჩუმტა, ფოშობა მიზამ, დილდა ათოქა, დოხ სა და წინ და უკან აღნ ჩუმტა, ხუნწნა უნდა. თორები მიყვარამ, ამა ნ ჩამუნე, ნ, მუზუზები.

- ვაშლი გუგზავნე, სხალი გუგზავნე, ყოლავ ვინ-და გიგინტანოს, გინგიგზავნო? ჰა, ესე იგრა. დილბერი თორები მყავან. სამ თანე ბიჭი თორები არდან, ორ თანეც ბგანო თორები მყავან, ისენიც დილბერნ, ა, ასე, თქუნსავთენ.

\*\*\*

ფატმა ბათმაზი, 42 წლის

კევაი, 2012 წელი

### სოფლის ცხოვრება

- თივა, თივა, ა ჰამა უნა დუყარო, ფური არი, უნა დუყარო.



- ეს მანგალი, ჭთიბაჭთ, ჭთიბაჭთ.

- ე, ლებულო არი, იცი და?

- არი თქუენში ლებულო?

- დაჭთესაჭთ დაჭკრეფაჭთ, ჭორვა ვიქდა, ყეზართმა ვიქდა, მოჭთუთქ მრხრაკუჭლი, ა, ისე. ზამთრი ყური, ემე, ლობიო ჭორვა. ზამთრი, კემელი, ამისი შიგა ეს.

- ჰოუ, ზამთრი, ჰოუ.

- გუჯამოფთ დეფნებზე, გუჯამოფთ ასე დრდი ემეა, რაე გითხრა, ჯეჯიმი. ჯეჯიმები იცი, ჯეჯიმები? ჯეჯიმებზე გაჭშლით, გუჯამოფთ. ონან სორა, გაჭმება, დილბერა გამოჭკრეშავთ, შედქნება კემელი ლობიო. ართულ, ზამთრი ჭორვა ვიქდა.

- ჭორვას, რავი, ხან მარქუალ დუჯაოლეფთ, ხან ისე ჭორვა ვიქდა დილბერა.

- ჭორვა ვიქდა, ჭმუჭამთა.

- ფილაე იცი, ფილაე? ა, იმის უკან, ფილაეს უკან, მაწუნის უკან შიჭკამთ.

- ფილაე, ე დილბერა ერბო განდნოფ. იცი ფურისი ერბო? ისა დილბერა განდნოფ, შიგან შეჭრდე ჩაჭყრი, ემესა. იშტა, მოჭთუთქავ, ფირინჩ ჩწყრი, მარილ ჩწყრი, მუ მოხარშო ამა დილბერა, დაჭდე, მაწუნის უკან შიშკამ. სალათა იქამ, თომათესი, კიტრი, მათ უკან სოლათა იქამ, შიშკამ. მაწუნის უკან შიშკამ. ა, ისე, ლობიოს უკან შიშკამ.

- ჰო, მახალა, დიდი გოდორი, პუტურუე მახალა.

- ჰო, პეტერად მახალა, დიდი გოდორი.

- ე მახალა არი, ე თოკი.

- არი თქუენში თოკი?

- ეს სწრი, სწრი, ლებულოსი სწრი.

- ემეე იზდება და ართხულ ისე დაბლა არ იქსა და გედკლიშტის, ა შედქნება და ამას დუჯასოფთ ქი, დილბერა ასე მოდდეს, დავკრიფოთ, შიჭკამოთ.

- თოკი აჰა, აჰა, ასე, აჰანე, ჰა იმა-ნა აჭკიდო და წევლო, ჰო, იმა-ნა აჭკიდო.

- იმა-ნა აჭკიდო და წანდებინო სახლისკე, ფურ დუყარო.

- ერთანე.

- მეც ერთანე ვარ, და...

\*\*

- ჭატმა.
- ბათმაზი.
- მია?
- ორმოცი და ორი, ჰოუ.
- თქუენც კანგა იყადთ.

\*\*\*

მერიემ იშიკჩი, 30 წლის  
ხუცეკარი, 2012 წელი

### დაოჯახების ამბები

- მერემ.
- იშიკჩი.
- დეუსიკარად დევნახე.
- ე, ვადმე! <sup>33</sup>
- მა ნახონ და, მე ისე მეხატრება თქმადა.
- დეუსიკარა დევნახეთ, ოუ.
- ჰო, მევიწონეთ.
- მოდდა უთხრა და, ე და წაჰყე.
- ჯეფი რა იყო? ჩემი ჯეფი? ფაფუჯი, ყასაბა, რა იყო სხვადა?
- ფაფუჯი, ყასაბა, დანთილი, ბეური რამე იყო.

### საოჯახო საქმე

- საჭმელები? რა მუშაოფთ, რა ირჯებითო საჭმელები?
- ლებუო ჭორვა, ბაქლუჭორვა, ყეზართმა.
- ლებუო ჭორვა? სოდან დამჭრავ, ზედთ ძალი ურთეფ, სალჩა ურთეფთ, მარქუალ დუაყრით, წყალ დუასხამთ, ფორვა.
- დუხსა, დუხსა.

---

<sup>33</sup> სცხვენია ლაპარაკი

- ო, ო, ლებტოეფ ვახმოფთ. მარქტლები. ყტიში ვდეფთ ამას, მიწაში.
- ქართოლს, ძირი, ისა.
- დოხ, ფური მყავსა.
- დოხ, ანა. უწუელავ და ნაწუელად არა იჯენ.
- ყოლ რამ უყამ, ვაშლი, სხალი, ყოლ რამ ჭამენ.
- ერთანე ბიჭი მყაქს.
- ბიჭი ანათან გავგზავნე, სწრცხელი გნა გამეღტანოს და...
- სხალი, ვაშლი, ბალი, ე ვიშნა, ვიშნა, სახრაჲ.
- დოხ, კვრეფაქთ, ისე ვაწყოფთ ბელლეფჩი, ო.
- ო, ვაშლი ჭჩირავთ, ვაჰმოფთ.
- იჯებდან, ამა ჩუენ ა ვიცით.

### ხელსაქმე

- მუქსუა?
- ე ჭალი.
- ე ჭალია, ე კედია, ე წინდჲ.
- წინდა ჭქსრ.
- წინდა ჭქსრ და. ყასაბა ჭქსრ, ე დელეს ჭქსოთა.
- ცხუარ ვპარცაქთ, გაჭჩეჩავთ.
- დაგანახუნო? დნახუნო?
- საჩიჩელი.
- მატყლი გავრცხაქთ, გავპარცავთ, გავრცხაქთ, მექენ მოქკრიფავთ, დაქსხდებით, გაჭჩეჩავთ. ე კიდე ა მეფენ მოქკრიფავთ, დუართუნდეფთ, მას უკა დავცახაქთ, მას უკაცა ართუხ ჭქსოქთა წინდეფთ.
- ჰო, ფეხები გათბება და.
- ჰო, ჰო უქსოქთ!
- ე მაჯალა.
- ე ა ვიცი, ე კაცების საქმე არი. ჩემი ამა ნ, ა მოქქსოვთ.
- ძერწკნიდამ.

## მცენარეები

- ყავაღა არი, ნაძუტი, კატარი, სოჭი, კაკალა, სხუა რა იყო... ვაშლი, სხალი, ვიშნასი ჯევენად, არი ბუტი ჯევენად.

## ხალხური მედიცინა

- ქოდა და ემნები? ქოდა და ემნები...
- ჯელს შეუჭრავთ, სამყური არი, სამყური, იმა დავლეჭავთ, გიდექრავთ გაჭრილზე.
- გახრაკულზესაც მაწონ შეჭსცხოფთ, სხუა რა არი?
- ბუტი რამა, ჰამა ა მაგონდება.
- კიბილი, ჰა, კვბილ დემანი. ყარანფილ ვიდეფთ.
- დუნახუნო?
- კვბილზე ვიდეფთ, კვბილში ვიდეფთ. მარილ ვიყრით, ჰა, კვბილში.
- იმა შივირდანი ყუელი შჭამე.<sup>34</sup>
- ფურცელ იდევენ, დიდრუანი ფურცლები ქი არი, ამათ იდევენ.<sup>35</sup>
- იკოჭენ, იკოჭენ, თელი.
- დიდრუანი ფურცლებია ისა, ბურლო არი სახელი.
- ბურლო, ბურლო.
- კომბოსტო დოხ, კომბოსტო.
- ჯალი ჰა, ჯალისი ფურცელი, დიდი ფურცელი.

\*\*\*

ჰავა ბათმაზ/დოლენჯაშვილი, 35 წლის

ხევა, დოლენჯიანთკარი, 2012წელი

## კერძების მომზადება

- აქუა ა, ასე შიგან პეტერაჲ დამბედი კედე, ო. პუტურუდა, ა ასე, ასე შიგან ყაფაღია იმაჲ ვიბამთ, ი, ისე ვიკეთეფთ, ჰა, მაგრე.

<sup>34</sup> მუცლის ტკივილის დროს

<sup>35</sup> თავის ტკივილის დროს

- ჩორბა რადგა ვაკეთებთ ჩუენა? ჩუე ლებუოს დაჭკვრევატო, სოღან დაჭშჭრატო, ჩაჭკვრით თენჯერაში, იმა კნგა გამოტოუტქატო. ზედა ლებუა დუაყოლეფო, საღჩასა, დომატისის, მოთუტქუელი დომატისი. იმა ჩატოკატო დიღბერა, მუაწყოფო ყაფნღზე, ასე ეთი ბნდალით წყალ დუასხამ, ეთი სნთ, ოდ სნთ მუსთით იმა, პეტერა ათეშით, ცეცხლით. ი მეღხარშვის. ონან სორა, და გითხრა მე შენა, ბეური რამა არი და.. ბეური რამა არი ჭკუაში და ნ რჩება აქ.

- ფილაღ, ებო ჩუაგდეღ. იცით ებო? ზროხეფო, იმა ჩუაგდეფო. ერთისაღ ძალი, წემინდა ძალი არი, ე, ისეც იმა ჩუასხამთ, ფრინჯ დუალბოფო, გავრცხატო, ერთ სნთ მუსდით, ონან სორ, გუდუაყრით ზედან, მოტოუტქატო იმასა, წყალ დუასხამთ, მუაწყოფ ყაფახსა, ი ადულდეღა ბააღ ასი გუმოსწევს შიგა ნავსა, მოხნრშული თუ არ არი, ზედან ეთ ცივ ბაღდალით კიდევ წყალ მუასხამ, ისე გაკეთებღ.

- ჩუენა ქადა გამუაცხოფო.

- ქადა თქუენ ქი ახლა გნკეთეფო და, ცომი, იმსოღ გუაკეთეფო, იმის შიგან... წყელით, ონან სორა არი პურის ცომი, იმას კნგა მოუზილატო, მუსდით ერ სნთ, ორ სნთ, ამოღვა ცომი.

- პური ცომი იცით?

- მაღა. ჰემ მაღა არი, ჰემ ახლა პურისი ქი გუანსუქეფ, პუღსი ძირაღ, იმა წყალ დუასხამ დიღბერა, იმ წყლის შიგან ემე ვიქდა, მურეფო, ი წომუა... ქი იმას შევნახატო, კეღე გუასუქეფო. პურ ცომი ის. ძუელი, ის ძუელებით. ახლა მაღა ჭემნფო.

- გურჯულისი პურ ცომ ვეტყვით. სხუა მისი სახელი ნ ვიცი.

- ქადის შიგანისაღ ა ვიქდა. ყაღმაღი იცით? ზროხები? იმის შიგან ლაზუდი ფქუილ ჩუაყრით. დიღბერა, ასე მურეფო, ჭენჭები წომუა ისა, იმა გუაპრტყელეფო ცომს, იმ ცომ ქი გუაპრტყელეფო, იმის შიგან ასე კოვზით დავდეფო სირე. მუანოთ, გაღმუკვეცატო ქენაფთე, დიღბერა, შეჭეფ ჭურუნში, გომოცხუება, დავჟღებით, შიჭჭამთ. იმის უკან ჩაღსაღ შესუამ, ონან სორა, რაღ გითხრა, ყრღი რამ, წყლის უკან.

### ფესტივალები

- ისინისაღ ზღაფული იჯონღება, ზამთრისაღა არი, ამა ზღაფული ბეურია.

- იმათი სახელები, ჭესტივალეფო? იმათი სახელები ჭესტივალ ვებნეფო ზნთე.

- ჯაღები ჭედობენ.

- ო ზროხეფთ, ზროხეზი მსსხმენ, იმა აჰედებენ. იმათ, მილეთი მედკრიფდან ბეჰრნი, დასხდებდან, იმა სედრობენ. ონან სორა, ემე იქმენ. ასე დიდი ჰალყა მუხოდან, ჯადეფს შეჰყრდან შიგა. ოდ, ოდ ზროხა, იმა სჰედებენ, ი ჰესტივალია. ინსნებიც ჰედობენ, გოგუბიც ჰედობენ, ისეც ჰესტივალი არი.

- ზღაფულში ა, ისენი ზღაფულშია. დან ზნა ზღაფული ს, აბლი. ჰო, გაზღაფულში. იმხან იჯონლება ისენი. ესენი ახლა კნაგა ზღაფულში იჯონლება.

- ექი ქე მედგეფს ქი, ბირინჯი, ერთანე არი, იჯონლება, იმა ბეჰრ ფარა აზლევენ, ბეჰრ ფარა მისცემენ იმას. გემედყრის, გემედყრის ორ-სამნი... ზორფები აქუან, დიდრუანი, ასე ზორფა, თახთიდანე, იმით გაჰყრიან ქი ვერა გემედგდებენ. მილეთში წავლენ, გოგუფჩი სა წავლდან მსჰედებლა. მილეთი, ართუხ, დანბან გოგოები ბოდლა. დიდრუან ს, ა, ისე შეშები, იმ შეშებით დაჰირო, იმათ დაზღეჰენ.

- ეტკივლება და რა ქნასა, გოგო ეშინია.

- ჰესტივალეზი ს მაგონდება.

- ჰა, საწინაო, ჰო? საწინაო კიდო ადანი, ეთი დღე აქუენ იმათ, ი დღე მოვა, იქმენ იმ ჰესტივალეფთა.

- ს მაგონდება ქი, ს მაგონდება. ქი მომაგონდება, მუალ შენთან.<sup>36</sup> იმხან დევდადენოთ.

\*\*

- ხუალ არ გიგიჰეფ.

- დოხ, დოხ, ჩემს უკან-ნა იყუნეთ ბოდნან.

- ემეში-ნა გევნეთ იქ, აქ ენა გაგასხა. იქ ზნა ასე თივეზი არი, ი ცივი წყალი, ზაბა ცივი წყალია, თოჰლი არი, გრლი არი.

- ჰო იყავი, უიცი. იქან გახუიდე, იქან დასწუე.

- ჩუენი გოგოები მოდნესა და მათ დევებვადათო.

- ს, მოდნეს.

- ჩემი?

- ჩემი ჰავად, სოდადი ბათმაზი.

- ჰამდენი წლისა უთქუდა?

---

<sup>36</sup> ხუმრობს.

- დოლენჯანთ, დოლენჯაშუილი.

- დოლენჯანკარი. იქ გახვედით თქუნს. გოდლეკარი, ის დოლენჯანკარი, ბასლეკადს ჩემ ანასი, აღასი, ი ჩემ დასი.

- მე ანად 5 მყავს, ბაბოდსაც 5 მყავს.

- მივდე, მათ დეჭხჭნთო.

\*\*\*

საფეთი ბალჯი/ბექმეზიშვილი, 67 წლის

ბასლეკარი, 2012 წელი

### ადგილების სახელები

- რა ვიცი, იქ კედთად არი. ასე აქედამ დეთიდამ წავალთ, მოგლესილი, მასისი, პუტუტუდ, პუტუტუდ მასისი არი. ონან სორა, სანაცრიე, სანაცრიე, ოქუზ ბოდანი, ჭიშკარი, შორადი. ჰო, შორადი. მოხვალ ლომბითპა, ლომბითპა, მოხვალ კედთავი, ყარატალი, ჩომოხვალ - ფიშნაგედ, ქოდ, ასე გიდდარ ქელაზორი.

- თა არ ალი, ახლა ქოდში ჩომოველით, თა გათავდა.

- თები გათავდა, ჩომოხვალ ქვიშნაგედ ქოდ არი, ასე გედმდარ მაჰალე არი, ქელაზორი, ჩემდარ, ჩამოხვალ ბალეკარი არი.

- ქოდ, დოხ, მაჰალე არი ისა, ქოდ აღარ არი, ართოხ მაჰალე არი. მოხუალ ჭედლდანკარი მაჰალე არი. მოხუალ, მექთები არი ჩუენი ემე, ჩუჩუნაკალო ვეტყვით, ჩუჩუნაკალოსა.

- რა ვიცი, ისე იტყვდან, ჩუჩუნაკალო, ართოხ, რაზე რა ვიცი, იმდენი არ ვიცი დანი. ჩამოხუალ გოდლეკარი, ასე მოხვალ, აქა ალაგეფს სახელები გურგუნაქეთი არი, ისე გიდდარ ემე არი, ქონობანი. ე იქედამ ჩომოხვალ აქო, ჩუენი სოფელი ემეა მაჰალე, ბასლეკარია.

- ამ ალაგს ბასლეკარი, ბასლეკარი.

- რა ვიცი, ძუელი ისე რამ უთქუდან დანი, აქობაში ბოდნა სახელები კარი და ბაშლია... თქუნშიდაც კარი არი...

- ყანა- ჭალების სახელები იქ ჩუქე ჭალაში, ჭალა გუაქუა, ემე ვეტყვით კალოსწინი, მაღლა ერთი ჭალა გუაქუა, საჯარე ვეტყვით.

- რა ვიცი, საჯარე, ართუხ საჯარე, ქომოსი ვარე. ართუხ, რედგა რა ყოფილა რა ვიცი. საჯარე უთქუდან მანი იმისთვინ.

- აქობასა ვედყანა ვეტყვით, მაღლა აქედამ ერთი ყანა გუაქუა იქაც, შინდისძირი, მანი შინდის ყოფილა ზამანინ და იმას შინდისძირი უთქუდან ასე ყოლი სოფლები, გოდლეკარი, მესელა, ამას ასე ნასხიდ ვეტყვით, ნასხიდი.

- ამ ვეს? ფიშნავე ვედა. ამ ხედს სახელი ფიშნავედა.

- სხუა აქ დეთი ვედ არის. ქუაბად ვედ არი, სხვა ხედ აღარ არი აქა. ერთიც იმკენ ჩახვალ ქომო, წყალი გერევა, გუდასვევი ხედა, და ჩუენი ეთი კიდო, ამ ჩუენ ქომსა ეთი კიდო მაჰალე არი, იმ მწლეს სახელი გუდასვევი იყო, ახლა ი გოდლეყანა ქომ შედქნა. ჩახვალ კიდო ქომო მაჰალე გუაქუა, ვევაძსი მაჰალე, ვევაძა მისი სახელი. იქ მწლე გუაქუა ილდასვედ, ილდასვედდან ქი ჩახვალ, მწლე არი ქორდათი. ართოხ, ჩახვალ იქ, ქომო, პარხალ ვედ ჩომოვა, ჩუენი უდუდი გათავდება.

- თამამ, ვევაძსა ჩიგითვალე ზნთე.

- ვევაძსა მწლე დეთი არი, დეტსგვარად არი, ჩომოხვალ ფიშნავედ არი, გახვალ, დტალეკარი, კრავკარი, გოდლეკარი, დოლენჯდანკარი, კიდო ჩომოხვალ ბასლეკარი, ქონობანი, ილდასვედ, ჩახვალ ქორიათი, ჩუენი მაჰალეები ესენია.

### ნადირობა

- ჰო, მე იმისი ემე მაქუა, თოფი.

- ნადირ ჭკლავა, ღორ ჭკლავა.

- იმის ქარჩელზე, ქი ქარჩელი მოვა, ქარჩელზე დასაღია. ახლა სერბესათ წავალთ, მოვკლაფთ.

- ჩუენ მარქულებ მულებს, ჩუე ზარალ გვადლეფს და მერმეთ უნა მოჭკლათ და, რა ჭქნათ აჰა?

- ო, რედგი დიდი, უჩუუ ქილო გუმოვა.

- კვბილები შეწყობილი მაქუა და ხანჩი ემე იჯება.



